ISSN 0182—599 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

1

1993

# მნათობი

წელიწადი 68-ე № 1 იანვარი 1993 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

ბიბლია, ძველი აღთქმა. გაგრძელება . . . . . . . . . . . . 3

### პროზა, პოეზია

ირაკლი აბაშიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 16
ზურაბ ფანჯიკიძე — ეშმაკის ბორბალი რომანი . . . . . . . 18
გივი გეგეჭკორი — ლექსები . . . . . . . . . . . . 84
ირაკლი ფარჯიანი ქართველი მხატვარი — პუბლიკაცია ტომ ბერტრანდის, ლექსი რეზო ამაშუკელის, თარგმანი ბესიკ ხარანაულის . . . . . . . 90
ტომას ელიოტი — ლიტლ გიდინგი. თარგმნა ახმათ ბეშიძემ . . . . . . . 95

### მოგონებები, ფაქტები

ლადო სულაბერიძე — ცხადსიზმარიანა. პირველი ნაწილის დასასრული . . . . 102
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — უკანასკნელი შეხვედრები . . . . . . . 134

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

აკაკი მინდიაშვილი — „თუ არ შეინანეთ... დაიღუპებით“ . . . . . . . 142

### მეცნიერება

ნოდარ კანდელაკი, ზურაბ ცერცვაძე — 37 ასონიშნიანი ქართული ასომთავრული ანბანი და ქრისტიანული ქრონოლოგიის მთავარი საყრდენი თარიღები . . . . . . . . . . 149
ვაჟა კიკნაძე — ალექსანდრე ამილახვარი და ევროპელი განმანათლებლები 166

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბიბლია, ძველი აღთქმა

## ეკლესიასტე

### თავი პირველი

1. სიტყვანი ეკლესიასტესი, ძისა
დავითისა, მეფისა იერუსალიმში 2. ამ-
აოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ,
ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოებაა.
3. ადამიანს რას ჰმატებს შრომა, რო-
მელსაც იგი მზის ქვეშ ეწევა? 4. თა-
ობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა
კი უცვლელია უკუნისამდე. 5. ა-
მოხდება მზე და ჩადის იგი, უბრუნდე-
ბა თავის ადგილს და კვლავ იქიდან
ამობრწყინდება. 6. სამხრეთისაკენ მი-
ჰქრის ქარი, გაბრუნდება ჩრდილოე-
თისკენ; ბრუნავს, ბრუნავს, მიჰქრის
ქარი და უბრუნდება ისევ თავის წრეს.
7. ყველა მდინარე ზღვებისაკენ მიე-
დინება, ზღვა კი მაინც არ აღივსება;
იმ ადგილისკენ, საითაც მდინარეები,
მიედინებიან, კვლავ დაბრუნდებიან,
რათ იდინონ. 8. გაცვეთილია ყოველი
სიტყვა, აღარ ძალუძს კაცს რაიმეს
თქმა; თვალი ხედვით ვერ გაძღება,
ყური სმენით ვერ აღივსება. 9. რაც
ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომ-
ხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის
ქვეშ ახალი. 10. ნახავენ რასმე და იტ-
ყვიან: აჰა, ახალი. ესეც ყოფილა ჩვენს
წინარე საუკუნეში. 11. არ დარჩენილა
ხსოვნა იმათი, ვინც წინათ იყო; და
მომდევნოთაც, ვინც იქნებიან, არ გა-
იხსენებს მათი მიმყოლი. 12. მე, ეკ-
ლესიასტე, მეფე ვიყავი ისრაელზე იე-
რუსალიმს. 13. ვიწყე კვლევა გულმო-
დგინებით, გონებით განსჯა ყოლივესი,
რაიც მომხდარა ცისქვეშეთში; ეს მძი-
მე საქმე მიუჩინა უფალმა ადამის ძეთ
სატანჯველად. 14. განვიცადე ყოვე-
ლი საქმე, რაც კი მომხდარა მზის-
ქვეშეთში და აჰა, ვცანი — ამაო არის
ყველაფერი და ქარის დევნა. 15. გამ-
რუდებულს ვეღარ გამართავ, ხოლო
ნაკლულს ვეღარაფრით ვეღარ შეავსებ.
16. ვუთხარი ჩემს თავს: აჰა, მოვიპო-
ვე და განვიმრავლე ცოდნა ყოველთა
უპირატესად, ვინც არსებულა ჩემს
უწინარეს იერუსალიმზე, და ეზიარა
გონება ჩემი განუზომელ სიბრძნეს და
ცოდნას. 17. როცა მივაპყარ გულის-
ყური, შევიცან სიბრძნე, მეცნიერება,
უმეცრება და სისულელე, მივხვდი —
ამასაც არა აქვს აზრი. 18. რადგან,
როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია;
მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს
უმრავლებს.

### თავი მეორე

1. ვუთხარი ჩემს თავს: მოდი, გა-
მოვცდი მხიარულებას და მივეცემი
სიამეთა — და აჰა, ესეც ამაოება ყო-
ფილა მხოლოდ. 2. მივხვდი, გართობა
ფუჭი საქმეა; მხიარულება რის მაქნი-
სია? 3. ვიფიქრე, ღვინით დამებანგა
ჩემი სხეული, ხოლო გონებას სიბრ-
ძნით ეფხიზლა; დავდგომოდი გზას
სიბრიყვისას, ვიდრე ვნახავდი, რა სი-
კეთეა კაცთათვის მასში, რასაც იქმ-
ნიან ცისქვეშეთში, სანამ ცოცხლობენ.
4. დიდი საქმენი ჩავიდინე, ავიგე სახ-
ლები, ჩავყარე ვაზი, 5. გავიშენე ჩემ-

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ 1992 წ. № 11-12.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვის ბაღები და წალკოტები, დავრგე
ხეხილი ყოველგვარი, 6. წყალსატევე-
ბი მოვაწყვე, რომ მოერწყათ ნორჩ
ხეთა ტევრები, 7. შევიძინე მონა-მხე-
ვალნი, და მრავლად მესხნენ სახლ-
ში სახლეულნი; მყავდა ცხრა-ძროხა
იმათზე მეტი, ვისაც ჩემს წინ უმეფია
იერუსალიმს. 8. დავაგროვე ოქრო და
ვერცხლი, მეფეთა განძი ყოველი მხა-
რის; გავიჩინე მგალობელნი, კაცნი და
ქალნი, და სიამენი ხორციელნი, ულა-
მაზეს ხარჭათა დასი. 9. განვედიდე და
გავმდიდრდი უმეტეს მათსა, ვინც ჩემს
წინარე არსებულა იერუსალიმს; და
სიბრძნე ჩემი მევე მეყუდნა. 10. არ
უარვყავი არაფერი, რაც კი მომთხო-
ვეს ჩემმა თვალებმა, არ დავაოკე გუ-
ლი ჩემი სიხარულისგან, რადგან ხა-
რობდა ჩემი გული ჩემი ნაღვაწით.
ეს ყოველივე იყო ხვედრი ჩემი შრო-
მისა. 11. გადავხედე ყოველივეს, რაც
კი შექმნა ჩემმა მარჯვენამ და ყოველ
საქმეს, ჩემს ნამოქმედარს, და მივხვ-
დი, ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფე-
რი, ქარის დევნა, და რომ არ არის
სარგებელი ამ მზისქვეშეთში. 12. გა-
ვიხედე, რომ მეხილა სიბრძნე, სიბ-
რიყვე და სისულელე. რადგან რაღა
ქმნას ადამიანმა, რომელიც მოვა შემ-
დგომ მეფისა, რომელსაც უკვე ყვე-
ლაფერი უქმნია ქვეყნად? 13. ოდეს
ვიკვლიე, რა არის სიბრძნე ანუ სიბ-
რიყვე და უმეცრება, ვნახე, რომ სი-
ბრძნე სიბრიყვეზე უპირატესობს, ისე-
ვე როგორც ნათელი ბნელზე. 14.
ბრძენი კაცი გონებითა ჰვრეტს, უგუ-
ნური კი ბნელში დავალს. და ვუწყი,
მაინც მოწევნადი ერთი აქვს ყველას.
15. გულს ვუთხარ მაშინ: მეც უგუ-
ნურის ბედი მეწევა; მაშ, რაღა ვი-
ყავ მე სხვაზე ბრძენი? და გულხვე
ვუთხარ: ამაოება ყოფილა ესეც. 16.
მარადიულად არ ეხსომებათ არც
ბრძენკაცი, არც უგუნური; გაივლის
ჟამი, ყველაფერი დაივიწყება. ვაგლახ,
რომ კვდება ბრძენი კაცი უგუნური-
ვით. 17. და შევიძულე მე ეს ცხოვრე-
ბა, რადგან მემწარა ყველაფერი, — რაც
მზის ქვეშ ხდება, რადგან ყოველი
ამაოა, ქარების დევნა. 18. და მოვი-
ძულე ნაღვაწი ჩემი, რაც მიღვაწია ამ
მზისქვეშეთში, და რაც სხვას უნდა
დავუტოვო, ჩემს შემდგომ მოსულს. 19.
არავინ უწყის, ვის შეხვდება ჩემი
ნაღვაწი, ბრძენს თუ უგუნურს, რაიც
სიბრძნით მომიღვაწია ამ მზისქვეშე-
თში? აჰა, კიდევ ამაოება. 20. და წარ-
ვუხოცე იმედი ჩემს თავს, რომ აღა-
რაფერს მოველოდე ამ ღვაწლისაგან,
რაც მზისქვეშეთში გამიწევია. 21. ნა-
ხავ კაცს, ილწვის, არ იშურებს სიბ-
რძნეს და ცოდნას, მაგრამ ნაღვაწი
სხვას ხვდება წილად, ვისაც არასდროს
ულვაწნია ამ საქმისათვის; ამაოება
არის ესეც და უდიდესი ბოროტება.
22. მაშ, რაღა რჩება ადამიანს შრო-
მისა და ზრუნვის შედეგად, რომელსაც
იგი მზის ქვეშ ეწევა? 23. დღენი მის-
ნი სატანჯველია, საზრუნავი მისი —
წუხილი, ღამითაც არ ისვენებს, შფო-
თავს გული. აჰა, კიდევ ამაოება. 24.
კაცისათვის არაფერია იმაზე კარგი,
რომ ჭამოს, სვას და დატკბეს თავისი
ნაღვაწით; ესეც დავინახე, რომ ეს ღვთის
ხელიდანაა. 25. რადგან ვინ ჭამს ანუ
განცხრომას ვინ მიეცემა მის გარეშე?
26. ვისაც ის ითნევს, მას მიანიჭებს
სიბრძნეს, ცოდნასა და სიხარულს;
ხოლო ცოდვილს კი მოხვეჭისათვის
საზრუნავს უჩენს, რათა ღვთის სათ-
ნოს დაუტევოს ეს მონაგარი. ამაოება
არის ესეც და ქარის დევნა.

## თავი მესამე

1. ყოველივეს თავის დრო აქვს და
ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშე-
თში. 2. ჟამი შობისა და ჟამი სიკვ-
დილისა; ჟამი დანერგვისა და ჟამი
დანერგულის აღმოფხვრისა. 3. ჟამი
მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა;

ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა. 4. ჟამი ტირილისა და სიცილისა; ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა. 5. ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა; ჟამი მიჯნურთა პაემანისა და ჟამი მათი გაყრისა. 6. ჟამი პოვნისა და ჟამი დაკარგვისა; ჟამი შენახვისა და ჟამი გაფლანგვისა. 7. ჟამი დარღვევისა და ჟამი შეკერვისა; ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა. 8. ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა; ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა. 9. რას არგებს მაშვრალს შრომა მისი? 10. კიდევაც ვნახე საზრუნავი, რომელიც ღმერთმა მიუჩინა ადამის ძეთ მათ სატანჯველად. 11. მან ყველაფერი კეთილად შექმნა თავის დროისთვის, თვით იდუმალის შეცნობად აღძრა გონება კაცთა, ოღონდ ისე, რომ ვერ მიხვდეს ქმნილებას, რაც შექმნა ღმერთმა დასაწყისიდან დასასრულამდე. 12. მივხვდი, რადგან არაფერია კაცისათვის იმაზე კარგი, რომ გაიხაროს და ქმნას სიკეთე, ვიდრეღა ცოცხლობს. 13. თუ კაცსა ვისმე არ აკლდება სასმელსაჭმელი და შრომისა წილ სიკეთეს ჰპოვებს თავის შრომაში, ეს მადლია, ღვთის ნაბოძები. 14. ვუწყი ისიც, რომ ყოველივე, ღვთის მიერ ქმნილი, იარსებებს უკუნისამდე; არც დამატება სჭირდება რამის, არც გამოკლება. ასე ქმნა ღმერთმა, მის წინაშე შიში რომ ჰქონდეთ. 15. რაიც ყოფილა, უკვე არის დიდი ხანია; და რაც იქნება, ის უკვე იყო. და აწ გარდასულს მხოლოდ ღმერთი გამოიძიებს. 16. კიდევ ვიხილე მზისქვეშეთში: განსჯის ადგილი დაეჭირა უკანონობას, მართლის ადგილი მტყუან კაცს ეპყრა. 17. მაშინ ვთქვი გულში: ღმერთი განსჯის მართალს და მტყუანს, როცა ყველაფერს და ყოველ საქმეს დაუდგება იქ თავის ჟამი. 18. და ვთქვი ჩემს გულში: ასე გამოცდის თურმე ღმერთი ადამის ძეთა, რათა დარწმუნდნენ, რომ თავისთავად პირუტყვები არიან მხოლოდ. 19. რადგან კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია — ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგას, — კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს, რადგან ყოველი ამაო არის. 20. ყოველივე ერთ ადგილს მივა; ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა. 21. რომელი იტყვის, რომ კაცთა სული მაღლა ადის, ხოლო პირუტყვის დაბლა ჩადის, მიწისაკენ? 22. ვხედავ, კაცთათვის სხვა სიკეთე რომ არ ყოფილა, თუ არ იხარა თავის ნალვაწით, რადგან ესაა მისი წილი ამ მზისქვეშეთში, ვინ დაანახვებს, რა მოხდება შემდგომად მისა?

## თავი მეოთხე

1. კვლავაც ვხედავდი ძალადობას, რაც კი ხდებოდა ამ მზისქვეშეთში: აჰა, იღვრება ჩაგრულთა ცრემლი და მათ არავინ არ ანუგეშებს; მათ მჩაგვრელთა ხელშია ძალა, არავინა ჰყავთ ნუგეშისმცემი. 2. უფრო ბედნიერად შევრაცხე დიდიხნის მკვდარნი მათზე, ვინც ჯერაც ცოცხლობენ კიდევ. 3. და ორთავეზე ბედნიერი მაინც ის არის, ვინც ჯერაც არ დაბადებულა და არ უხილავს ბოროტება, რაც მზის ქვეშ ხდება. 4. ისიცა ვნახე, რომ სიბეჯითე ყველა საქმეში მხოლოდ ერთურთის შურით არის გამოწვეული. ამაოება ყოფილა ესეც და ქარის დევნა. 5. ბრიყვს გულზე ხელი დაუკრეფია და თავის ხორცს ჭამს. 6. ერთი პეშვი სიმშვიდე სჯობს მთელ კალთას გარჯას და ქარის დევნას. 7. კიდევ და კიდევ განვიცადე ამაოება ამ მზისქვეშეთში. 8. არსებობს კაცი მარტოხელა, არ ჰყავს არავინ, არც ძმა, არც შვილი, ხოლო მის შრომას ბოლო არ უჩანს და ვერ გაძღება მისი თვალი დოვლათის ხილვით. ვისთვისღა ვშრომობ და სიამეს რისთვის ვაკლდები? ამაოება არის ესეც და ფუჭი საქმე. 9. მარტო ყოფნას სჯობს ორნი იყვნენ, რადგან კეთილად მიეზღვებათ მათ საშრომელში.

10. თუ დაეცნენ, ერთი მაინც წამოაყენებს თავის ამხანაგს. მაგრამ ვაი, მარტომყოფს, თუ დაეცა ვინღა უშველის? 11. თუ ორნი დაწვნენ, გათბებიან; მარტომყოფს კი რაღა გაათბობს! 12. თუ ერთს დასძლევს ვინმე, ორი ხომ გაუმკლავდება. მალე არ გაწყდება სამმაგი ძაფი. 13. ღატაკი მაგრამ ბრძენი ყმაწვილი უმჯობესია მოხუცებულ და ბრიყვ მეფეზე, რომელიც უკვე ვერას ისწავლის. 14. რადგან იგი საპყრობილიდანაც გამოვა მეფედ, თუნდაც თავის სამეფოში უპოვრად იშვას. 15. ვიხილე: ყოველ მკვიდრს მზისქვეშეთში ყმაწვილი ახლავს, ეს სხვაა, მის ნაცვლად რომ დადგება. 16. არ უჩანს ბოლო ამ ხალხს, ვინც მათ უწინარეს იყო, და არც შემდგომნი მოინატრებენ მათ. რადგან ესეც ამაოებაა და ქარის დევნა. 17. ფეხს ნუ აუჩქარებ ღვთის სახლისკენ მიმავალი; გაფრთხილდი, მსხვერპლი უგუნურთა მსგავსად არ შესწირო, რადგან არ უწყიან უკეთურებას რომ სჩადიან.

## თავი მეხუთე

1. ნუ გისწრებს ენა და გული შენი ნუ გაჩქარის სიტყვის წარმოთქმას ღვთის წინაშე, რადგან ღმერთი ცაშია, შენ კი — მიწაზე. ამიტომ იკმარე ცოტა სიტყვები. 2. როგორც მრავლადაა სიზმარში ამბები, ისე მრავალსიტყვაა უგუნურის ნაუბარი. 3 თუ ღმერთს აღთქმას მისცემ, ნუ დააყოვნებ მის აღსრულებას, რადგან უპირონი არად ვარგანან. რასაც აღუთქვამ, აღუსრულე. 4. სჯობს არ აღუთქვა, ვიდრე აღთქმული არ აღუსრულო. 5. ნუ ათქმევინებ შენს ბაგეებს ისეთ სიტყვას, რომ ცოდვაში ჩაიგდო თავი; ნურც იმართლებ თავს ანგელოსის წინაშე, შევცდიო. რად უნდა განრისხდეს ღმერთი შენს ხმაზე და დალეწოს შენი ხელით ქმნილი? 6. რადგან ბევრია სიზმრები ამაოებანი და მრავალსიტყვაობა; შენ კი ღვთისა გეშინოდეს. 7. თუ სადმე ქვეყანაში იხილავ ღატაკთა შევიწროებას და სიმართლისა და ჭეშმარიტების შერყვნას, ნუ გაიკვირვებ, რადგან მაღალს უთვალთვალებს მასზე მაღალი, ხოლო მათ ზემოთ კიდევ არის უფრო მაღალი. 8. უკეთესია ის ქვეყანა, სადაც მეფე ქვეყნისთვის შრომობს. 9. ფულის მოყვარული ფულით ვერ გაძღება, და არც სიმდიდრის მოყვარული თავის შემოსავლით. ესეც ამაოებაა. 10. ბევრ დოვლათს ბევრი მჭამელი ჰყავს; რაღა დარჩება პატრონს მისას? მხოლოდ ყურება. 11. ტკბილია ძილი მშრომელი კაცის, გინდ ცოტა ჭამოს, გინდა ბევრი; ხოლო სიმაძღრე ძილს უფრთხობს მდიდარს. 12. არის, მიხილავს მტანჯველი ბოროტება ამ მზისქვეშეთში: პატრონის საზიანოდ დამარხული სიმდიდრე. 13. დაიკარგება ეს სიმდიდრე უბედური შემთხვევის გამო და შვილი მისი ხელცარიელი დარჩება; 14. ისევ შიშველი გაბრუნდება, როგორც მოვიდა დედის მუცლიდან და ვერაფერს მოიხვეჭს შრომით. 15. ესეც მტანჯველი ბოროტებაა: როგორც მოვიდა, ისე რომ წავა. რა სიკეთეა, ფუჭად რომ შრომობს? 16. თან თავის დღეებს ბნელში ამოჭამს, დარდით, ტკივილით გულგასენილი. 17. აი, სად ვხედავ მე სიკეთეს, შესაფერ საქმეს: ჭამოს კაცმა, სვას და იხაროს თავისი ღვაწლით ამ მზისქვეშეთში დღენი მისნი, ღმერთმა რომ მისცა; რადგან ესაა მისი ხვედრი. 18 კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაახაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა. 19. და რაკი ბევრს ვერაფერს გაიხსენებს კაცი თავის სიცოცხლეში, ღმერთი მისცემს მას გულის სიხარულს.

## თავი მეექვსე

1. არის ბოროტება, რომელიც ვიხილე მზისქვეშეთში და მძიმეა იგი კაცთათვის. 2. მისცემს კაცს ღმერთი ქონებას, სიმდიდრეს და დიდებას და აჰა, ყველაფერი აქვს, რაც კი ინატრა, მაგრამ ღმერთი არ მოახმარებს და სხვა, უცხო ვინმე, მოიხმარს, ამაოება არის ეს და უბედურება. 3. კიდეც რომ შვას კაცმა ასი შვილი და იცოცხლოს მრავალი წელი, მაგრამ ვერ იგემოს სიამე და საფლავიც აღარ ეღირსოს, ვიტყვი, უჯობდა დედის მუცელს მოწყვეტილიყო. 4. ფუჭად რომ მოვიდა და ბნელში წავიდა, ბნელში რომ დაინთქა სახელი მისი; 5. ვისაც მზე არ უნახავს და არც გაუგია, იმ კაცზე უფრო მოსვენებულია. 6. თუნდაც იცოცხლოს ორი ათას წელს და ვერაფერი სიკეთე ნახოს, რა ბედენაა, მაინც ყველა ერთ ადგილს მივა. 7. ადამიანის ყოველი შრომა პირისთვისაა, მაგრამ სული არ ავსება. 8. რადგან რა უპირატესობა აქვს ბრძენს უგუნურზე? ან რა ღატაკს რჩება რომელმაც იცის, როგორ გაუძლოს ცხოვრებას? 9. სჯობს თვალით ნახო, ვიდრე გულს აჰყვე — ამაოება არის ესეც და ქარის დევნა. 10. რაც კი არიებობს, ყოველივეს დიდი ხანია სახელი ჰქვია; რა არის კაცი, ესეც ცნობილია: თავისზე ძლიერთან დავა მას არ შეუძლია. 11. ბევრი რამეა, ამაოებას რომ ამრავლებს; რა უპირატესობა აქვს კაცს? 12. რადგან ვინ უწყის, რა არის კარგი კაცისთვის მის ამაო სიცოცხლეში, რომელსაც ჩრდილივით ატარებს? ვინ აუწყებს კაცს, რა მოხდება მის შემდეგ მზის ქვეშ?

## თავი მეშვიდე

1. კარგი სახელი სჯობს ძვირფას ნელსაცხებელს, დღე სიკვდილისა — გაჩენის დღეს. 2. ტირილში წასვლა სჯობს ლხინში წასვლას, რადგან იქ არის ბოლო კაცისა; ცოცხალმა ეს ყურად იღოს. 3. მწუხარება სჯობს სიცილს, რამეთუ სახის დაღვრემისას კეთილ არს გული. 4. ბრძენთა ფიქრები გლოვის სახლშია, უგუნურთა ფიქრები — მხიარულების სახლში. 5. სჯობს ბრძენისგან კიცხვას ისმენდე, ვიდრე ბრიყვისგან ქება-დიდებას. 6. რადგან ბრიყვთა სიცილი ქვაბის ქვეშ ფიჩხის ტკაცუნს ჰგავს; ამაოებაა ეს. 7. გაჭირვება ბრძენს გამოაჩენს, ხოლო ქრთამი რყვნის გულს კაცისას. 8. საქმის ბოლო სჯობს მის დასაწყისს; სულგრძელი კაცი სჯობს ამპარტავანს. 9. გულისწყრომად ნუ იჩქარი, რადგან გულისწყრომა უგუნურთა მკერდში ბუდობს. 10. ნუ იტყვი: წარსული დროება აწმყოს რად სჯობდაო, რადგან სიბრძნე არ აზლავს ამ კითხვას. 11. კარგია სიბრძნე მემკვიდრეობასთან ერთად, დიდად სარგოა მზის მჭვრეტელთათვის. 12. სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია; მის მფლობელს აცოცხლებს. 13. შეხედე ღვთის შექმნილს: ვინ გამართავს მისგან გამრუდებულს? 14. კეთილდღეობისას იბედნიერე, ძნელბედობისას ფრთხილად მოიქეც! ესეც და ისიც ღმერთმა შექმნა ერთმანეთის საპირისპიროდ, რათა კაცმა მის უკან ვერაფერი შეიცნოს. 15. ბევრი რამ ვნახე ჩემს ამაო დღეებში: მართალი იღუპება თავის სიმართლეში, ბოროტეული დღეგრძელობს თავის ბოროტებაში. 16. ნუ იქნები ზედმეტად მართალი, მეტისმეტად ნუ იძიბრძნებ — რად გინდა, რომ შეძრწუნდეს? 17. მეტისმეტად ნუ იბოროტებ, არც გაბრიყვდე — რად გინდა, რომ უდროოდ მოკვდე? 18. უმჯობესია, ერთიც იყვე და მეორეც, არც ერთი უარყო და არც მეორე; რადგან ღვთის მოშიში ყველაფრისგან თავს აღწევს. 19. სიბრძნე ბრძენისათვის ძალაა, ქალაქის ათ მბრძანებელზე აღმატებული. 20. არ იპოება ქვეყ-

ნად მართალი კაცი, რომელიც იქმოდეს კეთილ საქმეს და არ სცოდავდეს. 21. ყველა სიტყვას, რასაც ამბობენ, ყურს ნუ მიუგდებ, რათა არ გესმოდეს, შენი მონა როგორ გაგინებს. 22. რადგან ბევრჯერ გამოგიცდია, შენც რომ აგინებდი სხვებს. 23. ყოველივე ეს სიბრძნით გამოვიკვლიე; ვთქვი: ბრძენი ვარ-მეთქი, მაგრამ სიბრძნე შორსაა ჩემგან. 24. შორია, რაც არსებობს, და ღრმა არის, ღრმა, ვინ მიაგნებს? 25. გულს ვიდევ, შემეცნო, შემესწავლა, გამომეკვლია რა არის სიბრძნე და გონიერება, რათა მცოდნოდა, რომ უმეცრება ბოროტებაა. 26. მივხვდი, სიკვდილზე მწარეა დიაცი, მახე და ბადეა მისი გული, ბორიკილებია ხელები მისი; ღვთის სათნო გადაურჩება, ხოლო. ცოდვილი მისგან დატყვევდება. 27. აი, რას მივხვდი, თქვა ეკლესიასტემ: თანმიყოლებით უნდა მისდიო, რომ აზრს მიაგნო. 28. კიდევ ამას ეძიებდა გონება ჩემი, მაგრამ ვერ ვპოვე: ათასიდან ერთი მამაკაცი ვპოვე, მაგრამ მათ შორის ვერა ვპოვე ვერცერთი ქალი. 29. აჰა, ეს ვპოვე მხოლოდ: ღმერთმა წრფელი შექმნა კაცი, ისინი კი ზედმეტ თავსატეხს მრავლად იჩენენ.

## თავი მერვე

1. ბრძენს ვინ შეედრება და ვინ შეიცნობს საგანთა ბუნებას? სიბრძნე ადამიანს სახეს უნათლებს და მისი სახის სიტლანქე იცვლება. 2. გეუბნები, ასრულებდე მეფის ბრძანებას, თუნდაც ღვთისადმი მიცემული ფიცის გამო. 3. ნუ ისწრაფვი მისგან წასვლას და ბოროტ საქმეს ნუ დაადგები, რადგან რასაც ისურვებს, ყველაფერს გააკეთებს. 4. ვინაიდან სიტყვა მეფისა კანონია; ვინ ჰკადრებს მას, რას აკეთებო? 5. ცნების შემნახველს ავი საქმე არ შეემთხვევა; ჟამსაც და წესსაც ბრძენკაცის გული გრძნობს. 6. ვინაიდან ყველაფერს ჟამი და წესი აქვს, ადამიანის უბედურება კი ის არის, 7. რომ მან არ იცის, რა მოხდება; ან ვინ უტყვის მას, როგორ მოხდება? 8. ვერავის ძალუძს ქარის შეჩერება, ვერავინ განაგებს დღეს სიკვდილისას, ვერვის დაითხოვენ ბრძოლის ველიდან. ვერ იხსნის სიბოროტე მის პატრონს. 9. ეს ყველაფერი ვიხილე და დავაკვირდი ყველა საქმეს, რაც მზისქვეშეთში მომხდარა; და ის დროც ვნახე, როცა კაცი კაცზე მძლავრობდა თავისდა საზიანოდ. 10. კიდევაც ვნახე ბოროტეულნი დამარხულნი, ადრე რომ მოდიოდნენ წმიდა ადგილას და ბრუნდებოდნენ; დავიწყებულ იქნენ იმ ქალაქშიც, სადაც ამგვარად იქცეოდნენ. ესეც ამაოებაა. 11. რაკი სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომ ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას. 12. ცოდვილმა კაცმა ასჯერაც რომ ჩაიდინოს ბოროტი საქმე, მიეტევება! მე ისიც ვიცი, რომ მიეგებათ მადლი ღვთისმოსავთ, რომელთაც ეშინიათ ღვთისა. 13. არ მიეგებათ მადლი ბოროტეულთ და ლანდივით დღემოკლე იქნება ყველა, ვისაც ღვთისა არ ეშინია. 14. არის კიდევ ამაოება, ქვეყნად რომ ხდება: მართლებს ბოროტეულთა საქმეთაებრ მიეგებათ; და არიან ბოროტეულნი, რომელთაც მართალთა საქმეთაებრ მიეგებათ. ვთქვი: ესეც ამაოებაა. 15. და შევაქე მე მხიარულება, რადგან არ ყოფილა სხვა სიკეთე ადამიანისთვის მზისქვეშეთში, გარდა იმისა, რომ სვას, ჭამოს და იმხიარულოს; ეს ყოველივე ახლავს მას მის საშრომელში დღენი მისნი, ღმერთმა რომ უბოძა მზისქვეშეთში. 16. როცა გულს ვიდევ, შემეცნო სიბრძნე და მომეხილა ყოველი საქმე, რაც ქვეყნად ხდება. ჩემს თვალებს ძილი არ უნახავთ არც დღე, არც ღამე. 17. ვიხილე ღვთის ყოველი საქმე, რომ ვერ მიხვდება ადამიანი ვერაფერ საქმეს, რაც მზის ქვეშ ხდება; რაც უნდა დაშვრეს და იძიოს, ვერას მიხვდება; თუნდაც

ბრძენკაცმა თქვას მივხვდიო, ვერას მიხვდება.

## თავი მეცხრე

1. ეს ყოველივე გულში ჩავიდევი და გამოვიკვლიე ეს ყველაფერი, რომ მართალნი, ბრძენნი და მათი ნამოქმედარნი ღვთის ხელთაა; არც სიყვარული, არც სიძულვილი არ უწყის კაცმა და არც სხვა რამე, რაც მის წინაა. 2. ერთი ხვედრი აქვს ყველას: მართალს და უკუღმართს, კეთილს და ბოროტს, სუფთას და მიწიერს, მსხვერპლის შემწირველს და მსხვერპლის არშემწირველს, როგორც კეთილს, ისე ცოდვილს, როგორც მოფიცარს, ისე ფიცის მოშიშს. 3. უბედურებაა მზისქვეშეთში, რომ ყველას ერთი ხვედრი აქვს, ადამის ძეთა გულებიც აღსავსეა სიბოროტით და სიშლეგეა მათ გულებში, ვიდრე ცოცხლობენ, ამის შემდგომ კი მკვდრებში გადავლენ. 4. რადგან ცოცხლებში შერაცხილს კიდევ აქვს იმედი; რადგან ცოცხალი ძაღლი მკვდარი ლომის უმჯობესია. 5. რადგან ცოცხალმა იცის რომ მოკვდება; მკვდრებმა კი არაფერი იციან და აღარც საზღაური მიეზღვებათ, რადგან მათი ხსოვნა დავიწყებას მიეცა. 6. წარხდა მათი სიძულვილიც, შურიც და ტრფობაც; აღარ ექნებათ აწ და მარადის წილი იმაში, რაც მზის ქვეშ ხდება. 7. წადი, მხიარულად ჭამე შენი პური და გულის სიხარულით სვი შენი ღვინო, რაკი ღმერთმა მოგიწონა ნამოქმედარი. 8. მუდამ სპეტაკი გქონდეს სამოსელი და ზეთი არ მოაკლდეს თავს შენსას. 9. დატკბი სიცოცხლით ქალთან ერთად, რომელიც გიყვარს შენი ამაო სიცოცხლის დღეებში, და რომელიც მოგცა ღმერთმა მზისქვეშ მთელს შენს ამაო დღეებში, რადგან ესაა შენი ხვედრი სიცოცხლეში და იმ შრომაში, რასაც შენ მზისქვეშ ეწეოდი. 10. რისი კეთების ძალაც შესწევს შენს ხელებს, აკეთე; რადგან არც საქმე, არც საფიქრალი, ცოდნა, ან სიბრძნე არ გაჰყვება შავეთში, სადაც მიდიხარ. 11. ისიც შევიტყვე ამ მზისქვეშეთში, რომ მკვირცხლთა ნებაზე არა რბოლა, არც მამაცთა ნებაზეა ომი, არც ბრძენთა ნებაზეა პური, არც გონიერთა ნებაზეა სიმდიდრე, არც მცოდნეთა ნებაზეა მადლი; რადგან დრო და შემთხვევა განაგებს ყველაფერს. 12. რადგან ადამიანმა არ უწყის თავისი ჟამი; ავ ბადეში გახვეული თევზებივით და მახეში გაბმული ჩიტებივით იქნებიან შეპყრობილნი ადამის ძენი ავბედით ჟამს, რომელიც მოულოდნელად ეწევა მათ. 11. ეს სიბრძნეც შევიტყვე მზისქვეშეთში და საგულისხმოდ შევრაცხე იგი. 14. იყო ქალაქი მცირე და ხალხიც ცოტა; მოადგა ქალაქს დიდი მეფე, ალყა შემოარტყა და შემოაშენა დიდი სიმაგრეები. 15. აღმოჩნდა იქ კაცი ვინმე უპოვარი, მაგრამ ბრძენი, და იხსნა ქალაქი თავისი სიბრძნით, მაგრამ უპოვარი იგი არავის აღარ გახსენებია. 16. ვთქვი: სიბრძნე ძალაზე უპირატესია, მაგრამ უპოვარის სიბრძნეს აბუჩად იგდებენ და მის სიტყვებს ყურს არავინ უგდებს. 17. ბრძენთა სიტყვები, წყნარად ნათქვამი, უმჯობესია, ვიდრე სულელთა მთავრის ყვირილი. 18. ბრძოლის საჭურველს სიბრძნე სჯობია, ერთი ცოდვილი კი ბევრ სიკეთეს დაღუპავს.

## თავი მეათე

1. შხამიანი ბუზები აფუჭებენ და აღპობენ სურნელოვან ზეთს; მცირედი სიბრიყვე უფრო ძვირფასია ზოგჯერ, ვიდრე სიბრძნე და დიდება. 2. ბრძენს გული მარჯვნივ აქვს, ბრიყვს — მარცხნივ. 3. სადაც არ უნდა წავიდეს ბრიყვი, ბრიყვადვე რჩება, სხვებზე კი ამბობს: ბრიყვიაო. 4. თუ თავს დაგატ-

ყდა უფროსის რისხვა, შენს ადგილს ნუ მიატოვებ, რადგან თვინიერს დიდი ცოდვებიც მიეტევება. 5. არის სიბოროტე, მზისქვეშ რომ ვიხილე: თითქოს მბრძანებლისაგან მომდინარე შეცდომა იყოს. 6. სიბრიყვე განდიდდა მეტად, ხოლო მდიდრები დაბლა სხედან. 7. ვნახე მონები ცხენებზე მსხდარნი, ხოლო მთავარნი მონებივით ფეხით მავალნი. 8. ორმოს გამთხრელი თავად ჩავარდება შიგ, ხოლო კედლის დამანგრეველს გველი დაშხამავს. 9. ვინც ქვებს მიათრევს, წელს ქვავე მოსწყვეტს; ხის გამჩეხავს ხევე დაასახიჩრებს. 10. ცული თუ დაგიჩლნგდა და არ გალესე, ზედმეტი ძალა დაგადგება; ჭკუით უნდა წარმართო საქმე. 11. თუ შეულოცველს უკბინა გველმა, შემლოცველი ველარ უშველის. 12. ბრძენის სიტყვები მადლია, ბრიყვს კი მისი ბაგეები ღუპავს. 13. მისი სიტყვების დასაბამი სიბრიყვეა, ხოლო შედეგი — ავი სიშლეგე. 14. ბრიყვი მრავალსიტყვაა, მაგრამ არ უწყის კაცმა, რა მოხდება; ვინ აუწყებს, მის შემდგომ რა იქნება? 15. ბრიყვთა სიცრუე დაჰქანცავს იმას, ვინც არ იცის ქალაქისკენ მიმავალი გზა. 16. ვაი შენდა ქვეყანავ, ბავშვი რომ გიზის მეფედ, და შენი დიდებულები დილიდანვე რომ იწყებენ პურის ჭამას! 17. ბედნიერი ხარ, ქვეყანავ, რომ შენი მეფე არავის ჰმონებს და შენი დიდებულები თავის დროზე ჭამენ, ძალთა მოსაკრებად, არა სალხინოდ! 18. სიზარმაცისგან ჭერი ჩამოიქცევა, გულხელდაკრეფისგან წყალი ჩამოვა სახლში. 19. სამხიარულოდ იმართება პურობა; ღვინოს სიხარული ავსებს სიცოცხლეს, ხოლო ფული ყველაფერზე პასუხს აგებს. 20. შენ ფიქრშიაც ნუ აგინებ მეფეს, საწოლ ოთახშიაც ნუ აგინებ დიდებულს: რადგან ცის ფრინველი წაუღებს ამბავს და ფრთოსანი აუწყებს სიტყვას.

## თავი მეთერთმეტე

1. წყალს გაატანე შენი პური, რადგან მრავალთა დღეთა შემდგომ კვლავ მოიძიებ. 2. მიეც ნაწილი ქონებისა შვიდს, რვასაც კი, რადგან არ იცი, რა უბედურება მოელის ქვეყანას. 3. როცა ღრუბელი აივსება, წვიმაც იწვიმებს ქვეყანაზე; თუ დაეცა ხე სამხრეთში ან ჩრდილოეთში, სადაც დაეცა, იქვე დარჩება. 4. ვინც ქარს აკვირდება, ვერ დათესავს; ვინც ღრუბლებს შესცქერის, ვერას მოიმკის. 5. როგორც არ უწყი გზა ქარისა და ძვლების გაჩენა სავსე მუცელში, ასევე არ უწყი საქმე ღვთისა, რომელმაც ყოველივე შექმნა. 6. დილით სთესე შენი თესლი და მწუხრისას ნუ დაისვენებს შენი ხელი; რადგან არ იცი, რომელი უფრო სასიკეთოა; იქნებ ორივე ერთნაირად კარგი გამოდგეს. 7. ტკბილია სინათლე და საამურია თვალთათვის მზის ჭვრეტა. 8. თუნდაც მრავალი წელი იცოცხლოს კაცმა და იმხიარულოს, ახსოვდეს რომ მრავლად იქნება შავი დღეები; ყველაფერი, რაც მოვა, ამაოა. 9. იხარე, ყრმაო, ვიდრე ნორჩი ხარ; გაამოს შენმა გულმა სიყმაწვილეში, მიჰყევ შენი გულის გზებს და თვალთა მზერას; ოღონდ იცოდე, ყველაფრის ამის გამო სამსჯავროზე წარგადგენს ღმერთი. 10. უკუიყარე გულიდან დარდი და სხეულს არიდე უამური რამ, რადგან ბავშვობაც და სიყმაწვილეც ამაოა და წარმავალი.

## თავი მეთორმეტე

1. გახსოვდეს შენი გამჩენი შენს სიჭაბუკეში, ვიდრე დაგიდგებოდეს მწარე დღეები და გეწეოდეს წლები, რომლებზეც იტყვი, რაღაში მარგიან მე ისინიო? 2. ვიდრე დაბნელდებოდეს მზე, ნათელი და მთვარე და ვარსკვლავები, ვიდრე ღრუბლები გამოჩნდებოდნენ წვიმის შემდეგ, 3. იმ დღეშ-

დე,, ვიდრე შეძრწუნდებოდნენ სასახ-
ლის მცველნი და მეომარნი დაუძლუ-
რდებოდნენ, ვიდრე შეწყვეტდნენ სა-
მუშაოს მეწისქვილე ქალები, (რადგან
მცირედნიღა დარჩებიან), ვიდრე თვა-
ლისჩინი დაუბნელდებოდეთ სარკმლი-
დან მჭვრეტელთ, 4. ვიდრე დაიგმანე-
ბოდეს ქუჩის კარები, მიჩუმდებოდეს
დოლაბის ხმაური, მიწყდებოდეს ფრი-
ნველთა ჟრიამული, დადუმდებოდეს
ყოველი გალობა, 5. შეეშინდებოდეთ
სიმაღლისაც და გზებზე შიში დაივანებ-
დეს, გამწარდებოდეს ნუში, დამძიმდე-
ბოდეს კალია და ნაყოფს გამოიღებდეს
კაპარი — როცა მიდის კაცი თავის
საუკუნო სახლისაკენ და უკან მიჰყ-
ვებიან მოტირალნი, — 6. ვიდრე გა-
წყდებოდეს ვერცხლის საბელი და
გატყდებოდეს ოქროს ჰურჰელი, დაიმ-
სხვრეოდეს დოქი წყაროსთან, ჩაეშვე-
ვებოდეს ოწინარის ბორბალი ჰაში,
7. მიიქცეოდეს მტვერი მიწად, ვითარცა
იყო, და სული დაუბრუნდებოდეს
ღმერთს, რომელმაც მისცა. 8. ამაოება
ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, ყოველი-
ვე ამაოება. 9. თავად ხომ ბრძენი იყო
ეკლესიასტე, ხალხსაც შეასწავლა სიბ-
რძნე. იკვლევდა, იძიებდა და თხზავდა
იგავებს მრავალს. 10. ეძებდა ეკლესიას-
ტე საჭირო სიტყვებს და წრფელად
დაიწერა ჭეშმარიტი სიტყვები. 11.
ბრძენთა სიტყვები წვერგამახული
სოლებია, ჩაჭედილი ლურსმნებია. იგ-
ავთა კრებული ერთი მწყემსისგან შთა-
გონებული. 12. კიდევ გეტყვი, შვილო,
ყურად იღე: ბევრი წიგნების წერას
ბოლო არ ექნება და ზედმეტი ფიქრი
სხეულს აღუნებს. 13. მოვისმინოთ
ყველაფრის თავი და ბოლო: ღვთისა
გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მის-
ნი, რადგან ესაა კაცისათვის ყველაფე-
რი. 14. რადგან ყველა საქმეს სამსჯავ-
როზე მიიტანს ღმერთი, ყოველივე და-
ფარულს — კეთილს თუ ბოროტს.

## ქებათა ქება

### თავი პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ქებათა ქება სოლომონისა. 2. მეამ-
ბოროს თავისი ბაგეების ამბორით, რად-
გან ღვინოზე ტკბილია შენი ალერსი!
3. სურნელოვანია შენი ნელსაცხებელი
და თავად სახელი შენი დაღვრილი
ნელსაცხებელია. ამის გამო უყვარხარ
ქალწულებს. 4. თან წარმიტაცე და
ერთად გავიქცეთ. მეფემ შემიყვანა
თავის პალატებში. ვიხარებდით და
ვიშვებდით შენით, ვაქებდით შენს
ალერსს ღვინოზე მეტად. ღირსად შე-
გიყვარეს შენ! 5. შავი ვარ, მაგრამ
მშვენიერი, ასულნო იერუსალიმისა!
ვით კედარის კარავნი და ვით სოლომო-
ნის კრეტსაბმელნი. 6. ნუ უყურებთ,
რომ შავი ვარ, რომ მზისგანა ვარ დამ-
წვარი. დედაჩემის ძენი შემომწყრნენ
და დამადგინეს ვენახის მცველად, ჩემი
ვენახი კი ვერ დავიცავი. 7. მითხარი,
ჩემი სულის შეყვარებულო, სად აძო-
ვებთ, სად ისვენებ შუადღის ხვატში,
რომ ფუჭად არ ვიხეტიალო შენი მე-
გობრების ჯოგებში? 8. თუ ვერ სცნობ,
უმშვენიერესო ასულთა შორის, გაჰყე-
ვი ცხვრის კვალს და მწყემსთა კარვე-
ბის შორიახლო აძოვე შენი თიკნები.
9. ჩემს ულაყს, ფარაონის ეტლში შე-
კაზმულს, გამსგავსე შენ, სატრფოვ
ჩემო! 10. მშვენიერია შენი ლაწვები,
მძივებით შემკულნი, და ყელი, მანია-
კით მორთული. 11. ოქროს საყურე-
ებს გაგიკეთებთ, ვერცხლით დაწინწ-
კლულთ. 12. ვიდრემდის ინახით იჯდა
მეფე, სურნელსა ფშვენდა ჩემი ნარ-
დიონი. 13. მურრის ჰურჰელი — მეტ-
რფე ჩემი ჩემთანაა, ჩემ ძუძუთა შორის
განისვენებს. 14. ქოფერის მტევანია
ჩემთვის ჩემი მეტრფე ენ-გადის ვენა-
ხებში. 15. აჰა, მშვენიერი ხარ, სატ-
რფოვ ჩემო, აჰა, მშვენიერი ხარ!
მტრედებია შენი თვალები. 16. აჰა,
მშვენიერი ხარ, მეტრფევ ჩემო, და
სანატრელი! ბალახია ჩვენი სარეცელი.

17. სახურავი ჩვენი სახლისა ნაძვისაა, ჭერი — კვიპაროსის.

## თავი მეორე

1. მე ვარ ნარგიზი შარონისა და ღელეთა შროშანი. 2. როგორც შროშანი ეკალთა შორის, ასეა სატრფო ჩემი ასულთა შორის! 3. როგორც ხე ვაშლისა ტყიურ ხეთა შორის, ასეა მეტრფე ჩემი ჭაბუკთა შორის! ამის ჩრდილში ჯდომა მიყვარდა და ვზივარ კიდეც, ნაყოფი მისი ეტკბო ჩემს სასას. 4. შემიყვანა მან ღვინის სახლში და ალამი მისი ჩემს ზემოთ სიყვარულია. 5. გამამაგრეთ ღვინით, გამაგრილეთ ვაშლებით, რადგან დავსნეულდი სიყვარულისგან. 6. ნეტავ თავქვეშ მედოს მის მარცხენა და მარჯვენა მეხვეოდეს მისი! 7. გაფიცებთ თქვენ, ასულნო იერუსალიმისა, ველის ნიამორებს და ირმებს გაფიცებთ. არ გააღვიძოთ, არ აღძრათ სიყვარული,ვიდრემდის თავად არ ინებოს. 8. აჰა, გაისმის ხმა ჩემი მეტრფისა. აჰა, მოდის იგი, მორბის მთებზე, მოხტის ბორცვებზე. 9. ვამსგავსე მეტრფე ჩემი ნიამორს ანუ ირმის ნუკრს. აჰა, დგას იგი ჩვენს ზღუდის უკან, სარკმელში იჭვრიტება და ილანდება ცხაურებს შორის. 10. მომიგებს მეტრფე ჩემი და მეტყვის: ადექი, სატრფოვ ჩემო, მშვენიერო ჩემო, და წამოდი! 11. რადგან, აჰა, მიიწურა ზამთარი, ჟამი ნიაღვრისა გარდახდა, თავისთვის წავიდა. 12. ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში. 13. ლეღვმა გამოიღო თავისი ყვავილი, ვაზის ყვავილი სურნელებით ფშვენს. ადექი, სატრფოვ ჩემო, მშვენიერო ჩემო, და წამოდი! 14. შენ, ჩემო მტრედო, შეხიზნულო ხეობის კლდეთა შორის! მიჩვენე პირი შენი, მასმინე ხმა შენი! რადგან ტკბილია ხმა შენი და პირი შენი მშვენიერი. 15. დაგვიჭირეთ პატარა მელიები, ვენახთა მომსპობი, რადგან ჰყვავის ვენახები ჩვენი. 16. ჩემი მეტრფე ჩემია და მე მისი ვარ, რომ მწყემსავს შროშანთა შორის! 17. ვიდრელა სუნთქავს დღე და ჩრდილნი იძვრიან, მოიქეც. ემსგავსე, მეტრფევ ჩემო, ნიამორს, ანუ ირმის ნუკრს, ნაპრალოვან მთებზე მოარულთ!

## თავი მესამე

1. ვეძებე ღამით ჩემს სარეცელზე ჩემი სულის შეყვარებული, ვეძებე იგი და ვერ ვიპოვე. 2. ავდგები-მეთქი და მოვივლი ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს. მოვძებნი-მეთქი ჩემი სულის შეყვარებულს. ვეძებე იგი და ვერ ვიპოვე. 3. შემომხვდნენ მცველნი. ქალაქის შემომვლენი. — ხომ არ გინახავთ ჩემი სულის შეყვარებული? 4. ოდენ განვშორდი, ვიპოვე ჩემი სულის შეყვარებული. დავიჭირე იგი და აღარ გავუშვი, ვიდრე არ შევუძღე დედაჩემის სახლში და ჩემი მშობლის გალიაკში. 5. გაფიცებთ თქვენ, ასულნო იერუსალიმისა, ველის ნიამორებს და ირმებს გაფიცებთ, არ გააღვიძოთ, არ აღძრათ სიყვარული, ვიდრემდის თავად არ ინებოს! 6. ვინ არის იგი, უდაბნოდან ამომავალი, ვით სვეტი კვამლისა, მურრითა და გუნდრუკით კმეული და მენელსაცხებლეთა ყოველი სურნელით? 7. აჰა, სოლომონის სარეცელი: სამოცი ძლიერი მის გარშემოა, ძლიერთაგან ისრაელისა. 8. თითოეულს მახვილი უპყრია, გაწვრთნილნი არიან საბრძოლველად, გვერდზე ჰკიდია თითოეულს მახვილი ღამეული შიშის გამო. 9. ტახტრევანი გაიკეთა მეფე სოლომონმა ლიბანის ძელთაგან. 10. სვეტები მისი ვერცხლისგან შექმნა, სანიდაყვენი — ოქროსაგან, საყდარი — მეწამული ქსოვილისაგან, შიგნიდან სიყვარულით მოქარგეს იერუსალიმის ასულებმა. 11.

გამოდით, ასულნო სიონისა, და იხილეთ მეფე სოლომონი გვირგვინითურთ, რომლითაც დედამ დაგვირგვინა იგი მისი ქორწილისა და გულის სიხარულის დღეს.

### თავი მეოთხე

1. აჰა, მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, აჰა, მშვენიერი ხარ! შენი თვალები ორი მტრედია შენს პირბადის ქვეშ. შენი თმა არვეა თხათა, გალაადის მთიდან დაშვებული. 2. შენი კბილები გაპარსული ცხვარია, საბანელით ამომავალი, თითოეული ტყუპ-ტყუპად მსხმელი და ბერწი არ არის მათ შორის. 3. შენი ბაგეები ძოწის ძაფიაა და შენი პირი — საამური. შენი ღაწვები ბროწეულის ლებნებია და შენს პირბადის ქვეშ. 4. შენი ყელი დავითის გოდოლია, აგებული საჭურველთათვის. ათასი ფარი ჰკიდია მასზე, ძლევამოსილთა ყოველი ფარი. 5. ორი ძუძუ შენი ორი თიკანია ნიამორისა, მარჩბივი, მძოვარი შროშანთა შორის. 6. ვიდრელა სუნთქავს დღე და იძვრიან ჩრდილები, ავალ მურრის მთაზე და გუნდრუკის ბორცვზე. 7. ყოვლად მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, და უბიწო! 8. წამო, ლიბანიდან, სძალო! წამო ლიბანიდან ჩემთან! წამოდი ამანას მწვერვალით, სენირისა და ჰერმონის მწვერვალით, ლომთა ბუნაგთაგან, ვეფხთა მთებიდან. 9. შენ დაატყვევე ჩემი გული, ო, სძალო, დაო ჩემო! ერთი შეხედვით, შენი ყელსაბამის ერთი მძივით! 10. რაოდენ საამოა შენი ალერსი, სძალო, დაო, ჩემო! რაოდენ ტკბილია შენი ალერსი, ღვინის უმჯობესი! 11. გოლი მოსწვეთს შენს ბაგეებს, სძალო! თაფლი და რძეა შენი ენის ქვეშ; შენი სამოსელის სურნელი ლიბანის სურნელია! 12. ბაღი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჰა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი. 13. შენი ნარგავები ბროწეულის ბაღია, რჩეული ნაყოფებით — ქოფერით და ნარდიონით, 14. ნარდით და ზაფრანით, ლერწმით და კინამონით, ყოველგვარი გუნდრუკის ხითურთ, მურრით და ალოეთი, ყოველგვარი რჩეული სურნელებით. 15. ბაღების წყარო, ჰა ცხოველი წყლისა და ნაკადულნი, ლიბანიდან მომდინარენი. 16. აღდეგ ჩრდილოდან, ქარო, მოვედ სამხრით, ქარო, მოჰბერე ბაღსა ჩემსა, დაე, სურნელებით ფშვენდნენ! მოვიდეს თავის ბაღში მეტრფე ჩემი და იგემოს მისი სანატრელი ხილი!

### თავი მეხუთე

1. ჩავედი ჩემს ბაღში, სძალო, დაო ჩემო: მოვისთვლე მურრი და ჩემი სურნელებანი. ვიგემე პური ჩემი და თაფლი ჩემი, ვსვი ღვინო ჩემი და რძე ჩემი. ჭამეთ, მოყვასნო, სვით და დაითვრენით, მეტრფენო! 2. მე მძინავს, გული კი მღვიძარეა ჩემი. აჰა, მესმის ხმა ჩემი მეტრფისა, რომელიც რეკავს: გამიღე კარი, დაო ჩემო, სატრფოვ ჩემო, მტრედო ჩემო, უბიწოვ ჩემო! რადგან თავი ცვარმა ამივსო და თმები — ღამის წვეთებმა. 3. გახდილი მაქვს პერანგი, როგორღა ჩავიცვა? დაბანილი მაქვს ფეხები, როგორღა დავისვარო? 4. ჩემმა მეტრფემ შემოყო ხელი კარის ღრიჭოში და შემეძრა მის გამო შიგნეული. 5. ავდექი, რომ გამეღო ჩემი მეტრფისათვის; ხელებიდან წვეთავდა მურრი, თითებიდან ეწვეთებოდა მურრი კარის სახელურს. 6. გავუღე კარი მეტრფეს ჩემსა, მაგრამ გაბრუნდა მეტრფე ჩემი და წავიდა. სული ჩემი ილეოდა მის ხმაზე. ვეძებდი მას და ვერ ვპოულობდი; ვუხმობდი მას, არ მესიტყვებოდა. 7. შემომხვდნენ მცველნი, ქალაქის შემომვლელნი. მცემეს და დამჭრეს. მომხადეს მოსასხამი ზღუდის მცველებმა. გაფიცებთ თქვენ, ასულნო იერუსალიმისა, თუ ჰპოვოთ მეტრფე ჩემი, რას ეტყვით

მას? უთხარით, დავსნეულდი სიყვარულისგან. 9. რითი სჯობს მეტრფე შენი სხვათა მეტრფეებს, უმჯობესო ასულთა შორის? რითი სჯობს მეტრფე შენი სხვათა მეტრფეებს, ასე რომ გვაფიცებ? 10. თეთრ-ყირმიზია მეტრფე ჩემი, ათიათასთაგნ გამორჩეული. 11. თავი მისი ოქროა რჩეული, თმები მისი დახვეული, შავია ყორანივით. 12. თვალები მისი მტრედებია წყლის ნაკადულებთან, რძეში განბანილნი, ბუდეში მსხდარნი. 13. ღაწვები მისი სურნელთა კვლებია, საამოდ მფშვენნი, მისი ბაგეები შროშანებია, მდინარი მურით მწითლარენი. 14. ხელები მისი თლილი ოქროა, იაგუნდებით მოოჭვილი; მუცელი მისი სპილოსძვლის ჭურჭელია, საფირონით მოჭედილი. 15 წვივები მისი მარმარილოს სვეტებია, ოქროს კვარცხლბეკზე დაფუძნებული. მისი პირისახე მსგავსია ლიბანისა და დიდებულია, როგორც ნაძვი. მისი სასა სიტკბოებაა, თავად კი — ყოვლად სანატრელი. ეს არის მეტრფე ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი, ასულნო იერუსალიმისა!

## თავი მეექვსე

1. სად წავიდა მეტრფე შენი, უმშვენიერესო ქალთა შორის? საით მიიქცა მეტრფე შენი? 2. თავის ბაღში ჩავიდა მეტრფე ჩემი, სურნელოვან კვლებში. ბაღებში სამწყესად, შროშანთა დასაკრეფად. 3. მე ჩემი მეტრფისა ვარ და ჩემია მეტრფე ჩემი, რომელიც მწყემსავს შროშანთა შორის. 4. მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, თირცასავით და სანატრელი — იერუსალიმივით! საშინელი — ბაირაღებით მორთული ბანაკივით! 5. მიაქციე თვალები ჩემგან, რადგან მატყვევებენ! შენი თმები თხათა არვეა, გალაადიდან დაშვებული. 6. კბილები შენი ცხვრის ფარაა, საბანელით ამომავალი; თითოეული ტყუბტყუბად მსხმელი და ბერწი არ არის მათ შორის. 7. ღაწვები შენი ბროწეულის ლებნებია შენს პირბადის ქვეშ. 8. სამოცი დედოფალია, ოთხმოცი ხარჭა და ურიცხვი ქალწული; 9. ეს კი ერთადერთია, მტრედი ჩემი, უბიწო ჩემი; ეს ერთადერთია დედამისისთვის, გამორჩეულია მისი მშობლისათვის. იხილეს ქალწულებმა და ბედნიერად შერაცხეს იგი. 10. ვინ არის იგი ცისკარივით ამომჭვრეტელი, მთვარისებრ მშვენიერი და მზისებრ ნათელი? და საშინელი როგორც ბაირაღებით მორთული ბანაკი? 11. ჩავედი ნიგვზნარში, რომ მენახა მწვანე ჭალები; მენახა, თუ აყვავდა ვაზი, თუ გაიფურჩქნა ბროწეული. 12. არ მეგონა, თუ გამიწევდა გული ჩემი ხალხის დიდებულთა ეტლებისკენ.

## თავი მეშვიდე

1. მობრუნდი, მობრუნდი, სულამით, მობრუნდი, მობრუნდი, რომ გიცქეროდეთ შენ! რად უცქერით სულამითს როგორც მახანაიმის ფერხისას? 2. როგორ გამშვენდნენ შენი ფეხები შენს ხამლებში, ჭეშურო ასულო! თეძოთა სიმრგვლე მანიაკს გიგავს, შექმნილს ხელოვანის ხელით. 3. შენი ჭიპი მრგვალი თასია, ღვინისაგან მოუკლებელი; შენი მუცელი ხორბლის ხვავია, შროშანთაგან გარემოცული. 4. ორი ძუძუ შენი ორი თიკანია ნიამორისა, მაჩბივნი. 5. შენი ყელი სპილოსძვლის გოდოლია; შენი თვალები ხეშბონის ტბორებია ბათ-რაბიმის კარიბჭეებთან; შენი ცხვირი ლიბანის გოდოლია, დამასკოს მიმართ მიქცეული. 6. შენი თავი შენზე ქარმელის მთაა და ნათხზენი შენს თავზე სამეფო ძოწეული, კავებით შეკრული. 7. რა მშვენიერი ხარ, რა სანატრელი, საყვარელო, შენი სიტკბოებით! 8. შენი ტანი ფინიკის ხეა, შენი ძუძუნი — ვაზის მტევნები. 9. ვთქვი: ავალ ფინიკზე და

მის რტოებს მოვეჭიდები; შენი ძუძუნი იქნებოდნენ ვით ვაზის მტევნები და შენი ნესტოების სურნელი ვით ვაშლის სურნელი. 10. შენი სასა ღვინოა კეთილი, ჩემი მეტრფისკენ მიღვარული, მძინარეთა ბაგეების დამატკბობელი. 11. მე ჩემი მეტრფისა ვარ და ჩემკენ მოილტვის ისიც. 12. მოდი, მეტრფევ, ჩემო, გავიდეთ ველად, დაბა-სოფლებში ვათიოთ ღამე. 13. ავდგებოდით დილით სისხამზე ვენახთა მოსახილველად; ვნახავდით, თუ ყვავის ვაზი, თუ იშლება ვაზის კვირტები, თუ ყვავის ბროწეული; ჩემს ალერსს იქ მოგცემდი. 14. სურნელებით ფშვენენ მანდრაგორები ყოველგვარი ხილია ჩვენი კარის წინ — ახალი და ძველი. შენთვის მაქვს შენახული, მეტრფევ ჩემო.

## თავი მერვე

1. ნეტავ ჩემი ძმა ყოფილიყავი, დედაჩემის ძუძუთა მწოველი! გარეთ გიპოვნიდი, გაკოცებდი და არ დამძრახავდნენ. 2. წაგიძღვებოდი და დედაჩემის სახლში შეგიყვანდი; შენ მასწავლიდი, მე კი სურნელოვან ღვინოს — ჩემი ბროწეულის წვენს შეგასმევდი. 3. მისი მარცხენა ჩემს თავქვეშ იქნებოდა, მარჯვენა მომეხვეოდა მისი! 4. გაფიცებთ თქვენ, ასულნო იერუსალიმისა, არ გააღვიძოთ, არ აღძრათ სიყვარული, ვიდრემდის თავად არ ინებოს! 5. ვინ არის იგი, უდაბნოდან ამომავალი, თავისი მეტრფის მხარს დაყრდნობილი? ვაშლის ხის ქვეშ გაგაღვიძე შენ. იქ გშვა დედამ შენმა, იქ გშვა მშობელმა შენმა. 6. დამდევი როგორც ბეჭედი შენს მკერდზე, როგორც ბეჭედი შენს მკლავზე; რადგან ძლიერია სიკვდილივით სიყვარული, სასტიკია ჯოჯოხეთივით შური; არმური მისი ცეცხლის არმურია, უფლის ალი. 7. ვერ დაშრეტს სიყვარულს წყალი მრავალი და მდინარე ვერ წარხოცავს მას. კიდეც რომ გასცეს კაცმა სახლის მთელი დოვლათი სიყვარულის წილ, მაინც არ ასცდება სიძულვილი. 8. პატარაა დაი ჩვენი და ჯერ არ დამჩნევია ძუძუები. რა ვუყოთ ჩვენს დას იმ დღეს, როცა დაუდგება ნიშნობის ჟამი? 9. ზღუდე რომ იყოს, ვერცხლის ქონგურებს დავუშენებდით; კარი რომ იყოს, ნაძვის ფიცრებს მივუდგამდით. 10. მე ზღუდე ვარ და გოდლებივით მაქვს ძუძუები. ახლა კი მოწიფული ვჩანვარ მის თვალში. 11. ჰქონდა ბაალ-ჰამონში ვენახი სოლომონს და ჩააბარა მცველებს ვენახი. თითოეულს ათასი მოჰქონდა ვერცხლი ყურძნის სანაცვლოდ. 12. ჩემი ვენახი კი ჩემს წინაშეა. ათასი შენია, სოლომონ, ხოლო ორასი — ნაყოფთა მცველების. 13. ბაღების მკვიდრო, მეგობრები ისმენენ შენს ხმას — მასმინე მეც! 14. გაიქეცი, მეტრფევ ჩემო! ემსგავსე ნიამორს ანუ ირმის ნუკრს სურნელთა მთებზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ირაკლი აბაშიძე**

## შენ საქართველო!

შენ, დიდო მკვიდრო მხოლოდ მაღლობთა,
მხოლოდ ტკბილო და
        მხოლოდ ნათელო,
მგოსანს წასვლის წინ როგორ აღმოხდა, —
„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო!“

შენ, ვინც ქვეყანას ღვთის გზას ურჩევდი
ყველა სუნთქვით და
        ყველა შეძლებით —
ნუთუ შენს ჯანში არის უჯრედიც
გულიდან მოთხრის და მობეზრების?

შენ, ძველო მტერო ლაგამ-აღვირის,
მოძმევ მწირთა და
        მოძმევ ჩაგრულთა —
ნუთუ გწამს ოფლიც შენთვის დაღვრილი,
მაგრამ ცრუ ხვევნაც გწამს უსაქმურთა?
ნუთუ ამ ქვეყნის სიბრძნეც შენ იცი
და სიბრძნის წაშლაც
        და გაბავშვებაც;
შენ შეგიძლია ფრენაც ზენიტში,
მაგრამ უსაზღვროდ დაბლა დაშვებაც?

შენ შეგიძლია ყოვლის შენდობაც,
შენ შეგიძლია ყოვლის დათმობაც;
შენ შეგიძლია ტკბილი დედობაც
და იქვე მწარე დედინაცვლობაც.
არა,
მე შემცდა ეს მისამართი —
პოეტი ზოგჯერ ყრუ და ბეცია...
მიდი, იარე შენი სამართლით,
ალბათ ეს შენთვის უმჯობესია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

სამარის კართან მხოლოდ შენ ერთს
    შენ გიხდი ბოდიშს —
    ვის რა შევპირდი,
    მე ხომ ვიცი,
    ან ვის ვალში ვარ;
ვის რა შევფიცე,
    რა დავაკელ
    სად ვის და როდის;
სხვისად რას ვთვლიდი,
ან რას ვთვლიდი მე ჩემ არჩივად.

შენ გიხდი ბოდიშს —
    შენ შეგპირდი მთელი სამყარო,
    სხვა რამ სამოთხის,
    სხვა რამ სიზმრის,
    სხვა რამ ლოდინში...
სამარის კართან
    მინდა შენს წინ თავი დავხარო,
მაგრამ ვაი, რომ, აღარც შენ ხარ,
    გითხრა ბოდიში.

1989

* * *

როგორც იქნა მაისი,
როგორც იქნა ივნისი —
მოგონება ამისი,
მოგონება იმისი.

მოგონება იმ წამის,
მოგონება იმა წლის

ზღაპარი და სიზმარი —
სიცრუის და სიმართლის,

მოგონება კრწანისის —
სევდისა და ლხინისთვის...
როგორც იქნა მაისი,
როგორც იქნა ივნისი.



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

# ეშმაკის ბორბალი

რომანი

## პროლოგი

> რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა,
> იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი.
>
> ეკლესიასტე

რამდენი ადამიანი გაგვიცვნია შემთხვევით? ალბათ, მრავალი ათასი, ყოველ შემთხვევაში, ათასი მაინც. ასაკსაც გააჩნია, მე, ორმოცდამეთექვსმეტე წელიწადში გადამდგარ კაცს, ძალზე ბევრჯერ მქონია შემთხვევა, გამოველაპარაკებოდი უფროსსაც და უმცროსსაც, ქალსაც და კაცსაც, ქართველსაც და არაქართველსაც. მით უმეტეს, მოგზაურობის მოყვარულიც გახლავართ და სრულიად უცხო ადამიანთა შემთხვევითი გაცნობისა თუ გასაუბრებების სიტუაციები, ალბათ, სხვაზე მეტი მქონია.

აი, თუნდაც, ზიხარ მოსკოვში, რესტორანში, ოთხადგილიან მაგიდასთან. გავა რამდენიმე წუთი და ოფიციანტი დედაქალაქის რომელიმე სტუმარს ან მოსკოველ მკვიდრს მოგისვამს გვერდით, ელემენტარული კულტურა მოითხოვს, უცნობს გამოელაპარაკო.

ამაზრზენია და ერთფეროვანი ეს გასაუბრება. საშინელია ერთფეროვანი ფრაზები.., ერთფეროვნებას ვინ დაეძებს, ერთი და იგივე წინადადებანი. ეტყობა, ასეთ შემთხვევაში ყველას ტვინი ერთნაირად მუშაობს და მოძველებული, ქვებდაცვეთილი წისქვილივით ერთსა და იმავე აზრებს ფქვავს.

იშვიათად ყოფილა შემთხვევა, ასე გაცნობილ კაცს რომ დავეინტერესებინე და მასთან ურთიერთობის სურვილი გამჩენოდა. იქნებ იმიტომ, რომ ხანმოკლე დრო არ იყო საკმარისი კაცის ბუნების შესაცნობად?

ვერ დავიჯერებ. ხანდახან ერთი ფრაზით, ერთი ჟესტითაც კი დაგაინტერესებს ადამიანი, უცებ დაინახავ მის მდიდარ ბუნებას ან უცნაურ ხასიათს, მაგრამ, დამეთანხმებით, იშვიათად გვხვდებიან საინტერესო პიროვნებანი. უმალვე შეგიპყრობს აზრი, ნუთუ დედამიწა მხოლოდ ერთფეროვანი ადამიანებითაა დასახლებული?! ნუთუ

ასე ცოტაა მათ შორის გამორჩეული და განსაკუთრებული?"

იქნებ მე ვარ მიუკარებელი და უხასიათო, უცნობ ადამიანებთან გულითადი საუბრის უნარი რომ არ შემწევს?

შეიძლება! არ ვდაობ! უფრო გულახდილი რომ ვიყო, მართლა არ მსიამოვნებს უცნობ ადამიანებთან გასაუბრება. უფრო სწორად, იმ საზიზღარი წუთების გადატანა, ათასჯერ მოსმენილი ფრაზებით და შეკითხვებით რომ უნდა შედგეს შემთხვევითი, იძულებითი გაცნობა.

რატომ ვლაპარაკობ ამ უაზრო და მოსაწყენ პრობლემაზე? რატომ ვცდილობ ჩემი აზრები სხვებსაც მოვახვიო თავს? განა ქვეყანაზე ცოტაა ჩემგან განსხვავებული პიროვნება, რომლებიც, პირიქით, თვითონ მიისწრაფვიან უცნობი ადამიანების გასაცნობად?

დიახ, ჩემი სიცოცხლის მანძილზე არასდროს გამჩენია სურვილი ამ თემაზე საუბრისა. და თუ ამჯერად ასე ფართოდ გამოვთქვი ჩემი მოსაზრებანი, იგი მხოლოდ ერთმა შემთხვევამ განაპირობა. ოთხიოდე თვის წინ მატარებელში გავიცანი კაცი, რომელმაც მართლა დამაინტერესა. უფრო მეტიც, ამ უცნობი კაცის ნაამბობმა სულით ხორცამდე შემძრა, მისმა ტრაგიკულმა გამოხედვამ დამთრგუნა და დამიმორჩილა. პირველი შეხვედრისთანავე იგი არ მომწონებია. უსიამოვნო გრძნობამაც კი შემიპყრო, მაგრამ თანდათანობით მისმა შთამბეჭდავმა თვალებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ისე უცნაურად, მოცისფრო, მოიასამნისფროდ უელავდა, მეგონა, ფართო შუბლს ქვემოთ თვალების ნაცვლად ფოტოობიექტივის ლინზები ჰქონდა ჩადგმული. თვალს რომ თვალში გამიყრიდა, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ფოტოსურათს მიღებდა და უნებურად ვცდილობდი, როგორმე ბუნებრივი პოზა შემენარჩუნებინა,

მატარებელში დაწყებული ნაცნობობა თბილისშიც გაგრძელდა, სამ-ოთხ დღეში ერთხელ მაინც მირეკავდა და ყოველთვის „ივერიის" მეთექვსმეტე სართულზე მოთავსებულ რესტორანში ხვყავდი ხოლმე, ცალკე, განაპირა ოთახში. ადგილი ყოველთვის წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი. თვითონ კონიაკს სვამდა. ჩემთვის ყოველთვის „გურჯაანს" უკვეთავდა. ერთხელ, უფრო სწორად, პირველსავე დაპატიჟებაზე, როცა რესტორანში „გურჯაანს" გარდა სხვა ღვინო არ იყო, ზრდილობისათვის ვთქვი, „გურჯაანი" ძალიან მიყვარს-მეთქი. მას შემდეგ ჩემი ნათქვამი გონებაში ჩაიბეჭდა და ყოველთვის „გურჯაანით" მიმასპინძლდებოდა.

თავის თავგადასავალს ნაწილ-ნაწილ, ეპიზოდებად მიყვებოდა, არ ჩქარობდა, ყველაფერი სწრაფად დაესრულებინა. თითქმის არ მაგონდება, ერთ შეხვედრაზე ორი ეპიზოდი ეამბნოს. სამაგიეროდ, იმ ერთ ეპიზოდს ამომწურავად მიამბობდა. მაოცებდა მისი ლოგიკა, აშკარა თუ ფარული იუმორი, ფსიქოლოგიური მომენტების საოცარი აღქმა.

რატომ არ გინდათ თქვენი ნაამბობი ქაღალდზე გადაიტანოთ-მეთქი, ვკითხე ერთხელ თბილისში მორიგი შეხვედრისას.

პასუხად ხმამაღლა, სინანულით გაიცინა, უცებ სიცილი შეწყვიტა, თავი ჩაღუნა, თვალები იატაკს გაუშტერა. სახე მოექუფრა, უარის ნიშნად თავი გააქნია, სკამის საზურგეს მოშვებულად მიაწვა და სევდიანი თვალებით შემომხედა:

— განა არ ვცადე! რამდენჯერმე საგანგებოდ გადავწყვიტე, ყველაფერი ქაღალდზე გადამეტანა. არ გამომივიდა. მოვკიდებდი თუ არა კალამს ხელს, იმწამსვე უცნაური განცდა მიპყრობდა, თითქოს ჩემს ცხოვრებას კი არა, სხვის თავგადასავალს ვწერდი და ვაანალიზებდი. აზრი მეფანტებოდა, წინადადებას წინადადებაზე ვერ ვაბამდი. ვეღარც ჩემს თავს ვხედავდი. თან თითქოს ყველაფერი მავიწყდებოდა.

უცებ ლაპარაკი შეწყვიტა, თავი ისევ ჩაღუნა და ფიქრებში ჩაიძირა. ჩამოწოლილი დუმილი არ დამირღვევია. ვიცოდი, იგი რაღაც მნიშვნელოვან ამბავზე ფიქრობდა და არ მინდოდა ხელი შემეშალა. თან, კაცმა რომ თქვას, შესაკითხიც არაფერი მქონდა. თითქმის გაუნძრევლად ვიჯექი და მის ფართო შუბლს მივჩერებოდი.

— არ იფიქროთ, ბატონო ჩემო, თქვენ იმიტომ გადაგიშალეთ გული, რომ ჩემი ცხოვრების ქაღალდზე გადატანას გთხოვდეთ. უბრალოდ, გული გასკდებოდა, ათეულ წლობით გულში ნაგროვები განცდები ვიღაცისთვის რომ არ მეამბნა. ჩემს ცხოვრებაში ვერ ვიპოვე კაცი, ვინც გამიგებდა. რა ვიცი, იქნებ თქვენშიც ვცდები. ასეა თუ ისე, არ ვნანობ, ახლა ყველაფერი უკვე გვიანაა! — თავი მტკიცედ ასწია და თვალი თვალში გამიყარა.

მე უკვე მივეჩვიე მისი თვალების გამოხედვას. მესამე თუ მეოთხე შეხვედრიდან აღარ ვპოზიორობდი ფოტოობიექტივის ლინზებივით მოლივლივე თვალების წინ. ოღონდ, ერთ მშვენიერ დღეს, როცა საკუთარი ნაამბობით აღგზნებულმა თვალი თვალში გამიყარა, შევკრთი. მისი თვალებიდან სიკვდილი შემომაჩერდა.

ერთხელ შინაც მესტუმრა. გამიკვირდა, მისი ბუნება საზეიმო შეხვედრებს უფრო იყო მორგებული. ჩემი ღარიბული, წიგნებით სავსე ბინა კი მის რესპექტაბელურ გარეგნობას ოდნავადაც ვერ შეესაბამებოდა.

ძალზე აღელვებული ჩანდა. არც დაინტერესებულა, იქაურობა დაეთვალიერებინა. მხოლოდ მე მომჩერებოდა. დღესაც თვალწინ მიდგას მისი სევდით და სიკვდილით სავსე თვალები. თითქოს მხნედ ლაპარაკობდა, ცდილობდა, ერთხელ და სამუდამოდ გამომუშავებული მანერა არ შეეცვალა. მაგრამ სადღა იყო მისი ჟესტების ენერგიულობა, თვალების ელვარება, ფრაზის ზეაწეულობა. თითქოს სხეულში ელექტროელემენტები დაუჯდა, სატქმელს ძლივს ღერღავდა და შენელებული კინოკადრივით მეტყველებდა.

მორიგი, არცთუ მაინცდამაინც მნიშვნელოვანი ეპიზოდის მოყოლა რომ დაამთავრა, წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა. მეგონა, საპირფარეშოში მიდიოდა და კინაღამ მივაძახე, მარჯვნივ არის-მეთქი. უეცრად კარის გაჯახუნების ხმა შემომესმა. მივხვდი, რომ წავიდა, თუმცა მისახვედრი რა იყო! უბრალოდ, გამიკვირდა, რომ არ გამომემშვიდობა. ფეხზე აღარ წამოვმდგარვარ. აზრიც აღარ ჰქონდა, ის ალბათ უკვე მანქანაში იჯდა.

მისი სევდიანი, სიკვდილით სავსე თვალები გონებიდან არ ამომდიოდა. უნებურად შევკრთი. თავში საშინელი აზრი დამებადა. უნებურად თავი გავაქნიე, თითქოს არ მინდოდა, ჩემს გონებაში დაბადებული აზრი ბოლომდე ჩამომეყალიბებინა და შევეცადე, ფიქრი სხვა საგანზე გადამეტანა. არ გამომივიდა. მივხვდი, დიდხანს ველარ ვცოცხლებდა. სამწუხაროდ, არ შევმცდარვარ. უკანასკნელი შეხვედრიდან ხუთი დღის შემდეგ მან თავი მოიკლა. ეს ტრაგიკული, თავზარდამცემი, თუმცა ჩემთვის მოსალოდნელი ამბავი თვითმკვლელობიდან მეორე დღესვე შევიტყვე. უმალვე ტელეფონს ვეცი, რატომღაც ზუსტად დამაინტერესა, რომელ საათზე მოიკლა თავი. შემდეგ დიდხანს ვცდილობდი გონებაში აღმედგინა, სად ვიყავი იმ დროს, ჩემმა უცნაურმა ნაცნობმა თავი რომ მოიკლა და მიგრძნო თუ არა რაიმე გულმა, ან გონებამ თუ მიიღო რაიმე საგანგაშო იმპულსი. თავი საღამოს ხუთ საათზე მოუკლავს. რევოლვერი მარჯვენა საფეთქელთან დაუხლია. ვერაფრით ვერ გავიხსენე, მისი თვითმკვლელობის დროს სად ვიყავი. ერთი კი დაჯერებით შემიძლია ვთქვა, ჩემს გულსა და გონებას არავითარი ტრაგიკული სიგნალი არ მიუღია. თუმცა, კაცმა რომ

თქვას, რატომ უნდა მიელო? განა იმ საშინელ წუთებში ჩემზე ფიქრისათვის ეცალა? ვინ იცის, თავის მოკვლის წინ მეც რომ გავეხსენებინე, იქნებ მომსვლოდა კიდეც უბედურების სიგნალი! თუმცა, მე ხომ მთელი ხუთი დღით ადრე დავინახე სიკვდილი მის თვალებში! სხვა რაღა სიგნალი უნდა მიმეღო?! ბუნებრივია, არც უნდა მქონოდა პრეტენზია, თავის მოკვლის წინ ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად მეც გავხსენებოდი. თუმცა გულის სიღრმეში დღესაც მჯერა, სიკვდილის წინ მის გონებაში ელვისებურად დატრიალებული ვიდეოფირის ერთ კადრში მეც გამოვჩნდებოდი. წამიერად, მაგრამ მაინც გამოვჩნდებოდი. არც თუ მთლად ულოგიკო უნდა იყოს ჩემი ვარაუდი. მაშ რატომ მაინცდამაინც მე, სრულიად უცნობ კაცს, და არა სხვას, საგანგებოდ გამომეცნო და მიამბო თავისი ცხოვრების „საკვანძო დღეები?!"

„საკვანძო დღეები" მისი ტერმინი, უფრო სწორად, მისი ცნებაა.

მისმა თვითმკვლელობამ საშინლად დამწყვიტა გული. თვითონვე ვიყავი გაოცებული, მას ჩემში პირველი შეხვედრისთანავე მაინცდამაინც არ აღუძრავს დიდი სიმპათია. უფრო პირიქით შეიძლებოდა მეთქვა, მაშ რატომ დამწყდა ასე მწარედ გული? მერე და მერე, როცა მისი ნაამბობის ქაღალდზე გადატანას შევუდექი, მივხვდი კიდეც, რა იყო ჩემი გულწრფელი სინანულის მიზეზი.

მან ბევრი რამ მიამბო, ბევრი ეპიზოდისა თუ მოვლენის მოყოლისაგან კი თავი შეიკავა. თუმცა ცდილობდა ჩემთვის მოეჩვენებინა, ყველაფერს წვრილად გიყვები და არაფერს არ გიმალავო. ვერ ახერხებდა. სინამდვილეს გვერდს უხეშად უვლიდა. დასამალავს, რომლის მოყოლაც ალბათ ესირცხვილებოდა, მოგონილი ამბით ვერ ავსებდა და ეპიზოდიდან ეპიზოდზე ულოგიკო ნახტომებით გადადიოდა. ბუნებრივია, მისი ნაამბობი უფლებას არ მაძლევდა, მოულოდნელი თვითმკვლელობა მთლად ლოგიკური მომჩვენებოდა.

უნებურად ვიგრძენი, რაოდენ დამაინტერესა ამ უცნაური კაცის პიროვნებამ. გონებაში ხელახლა აღვიდგინე მისი ნაამბობი ეპიზოდები, ყოველი მათგანი ამჯერად უფრო საინტერესო მეჩვენა. ინტერესს ალბათ თვითმკვლელობის საშინელი ფაქტიც ზრდიდა, ტრაგიკული ფინალისაკენ აღმავალი გზა უფრო მიმზიდველად და საინტერესოდ აღიქმებოდა.

მაინც ბევრის მოყოლა მოასწრო. საკმაოდ ნათელი-თქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ უკვე გარკვეული წარმოდგენა მქონდა მის ოჯახზე, ცოლსა და შვილზე, დედასა და მამაზე, ბებიასა და ბაბუაზე. დაუოკებელმა სურვილმა შემიპყრო, რამე დამეწერა, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მისი ცხოვრება მთლიანად გადამეტანა ქაღალდზე. მივხვდი, ამ უცნაური კაცის ნამდვილი სახელითა და გვარით მოხსენიება უტაქტობა იქნებოდა. ალბათ მრავალ ადამიანს ვატკენდი გულს, განსაკუთრებით კი მის ერთადერთ ვაჟიშვილს. არ ვიცი, მისი ხასიათიდან და ბუნებიდან გამომდინარე, რამდენად სწორად შევურჩიე სახელი და გვარი — არჩილ გორდელი. პირადად მე კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით. ეს სახელი და გვარი, რეალურის საპირისპიროდ, ვფიქრობ, გაცილებით კარგად გამოხატავს მის პრეტენზიულობასაც და ბუტაფორიულობასაც. თუმცა არ მინდა ვიჩქარო იმ კაცის დახასიათება, ვისი ცხოვრებაც დაწვრილებით მსურს შემოგთავაზოთ.

ჩემს მონათხრობში, ბუნებრივია, უდიდეს ადგილს დაიჭერს თვითონ არჩილ გორდელის ნაამბობი. მგონი, ზემოთ უკვე მოგახსენეთ, თავისი ბიოგრაფიული ეპიზოდების მოყოლისას ამ ეპიზოდებს შორის ბევრ რამეს ტოვებდა-მეთქი. ბევრი რამის თქმა, ალბათ, რცხვენოდა, ბევრსაც, ალბათ, ალამ-

აზებდა, მაინც ცდილობდა, თავისი პიროვნება არამარტო მართალი, სიმპათიურიც გამოეყვანა. ამის მიხვედრა ჩემთვის არ იყო ძნელი, ერთი კია, მიუხედავად სინანულით ნაამბობი ზოგიერთი ეპიზოდისა, არასდროს ცდილა ჩემთვის თავი შეეცოდებინა.

ზოგიერთი თავი ამ რომანისა თავიდან ბოლომდე ჩემი ფანტაზიითაა შექმნილი. თუმცა ვცდილობდი, ჩემი ფანტაზია მის მიერ ნაამბობი ეპიზოდების ლოგიკურ ჩარჩოებში მომექცია და ეპიზოდები ერთმანეთთან ორგანულად დამეკავშირებინა. არ ვიცი, რამდენად სწორად გავიაზრე და წარმოვიდგინე არჩილ გორდელის ცხოვრების ის „საქვანძო დღეები", ჯანღონით სავსე და ცხოვრებისეული წარმატებებით განებივრებული კაცი თვითმკვლელობამდე რომ მიიყვანა. არ ვიცი, ფსიქოლოგიურად რამდენად სწორია ჩემს მიერ წარმოსახული სიტუაციები, რამდენად ზუსტადაა აღდგენილი კავშირი იმ ეპიზოდებს შორის, არჩილ გორდელმა რომ მიამბო. მე ჩემი ვცადე. არაფერი დავიშურე, რაც შეიძლება ღრმად ჩამეხედა არჩილ გორდელის სულსა და გონებაში.

## თავი პირველი

### 1

პანაშვიდზე დაწყებისთანავე მივედი. მაღლა ასვლას არ ვჩქარობდი. მინდოდა, ყველა მომსვლელისათვის შემეხედა, მათი სახეები გონებაში აღმებეჭდა.

ოქტომბრის წყნარი საღამო იდგა. ამდენი ხალხიც ალბათ იმიტომ მოაწყდა პანაშვიდს. თუმცა ხალხის სიმრავლეს მარტო მშვენიერ საღამოს ვერ მივაწერდით. არჩილ გორდელის ოჯახი საკმაოდ პოპულარული გახლდათ თბილისის მაღალ საზოგადოებაში, ნაცნობებისა და მეგობრების უზარმაზარ რაოდენობას ცნობისმოყვარეთა არანაკლები არმიაც ემატებოდა.

მივხვდი, მათი სახეების გონებაში აღბეჭდვა ან თვითმკვლელობის ირგვლივ კანტიკუნტი ფრაზების მოსმენა, ბევრ ვერაფერ ინფორმაციას მომცემდა. ყველაზე ლოგიკური, ფაქტებზე დაყრდნობილი ჭორიც კი ვერ მომაწვდიდა იმ ცნობას, მე რომ მჭირდებოდა.

იმასაც მივხვდი, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი არჩილ გორდელის მეუღლისა და ვაჟიშვილის დანახვა იქნებოდა. რამდენად ზუსტია ჩემი წარმოდგენები მათ შესახედაობაზე, გორდელის ნაამბობიდან რომ შემექმნა? რამდენად ღრმა და გულწრფელია მათი გულისტკივილი? თვით გარდაცვლილის ბინაც კი მისი ცხოვრების ბევრი ბუნდოვანი კადრის ფოკუსს გაასწორებდა.

ადამიანების მჭიდრო რიგში ჩამდგარმა მეოთხე სართულამდე ძლივს ავაღწიე. ფართო კიბეები, მაღალი ჭერი და მძიმე რკინის კარებები სტანდარტული ბინების გაბარიტებს მიჩვეულ თვალს ძალზე შთამბეჭდავად ეჩვენებოდა.

როგორც იქნა, ავაღწიე მეოთხე სართულის ბაქანს და თვალი უმალვე ღია კარისაკენ გამექცა.

საკმაოდ დიდი ჰოლი და უზარმაზარი ოთახი, სადაც ამაღლებულ ადგილზე არჩილ გორდელის მუხის კუბო იდგა, მთლიანად შავი ხავერდით იყო შემოსილი.

თვალცრემლიანი ხალხი ისე ნელა და ისეთი გამომეტყველებით გამოდიოდა გარეთ, თითქოს გული სწყდებოდათ, ასე მალე რომ დამთავრდა ჭირისუფლებთან მისამძიმრებისა და კუბოს შემოვლის ცერემონიალი. დროის ამ პატარა, უმნიშვნელო მონაკვეთის მანძილზე ალბათ ვერაფერი განსაკუთრებული შეიტყვეს და ჭირისუფალთა სახეებზეც ვერ ამოიკითხეს არჩილ გორდელის, მათი შეხედულებით ყოვლად ულოგიკო და დაუსაბუთებელი თვითმკვლელობის საიდუმლო.

ვრცელ და დიდებულ ოთახს, სადაც კუბო იდგა, სიდიდისა და ძალზე მაღალი ჭერის გამო დარბაზი უფრო ეთქმოდა, ვიდრე სასადილო ან სასტუმრო ოთახი. ერთთავად შავი ხავერდით შემოსილი დარბაზისა და ასევე შავი ხავერდით მთლიანად დაფარული კვარცხლბეკის თავზე შეუსაბამოდ გამოიყურებოდა როკოკოს სტილით მოჩუქურთმებულ-მოოქროვილი ჭერი და უზარმაზარი ავსტრიული ჭაღი, თუმცა ჯერ კიდევ ჰოლში, სანამ ოთახში შეაღწევდი, უმალვე ყურადღებას მოპირდაპირე კედელზე მოთავსებული გარდაცვლილის პორტრეტი იპყრობდა. სურათიდან ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის მომღიმარე არჩილ გორდელი გადმოგვცქეროდა. იმდენად უჩვეულო და არაბუნებრივი მეჩვენა მიცვალებულის ახალგაზრდული პორტრეტი, ერთბაშად ეჭვიც კი შემეპარა, შეცდომით სხვის პანაშვიდზე ხომ არ აღმოვჩნდი-მეთქი

პორტრეტის ქვეშ, შავ ხავერდზე ირიბად მიბნეული ერთი თეთრი მიხაკი მოჩანდა. კუბოს ირგვლივ, კვარცხლბეკი და სანახევროდ თვით კუბოში მწოლიარე არჩილი თეთრი მიხაკებით იყო დაფარული, კვარცხლბეკის ირგვლივაც, იატაკზე მოთავსებულ ლარნაკებში, მხოლოდ თეთრი მიხაკები მოეთავსებინათ.

ჩვენს წინ ვიღაცას წითელი მიხაკები მიეტანა და კვარცხლბეკზე სათუთად შემოედო. ეტყობა ამ ყვავილების მომტანმა უკვე დასტოვა ოთახი. ერთმა მოხდენილმა ოციოდე წლის გოგონამ წითელი მიხაკები უმალვე აიღო და მეორე ოთახში გაიტანა.

მე უკვე ვიცოდი, არჩილ გორდელის მეუღლე, ქალბატონი ლონდა, მხატვარი, უფრო ზუსტად ხელოვნებათმცოდნე რომ გახლდათ და მივხვდი, მისი სურვილი თუ იდეა იქნებოდა, იქაურობა მხოლოდ თეთრი მიხაკებით ყოფილიყო მორთული.

ხალხი დარბაზში ძალზე მძიმედ შედიოდა, უფრო სწორად, იქიდან გამოდიოდნენ ნელა, ფეხს აშკარად ითრევდნენ. სწორი აღმოჩნდა ჩემი წინანდელი დაკვირვება. კუბოს ირგვლივ ერთი შემოვლა მათ გაღიზიანებულ ცნობისმოყვარეობას ვერაფრით ვერ აკმაყოფილებდა.

თავდაპირველად, ალბათ, როგორც მე დამემართა, თვალი ყველას ლონდასაკენ გაურბოდა. ძველებურ მძიმე, მოჩუქურთმებულ შავ სავარძელში ჩაბრძანებულ ახალგაზრდა ქვრივს საგანგებოდ შეკერილი ძვირფასი შავი კაბა ეცვა. ჩემი აზრით, გული იმაზე მეტად ჰქონდა მოღეღილი, ვიდრე ეს სამგლოვიარო კაბას შეჰფეროდა. ხშირი და შუბლზე ჩამოშლილი მუქი შავი თმის ქვეშ ზღვისფერი თვალები ულივლივებდა. ერთის შეხედვით, მბზინავი შავი თმა და ზღვისფერი თვალები შეუსაბამობის განცდას ბადებდა, თითქოს ლონდას თვალების ჭრილიდან ვიღაც სხვა, უცხო ადამიანი იცქირებოდა. უფრო ყურადღებით თუ დააკვირდებოდი, მზისგან ბრინჯაოსფრად გარუჯული სახის ფონზე ლურჯმწვანედ მოლივლივე თვალები საცთუნებელს მიუგავდა, კაცს ქუჩაში რომ შორიდანვე ყურადღებას მიგაპყრობინებდა და გვერდზე ჩავლის შემდეგ აუცილებლად უკან მიგახედინებდა.

სავარძელში გარინდული, ქანდაკებად ქცეული ლონდა გარდაცვლილ ქმარს ჯიუტად მისჩერებოდა. დარბაზში ნელი ნაბიჯით მოძრავ ადამიანებს თითქოს ვერც ამჩნევდა. ისეთი ცივი, გაქვავებული სახე ჰქონდა, ხელის ჩამორთმევას ვერავინ უბედავდა.

ლონდამ ალბათ მშვენივრად იცოდა, თბილისში ისედაც საკმაოდ პოპულარულ ოჯახში დატრიალებული უბედურება პანაშვიდებზე უამრავ უცნობ ადამიანს მიიზიდავდა.

ქმარზე თოთხმეტი წლით უმცროსი, ორმოცდამეორე წელში გადამდგარი

ქალი ასაკთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

არჩილ გორდელის ერთადერთი ვაჟიშვილი, დედის სავარძლის გვერდით რომ იდგა, მაშინღა შევამჩნიე, ლონდას რომ ვუახლოვდებოდი. მამის აღწერილობიდან, უმალვე ვიცანი დედის იერის მქონე ჭაბუკი. ჭაბუკს სიმამრის საპატივცემულოდ დავითი ერქვა. საშუალოზე ოდნავ მაღალი და თხელი ყმაწვილი თავისი ცისფერი თვალებით სადღაც სივრცეში იცქირებოდა. ხელს ყველას მექანიკურად ართმევდა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, სულითხორცამდე შეძრწუნებული, გათიშული იდგა და ვერავის ვერ ცნობდა. კისერზე ძარღვები დაჭიმერვოდა, თხელი ნიკაპი თითქოს უცახცახებდა კიდეც. ღია წაბლისფერი თმა შუბლზე ჩამოშლოდა, ცისფერი თვალები თითქოს უპეებში ჩაჰყინვოდა.

მამის მონაყოლიდან დავითი, უფრო ზუსტად, დათო, სულ სხვანაირად მყავდა წარმოდგენილი, — საკუთარ შესაძლებლობებში მეტისმეტად დაჯერებული, ფიცხი და ავადმყოფურად თავმოყვარე. არ გამართლდა ჩემი წარმოდგენა. დავით გორდელის გამომეტყველება არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა ფიცხი და ამბიციური ჭაბუკის გამოხედვას. გარკვეულწილად ნაზი სილამაზის პატრონს ერთდროულად სათნო სახეც ჰქონდა და ნერვიულიც. მამის ნაამბობიდან ჩემს გონებაში წარმოსახული დავით გორდელის გარეგნული თუ ფსიქოლოგიური პორტრეტი ძალზე განსხვავდებოდა მისი რეალური პორტრეტისაგან. არჩილ გორდელის ნაამბობით შექმნილ სამყაროში ლონდას და დავითის ნახვამ ლამის გადატრიალება მოახდინა. მივხვდი, ყველაფერი უფრო რთულად იყო, ვიდრე ამის წარმოდგენას გორდელის ნაამბობი იძლეოდა. ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ გორდელების გარეგნულად ბედნიერ და მშვიდ ოჯახში საშინელი დაძაბულობა, ბოღმა და ურთიერთზიზღი ბინადრობდა.

სულო ცოდვილო და, თუ [illegible] სურვილმა, ოთახში მეტხანს დავრჩენილიყავი. ახლაღა მივხვდი ,მიცვალებულისათვის ჯერაც არ დამეხედა, ბედად, ვიღაც მოხუცი ქალი კუბოზე დაემხო და ხმამაღალი მოთქმა დაიწყო. მის უკან მიმავალი ხალხი წამიერად შეჩერდა, გამეხარდა, საშუალება მომეცა, ლონდას სახეს კარგად დავკვირვებოდი. მოტირალმა ქალმა სოფლურად მოუქცია და მიცვალებულს თავის ახლად გარდაცვლილ შვილთან რაღაც დააბარა.

ლონდაზე თვალებმიშტერებული, უბედური ქალის მოთქმას რაღაც შორეულად და გაურკვევლად აღვიქვამდი.

უცებ ლონდას მარმარილოსავით გაქვავებულ სახეზე ზიზღი და რისხვა გამოეხატა. გვერდზე თვალის ოდნავი გაპარებაც საკმარისი აღმოჩნდა და ორი ლამაზი ქალიშვილი მოხუცი ქალის გვერდით გაჩნდა. თვითონაც გაგულისებულმა გოგონებმა, საკმაოდ მკაცრი თავაზიანობით, ტირილის ეშხში შესული ქალი მეორე ოთახში გაიყვანეს.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა, ახლა, ამ წუთში, ლონდას სამგლოვიარო რიტუალი უფრო აღელვებდა და ადარდებდა, ვიდრე ქმრის თვითმკვლელობა. ღმერთო, შემინდე თუ ვცოდავ, მაგრამ არც მაშინ და არც შემდგომ ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ მართალი არ ვიყავი, ლონდამ, თბილისში საკმაოდ ცნობილმა ქალმა, იცოდა, არჩილ გორდელის თვითმკვლელობა რა მითქმა-მოთქმასაც გამოიწვევდა. ისიც მშვენივრად იცოდა, რომ ამ საყოველთაო მითქმა-მოთქმის დროს მის სასარგებლოდ ბევრი რამ არ ითქმებოდა. თუმცა ლონდას, ჩემის ღრმა რწმენით, ეს ამბავი სულაც არ ადარდებდა. იგი მხოლოდ ერთზე ფიქრობდა, იცოდა, კიდევ რამდენიმე დღე მთელი თბილისის ყურადღების შუა-

გულში იქნებოდა მოქცეული და ასეთი შემთხვევა რატომ უნდა გაეშვა ხელიდან? კიდევ ერთხელ რატომ არ უნდა დაერწმუნებინა ხალხი თავის სილამაზესა და არისტოკრატიულობაში? ღმერთო, კიდევ ერთხელ შემინდე და იქნებ ქმრის სიკვდილი დიდად არც ანაღვლებდა საყოველთაო ყურადღების ფოკუსში მოქცეულ ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ქალს?

მკითხველს ვთხოვ, წინასწარ ნუ გამიწყრება, ალბათ არჩილ გორდელის ნაამბობი მაძლევდა ერთი შეხედვით ასეთი მკრეხელური აზრების გამოთქმის საბაბს.

ლონდას წინ რომ ჩავუარე, რატომღაც შევეცადე, მისთვის თვალებში ჩამეხედა. შევკრთი. წელანდელი რისხვის შემდეგ კვლავ ქანდაკებად ქცეულ ქალს ბაგეებზე დამცინავი ღიმილი გამოსახვოდა. ვის დასცინოდა? რასაკვირველია, მე, მაგრამ რატომ? იცოდა კი ვინ ვიყავი ან რატომ ვიყავი პანაშვიდზე? იქნებ, იცოდა კიდეც. ალბათ, გაზეთში ან ტელევიზიის ეკრანზე უნახავს ჩემი სახე. მერე რა, ხომ შეიძლებოდა არჩილ გორდელის ნაცნობი ვყოფილიყავი, თუნდაც შორეული?! იქნებ მათ ჩემს შესახებ ჰქონიათ კიდეც ოჯახში საუბარი? თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა იყო აქ საამბო და გასაანალიზებელი?

გასასვლელისაკენ რომ გავემართე, ბუნებრივია, ლონდასკენ ზურგით აღმოვჩნდი. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ჰოლში ვიყავი. არ ვიცი, რაიმე იმპულსი ვიგრძენი თუ ცნობისმოყვარეობამ უცებ, გონებაში გაუაზრებლად დამრია ხელი, უკან მოვიხედე და ლონდას შევხედე.

შევკრთი.

ვითომ მომეჩვენა?

არა, არ მომჩვენებია.

ორი ზღვისფერი თვალი ჩემს თვალებს დაეჯახა.

ამჯერად დამცინავ ღიმილთან ერთად ლონდას გამოხედვაში ზიზღი და რისხვაც ვიგრძენი.

უმალვე შევბრუნდი, საშინელმა სურვილმა შემიპყრო, დაბლა რაც შეიძლება მალე ჩავსულიყავი და იქაურობას სასწრაფოდ გავცლოდი. სურვილი ერთი იყო, ასრულება კი მეორე. მდორედ მიმავალ ხალხს თავზე ვერ გადავახტებოდი. ხალხის ნაკადში მოქცეული ვგრძნობდი, ლონდას დაუნდობელი რისხვითა და დაცინვით აღსავსე მზერა როგორ მიბურღავდა ზურგსა და კეფას.

მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე თავისუფლად, ჰოლიდან ბაქანზე რომ გავედი და ლონდას დამცინავ მზერას რომ თავი დავაღწიე.

თვითონ? თვითონ არჩილ გორდელს კი გამოვუყავი მცირეოდენი დრო და ყურადღება?

ახლაღა ვაცნობიერებ: პანაშვიდზე მოსულთა ყურადღება მკაცრად სამ წერტილში იყრიდა თავს. ამ დასკვნის გამოტანის უფლებას მარტო ჩემი მაგალითი როდი მაძლევდა. იგი სიტუაციით იყო განპირობებული. ბუნებრივია, ყველას წინაშე ერთი ამოცანა იდგა, ერთი საიდუმლო იყო ამოსახსნელი. არჩილ გორდელმა ,შეძლებული ცხოვრებით, ალმა მიმავალი კარიერით გალაღებულმა კაცმა, რატომ მოიკლა თავი?

დიახ, ეჭვიც არ მეპარება, ამ საიდუმლოს ამოსახსნელად მთელი მათი ყურადღება სამ საკვანძო წერტილში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფოკუსირდებოდა.

პირველი იყო არჩილ გორდელის ახალგაზრდობის დროინდელი სურათი, ჰოლშივე რომ პირდაპირ თვალებში გეჯახებოდა.

მეორე იყო თვითონ ახალგაზრდა ქვრივი, საიუბილეო სავარძელში გაქვავებული ლონდა, მისი ეფექტური სახე, შავი თმა, ზღვისფერი თვალები და ელეგანტური ჩაცმულობა. არცთუ ძალიან ნიჭიერი, მაგრამ გემოვნებიანი

ქალის დიდებულებით და სევდით სავსე გამოხედვა ვერავითარ პასუხს ვერ იძლეოდა ცნობისმოყვარე ადამიანთა გონებაში წამოჭრილ ვერცერთ შეკითხვაზე. პირიქით, ოსტატურად ნათამაშევი, ვინ იცის, იქნებ გულწრფელი მწუხარება, კიდევ უფრო ამოუხსნელს ხდიდა არჩილ გორდელის თვითმკვლელობის საიდუმლოებას.

მესამე და უმთავრესი წერტილი (ამ სიტყვის ლამის პირდაპირი გაგებით), იყო მიცვალებულის მარჯვენა საფეთქელზე ოდნავ შესამჩნევი მოვარდისფრო პუდრით შენიღბული ნატყვიარი. ექიმების მიერ საგანგებოდ დამუშავებული ვარდისფერი წერტილი საფეთქელზე მიხატულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნატყვიარს. მისი დანახვა, რომელიც ალბათ, ბევრმა ვერც კი შენიშნა, ალბათ იმედის ერთგვარ გაცრუებასაც იწვევდა. არა მგონია, ვცდებოდე, ეს პატარა მოწითალო თუ უფრო მოვარდისფრო წერტილი სრულიად ვერ ბადებდა ყველასათვის მოულოდნელად დატრიალებული ტრაგედიის შესაბამის განცდას, დიახ, ყველასათვის და მათ შორის ჩემთვისაც. მე ხომ არჩილ გორდელთან უკანასკნელი შეხვედრის დროს მის თვალებში ჩამდგარი სიკვდილი დავინახე! მაინც ვერ წარმოვიდგენდი, თუ იგი სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაამთავრებდა.

სამწუხაროდ, ჩემს ინტუიციას ჰქონია რეალური საფუძველი. დღესაც ნათლად ვხედავ არჩილის თვალებში ჩამდგარ სიკვდილს. როგორი იყო იგი? ალბათ ვერასდროს ვერ შევძლებ მის აღწერას. ეტყობა, არჩილის თვალის გუგებიდან გამომზირალი სიკვდილი თვალით კი არა, გონებით დავინახე, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ მეგონა, თუ მისი ცხოვრება თვითმკვლელობით დამთავრდებოდა. არჩილ გორდელის ნაამბობიდან გამომდინარე, საქმე აქამდე არ უნდა მისულიყო. თანაც იგი თავისი შინაგანი ბუნებით არ ჰგავდა კაცს, ასეთი უკიდურესი ნაბიჯის გადადგმა რომ შეეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ მე ვცდები?

იქნებ ის, რაც მან მიამბო, არ იყო საკმარისი არჩილ გორდელის სულიერი პორტრეტის დასახატად? იქნებ იგი თავისი ცხოვრების უმთავრესი ეპიზოდების, ან როგორც თვითონ ამბობდა, საკვანძო დღეების გადმოცემის დროს უმთავრეს მოვლენებს შეგნებულად არ მიამბობდა?

საშინელმა სურვილმა შემიპყრო, ამომეცნო არჩილ გორდელის თვითმკვლელობის საიდუმლო, აღმედგინა მისი ჭეშმარიტი პორტრეტი და ღრმად ჩამეხედა საკუთარი სიცოცხლის ხელმყოფი კაცის სულში.

შვილი? — გამახსენდა უცებ.

დავით გორდელის, ან როგორც მამამისი იხსენიებდა, დათოს სახეს, სამწუხაროდ, საფუძვლიანად ვერ დავაკვირდი. აუცილებლად კი უნდა დავკვირვებოდი. რამდენად ღრმა იყო მისი მწუხარება? აი, რისი გაგება მსურდა უპირველესად!

ახლაც თვალწინ მიდგას გათიშული ყმაწვილის სახე. რა იყო ეს, მხოლოდ ძვირფასი მამის დაკარგვით გამოწვეული უდიდესი მწუხარება თუ, დამატებით, დაძაბული, იქნებ ტრაგიკული ურთიერთობებითაც განპირობებული სინანული და საშინელი გულისტკივილი?

იქნებ ხვალ, პანაშვიდზე და გასვენების დღეს შევძლო დავაკვირდე ჭაბუკის გამოხედვას? იქნებ მაშინ მაინც ჩავიხედო დათო გორდელის გონებასა და სულში?!

არა, ხვალ პანაშვიდზე არავითარ შემთხვევაში არ მოვალ. თუმცა მოვალ, მაგრამ ზემოთ აღარ ავალ! ლონდას მრისხანე და დამცინავი გამოხედვის შემდეგ აღარავითარი სურვილი არ მქონდა კიდევ მეგრძნო, კეფას და ზურგს როგორ მიბურღავდა მისი ლამაზი, მაგრამ ზიზღითა და რისხვით აღსავსე თვალები.

ერთი კი მჯეროდა, ჩემმა თვალებმა და ტვინის რომელიღაც უჯრედმა მაინც მოასწრო სასოწარკვეთილი ყმაწვილის ფოტოგრაფირება, ახლა მთავარი იყო, შინ მისვლა და ფირის გამჟღავნება.

დაბლა კი გამაღიზიანებლად ნელა ჩავდიოდით. ხალხით გაჭედილ კიბეზე ორი მდინარე ერთმანეთის საპირისპიროდ მიედინებოდა. ძალზე მდორედ, მაგრამ მაინც მიედინებოდა. ქვემოდან ამომავალი მდინარის ჩქერები ადამიანების ცნობისმოყვარე სახეებით იყო სავსე. დაღმა მიმავალ მდინარეში კი ბუნებრივი ფერის თუ შეღებილ თმებს შორის რამდენიმე მელოტი თავი რიყის ქვებივით ბზინავდა.

სასაცილოდ მეჩვენებოდა, აღმა ამომავალი მდინარის ჩქერიდან რომელიმე სახე, დაღმა მიმავალი მდინარის რომელიმე კეფას რომ ესალმებოდა.

არჩილ გორდელს, ეტყობოდა, მრავალრიცხოვანი ნათესაობა, მეგობრები და მოკეთეები ჰყავდა. ყველა ჰირისუფალს მისი დიდებული ხუთოთახიანი ბინაც კი ვერ დაიტევდა. ალბათ ამიტომ, ბევრი მათგანი, ქუჩაში მდგომ და არჩილ გორდელის თვითმკვლელობის გამო ჭორაობაში გართულ ხალხში რომ არ არეულიყვნენ, მეოთხე სართულიდან თითქმის პირველ სართულამდე კედელს აკრულნი და ჩამწკრივებულნი მოთმინებით ელოდნენ პანაშვიდის დამთავრებას. იქვე, მეოთხე სართულიდან მესამე სართულამდე მოთავსებულ კიბის ბაქანზე მუხის კუბოს სახურავი აეყუდებინათ. იგი მხარბეჭიანი ვაჟკაცივით მოჩანდა კედელს მიყრდნობილ და ჩამწკრივებულ ადამიანებს შორის.

არაფერი ისე საზიზღრად არ მოქმედებს ჩემზე, როგორც სადარბაზოში კედელზე აყუდებული კუბოს სახურავი. თანაგრძნობის მაგივრად იგი მხოლოდ ზიზღს აღმიძრავს ხოლმე მიცვალებულისა და, საერთოდ, მთელი სამგლოვიარო პროცესის მიმართ. თუკი შემეძლო, სადარბაზოში აყუდებულ კუბოს სახურავს ყოველთვის თვალს ვარიდებდი, ხშირად თვალდახუჭულსაც კი ჩამივლია მის გვერდით და გულწრფელადაც აღვშფოთებულვარ, ბოლოს და ბოლოს, როდის შემოიღებენ-მეთქი ჩვენში კრემაციას?

განსაკუთრებით მაშინ მიპყრობდა საშინელი გრძნობა, პანაშვიდის შემდეგ დამტვერილ და დაცარიელებულ სადარბაზოში, სადღაც სართულებს შორის კედელზე აყუდებულ კუბოს სახურავს რომ დავინახავდი. ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს იმ ასობით ნათესავიდან, ნაცნობ-მეგობრიდან, ეს ერთადერთიღა დარჩენილა გულჩათხრობილი და მდუმარებით მოცული.

2.

შინ მისვლისთანავე აბაზანას მივაშურე. უცნაური განცდა დამეუფლა: თითქოს ათასობით წყვილმა თვალმა კიბეებზე ასვლისას და ჩამოსვლისას რომ დამასხივა, რაღაც უცნაური სუნის მქონე ნალექით დამიფარა სხეულიც და ტანსაცმელიც. თითქოს არჩილ გორდელის ბინაში გამეფებული სიკვდილის რაღაც ნაწილიც თან გამომყვა. მეგონა, ნესტიანი სიკვდილი სხეულს ამაზრზენად მინამავდა. ტანთ სასწრაფოდ გავიხადე, ტანსაცმელი, ფეხსაცმელებთან ერთად ცელოფანის დიდ პარკში ჩავყარე და საკუჭნაოში ჩავკეტე. მანამ ვერ მოვისვენე, სანამ არ ვიბანავე და კბილებიც გულმოდგინედ არ გამოვირეცხე.

დარწმუნებული ვარ, ასე შეშფოთებული და აფუსფუსებული ძალზე სასაცილოდ გამოვიყურებოდი. კიდევ კარგი, შინ მარტო ვიყავი. ფიქრს არავინ მიშლიდა. ბოლოს, სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილი, სავარძელში ჩავეშვი და შვებით ამოვისუნთქე. ახლაღა შევნიშნე, ჰოლში, უკანა ოთახში და სამზარეულოში სინათლე ენთო.

ნუთუ მე ავანთე?! — გავიფიქრე გაოცებულმა.

კარგად მახსოვს, ჰოლში და სასტუმრო ოთახში ნამდვილად მე ავანთე სინათლე.

წარმოუდგენელია, სხვა ოთახებში ანთებული დამხვედროდა ნათურები!

ნუთუ შემეშინდა, ყველა ოთახი მექანიკურად შემოვირბინე და ელექტროლილაკებსაც მექანიკურად დავაჭირე თითი?!

გაოცებული წამოვდექი, ნათურები კაბინეტს გარდა ყველგან გამოვთიშე და მოწყვეტილი კვლავ სავარძელში ჩავეშვი.

„ნუთუ ჩემზე ასე იმოქმედა არჩილ გორდელის თვითმკვლელობამ?“ — ვფიქრობდი და ვცდილობდი გავრკვეულიყავი, მანამდე რა გრძნობა მქონდა ამ ორმოცდათვრამეტ წელს მიღწეული, ერთდროულად საკმაოდ სიმპათიური და საკმაოდ ანტიპათიური კაცის მიმართ.

ერთი დასკვნა უმალვე გამოვიტანე: არჩილ გორდელი ახლა, თვითმკვლელობის შემდეგ უფრო მაინტერესებდა, ვიდრე მანამ, თავისი ცხოვრების საკვანძო ეპიზოდებს ზოგჯერ გულწრფელი გულისტკივილით, ხშირად კი, საკმაოდ არტისტულად რომ მიყვებოდა. სიკვდილმა ალბათ, ძალა, სიღრმე და სხვა შინაარსი შესძინა მის ნაამბობს.

სინათლე ფიქრს მიშლიდა. წამოვდექი, კაბინეტიც ჩავაბნელე და სავარძელი ისე შევატრიალე, ფანჯრიდან შემომავალ სინათლესაც რომ არ შევეწუხებინე.

კიდევ უფრო მარტო რომ დავრჩენილიყავი საკუთარ თავთან, თვალები დავხუჭე, ფეხები იატაკზე გავჭიმე და თითქმის მწოლიარე კაცის პოზა მივიღე.

„არა, ხვალ ნამდვილად აღარ წავალ პანაშვიდზე, — გადავწყვიტე მტკიცედ, — არც გასვენებაზე მივალ, იმიტომ კი არა, რომ მართლა უსიამოდ განმაწყო ლონდას მრისხანე და დამცინავმა გამოხედვამ. არც იმიტომ, რომ პატივს არა ვცემ უმიზნოდ დაღუპული კაცის ხსოვნას, ჩემს გონებასა და ცნობიერებაში ასე ძალუმად რომ შემოიჭრა და ამაფორიაქა. ახლა შეიძლებოდა ბევრ რამეს შეეშალა ჩემთვის ხელი, მიახლოებულად მაინც ამომეცნო არჩილ გორდელის პიროვნება. ხვალინდელ პანაშვიდზე ან გასვენებაზე უნებურად მოსმენილი ჭორებით თუ სიმართლის შემცველი მითქმა-მოთქმით შეიძლებოდა დამემახინჯებინა, დამერღვია საკუთარი წარმოდგენით შექმნილი ეპიზოდების ურთიერთკავშირი და მთლიანობა.

უცებ ისეთი განცდაც კი დამეუფლა, თითქოს არჩილ გორდელის ნაამბობი და ჩემი ფანტაზიით შევსებული მისი ცხოვრება ერთ ჰაერგაუმტარ გარსში მქონდა მოქცეული. ახლა მთავარი იყო ამ გარსში ჭორებსა და მცდარ სავარაუდო ვერსიებს, გამომძიებლის უფანტაზიო, გარეგნულად რეალურ, მაგრამ უსულო დასკვნებს არ შეეღწია.

„გამომძიებლის...“

რატომ აქამდე არ გამახსენდა გამომძიებელი?

რასაკვირველია, თვითმკვლელობის პირველი წუთებიდანვე გამომძიებელი მთელი მონდომებით შეუდგებოდა თბილისში საკმაოდ ცნობილი პიროვნების მიერ სიცოცხლის ხელყოფის მიზეზების ახსნას. ისიც მშვენივრად ეცოდინება, ახლა იგი მთელი საზოგადოებრიობისა და ზემდგომი ორგანოების ყურადღების შუაგულში რომ დგას. ბუნებრივია, დიდი სურვილი ექნება, რაღაც სენსაციური მოიძიოს, ხალხი აალაპარაკოს, თავისი პიროვნება კიდევ უფრო წარმოაჩინოს... ასეთი შანსი ყოველთვის როდი ეძლევა უსახელო ადამიანების მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის გასახსნელად დამაშვრალ გამომძიებელს!

„ნეტავ, როგორი შესაძლოა იქნება ამხანაგი გამომძიებელი?“ — გა-

ვიფიქრე გულში და უმალვე ახალგაზრდა კაცი წარმოვიდგინე. დიახ, ახალგაზრდა, გამოუცდელი, მაგრამ ლამაზი და ენერგიული ჭაბუკი, ზურგს რომ გავლენიანი მშობლები უმაგრებს. ბუნებრივია, მისი კარიერისათვის არჩილ გორდელის საქმე ნამდვილად მისწრება იქნება და დიდი შანსიც ეძლევა, ორსამ დღეში მთელი თბილისი აალაპარაკოს, ხოლო საკუთარი სახელი და გვარი ადამიანების გონებაში მტკიცედ და სამუდამოდ ჩაბეჭდოს.

უცებ მასთან კამათი მომინდა. მან ხომ არ იცოდა და ვერც ვერასდროს გაიგებდა არჩილ გორდელის ცხოვრების იმ საკვანძო დღეებს თუ ეპიზოდებს, მე რომ ვიცოდი.

თვალები კიდევ უფრო მაგრად დავხუჭე, სავარძელს კიდევ უფრო მოხერხებულად მოვერგე და საპაექროდ გავემზადე.

უცებ სურვილი დავკარგე ამ ახალგაზრდა, მეტისმეტად გამომწვევ და საკუთარ თავში ბრიყვულად დარწმუნებულ გამომძიებელთან საუბრისა თუ კამათისა. მჯეროდა, გავლენიანი მშობლებით გათამამებული, რამდენიმე გაზეპირებული ინგლისური ფრაზის მცოდნე, უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული ახალგაზრდა, ნამდვილად ვერ ჩასწვდებოდა არჩილ გორდელის სულიერ სამყაროს, ვერასდროს ვერ შეიგრძნობდა იმ უმთავრეს მიზეზს, საფეთქელში ტყვია რომ დაახლევინა ცხოვრებით არცთუ უკმაყოფილო კაცს.

სასწრაფოდ სხვა გამომძიებელი წარმოვიდგინე, ჭაბუკზე გაცილებით უფროსი, დაახლოებით თვით არჩილ გორდელის ასაკისა. უტემპერამენტო, დაფიქრებული, პროფესიით საკმაოდ გადაღლილი, მაგრამ გამოცდილი პროფესიონალი, ქალალდებს რომ ყურადღებით ჩასჩერებოდა და ჩემთან საუბრისას სათვალეს რომ დინჯად იხსნიდა და იკეთებდა.

„ნუთუ მართლა ასე დაგაინტერესათ არჩილ გორდელის თვითმკვლელობის მიზეზებმა?“ — მკითხა მან, შუბლზე სათვალიანი ხელი შემოიდო და დაღლილი თვალებით შემომხედა.

„მე არჩილ გორდელის თვითმკვლელობის მიზეზებმა კი არა, პიროვნებამ დამაინტერესა“.

„იქნებ სიუჟეტი გჭირდებათ დეტექტიური მოთხრობისათვის? სამწუხაროდ, გორდელის საქმე დაძაბულობის თვალსაზრისით ძალზე უინტერესოდ მეჩვენება. არა მგონია, გამოგადგეთ“.

„ორ დღეში უკვე ყველაფერი გაარკვიეთ?“ — ვკითხე გაღიზიანებულმა. ნერვები მეშლებოდა, საუბარს მე კი არა, ჩემი ფანტაზიით გამოგონებული გამომძიებელი რომ წარმართავდა. მისი მშვიდი ტონიც სასტიკად მაცოფებდა. არ მინდოდა ნერვებს ავყოლოდი, თორემ თვალის ერთი გახელა და ჩემს მიერ წარმოდგენილი თმაშეჭაღარავებული გამომძიებელი უმალვე და სამუდამოდ გაქრებოდა.

„რატომ ორ დღეში? თვითმკვლელობიდან დღეს ხომ უკვე მეოთხე დღეა! გამოძიებისათვის კი ყოველ წუთსა და საათსა აქვს მნიშვნელობა“.

„ორი დღე მართლა ფიზიკურ ორ დღეს როდი გულისხმობს, იგი ლიტერატურული გამოთქმაა და შეიძლება ორ თვეზეც კი მეთქვა, ორ დღეში მოათავეთ-მეთქი საქმე“, — მინდოდა ამეხსნა გამომძიებლისათვის, მაგრამ უმალვე გადავიფიქრე. ვიგრძენი, მაინც ვერაფერს მიხვდებოდა.

„კარგი, ბატონო, მეოთხე დღე იყოს, იგივე მინდა გკითხოთ, საქმე უკვე დახურეთ?“

„დახურვით არ დამიხურია, თუმცა თითქმის დავამთავრე კიდეც. მოსაგვარებელი დარჩა მხოლოდ ზოგიერთი ფორმალური მხარე, მაგალითად, მეუღლისა და შვილის დაკითხვა“. „მეუღლესა და შვილს ალბათ ამ კვირაში ვერ დაკითხავთ. ისინი ჯერ შოკიდან არც იქნებიან გამოსული და ალბათ ჯერჯერობით საუბარსაც არ მოისურვებენ.“

„შეიძლება მართალიც ბრძანდებო-

დეთ, — თქვა დინჯად გამომძიებელმა, კვლავ სათვალე გაიკეთა და ქაღალდებს საქმიანად ჩახედა, — თუმცა ისიც მინდა მოგახსენოთ, წინასწარ ვიცი, რასაც იტყვიან".

„მე მხოლოდ ერთი დასკვნა გამომაქვს თქვენი ნალაპარაკევიდან, გამოძიება მართლა დაგიმთავრებიათ".

„დიახ, არჩილ გორდელმა თავი მოიკლა. ხოლო..."

„გეთანხმებით, მან თავი მოიკლა, მაგრამ რატომ? — აღარ ვაცალე სიტყვის გაგრძელება, — რამ აიძულა, ასეთი უკიდურესი ნაბიჯი გადაედგა? განა ჰქონდა რაიმე სერიოზული მიზეზი თუ სატკივარი, თვითმკვლელობით რომ დაემთავრებინა სიცოცხლე? იქნებ შანტაჟის მსხვერპლი გახდა? იქნებ რაიმე ოჯახურმა ტრაგედიამ აალებინა ხელი სიცოცხლეზე? ჩემი აზრით, თვითმკვლელობა უფრო ძნელი გამოსაძიებელია, ვიდრე ჩვეულებრივი მკვლელობა. მკვლელობის დროს ამოცანა ნათელია, უნდა იპოვო მკვლელი და გამოიკვლიო მკვლელობის მიზეზები. თვითმკვლელმა კი შეიძლება სამუდამოდ საფლავში ჩაიტანოს მთელი თავისი საიდუმლო".

„არც თვითმკვლელობის დროსაა ძნელი დაადგინო, რამ გადაადგმევინა ადამიანს ეს საბედისწერო ნაბიჯი. — გამომძიებელმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და გამომიწოდა, — ინებებთ?"

„გმადლობთ, არ ვეწევი".

„ბედნიერი კაცი ყოფილხართ. არც მე მოვწევ! — სიგარეტის კოლოფი კვლავ ჯიბეში ჩაიდო. — არჩილ გორდელის მკვლელობა გამორიცხულია, სასტუმროს მორიგემ ზუსტად აღწერა როგორი დაფიქრებული და სახეამღვრეული შევიდა იგი მეგობრის ნომერში. მეგობარი კი ჯერ არ იყო დაბრუნებული თათბირიდან. მან პატარა წერილი დაწერა, კონვერტში მოათავსა და მაგიდაზე დადო გამოსაჩენ ადგილზე. არჩილ გორდელმა მშვენივრად იცოდა, რომ მისი მეგობარი კიდევ ერთ საათს არ დაბრუნდებოდა ნომერში".

„წერილი აქა გაქვთ?"

„არ წამომიღია, სეიფში შევინახე, შინაარსს კი ზეპირად მოგახსენებთ: „გამოძიების საყურადღებოდ ვაცხადებ, თავს ჩემი სურვილით ვიკლავ და ტყუილად ნუ დაიწყებენ ჩემი გადაწყვეტილების გამომწვევი მიზეზების ძიებას".

გამომძიებელმა სათვალე მოიხსნა და ისევ მე შემომხედა.

დუმილი ჩამოვარდა.

„არ ღირს დეტალებით გადაღლა,— გააგრძელა უცებ ხმადაბლა, — იგი არავის მოუკლავს, არც შანტაჟის მსხვერპლი გამხდარა. სასოწარკვეთის მიზეზებიც არ ჰქონდა, სამსახურში კვლავ ახალ დაწინაურებას ელოდა, არც ოჯახში ჰქონია რაიმე უსიამოვნება".

„აბა, ჭკუაზე შეიშალა?"

„თქვენ წარმოიდგინეთ, არც ისე შორსა ხართ ჭეშმარიტებისაგან, — გამომძიებელი ფეხზე წამოდგა, — ვფიქრობ სუფთა კლიმაქსურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, იშვიათი როდია შემთხვევები, კლიმაქსიანი მამაკაცები რომ თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს. ასე რომ, ბატონო მწერალო, არჩილ გორდელმა ნამდვილად არ გაგიმართლათ. თუ მოისურვებთ, მე შემიძლია, გაცილებით საინტერესო საქმეები გაგაცნოთ. დეტექტიური რომანის სიუჟეტებად ისინი უფრო გამოგადგებათ".

საოცარი იყო, ახლა, თვალდახუჭული, მარტო გამომძიებელს კი არა, ჩემს თავსაც ვხედავდი. თითქოს ტელევიზიის ეკრანზე ვიდეოჩანაწერს ვუყურებდი.

„დეტექტივი არასდროს დამიწერია და არც მომავალში ვაპირებ დაწერას. ისე კი, ნუ გეწყინებათ და არჩილ გორდელის სიკვდილის მიზეზებს მე გაცილებით უკეთ ვხედავ, ვიდრე თქვენ, გამოცდილი გამომძიებელი. ოღონდ თავიდანვე მინდა ერთი რამ მოგახსენოთ. თქვენი და ჩემი მიზნები, გნე-

ბავთ, ამოცანები, ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან. თქვენ ეძებთ დამნაშავეს, მე ვეძებ მიზეზებს.“

„მიზეზების შეუსწავლელად დამნაშავეს ვერ დაადგენთ!“

„მე სხვა მიზეზებს ვგულისხმობ, ბატონო გამომძიებელო! თქვენ სულ ადვილად შეგიძლიათ ყველაფერი კლიმაქსს დააბრალოთ. მშვენივრად იცით, მომჩივანი არავინ გეყოლებათ. არჩილ გორდელმა წერილი დატოვა და ყველაფერს ნათელი მოჰფინა. იგი საკუთარი სურვილით გაემგზავრა მარადიულ სამყოფელში, მაგრამ იყო კი მისი საქციელი კლიმაქსით განპირობებული?“

„სხვა მიზეზს, თუ მიზეზებს ვერ ვხედავ. — გამომძიებელმა ჯიბიდან ისევ ამოიღო სიგარეტის კოლოფი, მაგრამ უმალვე უკან ჩაიდო, ალბათ გაახსენდა, მე რომ არ ვეწეოდი. ცოტა მალიზიანებდა კიდეც ქალარაშერეული უცნობის ტონი და არ შევთავაზე, არა უშავს მოსწიეთ-მეთქი. ისეთი სახე მივიღე, თითქოს ვერც კი მივხვდი, სიგარეტის მოწევა რომ სურდა“.

„კი, ბატონო, არ გედავებით. გჯეროდეთ რომ არჩილ გორდელმა კლიმაქსის გამო მოიკლა თავი. დიახ, არ გედავებით ერთი სრულიად უბრალო მიზეზის გამო. ალბათ გახსოვთ, თავშივე გითხარით, ჩემსა და თქვენს წინაშე სრულიად სხვადასხვა ამოცანა დგას-მეთქი. მე მაინტერესებს არა საბოლოო წვეთი მოთმინებით სავსე ფიალაში, არამედ პირველი წვეთიდან დაწყებული ყოველი წვეთი ცალცალკე. აი, სწორედ მათი შესწავლა მოგვცემს უწყვეტ და ნათელ სურათს, თავი რატომ მოიკლა ერთი შეხედვით ბედნიერმა და გალაღებულმა კაცმა“.

„და თუ მაინც...“

„ნუ შემეკამათებით და გთხოვთ ერთ რამეს მიხვდეთ, ჩემი არჩილ გორდელი ძალზე განსხვავდება თქვენი არჩილ გორდელისაგან, იმ არჩილ გორდელისაგან, ახლა რომ მშვიდად წევს კუბოში!“

ვფიქრობ, ნათქვამი ძალზე კატეგორიული გამომივიდა. ჩემი კატეგორიული და ოდნავ უხეში ტონი კი საუბრის დამთავრებას ნიშნავდა, გამომძიებელი უკვე აღარ მჭირდებოდა და იგი უმალვე გაქრა ჩემი თვალთახედვიდან და ტელევიზორის ეკრანიდან.

ერთი კია, გამომძიებელთან უცნაურ კამათში ნათლად გამოვკვეთე, ამ საიდუმლო თვითმკვლელობასთან დაკავშირებით რა მაინტერესებდა, რა მიზიდავდა და რა მაფორიაქებდა.

უნებურად დავითი გამახსენდა, არჩილ გორდელის ვაჟიშვილი. დავითი, დათო გორდელი. ვინანე, რომ პანაშვიდზე ყველაზე ნაკლები ყურადღება მას დავუთმე. რაღაც შინაგანი ინტუიცია მკარნახობდა, მამის თვითმკვლელობის საიდუმლო კვანძის გახსნაში იგი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა აღმოჩნდებოდა.

თვალი გავახილე და ფეხზე წამოვდექი. ფანჯარასთან მივედი, ქუჩაში გადავიხედე. ოთახში ცხელოდა. გამიკვირდა, ფანჯრები რატომ არ გამოვაღე-მეთქი და სახელურს წავეტანე გადავიფიქრე. მეგონა, ღია ფანჯარა და იქიდან შემოჭრილი ხმაური მარტოობის განცდას დამიკარგავდა. ისევ სავარძელში ჩავჯექი და თვალები დავხუჭე.

თავშივე ვთქვი, არ, შეიძლება დათოს ფოტოსურათი ჩემი ტვინის რომელიღაც უჯრედს არ დაეფიქსირებინა--მეთქი. ფირი გავამქლავნე და საჭირო კადრებს გულდასმით დავუწყე ძებნა. უცებ ერთმა სურათმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. კადრიდან ალბათ სამოცს მიტანებული მაღალი, ქერა, სათვალიანი მამაკაცი შემომჩერებოდა. იგი ქუჩაში იდგა, ჭადრის ძირში, არჩილ გორდელის სადარბაზოდან ოდნავ მოშორებით. უმალვე აღვადგინე გონებაში, როგორ მიიპყრო ჩემი ყურადღება მისმა თითქოს სადა, მაგრამ მოხდენილმა ჩაცმულობამ. მოდური, მოყავისფრო უჯრედებიანი პიჯაკი ეცვა, ღია მოყავისფრო პერანგზე პიჯაკისფერი ნაქსო--

ვი ჰალსტუხი ეკეთა. ყავისფერჩარჩოიანი სათვალე მისი ჰკვიანი გამომეტყველების ორგანულ კომპონენტს შეადგენდა.

ფირზე კვლავ დათოს დავუწყე ძებნა. უცებ, რატომღაც, წელანდელმა კადრმა ძალზე დამაინტერესა, ფირი სასწრაფოდ გადავახვიე და უცნობი ელეგანტური მამაკაცის ფოტოს ყურადღებით დავაკვირდი.

## თავი მეორე

1.

მაისის მშვიდი ღამე იდგა. გაგრიდან თბილისში ვბრუნდებოდი. სადგურზე გამოსვლამ ადრე მომიწია. მატარებელი ჯერ კიდევ არ იყო ჩამომდგარი. სადგურიდან მარცხენა მხარეს წავედი. ვიცოდი, დაახლოებით სად გაჩერდებოდა საერთაშორისო ვაგონი. შემდეგ კიპაროსებისკენ გავემართე და ისეთი ადგილი შევარჩიე, იოლად ვერავის დავენახე. არ მიყვარს საზეიმო გაცილებები. არც ის მსიამოვნებს, ვინმე ნაცნობი რომ მხვდება. განსაკუთრებით ნერვებს მიშლის ის სასაცილო სიტუაცია, ბაქანზე რომ წარმოიქმნება ხოლმე. აი, მე ვაგონში ვარ, ფანჯრიდან ვიცქირები. გამცილებლები დაბლა არიან. სათქმელი უკვე მითხრეს. გამომემშვიდობნენ კიდეც, ზოგიერთებმა გულმხურვალედ, ზოგიერთებმაც ზრდილობისათვის გადამკოცნეს. ახლა კი შევჩერებივართ ერთმანეთს და არ ვიცით, რა მოვიმოქმედოთ. მატარებლის გასვლამდე წუთებიღა რჩება, მაგრამ გრძელი, უხერხულობის გრძნობით დაძაბული და გაწელილი წუთები.

ვინ მოთვლის, ყოველი ჩვენგანი რამდენჯერ ვყოფილვართ მსგავს სიტუაციაში. ერთი სული გვაქვს, როდის დაიძრება მატარებელი. ბოლოს მაინც დგება სანატრელად ქცეული წუთიც, ხელის უკანასკნელი დაქნევა და უმალვე გეხსნება უხერხულობის მტანჯველი ბორკილები.

ხუთი თუ შვიდი წუთის შემდეგ მატარებელიც ჩამოდგა. ჩემი „სამყაროს" მიტოვებას მაინც არ ვჩქარობდი. ჯერ კარგად დავზვერე, სად იყო საერთაშორისო ვაგონი, მერე იქაურობა მოვათვალიერე და ნაცნობი რომ ვერავინ დავინახე, გულდამშვიდებით გავემართე ვაგონისაკენ. ისე, კაცმა რომ თქვას, არ ვიცი, რისა მეშინოდა. ზღვის სეზონი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული და აბა, ვის უნდა გადავყროდი!

ვაგონში სწრაფად ავედი და ჩემს კუპეს მივაშურე. საერთაშორისო ვაგონის ბილეთების ფასი, მოგეხსენებათ, გააორმაგეს. დიდი ფულიანი არ გახლავართ, მაგრამ მაინც ვიყიდე მეორე ბილეთიც. ოცი მანეთის წყალში გადაყრა, თუმცა მე მას წყალში გადაყრას ვერ დავუძახებ, გამართლებულად მიმაჩნდა. ოც მანეთად მიღირდა კუპეში მარტო ყოფნა. კუპეს კარი შიგნიდან უმალვე ჩავკეტე, ტანსაცმელი იმავე წუთში გავიხადე, ჩანთიდან „ლიტერატურული საქართველო" ამოვიღე და ფანჯარასთან მივჯექი. არ ვიცი, რამდენხანს ვიდექით ბაქანზე. იქნებ ათი წუთი, შეიძლება თხუთმეტიც. შემდეგ, კითხვაში გართული, საკმაოდ მკვეთრმა ბიძგმა გამომარკვია. მატარებელი ნელა დაიძრა. შვებით ამოვისუნთქე, გაზეთი მაგიდაზე მივდე და ფანჯრიდან გავიხედე. თორმეტს ალარაფერი უკლდა. საკმაოდ ბნელოდა. მინაზე შუბლმიყრდნობილი ჯიუტად მივჩერებოდი ლამპიონების შუქზე მწვანედ მოლივლივე ფოთლებს. მალე ლამპიონებიც გათავდა. სიბნელეში მხოლოდ შენობებიდან გამომავალი შუქიღა კიაფობდა.

ვაგონის გამცილებელმა დამიკაკუნა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ ვაგონის გამცილებელი იყო, ისე მოურიდებლად და ძლიერად დააკაკუნა პლასტმასის კარზე თავისი რკინის გა-

სალებით. კარი გავაღე და წინასწარ გამზადებული ბილეთები გავუწოდე.

— ორნი იქნებით? — მკითხა მსუქანმა, გაურკვეველი ეროვნების ქალმა და ბილეთები ტყავის ჩანთის შესაბამის ჯიბეში მოათავსა.

— დიახ, ორნი, — ვუთხარი და ზეწრებისათვის ორი მანეთი გავუწოდე.

— ვიცი, რომ მარტო იქნებით, ტყუილად ხარჯავთ მანეთს, — გაიღიმა მან.

— ჩემი მეგობარი სოხუმში ამოვა,— ტყუილში გამოჭერილი ბავშვივით უხერხულად ვიმართლე თავი.

— კი, ბატონო, ხუთ წუთში გაგიშლით ლოგინს!

გამცილებელი ტალანში გავიდა და კარი უხეშად ჩამოაცურა. მე ისევ გაზეთს დავწვდი. მართლაც, ხუთ წუთში გამცილებელმა ქალმა ისევ დამიკაკუნა, კუპეში შემოვიდა და ლოგინები გამიშალა.

— ჩაი გნებავთ?

— არა, გმადლობთ!

გამცილებელი ტალანში გავიდა და კარი კვლავ უხეშად ჩამოაცურა.

კუპე შიგნიდან ჩავკეტე, წამოვწექი, სასთუმალთან მოთავსებული ნათურა ავანთე და კვლავ გაზეთს მივუბრუნდი. რა ბედნიერია ის ხალხი, ვინც გაზეთსა თუ წიგნს პროფესიული თვალით არ კითხულობს. არც სპექტაკლს, ფილმს ან ტელეგადაცემებს უყურებს პროფესიული თვალით. სხვა ჩემი კოლეგებისა არ ვიცი და საშინლად გამოვყავარ წონასწორობიდან სიყალბესა და უვიცობას, სუსტი ნაწარმოები, ლექსი ან სტატია არ მაღიზიანებს. არ შეიძლება ყველაფერი ძლიერი ან საშუალო იყოს. უვიცობა და დაბალი პროფესიონალიზმი კი ნერვებს მიგლეჯს ხოლმე. განსაკუთრებით მაინც სიყალბე და პრეტენზიულობა მაგიჟებს. ლამის გაზეთი დავხიე, როცა ერთი პოეტის პარიზულ შთაბეჭდილებებში წავიკითხე, თუ როგორ გაახსენა მონმარტრზე ერთმა ჩუქურთმამ პოლ ვალერის ერთი სტრიქონი, ხოლო ელისეს მინდვრების შემოდგომის, ოდნავ მოწყენილმა, გაყვითლებულმა [illegible] დებიუსის რომელიღაც ეტიუდი [illegible] ფიქრე, ძილის წინ ნერვები არ ამეშალოს-მეთქი. გაზეთი მეორე საწოლზე მოვისროლე, სინათლეები გამოვთიშე და თავი ბალიშზე მივდე. მსიამოვნებდა ვაგონის ბორბლების რიტმი. ვერ ვიტან, როცა მატარებელი ჩერდება. რატომღაც ვღიზიანდები და ნერვიულობა მიპყრობს. ხომ წინასწარ ვარ შეგუებული, თბილისში დილის ცხრა საათზე ვიქნები. რა მნიშვნელობა აქვს, სად და რამდენ წუთს გაჩერდება მატარებელი? მირჩევნია დააგვიანოს კიდეც, თუნდაც ორ-სამი საათით, ოღონდ არ გაჩერდეს, ოღონდ განუწყვეტლივ ვირწეოდე და მძინარესაც კი ყურში ჩამესმოდეს ლიანდაგებზე რკინის მძიმე ბორბლების რიტმული დაგადუგი.

ის, ის იყო, რული მომერია, რომ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ვიფიქრე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი. კაკუნი განმეორდა. ამჯერად უფრო ენერგიულად საწოლზე წამოვჯექი და კარი გავაღე.

— ხომ არ გაგაღვიძეთ? არ მეგონა, თუ უკვე დაწოლილი იქნებოდით.

მიპატიჟებას არ დაელოდა. შემოვიდა, კარი დაკეტა და მოპირდაპირე მხარეს ჩამოჯდა. უკანასკნელი მოდის „ადიდასის“ სპორტული ტანსაცმელი ნამდვილად უხდებოდა. საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო. ალბათ სამოც წელს იქნება-მეთქი მიღწეული, დავასკვენი და ჩაცმას შევუდექი. არაფერი უთქვამს, ერთი არ წამოსცდენია, ნუ წუხდებით, ნუ იცვამთო. პირიქით, ხმას არ იღებდა და მშვიდად ელოდა, როდის ჩავიცვამდი.

„მაინც ვინ არის, ან რა უნდა ჩემგან?“ — ვფიქრობდი გაღიზიანებული.

ვერ იქნა და შარვალში ფეხი ვერ გავუყარე. ელმავალმა მოსახვევში მიაკივლა, ცალ ფეხზე მდგომი წავბორ-

ძიკდი და კინაღამ პატარა მაგიდას წავეჯახე.

— ნუ ჩქარობთ, ხომ გაგიგონიათ, მოჩქარეს მოუგვიანდესო.

ბოლო სიტყვებმა მოთმინებიდან გამომიყვანა, თავი ძლივს მოვთოკე, რომ კუპედან არ გამეგდო. უფრო კი ის მაღიზიანებდა, ერთი რომ არ წამოსცდა, ნუ იცვამთ, ბატონო, ნუ წუხდებითო. პირიქით, სანამ პერანგიც არ გადავიცვი და ღილებიც არ შევიკარი, საუბრის დაწყებას არც ჩქარობდა.

„მაინც ვინ არის და რა უნდა ჩემგან?“ — მატარებლის ბორბლების რიტმზე ვინ იცის, ჩემს გონებაში მერამდენედ გაისრიალა უცნობის დანახვისას დაბადებულმა ერთადერთმა ფრაზამ.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩაცმას მოვრჩი, საწოლზე მოხერხებულად დავჯექი და უცნობს ყურადღებით შევხედე. მან თმაზე ხელი გადაისვა, ჩაახველა და დინჯად დაიწყო.

— ამას წინათ თქვენი გამოსვლა ვნახე ტელევიზიით. გულწრფელად გითხრათ, მომეწონა. წელან, ვაგონში რომ ამოდიოდით, დაგინახეთ იმ წუთში აზრადაც არ მომსვლია, სასაუბროდ თქვენთან შემოვსულიყავი. მერე დამებადა ეს სურვილი. ერთხანს ვიყოყმანე კიდეც, ბოლოს, როგორც ხედავთ, თქვენს კუპეში ვარ. ვიცნობდეთ ერთმანეთს, უფრო სწორად, თქვენ უკვე გიცნობთ. მოგახსენებთ ჩემს ვინაობას. საქართველოს სამთო ქიმიისა და გეოლოგიის სამმართველოს უფროსი არჩილ გორდელი.

— სასიამოვნოა, — ვთქვი მე.

ნათქვამი ცოტა მკაცედ გამომივიდა და არ ვიცი, დაიჯერა თუ არა, რომ მისი გაცნობა ჩემთვის ნამდვილად სასიამოვნო იყო. თუმცა უმალვე შევატყვე, ჩემი ინტონაციისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ეწევით? — ჯიბიდან „მარლბორო“ ამოიღო.

გმადლობთ, არ ვეწევი.

— ოო, როგორ მშურს თქვენი, — თქვა და სიგარეტი ღრმად მოქაჩა. ერთიც არ უკითხავს, ბოლოს ხომ არ შეგაწუხებთო.

— კუპეში მარტო არ ხართ? — მკითხა უცებ, მეორე საწოლიც რომ გაშლილი დაინახა.

— ჯერჯერობით მარტო ვარ, სოხუმში უნდა ამოვიდეს ჩემი მეგობარი.

ეს უკვე წელან ნათქვამი ტყუილის ინერცია იყო. რატომ ვიტყუებოდი, რა მქონდა ამ კაცთან დასამალი?

— ძალიან სასიამოვნოა. სოხუმამდე ორი საათი გზა მაინცაა. კონიაკს ხომ არ მიირთმევდით? ახლავე მოვიტან.

— არა, ბატონო, ნუ შეწუხდებით.

— მე მაინც მოვიტან. იქნებ საუბრის დროს გაგიჩნდეთ კიდეც დალევის სურვილი. — არჩილ გორდელი წამოდგა და კუპედან გავიდა.

სიმწრით ამოვიოხრე. უბრალო კაცს აშკარად არ ჰგავდა, მაგრამ ახლა მასთან საუბარს სიკვდილი მერჩია.

ალბათ ხუთი წუთიც არ იყო გასული, კარი რომ შემოაღო. ხელში ერთი ბოთლი „ენისელი“, ორი ჭიქა და რამდენიმე ვაშლი ეჭირა.

— არ იფიქროთ, მარტო სატელევიზიო გამოსვლამ აღმიძრა თქვენთან საუბრის სურვილი. მე კარგად ვიცნობ თქვენს წიგნებს. ერთადერთი კაცი, ვისაც შეუძლია მე გამიგოს, თქვენ ბრძანდებით, და გული ძალიან დამწყდება, თუ იმედი გამიცრუვდება!

— მადლობისა და კმაყოფილების მეტი რა მეთქმის! — ინტონაციაში არცთუ მცირე დოზით შევაპარე ირონია.

უცნობს ჩემი პასუხი თითქოს არც მოესმინოს, ისე გააგრძელა საუბარი.

— ორი მომენტიცაა გასათვალისწინებელი. არის ამბები, რომელიც შეიძლება მოუყვე ცოლს და ვერ მოუყვე შვილს. არის ამბები, რომელიც შეიძლება მოუყვე მეგობარს და ვერ მოუყვე საკუთარ ცოლს, მით უმეტეს სრულიად უცნობ ადამიანს. მაგრამ არის ამბები, რომელიც შეიძლება მხო-

ლოდ უცნობს გაუზიარო. აი, აქაა გასათვალისწინებელი მეორე მომენტი: ის უცნობი უნდა იყოს არამარტო შეგნებული და გამგები, არამედ პატიოსანი და ყურადღებიანი ადამიანიც.

— კიდევ ერთხელ გწირავთ დიდ მადლობას ნდობისათვის. არა, მე ნუ დამისხამთ, მაინც ვერ დავლევ!

— კი ბატონო, თუ არ გსურთ, ნუ დალევთ, ოღონდ რას გვიშლის, იყოს დასხმული. ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს!,

თანდათან იმედი მიცრუვდებოდა, ალბათ ლაპარაკის საღერღელი აქვს მეთქი აშლილი, ვფიქრობდი და გულზე ვსკდებოდი, ამოდენა ვაგონში თუ მთელ მატარებელში მაინც და მაინც მე რომ გამომიჭირა.

— ორმოცდათვრამეტი წლის კაცი ვარ და გულახდილად უნდა გითხრათ, რასაც ახლა მე გიამბობთ, ჯერ არავის მოუსმენია. ნუ შეგეშინდებათ, დიდხანს არ შეგაწუხებთ. დღეს გიამბობთ ჩემი ცხოვრების მხოლოდ ერთ ეპიზოდს. თუ დაგაინტერესებთ, იქნებ თბილისშიც გამონახოთ დრო დანარჩენი ეპიზოდების მოსასმენად. ეპიზოდებისა, რომელსაც ჩემი ცხოვრება ჰქვია.

კიდევ უფრო გამიფუჭდა გუნება. ეს იდიოტი, თავის თავში დარწმუნებული მოლაყაფე, ალბათ ფიქრობს, რომ მისი ნაამბობი რომანის სიუჟეტად გამომადგება.

— არ იფიქროთ, რაიმეს დაწერას გთხოვდეთ, ან მომავალი რომანისათვის სიუჟეტს გთავაზობდეთ. მე, უბრალოდ, მეტი აღარ შემიძლია!

დავიჯერო, გამოიცნო, რას ვფიქრობდი?! თვალებში შევხედე. ნასვამი მეჩვენა. რატომ აქამდე ვერ შევნიშნე, რომ ნასვამი იყო?! აბა დალეული ერთი ყლუპი ასე როგორ დაემჩნეოდა! სევდა შემომაწვა, მივხვდი, ვინმე არჩილ გორდელს, თანაც სამთო ქიმიის სამმართველოს უფროსიც, რომ ყოფილა, სოხუმამდე ვერ მოვიშორებდი. სოხუმში კი რა მოხდება, არავითარი ჩემი მეგობარი კუპეში რომ არ ამოვა?! გუნება საბოლოოდ მომეშხამა.

— ვილაპარაკებ ყველაფერზე, პოლიტიკაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ისეთ დეტალებზეც, ერთი წუთით რომ ძალზე უმნიშვნელოდ მოგვეჩვენება. მაგრამ ძალიან გთხოვთ, ნუ აჩქარდებით და ნუ გამოიტანთ ნაადრევ დასკვნებს. იმ, დიახ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებმა შეიძლება მნიშვნელოვანი, უფრო მეტიც, საკვანძო ღირებულება შეიძინონ ჩემი მონათხრობის მთლიანობაში, კიდევ ერთ რამეზე შევთანხმდეთ, ნუ მომეხათრებით, გულახდილად მითხარით, თავს ხომ არ გაბეზრებთ? ან გაინტერესებთ კი ვინმე არჩილ გორდელის ცხოვრება, დღემდე, ამ საათამდე, ამ წუთამდე რომ არც კი იცნობდით?

— როგორ გეკადრებათ. მზად ვართ მოგისმინოთ და, მგონი, დიდი ინტერესითაც გისმენთ! — ვუპასუხე ოდნავ დამცინავი ღიმილით.

„ნასვამი არ უნდა იყოს! — დავასკვენი უნებურად, — უბრალოდ, ძალზე არტისტული ბუნებისა ბრძანებულა და ზედმეტად აღგზნებული ლაპარაკობს. ან იქნებ აღგზნებული ლაპარაკიც სულაც მისი კარგად დაყენებული პოზაა?“ — ვფიქრობდი გულში. მერე მტკიცედ გადავწყვიტე, მკითხაობისათვის თავი დამენებებინა. მოვლენებისათვის წინ არ გამესწრო და მოთმინებით დავლოდებოდი, ჩვენი ცალმხრივი დიალოგი, თუკი შეიძლება ასე ითქვას, როგორ წარიმართებოდა. ერთი კი გამიხარდა, უცნობის ასაკი რომ თითქმის ზუსტად გამოვიცანი.

არჩილ გორდელმა ისევ მოსვა კონიაკი. თვალი რაღაცას გაუშტერა და ფიქრმა გაიტაცა. მგონი, ორ წუთს გააგრძელა პაუზა. ორი წუთი კი ასეთ სიტუაციაში, უსასრულოდ დიდი დროა. გორდელს სახეში მივჩერებოდი და მატარებლის ბორბლების ჩემთვის სასიამოვნო რიტმზე ვცდილობდი გამომეცნო, აი ამ წუთში, რაღაც წერტილზე თვალ-

გაშტერებული გეოლოგის ტვინში რა აზრები იბადებოდა. იქნებ ვერ გავუმართლე და ნანობდა კიდეც, ჩემთან რომ შემოვიდა? იქნებ ფიქრობდა, საიდან დაეწყო, რომ თავიდანვე ჩავეთრიე თავისი ცხოვრების ალბათ რთულ და იქნებ ტრაგიკულ სიუჟეტებში? და თუ ჩემთან საუბარი დღეს კი არა, კარგა ხნის წინ გადაუწყვეტია, დავიჯერო, არ ჰქონდა დალაგებული მოსაყოლი ეპიზოდების თანმიმდევრობა?!

უცებ მან ჩაიცინა, ჰიქა მოსვა, საზურგეს მიაწვა და მანძილი ჩვენს თვალებს შორის ორმოცი-ორმოცდახუთი სანტიმეტრით მაინც გაზარდა. გამეხარდა. საშინელებაა, საუბრის დროს ადამიანი პირდაპირ თვალებში რომ შემოგყურებს და თან მისი ამონასუნთქიც სახეზე რომ გეფრქვევა.

— მგონი, უკვე მოგახსენეთ, მე ახლა ორმოცდათვრამეტი წლის კაცი გახლავრთ. რა არის ორმოცდათვრამეტი? განა ცოტა გვინახავს ას წელს მიღწეული ადამიანი?! არც წლები ნიშნავს არაფერს. თქვენ რამდენის brძანდებით? ორმოცდამეჩვიდმეტეში გადადექით?! აგაშენათ ღმერთმა, ჯერ ახალგაზრდა კაცი ყოფილხართ!

(ჰმ, ახალგაზრდა!).

— გთხოვთ, სწორედ გამიგოთ. წლებზე უფრო მნიშვნელოვანია საკვანძო დღეები, დიახ, საკვანძო დღეები. მე სიცოცხლეზე, უფრო სწორად, ცხოვრებაზე მაქვს ჩემი თეორია, ჩემი ფილოსოფია. თუ სასაცილოდ და მოსაბეზრებლად არ მოგეჩვენებათ, შემიძლია ჩემეული თეორია ორიოდე სიტყვით მაინც გაგაცნოთ. დიახ, მთავარი ის კი არ არის, რამდენ წელს იცოცხლებ, მთავარია, რამდენი საკვანძო დღე გექნება ცხოვრებაში. „ბოლოს და ბოლოს, რა არის საკვანძო თეორია?" — შემეკითხებით ალბათ თქვენ! ახლავე მოგახსენებთ. აბა, დაფიქრდით და გაიხსენეთ ცხოვრებაში რამდენი თვე ან წელიწადიც კი გქონიათ ისეთი, მნიშვნელოვანი რომ არაფერი გადაგხდენიათ! გაიხსენეთ თუნდაც სკოლის წლები, გნებავთ ინსტიტუტში თუ უნივერსიტეტში გატარებული წლები. უფრო მეტიც! როგორ გგონიათ, რამდენ დღეს ამოვკრეფთ თქვენი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრებიდან, რომლებმაც სამუდამო კვალი დაამჩნიეს თქვენს სულსა და გონებას, თქვენს ცხოვრებას, თქვენს მომავალს? აი, მაგალითად, მე ამ წუთში ვფიქრობ, რომელი დღე იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი, ვთქვათ, მეცხრე კლასში! გულწრფელად რომ გითხრათ, არცერთი დღე არ მაგონდება! არცერთი დღე! აი ახლა, ამ წუთში, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს გამოვტოვე მეცხრე კლასში გატარებული მთელი წელიწადი! თქვენ მწერალი ბრძანდებით, მაგრამ არ გაგიჭირდებათ მაღალი, მდგრადი ბეტონის კონსოლი და მათზე ჩამოცმული სართულები წარმოიდგინოთ. თუ არ ვცდები, ასეთი კონსოლი პირველად რაიტმა გამოიყენა ტოკიოში „ოტელ იმპერიალის" მშენებლობისას. ყველა სართული ამ მიწაში ღრმად ჩაშვებულ კონსოლზეა ჩამოცმული, თვით ყველაზე საშინლესი მიწისძვრაც რომ ვერაფერს აკლებს.

ადამიანის კონსოლი მისი საკვანძო დღეების ერთობლიობაა. კონსოლი მით უფრო ღრმად და ძლიერადაა წასული მიწაში, რამდენადაც მეტია საკვანძო დღეები. დანარჩენი ნაკლებმნიშვნელოვანი დღეები, თვეები და წელიწადებიც კი, რაიტის სართულებივითაა ჩამოცმული საკვანძო დღეების კონსოლზე! არ ვიცი, თქვენამდე რამდენად მოვიტანე ჩემი სათქმელი. ერთი კია, ძლიერ, ნიჭიერ და საქმის გამკეთებელ პიროვნებებს გაცილებით მეტი აქვთ საკვანძო დღეები, ვიდრე უბრალო ადამიანებს. ხშირად კაცი ვერც კი გრძნობს, ან უბრალოდ, არ უფიქრდება, მისი ცხოვრება როგორ არის აგებული მნიშვნელოვანი დღეების კონსტრუქციაზე, არ იფიქრობს,

მარტო იმ დღეებს ვგულისხმობდე, ადამიანები რომ სერიოზულ ან თუნდაც გადამწყვეტ წარმატებებს აღწევენ. ვინ იცის, იქნებ საკვანძო დღეებად ის დღეები უფრო ჩაითვლება, მნიშვნელოვანი შეცდომა რომ მოგდის, ან საბედისწერო ნაბიჯს რომ დგამ... სხვანაირად რომ ვთქვა, ჩვენი ცხოვრების გადამწყვეტი დღეები საქსოვ ჩხირებსა ჰგავს, რომელზეც ჩვენი ცხოვრება იქსოვება. აი, სწორედ ჩემი ცხოვრების რამდენიმე ასეთ დღეზე მინდა გესაუბროთ.

არჩილ გორდელმა ისევ მოუკიდა სიგარეტს, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ბოლი ვაგონის ჭერისაკენ გაუშვა.

— რასაკვირველია, გემახსოვრებათ, ხრუშჩოვი რომ პირველად ჩამოვიდა საქართველოში. დიახ, 1961 წელს. გახსოვთ, ალბათ, საქართველოში რა მითქმა-მოთქმაც იყო, არა? არავის ეგონა, ცხრა მარტის შემდეგ იგი თუ თბილისში ჩამოსვლას გაბედავდა. არც ისა მგონია, იმ წლებში ხალხს ხრუშჩოვზე უფრო თუ ვინმე ეზიზღებოდა. ისიც კარგად გემახსოვრებათ, იმ პერიოდში ნელ-ნელა რომ დაიწყო ანტისტალინელების გამოკვეთა. ისინი ძალზე ცოტანი იყვნენ, მაგრამ იყვნენ. დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი თვით სტალინის დროსაც იყო ანტისტალინელი. არა, ბატონო ჩემო, არ იფიქროთ მე ან სტალინელი გახლდეთ, ან ანტისტალინელი. არ იფიქროთ, რაიმე პოლიტიკური პრობლემის გასარკვევად ვიყო თქვენთან მოსული. სიგარეტს ინებებთ? ჰო, თქვენ ხომ არ ეწევით, ბედნიერი კაცი ხართ! მე, საერთოდ, ჩიბუხს ვეწევი. სიგარეტი თქვენი ხათრით წამოვიღე, იქნებ ეწევა-მეთქი. სტალინი და ხრუშჩოვი კი იმდენად მოვიხსენიე, რამდენადაც ისინი ჩემი ცხოვრების ერთ ტრაგიკულ ეპიზოდთან არიან დაკავშირებულნი. დიახ, ანტისტალინელები იმ პერიოდში უფრო და უფრო იკვეთებოდნენ. თუმცა იგივე ანტისტალინელებს ნაკლებად როდი ეზიზღებოდათ ხრუშჩოვი, განსაკუთრებით ცხრა მარტის სისხლისღვრის შემდეგ. ხალხს ვერ ჰქონდა მონელებული ბიჭებისა და გოგონების უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი! ის კი თბილისში ჩამობრძანდა! გინახავთ ამაზე მეტი თავხედობა? თქვენ გგონიათ, ეს უშიშარი და მამაცი კაცის გამბედაობა იყო? არა, ეს იყო გიჟის გამბედაობა, დეფექტური ადამიანის გამბედაობა! — არჩილ გორდელი გაჩერდა, ნაფაზი დაარტყა და დაფიქრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულახდილად რომ ვთქვა, უცნობის ლაპარაკმა უკვე ჩამითრია, თუმცა დაინტერესება არაფრით გამომიხატავს. პოზაც კი არ შემიცვლია. გაუნძრევლად ვიჯექი და ყურადღებით ვუსმენდი. იგი კვლავ დუმდა. უცებ ჯიქურ შემომხედა და მკრთალ შუქზე თვალი გამისწორა. მივხვდი, აინტერესებდა, მისმა მონათხრობმა ჩემზე რა შთაბეჭდილება მოახდინა. დუმილი აღარ გამოდიოდა, ვგრძნობდი, რაღაც უნდა მეთქვა.

— საინტერესოა, ძალიან საინტერესოა! — ვთქვი ხმადაბლა და შევეცადე სახეზე ამბის გაგრძელების სურვილი და მოლოდინი გამომხატვოდა.

— არ იფიქროთ, თქვენივე, მწერლებისა და კრიტიკოსების ტერმინოლოგია რომ გამოვიყენო, დამაინტრიგებელი ეპიზოდით დავიწყე ჩემი ცხოვრების მოყოლა! — წარმოთქვა ტემპერამენტიანად.

მივხვდი, ჩემმა სიტყვებმა და სახის შესაბამისმა გამომეტყველებამ უცნობს ახალი ენერგია შესძინა.

— მე სულ სხვა რამ მინდა მოგითხროთ, რომელიც, აგერ, ცხრა თვეზე ცოტა მეტია, მაწუხებს, გულს მიღრღნის. დიახ, უკვე მეცხრე თვეა, საკუთარ თავს რომ აღარ ვგავარ. ქვეყანაზე კაცმა არ იცის, ჩემს სულში რა ქარიშხალი ტრიალებს. წარმოგიდგენიათ, სხეულში, სულში ჩაკეტილი ქარიშხალი, გამოსავალს რომ ვერ პოულობს, რა დღეში აგდებს ადამიანს,

როგორ ატრიალებს მისი ტვინის ბორბლებს? მგონი, პოეტურად გამომივიდა, არა? უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი, კაცმა არ იცის ჩემს სულში რა შხამი ჩაიღვარა ამ ცხრა თვის წინ. თუმცა, სჯობია, კვლავ იმ წელს დავუბრუნდეთ, ხრუშჩოვი რომ თბილისში ჩამოვიდა, — მე იგი მეზიზღებოდა. ჩემს ცხოვრებაში ქათამი არ დამიკლავს, ბატონო ჩემო! ქათამი! მას კი ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიამოვნებით დავაწრჩობდი ან დავჩეხავდი, მე მაშინ სტალინისტი გახლდით. არა, მთლად გამოუსწორებელი სტალინისტი არ მეთქმოდა. იყო მიზეზები, რის გამოც არ უნდა ვყოფილიყავი ბელადის ხსოვნაზე თავგადაკლული, მაგრამ მაინც სტალინისტი გახლდით. რა სასაცილოდ ჟღერს დღეს ეს ამბები, არა?! გეთანხმებით, სავსებით გეთანხმებით. და თუ მე მაინც ხაზს ვუსვამ ჩემს მაშინდელ განწყობილებებს, არ უნდა გეხამუშოთ. ბევრი ეპიზოდი, რასაც დღეს, ან მომავალში გიამბობთ, სწორედ ასეთი დეტალებით უფრო ახლოს მოვა თქვენთან, უფრო ღრმად ჩაწვდებით მათ ჭეშმარიტ აზრს. რასაკვირველია, დღევანდელი ჩვენი საუბრის შემდეგ თუ კიდევ მოისურვებთ ჩემთან შეხვედრას! დიახ, მიუხედავად იმისა, რომ ხრუშჩოვის სახელის გაგონებაზეც კი ტანში მზარავდა, აზრადაც არ მომსვლია, ტერორისტობა დამეწყო და მისი მოკვლა გადამეწყვიტა. ხრუშჩოვის ჩამოსვლიდან მეორე დღეს, დილით, ჩვეულებისამებრ სამსახურში წავედი. ჯერ კიდევ წინა დღით ვიყავი შეუძლოდ. არ ვიცი, მართლა ვიყავი, თუ ჩემს თავს შთავაგონე, ავად ვარ-მეთქი. სიცხე გავისინჯე, ნორმალური ტემპერატურა მქონდა. მაინც ვგრძნობდი რაღაც სისუსტეს. თითქოს თავბრუ მეხვეოდა და გულიც მერეოდა. ერთის მხრივ, მიხაროდა კიდეც, შეუძლოდ რომ ვიყავი. თორმეტ საათზე ყველანი სამსახურის წინ უნდა გამოვსულიყავით. დაწესებულებით პირველის ნახევრისათვის ხრუშჩოვს უნდა ჩამოევლო და ჩვენც ტაშით და შეძახილებით უნდა გამოგვეხატა აღფრთოვანება და სიხარული. ხედავთ, ბატონო ჩემო, ჯერ ცხრა მარტის ჭრილობა არც კი ჰქონდა ჩვენს გულებს მოშუშებული, დახოცილთა მშობლებზე და ჭირისუფლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ! ის კი გამარჯვებული სარდალივით ჩამოგვივლიდა და ჩვენ. ბედნიერებს და აღტაცებულებს ტაში უნდა დაგვეკრა, დროშები და ტრანსპარანტები უნდა აღგვემართა, რაღაც ლოზუნგები უნდა გვეყვირა! (პაუზა, სიგარეტი). მე სულ ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, ხალხს სად გაუქრა ის სიმამაცე და რისხვა, ცხრა მარტს რომ ჰქონდა? იგივე ადამიანები როგორ იდგნენ ქუჩებში და ტაშს როგორ უკრავდნენ მათი შვილებისა და შვილიშვილების მკვლელს?

ადამიანი ყოველთვის როდია გამბედავი. გამბედაობას სიტუაცია ბადებს, დიახ, სიტუაცია. აგერ კაცი, დღეს რომ გმირია და შეუძლია ხიშტზე წამოეგოს, ან ტანკს ქვეშ შეუვარდეს, ხვალ შეიძლება შეშინებულმა იარაღი სადღაც მოისროლოს და უკანასკნელი ლაჩარივით მოჰკურცხლოს! მე არა მჯერა, რომ თვით ყველაზე გამბედავი პიროვნებაც კი ყოველთვის გამბედავი იყოს. თუმცა ჩემს ბოლო ფრაზებს არავითარი კავშირი არა აქვს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ეპიზოდთან. შეიძლება თემას მოგვიანებით დავუბრუნდე. შეიძლება სხვა დროს. ვფიქრობ გმირობის და გამბედაობის პრობლემა ურთულესი რამ გახლავთ, მეთანხმებით, არა? კაცმა არ იცის მისი ნამდვილი ბუნება და მექანიზმი. დიახ. მიხაროდა, რომ ავადმყოფობამ ამაცილა ჩემთვის საძულველი ადამიანის დანახვა. აღარაფერს ვამბობ, რომ მავანთა და მავანთა შიშით იძულებუ-

ლი გავხდებოდი, მისთვის ტაშიც კი დამეკრა. განა არ შეიძლებოდა, ავადმყოფობა მომეგონებინა და თავიდან ისე ამეშორებინა ხრუშჩოვთან შეხვედრა?! რასაკვირველია, შემეძლო, მაგრამ სიცრუე არ მიყვარდა. ამიტომაც გამეხარდა, თავი რომ შეუძლოდ ვიგრძენი.

მეორე დღეს შედარებით უკეთ ვიყავი, თავბრუ ისევ მეხვეოდა, მაგრამ მაინც წამოვდექი და სამსახურს მივაშურე.

ტროლეიბუსის გაჩერებიდან ჩემს სამსახურამდე სამოციოდე მეტრი თუ იქნებოდა.

უცებ შორიდანვე მომხვდა თვალში უცნობი კაცი. იგი ჩვენი სამმართველოს ჭიშკრის შორიახლოს, ელექტრონის ბოძთან იდგა და გაზეთს კითხულობდა. ზუსტად ისე, ძველებურ ფილმებში რომ გვინახავს. რატომ მაინცდამაინც იმ კაცზე შევაჩერე ყურადღება? განა იქვე არ იდგნენ სხვა ადამიანებიც?! გულწრფელად გეტყვით, დღესაც ვერ ამომიხსნია ჩემი მაშინდელი განცდა. დავინახე თუ არა, უსიამოვნო გრძნობამ შემიპყრო. რატომ? აი, გეკითხებით მე თქვენ, ბატონო ჩემო, რატომ? რა სასიგნალო იმპულსი მიიღო ჩემმა გონებამ? და ამის შემდეგ შეუძლიათ მეცნიერებს ამტკიცონ, რომ ტელეპატია არ არსებობს? უცნობმა კაცმა გაზეთი დაკეცა, იღლიაში ამოიდო და ჩემსკენ გამოემართა. რატომ მაინცდამაინც ჩემსკენ და არა სხვისკენ? არა, ჩემსკენ და მხოლოდ ჩემსკენ! გულმა გამალებით დამიწყო ცემა. უცებ გამახსენდა, ჩემმა თანამშრომელმა რომ დამირეკა წუხელ, სამსახურში რატომ არ მოხვედიო. მეტი არაფერი უთქვამს, კარგად იყავიო, მითხრა და ყურმილი დამიკიდა. ნახევარი საათის შემდეგ მეორე ამხანაგმა დამირეკა. ხრუშჩოვის ესკორტისათვის ბომბი უსვრიათო. მე გამეცინა. რა გაცინებს, ნამდვილად უსვრიათ, ოღონდ არ აფეთქებულაო. ისევ გამეცინა, რასაკვირველია, არ დავიჯერე და მისი ნაამბობიც უმალვე დამავიწყდა, უმეტეს, თავში აზრადაც არ მომსვლია, ეს ორი სატელეფონო საუბარი ერთმანეთთან და, რაც მთავარია, ჩემს თავთან დამეკავშირებინა.

უცნობი ,რომ ჩემსკენ გამოემშურა, ძარღვებში სისხლი შემიდედდა. გონებაში კი ელვის სისწრაფით დატრიალდა კბილანა ბორბალი. „გუშინ ხრუშჩოვის მანქანას ნუთუ მართლა ესროლეს ბომბი?! მერე, თუ მართლა ესროლეს, ჩემგან რა უნდათ? იქნებ ჩემზე ეჭვიანობენ, როგორც სამხედრო ,დამნაშავის შვილზე? იქნებ ბაბუაჩემის თვითმკვლელობის ამბავიცა და მიზეზიც გაიგეს? იქნებ მეჩვენება და ის კაცი სულაც არ მოდის ჩემსკენ? არა, ნამდვილად, ჩემსკენ მოდის. რა მოხდა, მერე, ალბათ ყველა ეჭვმიტანილს დაგვკითხავენ და მე, როგორც უდანაშაულოს, გამიშვებენ (პაუზა. სიგარეტი) დღესაც ვერ ვიხსენებ, როდის და რატომ გავჩერდი.

— მეგობარო, — ჩამესმა ყურში, — გთხოვთ ყოველგვარი ექსცესების გარეშე გამომყევით. გზაში აგიხსნით საქმის ვითარებას!

შევხედე, ოცდაათი წლისა თუ იქნებოდა. მკაცრ, ნაადრევად მოზერებულ სახეზე სუსხიანი ღიმილი გამოსახვოდა.

— დიახ, — წავიბურტყუნე მე, — დიახ, — და უცნობს მონუსხულივით გავყევი.

იგი ნახევარი ნაბიჯით წინ მიდიოდა. თან, ვატყობდი, ცდილობდა ხალხი არ მიმხვდარიყო, რომ დაკავებული ადამიანი მიჰყავდა.

„დაკავებული!“ — ადუღებული ტყვიასავით ჩამეწვეთა ტვინში. ენერგიაგამოცლილმა და უმწეომ აქეთიქით. მიმოვიხედე. იქნებ რომელიმე ჩვენი თანამშრომელი დამენახა, რაღაც მეთქვა ან მენიშნებინა. ჯიბრზე, ნაცნობს ვერავის მოვკარი თვალი. შეიძლება გაოცდეთ კიდეც. არამცთუ

შეიძლება, უეჭველად გაგაოცებდათ ჩემი საქციელი. განა მე თვითონ არ ვიყავი გაოცებული, ასე კრავივით რატომ გავყევი უცნობ კაცს? რატომ არ ვკითხე, ვინ ბრძანდებით ან ჩემგან რა გინდათ-მეთქი? რომ მივყვებოდი, სად მივყვებოდი? რატომ ჩემში არ აბობოქრდა პატიოსანი, უდანაშაულო ადამიანის პროტესტის მძაფრი გრძნობა?!

პაუზა. არჩილ გორდელის წამონთებული თვალები.

—მწერალი კაცი ხართ და ამ უბრალო მექანიზმის ახსნა არ გაგიჭირდებათ. ჩვენ ხომ ყველანი მონები ვიყავით. მე კი, ბატონო ჩემო, ორგზის ან მეტგზის მონა გახლდით. ჩემს ოჯახს ხომ რეპრესირებული ოჯახების სიაში ეჭირა საპატიო ადგილი. თუმცა, არ მინდა ყველაფერი ერთბაშად მოგაყაროთ. ერთი სიტყვით, უცნობს უსიტყვოდ გავყევი. სამმართველოს ჭიშკარს გავცდით და ორმოცდაათიოდე ნაბიჯი კიდევ გავიარეთ. იქვე, მწვანე „ვილისი" შევნიშნე. მივხვდი, ჩვენ გველოდებოდა. „ნუ ღელავთ, სრულიად უბრალო საქმეზე შეგაწუხეთ, — შორიდან, ძალზე შორიდან მოჰქონდა ქარს ვილაცის სიტყვები, — ალბათ რაიმე გაუგებრობაა და მეტი არაფერი. ნუ გადევთ სახეზე ტრაგიკული იერი. გაიღიმეთ, ახალგაზრდავ, გაიღიმეთ!."

„ახალგაზრდაო!" — მეუბნება თითქმის ჩემი ტოლა კაცი.

პაუზა. კონიაკი, ნაფაზი.

— ოთახი, სადაც მე შემიყვანეს ალბათ საგანგებო ოთახი იყო დაკავებულთა დასაკითხად. დიახ, საგანგებო ოთახში შემიყვანეს, დაბრძანდითო, მითხრეს, გავიდნენ და კარი გარედან ჩაკეტეს. დღესაც მახსოვს გასაღების გადატრიალების უცნაური ხმა. იქაურობა მოვათვალიერე. იდგა მხოლოდ მაგიდა და ის ერთადერთი სკამი, მე რომ ვიჯექი. ოთახს ბნელი არ ეთქმოდა, მაგრამ ვიწრო და გრძელ ფანჯარას, კედელში განივად რომ იყო ჩადგმული, კიბის გარეშე ვერაფრით ვერ მისწვდებოდი. საშინელ განცდას ბადებდა მეტად მცირე ფართობის მქონე ოთახის უჩვეულოდ მაღალი ჭერი.

„ეტყობა, ყველა ეჭვმიტანილი დაიჭირეს! რა მოხდა, მერე! დაგვკითხავენ და გაგვიშვებენ. ნუთუ გუშინ მართლა ესროლეს ხრუშჩოვის მანქანას ბომბი?!"

ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ვილაცამ მართლა ესროლა ბომბი ხრუშჩოვის მანქანას. ესროლა, მაგრამ უშედეგოდ. ესკორტის რომელიმე მოტოციკლისტიც რომ დაჭრილიყო, უმალვე გაიგებდა მთელი თბილისი.

„აფსუს!" — წამომცდა გულში და უმალვე შეშინებულმა მაღლა ავიხედე. საერთოდ, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, სასტუმროში თუ რაიმე სერიოზულ დაწესებულებაში, სულ მეგონა, მიკროფონები სადღაც ჭერშია-მეთქი ჩამონტაჟებული.

სასაცილოა, მაგრამ არავის ჰგონია, რომ მიკროფონი შეიძლება იატაკში ან სადმე იქვე იყოს ჩადგმული. რა იყო შესაშინებელი? არა, ბატონო ჩემო, ნუ შეეპარება ღიმილი თქვენს ბაგეებს. შიში ის გრძნობაა, ლოგიკას რომ არ ემორჩილება. არც მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს ემორჩილება. არც იმ ადამიანს ემორჩილება, ვის ორგანიზმსა და ტვინის უჯრედებშიც თვლემს. ღმერთმა რომ ადამიანი გააჩინა, შიშის გრძნობაც მაშინვე ჩაუნერგა. თანაც ისე ჩაუნერგა, რომ ადამიანს არ შესძლებოდა მასზე ბატონობა. თუმცა ბატონობა რა სახსენებელია, ადამიანი ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენს საკუთარ სხეულში ჩაბუდებულ შიშის გრძნობაზე. ყოფილა წუთები, როცა შიში დაგვიძლევია. ძალიან გთხოვთ, ყური კარგად დამიგდეთ! დიახ, ყოფილა წუთი, შიში რომ დაგვიძლევია. შიშის დაძლევა სხვაა და მისი დამორჩილება, ან წარმართვა სხვა. ადამიანი შიშს რომ სძლევს ხოლმე, განა იგი სწვდება შიშის საიდუმლო ინსტრუმენტს. განა იგი ეუ-

ფლება მის მექანიზმს და აქედან გამომდინარე, იმორჩილებს მას? არა, და ასგზის არა! ადამიანი შიშს უპირისპირებს ლოგიკას, განსჯას, მოვლენის სწორ შეფასებას, შიშის უსაფუძვლობის დამტკიცებას და მტკიცე ნებისყოფას! აი, რამდენი რამის საფასურად ხდება ერთ მომენტში, ერთ კონკრეტულ შემთხვევაში შიშის დაძლევა, დიახ, ადამიანი ვერასდროს ვერ ჩასწვდება შიშის მექანიზმს, ვერასდროს ვერ დაიმორჩილებს და ვერ არეგულირებს მას! მადროვეთ, მადროვეთ, ბატონო ჩემო, წინასწარ ვიცი, რასაც მეტყვით. დიახ, თქვენ გინდათ მითხრათ, რომ არსებობს გამოთქმა, — „ადამიანმა დაკარგა შიშის გრძნობა“, „საზოგადოებამ დაკარგა შიშის გრძნობა“. საერთოდ, სინამდვილესა და მასთან დაკავშირებულ გამოთქმებს, რასაკვირველია, აქვს ლოგიკური ურთიერთკავშირი. ოღონდ ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს, ადამიანმა საერთოდ კი არ დაკარგა შიშის გრძნობა, არამედ დაკარგა გარკვეული მოვლენის მიმართ. უფრო სწორად, დაკარგა იმის გამო, რომ ესა თუ ის მოვლენა, მაგალითად, კორუფცია, აღარ წარმოადგენს შიშის ობიექტს, იგი ხომ ნელნელა აქციეს ცხოვრების ნორმად.

ჰო, იმას მოგახსენებდით, შეშინებულმა ავხედე-მეთქი ჰერს. გადიოდა დრო. უკვე მეოთხე საათი დაიწყო, პატარა და არაბუნებრივად მაღალჭერიან ოთახში რომ ჩამკეტეს. ვგრძნობდი, ნერვებს ველარ ვიმორჩილებდი. ოთახში კი არ დავდიოდი, ლამის დავრბოდი. დროდადრო ისევ სკამზე ვჯდებოდი, თვალებს ხან იატაკს გავუშტერებდი, ხან ჰერს მივჩერებოდი, ხანდახან ვხუჰავდი კიდეც. სკამზე უკულმა ჩამომჯდარი საზურგეზე დაყრდნობილ მკლავებზე თავს დავდებდი და ვცდილობდი, არაფერზე მეფიქრა. ყოველ ხუთ წუთში საათს დავჩერებოდი. დრო ისე ნელა გადიოდა, სადაც იყო, სრულიად შეჩერდებოდა. ათის ნახევარს ორი წუთი აკლდა, აქ რომ მომიყვანეს. უკვე სამი საათი იწყებოდა; დერეფანში კი ჩამიჩუმიც არ ისმოდა. კიდევ კარგი, ფანჯრიდან დღის შუქი მაინც შემოდიოდა. ბნელ ოთახში ალბათ ჭკუაზე შევიშლებოდი. უკვე იმას ვნატრობდი, თუნდაც დერეფნიდან გამეგონა ვიღაცის ხმა.

„იქნებ დავავიწყდი კიდეც, აქ რომ ჩამკეტა?“ — ვფიქრობდი სასოწარკვეთილი.

„აბა როგორ დავავიწყდებოდი, ალბათ ბევრი ეჭვმიტანილი ჰყავთ დაკავებული და ჩემამდე ვერ მოაღწია“.

გულში მწარედ გამეღიმა.

„ვინ ვერ მოაღწია? — გავიფიქრე უმალვე, — იმ ახალგაზრდა კაცმა, მე რომ აქ მომიყვანა, ალბათ უკვე შეასრულა თავისი საქმე. დაკითხვით კი ალბათ სხვა დამკითხავს. უფრო ხანშესული და უფრო მკაცრი სახის, ტყავის პალტოიანი კაცი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ თბილოდა და პალტოს ჩაცმა იმ დროს თავში ალბათ არავის მოუვიდოდა, მაინც მეგონა, რომ ჩემთან დასაკითხად სწორედ ტყავის პალტოიანი, ჩექმებიანი და მაუზერიანი, ან ნაგანიანი კაცი შემოვიდოდა. ალბათ მიმიხვდით, ძველი თაობის წარმომადგენლების ნაამბობიდან ზუსტად ასე მყავდნენ წარმოდგენილი უშიშროების მუშაკები. შეიძლება მკითხოთ, მაშინდელ ამბებს ასე დაწვრილებით რატომ ჰყვებიო. იქნებ მართალიც იყოთ. მე ხომ სულ სხვა რამ მინდა გიამბოთ. ზედმეტი წვრილმანებით და დეტალებით თავს აღარ შეგაწყენთ. საღამოს ცხრა საათი სრულდებოდა, ნაბიჯების ხმა რომ გავიგონე.

„ალბათ ჩემთან მოდის!“ — შემიპყრო სიხარულმა.

ნაბიჯების ხმა უკვე ჩემს კართან ისმოდა. დაძაბული და აღელვებული ფეხზე წამოვვარდი. მოვტყუვდი, ვიღაცამ ჩემს კარს ჩაუარა, შეჩერებაც კი არ უცდია, ნაბიჯი არ შეუნელებია. გაგიჟებული რკინის კარს მივვარდი

და მუშტები დავცხე. სასოწარკვეთილი მუშტებს მთელი ძალით ვურტყამდი და თან საშინლად ვღრიალებდი. ნაბიჯების ხმა აღარ ისმოდა. ირგვლივ კვლავ დუმილი ჩამოწვა. რკინის კარს მუშტები მანამ ვურტყი, სანამ ძალა მეყო. მერე სასოწარკვეთილი ჩავიკეცე და ბავშვივით ავტირდი.

შემდეგ, დრო რომ გავიდა, სხვებმაც მითხრეს და უშიშროების მუშაკთა მეთოდებს რომ გავეცანი, თვითონაც მივხვდი. მთელი იმ დროის განმავლობაში, ოთახში რომ ვიყავი ჩაკეტილი, უხილავი სათვალთვალოდან ვიღაც მითვალთვალებდა. ეტყობა, მის გამოცდილ თვალს არ გამოჰპარვია, გაგიჟებას რომ აღარაფერი მიკლდა და უკანასკნელ წუთში გასაღებმაც გაიჩხაკუნა. ოთახში მხოლოდ ერთი კაცი შემოვიდა, დაბალი, ჭაღარა კაცი. კარი არ ჩაუკეტავს. პირდაპირ მაგიდასთან მივიდა და სკამზე ჩამოჯდა. ძარღვებში სისხლაქაფებული ერთბაშად დავშოშმინდი, მაგიდასთან მორჩილად მივედი და შემოსულს ვედრებით სავსე თვალებით შევხედე. ღმერთო, ალბათ რა საცოდავად გამოვიყურებოდი! ამ საშინელი წუთის გახსენებას მრავალი წლის მანძილზე ვერიდებოდი. არ მინდოდა ჩემი უმწეობა გამეხსენებინა და საკუთარი თავი შემზიზღებოდა.

— სკამი! — გასცა უცებ ბრძანება მან.

გავვოცდი. ოთახში ჩვენს მეტი არავინ იყო, ერთადერთ სკამზე თვითონ იჯდა. ირგვლივ მიმოვიხედე, მაინტერესებდა, ჭაღარა გამომძიებელმა ვის უბრძანა, სკამი მოიტანეო. ვერავინ დავინახე. ვიფიქრე, ალბათ მე მიბრძანა-მეთქი სკამის მოტანა. მხრები უმწეოდ ავიჩეჩე, ჩემი გაოცება ალბათ სახეზე რაღაცნაირად გამოვხატე კიდეც, სკამი საიდან მოვიტანო-მეთქი. უცებ კარი გაიღო და მაღალმა, გამხდარმა, შავულვაშებიანმა ჯარისკაცმა ოთახში სკამი შემოიტანა. გამომძიებელმა ხელით ანიშნა, სკამი სად უნდა დაედგა. ჭაბუკმა სკამი მაგიდიდან ერთი მეტრის მოშორებით [illegible] და გარეთ გავიდა. მივხვდი, [illegible] აქ მდგარა და ახალი ბრძანების ან რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის მოლოდინში ახლაც აუცილებლად იქ დადგებოდა.

— დაბრძანდით! — მითხრა გამომძიებელმა

რაკი სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, ჩავთვალე, რომ გამომძიებელი იყო.

სკამზე ფრთხილად ჩამოვჯექი. ჩვენი თვალები მოულოდნელად დაეჯახნენ ერთმანეთს. არ ვიცი, დუმილი რამდენხანს გაგრძელდა, მე კი მეგონა, რომ უსასრულოდ დიდხანს. არც ის ვიცოდი, რა უნდა მექნა, თვითონვე მეკითხა, რატომ დამაკავეთ-მეთქი, თუ მის შეკითხვას დავლოდებოდი.

— მიხვდით, არა, რისთვისაც დაგაკავეს? — მკითხა ბოლოს.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს უსიამო, უხეში და ხორკლიანი ხმა აზბესტის ყელიდან ამოსდიოდა.

— არა, ბატონო, ან რას უნდა მივმხვდარიყავი?! — ცივმა ოფლმა დამასხა, თვითონვე არ მომეწონა შიშით და ვედრებით აღსავსე ჩემი ხმა!

— ესე იგი, ვერ მიხვდით! — რისხვაც და დაცინვაც ერთად დამატრქვია თავზე.

— დიახ, ბატონო, ვერ მივხვდი! — ვუპასუხე ოდნავ უფრო თამამად. სხეულში ჩაბუდებულ შიშს თითქოს შევებრძოლე, მაგრამ მაინც ვერ ვაჯობე. ჩემი ხმა წელანდელივით საცოდავად და დათრგუნულად გაისმოდა.

— რაკი ვერ მიხვდით, მე თვითონ მიგახვედრებთ!

ო, რა ბოროტად გაიცინა ტანმორჩილმა ჭაღარა კაცმა. ფეხზე დინჯად წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. სამი მოკლე ნაბიჯი იქით, სამიც — აქეთ.

შეშინებული შევჩერებოდი და თითქმის სასოწარკვეთილი ველოდი, დაკითხვას როდის გააგრძელებდა, გა-

მოცდილმა გამომძიებლებმა ალბათ მშვენივრად იციან ადამიანის ფსიქოლოგია. იციან როგორ იტანჯება და ითრგუნება კაცი დაკითხვის მოლოდინში. თანაც სად, უშიშროების კომიტეტის საკანისმაგვარ ოთახში!

— დიახ, ბატონო ჩემო, — შეჩერდა ბოლოს იგი და თან დამცინავად შემომხედა, — რაკი ვერ მიხვდით, მე თვითონ მიგახვედრებთ!

დაძაბული და ლამის აკანკალებული რაღაც თავზარდამცემი ბრალდების მოლოდინით შევჩერებოდი მის ერთი შეხედვით კეთილ, მაგრამ საშინლად გაბოროტებულ სახეს.

— იორამ და ჯემალ რუხაძეებს იცნობთ?

— ვის? — წამოვიყვირე უნებურად.

— ძმებს, იორამ და ჯემალ რუხაძეებს!

თითქოს რაღაცას მივხვდი და ვერც მივხვდი,

— პირველად მესმის!

— სტყუიხართ!

— პირველად მესმის! კიდევ, ვიმეორებ, პირველად მესმის!

მუხლები კვლავ ამიკანკალდა. ვიგრძენი, ჩემს ხმას ისტერიული ინტონაციები შეეპარა.

ჭაღარა კაცი კბილების ღრჭიალით მომიახლოვდა, დაიხარა, თვალებში ჩამხედა და ხმამაღლა, ბოღმით და მუქარით სავსე ხმით უკვე შენობით მომმართა. კი არ მომმართა, დამიღრინა.

— სტყუიხარ!

— არ ვტყუივარ, ყველაფერს ვეფიცავარ, არ ვტყუივარ! რატომ არ გინდათ დამიჯეროთ, არავითარ იორამ და ჯემალ რუხაძეებს მე არ ვიცნობ!

კბილები საშინლად დააღრჭიალა, წელში გაიმართა და მარჯვენა ხელი უკან გაექცა. შევატყვე, გარტყმა უნდოდა, თავი დროზე შეიკავა. უცებ შეტრიალდა, რამდენიმე ნაბიჯი კარისკენ გადადგა, მერე შემობრუნდა და მშვიდად მითხრა. ერთი შეხედვით, მშვიდად. ამ სიმშვიდეში კი მეტი რისხვა იგრძნობოდა, ვიდრე მის წეღანდელ სიფიცხეში.

— მე სულ რამდენიმე წუთში დაგარწმუნებ, რომ სტყუიხარ, აი, მერე კი ყველაფერს მომიყვები, მომიყვები დინჯად, დალაგებულად და დაწვრილებით. თუ მაინც ვერ მოხვალ ჭკუაზე, პირდაპირ გეუბნები, შენი საქმე ველარ იქნება კარგად. საკითხი იმდენად ნათელია, სიჯიუტით ფონს ვერ გახვალ. საკუთარ თავს კი ძალიან ავნებ! თუ ყველაფერს ალიარებ, განთავისუფლებას ვერ დაგპირდები, მაგრამ სასჯელს საკმაოდ შეგიმსუბუქებთ.

გაბრუნდა და კარი გულმოსულმა გაიჯახუნა.

მინდოდა, მთელი ხმით დამეყვირა, რა გინდათ ჩემგან, რა დაგიშავეთ-მეთქი. სამწუხაროდ, სათქმელი მხოლოდ ჩემთვისაც კი ძლივს გასაგონად ამოვილუღლუღე.

სულ მალე საკეტმა ისევ გაიჩხაკუნა და კამერაში ახალგაზრდა ჯარისკაცი შემოვიდა.

— საათი უნდა ჩამაბაროთ!

თვალებში შევხედე. მინდოდა მივმხვდარიყავი, ჩემი ასაკის კაცს, ჯარისკაცის ფორმა რომ ეცვა, მისი კბილა უდანაშაულოდ დაჭერილი კაცის დანახვაზე რაიმე სინანული ჰქონდა თუ არა გამოხედვაში აღბეჭდილი.

თანაგრძნობისა ვერაფერი შევამჩნიე. საათი მოვიხსენი, უკანასკნელად დავხედე და გავუწოდე.

ათს ოცი აკლდა.

ჯარისკაცმა საათი გულისჯიბეში ჩაიდო. წეღან შემოტანილ სკამს ხელი დაავლო, კამერის კარი გაიხურა და გასაღები ორჯერ გადაატრიალა.

გავიდა კიდევ ერთი საათი. რასაკვირველია, ერთი საათი-მეთქი რომ ვამბობ, ჩემი ვარაუდიდან გამოვდივარ. იქნებ ორი საათიც გავიდა. შეიძლება სამიც. ან იქნებ მხოლოდ ნახევარი საათი?! ლოდინის, თანაც მძაფრი ლოდინისას დრო ხომ ძალიან ნელა გადის. დამეთანხმებით, დღევანდელი კა-

ცისათვის წარმოუდგენელია ცხოვრება დროის ორიენტაციის გარეშე. დროს ხომ სისტემატურად შეგვახსენებს ხოლმე მაჯისა და ჯიბის მანქანისა თუ დაწესებულებების საათები, რადიო-ტელევიზია. ვერ წარმოიდგენთ, როგორი საშინელებაა, როცა ვერ გაგირკვევია, დღე არის თუ ღამე. ფანჯრიდან შუქი რომ შემოდიოდა, გვიან მივხვდი, რომ დერეფნის ნეონის ნათურის შუქი იყო. საათის ჩამორთმევის შემდეგ ერთბაშად დავკარგე დროის განსაზღვრის უნარი და ენით აუწერელმა სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. უნებურად მივხვდი, დროის დინებაში გაურკვევლობა ადამიანის ფსიქოლოგიური დამუშავების კიდევ ერთი ნაცადი ხერხი ყოფილა. უწინ ალბათ ცემით და წამებით აიძულებდნენ ადამიანს მიეცა გამოძიებისათვის საჭირო ჩვენება. ამჯერად, ეტყობა, ფსიქოლოგიურ ხერხებს და მეთოდებს მიანიჭეს უპირატესობა. რასაკვირველია, ფსიქოლოგიური დამუშავება გაცილებით ხანგრძლივი პროცესია და დიდ მოთმინებასა და ნებისყოფას მოითხოვს. სამაგიეროდ, წამებისაგან განსხვავებით, მეტად „სუფთა" საქმეა. ერთის მხრივ, დამნაშავის სხეულზე წამების კვალს ვერავინ იპოვნის. მეორეს მხრივ, დაცულია პიროვნების კონსტიტუციური თუ იურიდიული უფლებები.

ტანმორჩილი ქალარა გამომძიებელი არსად ჩანდა. მე კი გულუბრყვილოდ დავიჯერე, რომ იგი მართლა რამდენიმე წუთში დაბრუნდებოდა.

„მაინც რომელი საათი იქნება? ალბათ თერთმეტი. შეიძლება თორმეტიც! — ვფიქრობდი მე, — დედაჩემი ალბათ უკვე შფოთავს. თუმცა ძებნას ჯერ კიდევ არ დამიწყებს. ღელავს. სამი საათიდან კი, თუ ახლა უკვე არ არის სამი საათი, აუცილებლად დამიწყებს ძებნას."

„არა, დღეს ნამდვილად აღარ მოვა გამომძიებელი", — დავასკვენი მე და უცებ გიჟივით ამიტყდა სიცილი.

„დღეს! — განა აქ, ამ საშინელ შენობაში იციან, რა არის [illegible] რა არის ღამე?! მე ხომ [illegible] გაგებული, უშიშროების კომიტეტში რომ სწორედ შუაღამისას „დუღდა" და „ჩქეფდა" ცხოვრება!

გადავწყვიტე, აღარაფერზე მეფიქრა. წარმოიდგინეთ, თითქოს მცირეოდენი შვებაც კი დამეუფლა. დაღლილობამ ერთბაშად დამრია ხელი. შევეცადე, წამიერად მაინც ჩამეთვლიმა. თითქოს ოდნავ დავწყნარდი და უმალვე შიმშილიც ვიგრძენი, საშინელი შიმშილი.

ვერც კი გავიგე, კარი როდის გაიღო, ნუთუ უკვე მეძინა? თვალი ოდნავ გავახილე. ჩემს წინ სულ სხვა, ქერა, მაღალი და ჩაკუნთული ჯარისკაცი იდგა.

— გამომყევით, — მითხრა მან!

მკაცრი ხმა ჰქონდა, თუმცა მის ინტონაციაში მუქარა არ იგრძნობოდა.

ვიწრო და გრძელ ოთახში შემიყვანეს. პირველი, რაც თვალში მომხვდა, იყო მცირე ზომის კინოეკრანი.

ოთახში ორად ორი სკამი იდგა.

— დაბრძანდით! — მითხრა ჯარისკაცმა და წინა სკამზე მიმითითა.

„მეორე სკამზე ალბათ გამომძიებელი დაჯდება! — დავასკვენი მე, სკამზე ჩამოვჯექი და ეკრანს შევხედე.

„ალბათ ვიდაცაში ვერევი, რასაკვირველია, ვერევი. აბა, რა მინდა ამ ვიწრო, უფანჯრო ოთახში, ჭერზე უბრალოდ მიმაგრებული ერთადერთი ნათურა რომ ძლივს ანათებს?! ან ეკრანზე ისეთი რა უნდა მაჩვენონ, ჩემი არარსებული დანაშაული რომ ვაღიარო, ან ვინ არიან იორამ და ჯემალ რუხაძეები? რასაკვირველია, ვიღაცაში ვეშლები!" — ვფიქრობდი მე და გულში ნელ-ნელა იმედის ნაპერწკალი მიღვივდებოდა.

დუმილი ჩამოვარდა.

უცებ ჯარისკაცმა კარი ჩაკეტა და ჩემს უკან, მეორე სკამზე დაჯდა.

„გამომძიებელი?" — გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ სინათლე ჩაქრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იქვე, ორ ნაბიჯზე, ოთხკუთხედად ამოჭრილი კედლის იქით კინოსაპროექციო აპარატმა დაიხრიალა.

ეკრანს დაძაბული მივჩერებოდი. მათი ვარაუდით, ალბათ პირველი კადრებიდანვე უნდა გავრკვეულიყავი, რა იყო ჩემი დაპატიმრების მიზეზი. თუ მიზეზები. გამოსახულება მუნჯური იყო. ყურში მხოლოდ საპროექციო აპარატის ხრიალი ჩამესმოდა. პირველად ვერ გავერკვიე, ეკრანზე რა ხდებოდა. საშინლად გადაღებულ ფილმში („ჰმ, „ფილმში"!) უამრავი, საერთოდ ბნელი კადრი ერთმანეთს ენაცვლებოდა. მხოლოდ ხუთი თუ შვიდი წუთის შემდეგ მიყო გულმა რეჩხი, მივხვდი. ცხრა მარტის კადრებს ვხედავდი. იორამ და ჯემალ რუხაძეებს თუ იცნობო — გამახსენდა უცებ გამომძიებლის სიტყვები. გამახსენდა და ძარღვებში სისხლი ისევ შემიდედდა. მაშ, ისინი იყვნენ ჯემალ და იორამ რუხაძეები?! აი, აგერ მე! დიახ, ბატონო, ჩემო, მწერლის ფანტაზიას არ გაუჭირდება წარმოიდგინოს, რა დღეში ჩავვარდებოდი, ეკრანზე რომ საკუთარი თავი დავინახე. თანაც სად, კავშირგაბმულობის სახლის წინ, მკვდრებით მოფენილი პროსპექტის შუაში! აგერ ისინიც, ძმები! ჩვენ სამთავე ერთად მოვათრევთ დაჭრილ, არა, მოკლულ ჭაბუკს.

ოთახში უცებ ჩამობნელდა. ფილმის ჩვენება შეწყდა. ფილმი-მეთქი, რომ ვამბობ, ალბათ გულში გეღიმებათ. ნუ დავარქმევთ, ბატონო, ფილმს. დავარქვათ თუნდაც ცხრა მარტის ბატალიების ამსახველი კადრები! დარბაზში სინათლე კი ჩაქრა, საპროექციო აპარატის ხრიალი მაინც ისმოდა. ცოტაც და ეკრანი ისევ განათდა. კვლავ ჩემი თავი დავინახე, მივხვდი, ფირი გადაახვიეს. აგერ ის ორი ჭაბუკიც, ჩემთან ერთად რომ მოათრევენ მოკლული ყმაწვილის გვამს.

„აი, ვინ ყოფილან იორამ და ჯემალ რუხაძეები!" — დავასკვენი საბოლოოდ.

თვალები დავხუჭე. მეტის ცქერა აღარ შემეძლო. რაკი ეპიზოდი გამიმეორეს, მივხვდი, ყველაზე [illegible]რი უკვე ვნახე.

„კი, მაგრამ, ამდენი დროის შემდეგ რატომ დამიჭირეს და რატომ მაჩვენეს ორი წლის წინანდელი კადრები? აქამდე რატომ არავის გაახსენდა ჩემი პიროვნება და ჩემი „გმირობის" ამსახველი ეპიზოდები?!"

„რატომ ამდენი ხნის შემდეგ?"

„რატომ ამდენი ხნის შემდეგ?"

ვფიქრობდი თვალდახუჭული და მთელი მონდომებით ვცდილობდი, ჩემი დაპატიმრების მიზეზი გამომეცნო. ვიცოდი, ფირის ნახვის შემდეგ დაკითხვა გაგრძელდებოდა, თუ დაპატიმრების მიზეზს გამოვიცნობდი, გამომძიებელს უფრო მომზადებული და საქმის არსში გარკვეული შევხვდებოდი.

უცებ გონება გამინათდა. მივხვდი, გუშინ ხრუშჩოვის მანქანას ბომბი თუ ხელყუმბარა იორამ, და ჯემალ რუხაძეებმა ესროლეს. მაგრამ მე? მე რა შუაში ვარ?

საქმის არსსაც ჩავწვდი და ცივმა ოფლმაც დამასხა.

„რატომ მგონია, რომ მარტო მე ვარ დაკავებული? ალბათ ყველას დაკითხავენ, ვისაც ამ ფილმში რუხაძეების გვერდით შეამჩნევენ ან უკვე შეამჩნიეს. არც მათ ნაცნობ-მეგობრებს დაუწყებენ ლოლიავს. ბუნებრივია, ფიქრობენ, დღესაც ხომ არ მაქვს რაიმე კავშირი იორამ და ჯემალ რუხაძეებთან. მე ხომ მათ ცხრა მარტის შემდეგ აღარც შევხვედრივარ. უფრო მეტიც, მათი სახეები ხეირიანად ცხრა მარტსაც კი არ აღბეჭდილა ჩემს გონებაში!

იმედი უფრო და უფრო მიღვივდებოდა.

„ბოლოს და ბოლოს, მიაგნებენ ნამდვილ დამნაშავეს".

„მიგნებით კი მიაგნებენ, მაგრამ როდის? რამდენი დღის შემდეგ?"

კინოსაპროექციო აპარატმა ხრიალი

შეწყვიტა, ვიწრო კამერაში თუ ოთახში სინათლე აინთო.

არ გავნძრეულვარ. არ ვიცოდი, რა უნდა მექნა და იმიტომ. მივხვდი და, ალბათ, მისახვედრი არაფერი იყო, უშიშროების კომიტეტის შენობაში პირადი ინიციატივის უფლება ჩამორთმეული მქონდა. მხოლოდ ბრძანებას უნდა დავლოდებოდი, მხოლოდ ბრძანების მიხედვით მემოქმედნა.

ჯარისკაცი ფეხზე წამოდგა, კარი გააღო და მანიშნა, მომყევიო.

სკამიდან ძლივს წამოვდექი და წელმოწყვეტილი გასასვლელისაკენ გავემართე.

ჯარისკაცმა კვლავ ჩემს კამერაში თუ ოთახში შემიყვანა და კარი ჩაკეტა.

„ჩემს კამერაში" — ლამის სიცილი ამიტყდა. უმალვე სკამზე ჩამოვჯექი, მაგიდას იდაყვებით დავეყრდენი და თავი ხელებში ჩავრგე.

ორი წუთიც არ იყო გასული, ტანმორჩილმა, ჰაღარა გამომძიებელმა რომ მომაკითხა. მივხვდი, ამჯერად მისი სიჩქარის მიზეზს. არ უნდოდა ჩემთვის დაფიქრებისა და ორიენტირების საშუალება მოეცა.

უმალვე ფეხზე წამოვდექი.

— დაბრძანდით!

ახალგაზრდა ჯარისკაცმა სკამი მასაც შემოუტანა.

მანამდე არ დავჯექი, სანამ თვითონაც არ დაჯდა.

— ტუალეტში გასვლა ხომ არ გნებავთ?

— დიახ!

— ნახევარი საათი კიდევ მოგიწევთ მოთმინება. ნახევარი საათი, ბუნებრივია, თუ ყველაფერს აღიარებთ.

— რა უნდა ვაღიარო? მართალია, ცხრა მარტს კავშირგაბმულობის სახლის წინ ვიყავი ათასობით ადამიანთან ერთად, სროლის შემდეგ ხალხს დაჭრილების გამოყვანაში ვეხმარებოდი. ესაა ჩემი დანაშაული?

ძმები რუხაძეები განგებ არ ვახსენე, თითქოს საერთოდ ვერ გავერკვიე, ჩემგან რა უნდოდათ და რას მოითხოვდნენ.

— მაიმუნობას თავი დაანებე. მგონი დარწმუნდი, რომ სიჩუმესა და თაღლითობას აზრი არა აქვს!

— რა უნდა ვაღიარო?! მგონი, არაფერს გიმალავთ და ისევ გიმეორებთ, ცხრა მარტის გამოსვლებში არავითარი განსაკუთრებული მონაწილეობა არ მიმიღია. მე იქ ისეთივე მაყურებელი ვიყავი, როგორც მრავალი ათასი კაცი. ხალხი რომ დახოცეს, დაჭრილებისათვის დახმარება ჩემს ადამიანურ მოვალეობად მივიჩნიე.

— მერე?

— რა, მერე? — გავიოცე მე. — პირიქით, ბატონო ჩემო, პირიქით, მე თვითონ მინდა მოგცეთ ერთი შეკითხვა, თუკი მაქვს შეკითხვის უფლება. ცხრა მარტის შემდეგ ამდენი დრო გავიდა, დღეს რატომ გაგახსენდათ მაშინ მალულად გადაღებული ფირი?!

— თქვენ, რა დამცინით?! — სიტყვებს დორბლებიც მოაყოლა ჰაღარა გამომძიებელმა.

— რატომ კადრულობთ, ბატონო!

— კიდევ გიმეორებ, შენთვის სჯობია, მაიმუნობას თავი დაანებო და კითხვებზე ზუსტად მიპასუხო. ძმები იცანი?

— ვინ ძმები?

მერე აღარ მახსოვს, რა მოხდა. არ მეგონა, თუ ხანშესულ და ტანმორჩილ გამომძიებელს ამოდენა ღონე ჰქონდა. იქნებ ჯარისკაციც მიეხმარა? ვერაფერს გეტყვით. გონს რომ მოვედი, იატაკზე ვეგდე. თავი და პერანგი სველი მქონდა. ეტყობა, გულშეღონებულს წყალი ვედრით დამასხეს. არ მოვტყუებულვარ, იქვე, კუთხეში ვედრო დავინახე. გამომძიებელთან ერთად თავზე ახალგაზრდა ჯარისკაციც მადგა!

— სკამზე დააჯინე! — გასცა ბრძანება გამომძიებელმა.

ჯარისკაცი წამოდგომაში შემეშველა. თავბრუ დამეხვა, შემეშინდა სკამიდან

არ გადმოვვარდნილიყავი და სახელურებს ორთავე ხელით ჩავეჭიდე.

მოპირდაპირე მხარეს გამომძიებელი ჩამოჯდა. ცდილობდა თვალი თვალში გაეყარა. მე კი იატაკს დავჩერებოდი ჯიუტად. გამომძიებელი ხმას არ იღებდა, ალბათ ელოდა, ლაპარაკს როდის დავიწყებდი.

— რა გნებავთ ჩემგან, გამაგებინეთ და თითოეულ კითხვაზე ზუსტ პასუხს გაგცემთ. და თუ ცხრა მარტის გამო დამიჭირეთ, მგონი, მესამედ გეუბნებით, არავითარ საპროტესტო მსვლელობებსა თუ მიტინგებში მონაწილეობა არ მიმიღია. დაჭრილების გამოყვანაში კი თავი არ დამიზოგავს. ან რა გული გამიძლებდა, სულთმობრძავ ბავშვებს და თანატოლებს არ მივშველებოდი! ძმები რუხაძეების არსებობის ამბავი კი პირველად თქვენგან შევიტყვე. კიდევ რა გინდათ ჩემგან?

ვგრძნობდი, შიში თანდათან მიქრებოდა, შესაბამისად ენერგია და გამბედაობა მემატებოდა. ამდენი ნანერვიულები, დაღლილი და გალახული თავს ათასჯერ უფრო მტკიცედ ვგრძნობდი, ვიდრე დაპატიმრების პირველ წუთებსა თუ საათებში.

გამოცდილ, ხანშესულ გამომძიებელს, ბუნებრივია, არ გამორჩენია ჩემს არსებაში მომხდარი ცვლილება. მიხვდა, დაკითხვის აგრესიული მეთოდით გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ჯარისკაცს ანიშნა, გადით. მაღალი, ჩაკუნთული ახალგაზრდა ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა. კარი რომ დაიკეტა, გამომძიებელი მე მომიბრუნდა.

— ყმაწვილო, — დაიწყო დინჯად, სულ სხვანაირი, კეთილი ინტონაციით. თან ისეთი შეწუხებული სახე მიიღო, თითქოს ვილაცისგან მალულად მეტად მნიშვნელოვან საიდუმლოს მიმხელდა, თითქოს ჩემი დახმარება უნდოდოდა და ხსნის გზას თვითონვე მკარნახობდა. — ჩასატარებელი საგამომძიებლო პროცედურა ჩატარდა. ვიცით, თქვენ არ ყოფილხართ თავდასხმის წამომწყები და მეთაური. თქვენ უბრალოდ, ეხმარებოდით იორამ და ჯემალ რუხაძეებს. აღიარეთ და მოინანიეთ, რომ რუხაძეებმა აგიყოლიეს, და რომ თქვენ არც კი იცოდით, პირველი მდივნის ესკორტისათვის ბომბი თუ მართლა უნდა ესროლათ. თქვენ, უბრალოდ მოგატყუეს და თავდასხმის უნებური მონაწილე გაგხადეს...

გამომძიებელი შეჩერდა და თვალებში შემომხედა. ღმერთო, რა კეთილი, ვედრებით სავსე თვალები ჰქონდა, თითქოს მამაშვილურად მეუბნებოდა, უფრო მეტიც, თითქოს მემუდარებოდა კიდეც, ოღონდ დანაშაული აღიარე, დანარჩენი მე ვიცი, როგორ გადაგარჩენო.

— სულერთია, თავდასხმაში მონაწილეობას მაინც დაგიმტკიცებენ.— გააგრძელა მცირეოდენი პაუზის შემდეგ, — ყველამ შენიშნა, რომ თავდამსხმელები სამნი იყავით, ორი—ძმები რუხაძეები ერთ საათში დააპატიმრეს. შენ გაცილებით გვიან, მეორე დღეს დაგაკავეთ, ცხრა მარტის კინოკადრი თქვენი მეგობრობის და თანამზრახველობის დადასტურებაა. თუ დანაშაულს აღიარებ, სასჯელი გაგინახევრდება. შეიძლება ამხანაგმა ხრუშჩოვმა კეთილშობილური ჟესტიც გაითამაშოს და სასჯელისგან საერთოდ გაგანთავისუფლოთ. გაჯიუტებით კი ძალიან ავნებთ საკუთარ თავსაც და მეგობრებსაც.

შვებით ამოვისუნთქე. ჩემი დაკავების მიზეზი მხოლოდ ცხრა მარტის კინოკადრი ყოფილა. მამაჩემის ფრონტის ამბები და ბაბუაჩემის თვითმკვლელობა ჩემს დაპატიმრებაში არავითარ როლს არ თამაშობდა. ეტყობა, ბაბუაჩემის თვითმკვლელობის ამბავი საერთოდ არ იცოდნენ. ან კი საიდან უნდა სცოდნოდათ. შიშს დიდი თვალები აქვსო, რომ იტყვიან და სწორედ შიშმა გამახსენა ჩემი ოჯახის ბიოგრაფიული სისუსტეები.

— თქვენ კვლავ დუმხართ? — გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შომძიებელმა თავი სინანულით გაიქნია, — სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა! მე გაძლევდით შანსს, შეგემსუბუქებინათ თქვენი მდგომარეობა. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ. მართალია, არ მაქვს ამის უფლება, მაგრამ მაინც გაგიმხელთ. ძმებმა ყველაფერი აღიარეს. ისიც დაწერეს, მესამე მონაწილე არჩილ გორდელი იყოო.

— შეუძლებელია! — აღმომხდა მე.

— რა არის შეუძლებელი?

— შეუძლებელი რომ მსგავსი რამ ეთქვათ და, მით უმეტეს, დაეწერათ! ცხრა მარტს მათ რომ შემთხვევით შევხვდი. ისევე შემთხვევით, როგორც ასეულობით სხვა ადამიანს... დღევანდელ დღემდე მათი არც გვარი ვიცოდი და არც სახელი. უფრო მეტიც, ცხრა მარტის შემდეგ ქუჩაში რომ შემხვედროდნენ, დარწმუნებული ვარ, ვერ ვიცნობდი. ვერც ისინი მიცნობდნენ. ჩემი სახელი და გვარი კი აბა საიდან ეცოდინებოდათ?!

— მე უკვე გაგაფრთხილეთ. დანარჩენი თქვენს თავს დააბრალეთ. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ მაინც გეუბნებით, უფრო ბაბუათქვენის ხათრით მსურდა დაგხმარებოდით. არჩილ გორდელი ჩემი უფროსი მეგობარი გახლდათ. ჩემი თქვენდამი გულისხმიერება შეიძლება წინ ცუდად დამხვდეს. არ დავეძებ. მე ყოველგვარ უსიამოვნებაზე მზად ვიყავი, ოღონდ კი გარდაცვლილი მეგობრის შვილიშვილს დავხმარებოდი. რა ვქნა, თვითონ არ მაძლევთ საშუალებას, დანაშაული შეგიმსუბუქოთ.

გამომძიებელი ფეხზე წამოდგა.

— ტყუილია, ტყუილი! — წამოვიყვირე ისევ მე, — კიდევ გიმეორებთ, წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არიან ძმები რუხაძეები. მიუხედავად ცხრა მარტის წამიერი და შემთხვევითი შეხვედრისა, დარწმუნებული ვარ, ამ ქვეყანაზე ჩემი არსებობის ამბავიც არ იციან. მჯერა, არცერთ მათგანს მე არ დავუსახელებივარ. ან კი როგორ დამასახელებდნენ! გთხოვთ, ორთავენი პირზე დამაყენოთ!

— ეგეც იქნება, ყმაწვილო, ყველაფერს თავისი წესი და თანმიმდევრობა აქვს. — გამომძიებელმა კეთილი კაცის ნიღაბი ელვის სისწრაფით ჩამოიხსნა, დამცინავად ჩაიცინა და კარისკენ გაემართა. — მაინც მინდა საბოლოოდ გაგაფრთხილოთ, წინააღმდეგობას აზრი არა აქვს.

ფეხზე წამოჭრილი რკინის კარს მივჩერებოდი, ჩემს თვალწინ რომ ჯახუნით დაიხურა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაიღო და ოთახში ახალგაზრდა ჯარისკაცი შემოვიდა.

— რატომ იკლავთ ტყუილად თავს? ხომ იცით, არ მოგეშვებიან და მაინც ყველაფერს გათქმევინებენ. სჯობია, ყველაფერი აღიაროთ, თქვენთვისაა უკეთესი! — საიდუმლო ჩურჩულით მითხრა მან, შემდეგ მაგიდას ხელი წაავლო და გარეთ გაიტანა. უმალვე უკან შემობრუნდა, ორთავე სკამს დასწვდა, გასვლისას კიდევ ერთხელ შემობრუნდა და კვლავ ჩურჩულით დასძინა.

—ხომ იცით, პატიმართან დალაპარაკების უფლება არა მაქვს. იმედი მაქვს, არ გამთქვამთ. მაინც გირჩევთ, დაფიქრდეთ და სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ.

ადგილზე გაშეშებულს ყურში საკეტის ხმა ჩამესმა. თუ არ გამოგიცდიათ და ღმერთსა ვთხოვ, არ გამოგაცდევინოთ, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოქმედებს ადამიანზე საკნის საკეტის ხმა.

„ნუთუ გულწრფელი რჩევა მომცა ახალგაზრდა ჯარისკაცმა?“ — გამიელვა უმალვე თავში. მინდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ იქ, ოცდახუთი თუ ოცდაექვსი წლის წინ დაბადებული შეკითხვისათვის დღესაც ვერ გამიცია პასუხი. იქნებ თითქმის ჩემმა კბილა ჯარისკაცმა, ხრუშჩოვზე თავდასხმაში ჩემი თანამზრახველობა რომ სჯეროდა, მართლა შემიცოდა და გულწრფელად მომცა რჩევა? იქნებ მან, უბრალოდ და

ოსტატურად გააგრძელა გამომძიებლის საქმე?!

მას შემდეგ, წელან უკვე ვთქვი, ოცდაექვსი წელი გავიდა. არასდროს ის ახალგაზრდა ჯარისკაცი აღარ შემხვედრია. ვინც იცის, იქნებ ჯარისკაცობიდან უკვე პოლკოვნიკობასაც მიაღწია. და თუ მან მაშინ, უკვე სულიერად გათახსირებულმა ახალგაზრდა კაცმა, გულწრფელი, მეგობრული რჩევის სცენა უნაკლო ოსტატობით გაითამაშა, დღეს აუცილებლად იქნება პოლკოვნიკი. იქნებ კომიტეტის განყოფილების გამგეც!

პაუზა. კონიაკი. სიგარეტი.

— თქვენ არ მიირთმევთ?

კვლავ უარის თქმა მეუხერხულა და ჰიქას ხელი მოვკიდე. მატარებელმა სვლა შეანელა. მალე გაჩახჩახებული ლამპიონებიც გამოჩნდა. საათს დავხედე. მივხვდი, სოხუმში შევედით. მატარებელმა მკვეთრად დაამუხრუჭა, ინერციით წინ გავქანდი და ნახევარი ჰიქა კონიაკი შარვალზე გადამექცა. გაისმა ბორბლების ხრჭიალი და ვაგონების ერთმანეთზე შეჯახების ხმა.

— ბიჭოს, სოხუმში მოვსულვართ.— სტუმარმა საათს დახედა. — რა შეუმჩნევლად გასულა დრო! ხომ არ დაგღალეთ? ბაქანზე გასეირნებას ხომ არ ისურვებთ?

— არა, აქაც კარგად ვგრძნობ თავს. — შევატყვე, დაავიწყდა რომ ვუთხარი, სოხუმში მეგობარი უნდა ამოვიდეს-მეთქი, შეიძლება დაავიწყდა, შეიძლება ჩემი მაშინდელი ნათქვამისათვის არც კი მიუქცევია ყურადღება.

— კონიაკიც მიგირთმევიათ, — ღიმილით დახედა ჩემს ნახევრად დაცლილ ჰიქას. — თუ ნებას მომცემთ, შეგივსებთ.

აღარ მითქვამს, რომ კონიაკი დამეღვარა. უცნაური სტუმრის ნათქვამი შევიფერე და ჰიქა მორჩილად გავუწოდე.

— ახალგაზრდა ჯარისკაცმა მაგიდა და სკამები რომ გაიტანა, ეტყობა, ერთბაშად ვერც კი ალვიქვი, [illegible] იქნებ გადამავიწყდა კიდეც, [illegible]რძელა უცებ მან, — არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი ერთ ადგილზე გაშეშებული. მერე, დაჯდომა რომ მოვინდომე და სკამი ველარ ალმოვაჩინე, მხოლოდ მაშინ გავიხსენე მაგიდისა და სკამების გატანის ამბავი, გულწრფელად მითხარით, ხომ არ დაგღალეთ? აგაშენათ ღმერთმა. ვერ წარმოიდგენთ, კამერაში — ჩემს პატარა, არაბუნებრივად მაღალჭერიან და რკინის კარებიან ოთახს, თუ ნებას დამრთავთ, ამ წუთიდან საკნად მოვიხსენიებ — დიახ, ვერ წარმოიდგენთ, საკანში სრულიად უბრალო ამბებიც როგორ მოქმედებს ადამიანზე. თუმცა საკანს ისევ კამერა სჯობია. კამერა უფრო გამოხატავს ციხის სურათსა თუ განწყობილებას.

„მაგიდა და სკამები რატომ გაიტანეს? — ვფიქრობდი მე, — „ერთი სკამი მაინც რატომ არ დატოვეს?“

შიმშილმა ახალი ძალით შემახსენა თავი. ტუალეტში გასვლაც მომინდა.

„ნეტავ რომელი საათია? ნუთუ არ მაჭმევენ რამეს? ვინ იცის, იქნებ თენდება კიდეც? შევეცადე დრო დამეანგარიშებინა. საათი რომ ჩამომართვეს, ათის ოცი წუთი იყო. დაახლოებით ერთი საათი ჩემთვის არავის მოუკითხავს. ერთ საათს ჩემი ვარაუდით ვამბობ. ვინ იცის, იქნებ სამი საათიც კი გავიდა. კაცს რომ ნერვები გიკანკალებს და შიშით შეპყრობილს თავში მილიონი აზრი გიტრიალებს, შეგეძლება კი დრო სწორად განსაზღვრო?! არა, ალბათ, ერთი საათი. ესე იგი, კინოფირის ჩვენება თერთმეტის ოც-ოცდახუთ წუთზე დაწყებულა ან იქნებ სულაც თორმეტის ნახევარზე! ფირი ათწუთიანი მაინც იყო, თანაც ერთი ეპიზოდი ორჯერ გაიმეორეს, ყველაფერი მეტობით რომ ვიანგარიშოთ, იქიდან დაახლოებით თორმეტ საათზე გამომიყვანეს და ჩემს კამერაში მიმაბრძა-

ნეს. მეორე დაკითხვა, სულ რამდენიმე წუთში რომ მომიწყვეს, ერთ საათზე მეტს არ გაგრძელებულა. ასეა თუ ისე, პირველი ან ორის ნახევარი იქნება, შეიძლება ორიც... დედაჩემი ჯერ კიდევ არ ღელავს. რასაკვირველია, თუ გამომძიებამ თვითონ არ გააგებინა ჩემი დაკავების ამბავი. რა მოხდება ორი-სამი საათის შემდეგ? ბაბუაჩემი მაინც იყოს ცოცხალი! ხვალ მთელ თბილისს ეცოდინება ჩემი დაპატიმრების ამბავი. წარმომიდგენია, რა მითქმა-მოთქმა ატყდება! ხრუშჩოვის კორტეჯს ბომბი ესროლესო, რომ გაიგებენ, გმირად გამომაცხადებენ. სული ცოდვილო და ტანში სასიამოვნოდ გამაჟრჟოლა. მგონი, გული მწყდებოდა კიდეც, მართლა რომ არ ვიყავი თავდასხმის მონაწილე. წარმოვიდგინე, რა ამბავი დატრიალდება ხვალ გეოლოგიის სამმართველოში, რა კამათი და ვნებათაღელვანი მოჰყვება ჩემი დაპატიმრების ამბავს. შემდეგ ჩემი ფიქრი მანანას გადასწვდა. რას იტყვის მანანა, ჩემი დაპატიმრების ამბავს რომ გაიგებს? როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს ქვეყნის პირველ მდივანზე თავდასხმა და ბომბის სროლა? თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ლამის თვითონაც დავიჯერე თავდასხმაში ჩემი მონაწილეობის ამბავი! უმალვე ისიც წარმოვიდგინე, ნამდვილი დამნაშავის დაჭერის შემდეგ ჩემი გმირობის ლეგენდა საპნის ბუშტივით რომ გასკდებოდა. ნარკომანის ალტყინებასავით ხანმოკლე იყო ჩემი ოცნება. თვალწინ ისევ დედა დამიდგა. ვიცი, ხვალ, სამსახურში დიდი აურზაური შეიქნება. ორგანოები ჩემს მაგიდას გაჩხრეკენ. მოყვრებს გული ეტკინებათ, მტრები გაიხარებენ. საბოლოოდ უდანაშაულო კაცს მაინც გამანთავისუფლებენ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. დედას? დედას კი რა ეშველება? რამდენ ხანს გაგრძელდება ჩემი გვემა? ბუნებრივია, ხრუშჩოვის მანქანაზე თავდამსხმელის მალე აღმოაჩენენ და შეიპყრობენ. მაგრამ მაინც რამდენ ხანში? ხვალ, ზეგ, მაზეგ, იქნებ დამნაშავის აღმოჩენას და დაკავებას მთელი კვირაც მოუნდნენ? გაუძლებს დედაჩემი ამდენ ნერვიულობას? მან ხომ მაინც იცის მშვენივრად, ხრუშჩოვის ჩამოსვლის დღეს სახლიდან რომ არ გავსულვარ? იცის, მაგრამ ვინმე დაიჯერებს დედის სიტყვებს? და თუ ვერ აღმოაჩინეს ნამდვილი თავდამსხმელი? ხრუშჩოვთან თავის გასამართლებლად ხომ შეიძლება მე ამკიდონ დანაშაული? მით უმეტეს, ბებიაჩემი ხალხის მტერი იყო, მამაჩემიც ომის მოღალატე. და თუ როგორი მოღალატე იყო იგი, სხვა დროს მოგიყვებით. კინოფირზე აშკარადა ვარ გამოსახული ნამდვილი თავდამსხმელების — რუხაძეების გვერდით. მეტი რაღა მტკიცება და ფაქტია საჭირო, დანაშაული რომ ამკიდონ?

ვერც კი შევატყვე, ოთახში სირბილზე როგორ გადავედი. იმ წუთში ალბათ ზოოპარკის მგელს ვგავდი, კედლიდან კედელს რომ ეხეთქება.

არ იფიქროთ, დამნაშავენიც ისევე განიცდიან პატიმრობას, როგორც უდანაშაულონი. სამართლიანად დაპატიმრებულმა იცის, რომ დანაშაული ჩაიდინა და ფსიქოლოგიურად იგი მზადაა კიდეც სასჯელის მოსახდელად. უდანაშაულო კაცს კი უმალვე შიში და სასოწარკვეთა იპყრობს. შეიძლება უდანაშაულოდ დაპატიმრებული კაცის განცდას შიში არც კი დავარქვათ. იქნებ ისტერიკა ან ნევრასტენია უფრო ზუსტი ტერმინები იყოს, თუმცა მთავარი ტერმინი კი არაა, მთავარია ის აუტანლად მტანჯველი განცდა, საკანში გამომწყვდეულ უდანაშაულო კაცს რომ იპყრობს. წარმოგიდგენიათ მაინც, როგორია ეს განცდა? იცით, მაინც რას განიცდის უდანაშაულოდ დაჭერილი კაცი? შევეცდები, როგორმე შეგაგრძნობინოთ. წარმოიდგინეთ, კაცი ჭის ფსკერზე ჩავიდა, ვთქვათ, მოტორის ჩასადგმელად. უცებ, ჭის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლებიდან იგრიალეს ქვებმა. მსგავსი ამბავი ერთ ჩემს ნაცნობს შეემთხვა და მისმა საშინელმა თავგადასავალმა ჩემი საკანში ჯდომის განცდები გამახსენა. მოხდა ისე, რომ ქვიბმა ჭაში ჩასული კაცი კი არ გასრისეს, მის თავზე ერთმანეთი შეაკავეს და თაღად შეიკრნენ. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდება ქვების თაღის ქვეშ ნახევრადმოკუნტული კაცი. აი, იმ კაცსა ჰგავს უდანაშაულოდ დაპატიმრებული და საკანში ჩაკეტილი პატიმარი. არ იცი, გაიგო კი ვინმემ, ჭაში რომ ქვები ჩაიშალა და შემთხვევით რომ ცოცხალი დარჩი? და თუ გაიგეს, კეთდება რამე შენს გადასარჩენად? უცებ ბუნდოვანი ხმა ჩაგესმის, ზემოთ რაღაცას ფუსფუსებენ, საქმიანობენ. ხშირად ეჭვი გიპყრობს, ხომ არ გეჩვენება, ჰალუცინაციები ხომ არ დაგეწყო. გადის მტანჯველი დრო. მდორედ, ზლაზვნით, მაგრამ მაინც გადის და რწმუნდები, რომ შენს ზემოთ სამუშაოები მართლა მიდის. სული გელევა, გული გასკდომაზე გაქვს, ნერვები და მოთმინება აღარ გყოფნის, როდის დაგიხსნიან! და აი, კამერაში გამომწყვდეული დაახლოებით ამ დღეში ვიყავი ჩავარდნილი, მსგავს სასოწარკვეთას ვყავდი შეპყრობილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „ზემოთ ჩემი დასახსნელი სამუშაოები“ არ მიდიოდა. მშველელი დედაჩემს გარდა არავინ მყავდა. უმწეო და საბრალო ქალს კი აბა რა შეეძლო!

საკანში წინ და უკან დავრბოდი. ოფლი წურწურით ჩამომდიოდა. ბოლოს დაღლილი კედელს ზურგით მივეყრდნე, ნელ-ნელა ჩავცურდი და იატაკზე დავჯექი. ფეხები გავშალე, შუბლზე ოფლი მოვიწმინდე და თვალები დავხუჭე.

„ალბათ მითვალთვალებენ, რასაკვირველია, მითვალთვალებენ“, — თვალი გავახილე, ჯერ ჭერი დავათვალიერე საფუძვლიანად, შემდეგ კედლები და იატაკი. უბრალო ნაპრალიც კი არსად ჩანდა. მაინც მჯეროდა, რომ მითვალთვალებდნენ. ვინ იცის, რა სიხარულით შემომჩერებოდნენ, საკანში რომ მშიერი მგელივით დავრბოდი. დაღლილობა თანდათან მომერია და თვალები დავხუჭე.

„მითვალთვალონ, რამდენიც უნდათ!“ აღარ მანაღვლებდა არაფერი.

„მაშ ის ბიჭები ძმები იყვნენ? — გადავვერთე უცებ ცხრა მარტის ამბებზე, — ძმები რუხაძეები, იორამ და ჯემალ რუხაძეები. ერთმანეთს რომ არ ჰგავდნენ? თუმცა რა გასაკვირია, განა ცოტაჯერ მინახავს, ძმები რომ ერთმანეთს არ ჰგვანან? განა უფრო უცნაური მოვლენებიც არ მინახავს? უცებ გამახსენდა ჩემი ნაცნობი ძმები, ძალიან რომ ჰგავდნენ ერთმანეთს. უცნაური ის გახლდათ, რომ ერთი პირწავარდნილი დედა იყო, მეორე — მამა. ერთმანეთს კი მაინც ჰგავდნენ. მე მანამდე არც რუხაძეებს ვიცნობდი და, მით უმეტეს, არც მათ მშობლებს. ბუნებრივია, იმ უბედურებაში აზრად არ მომივიდოდა გამერკვია, ძმები იყვნენ თუ არა ისინი. იმდენი მსგავსება კი არ ჰქონდათ, მივმხვდარიყავი, ძმები არიან-მეთქი. აი, წელან, სულ რაღაც ორი თუ სამი საათის წინ კინოფირი რომ ვნახე, თავსაც რომ ძალა დავატანე, ძმების სახეები უფრო ნათლად წარმოვიდგინე. ისინი მაშინ გავიცანი, თუმცა, კი არ გავიცანი, კავშირგაბმულობის სახლთან სროლა რომ ატყდა, შემთხვევით მათ გვერდზე აღმოვჩნდი. დღესაც კინოკადრებივით ვხედავ, ზღვა ხალხმა იერიში რომ მიიტანა კავშირგაბმულობის სახლზე. უნდოდათ, შენობა ხელში ჩაეგდოთ. არა, ტყუილს ვამბობ, შენობის ხელში ჩაგდება კი არ უნდოდათ, მოითხოვდნენ სტალინის ძეგლთან მიტინგზე მიღებული პეტიცია რადიოთი გადაეცათ ქართულ და რუსულ ენებზე. მაშინ, ალბათ, გახსოვთ, ტელეცენტრი თბილისში ჯერ კიდევ არ იყო აშენებული. რადიოგადაცემები კი

კავშირგაბმულობის შენობიდან ხდებოდა. მე სასტუმრო „თბილისთან“ ვიდექი, რუსთაველის თეატრის მხარეს. სროლა ერთბაშად ატყდა. ათასობით სასოწარკვეთილი ადამიანის ყვირილისა და გამაყრუებელი სროლის ტალღამ კაფე „თბილისის“ უზარმაზარი მინის კედლები შეაზრიალა. პირველად მეგონა, ხალხის შესაშინებლად ისროდნენ ჰაერში. სულ რამდენიმე წამში, დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, რამდენიმე წამში, ხალხმა რომ პირი იბრუნა და შეშინებული გაიქცა, კავშირგაბმულობის შენობის კიბეებზე და საერთოდ, მის წინ ქუჩაში უამრავი მოკლული და დაჭრილი ახალგაზრდა დარჩა. ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, სროლა მაინც გრძელდებოდა. უცებ ჩემს გვერდით სამი ახალგაზრდა ერთად წაიქცა. ერთის სახეზე სამ ადგილას ამოხეთქა სისხლმა, შუბლზე, ცხვირთან და ყელთან. დანარჩენი ორისთვის თავდაპირველად სისხლი არ შემიმჩნევია. მათ მკერდში მოხვდათ ტყვიები. ეტყობა, სამთავენი ერთი ავტომატის ჯერმა იმსხვერპლა. მეორე დღეს, შეძრწუნებული და თავზარდაცემული იმ საშინელ ხოცვა-ჟლეტას რომ ვაანალიზებდი, მივხვდი, ჯარისკაცებს ნაბრძანები ჰქონდათ აზვირთებული ხალხისთვის მარტო შესასვლელთან კი არ ესროლათ, არამედ ყველგან, რომ ფანატიკურად აღტყინებული ბრბო გონს ერთბაშად მოეყვანათ. კავშირგაბმულობის შენობის პირდაპირ რომ მკვდრები და დაჭრილები ეყარა, ისინი შესასვლელ კარებში მდგომი ჯარისკაცების მიერ იყვნენ დახოცილნი. პროსპექტის სხვადასხვა ადგილას კი ზედა სართულებიდან დაუშინეს. ყველა ერთბაშად უნდა მიმხვდარიყო, რომ თუ არ გაიქცეოდნენ, დანდობის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. შეშინებულმა ხალხმა პირი იბრუნა. აი, იმ წუთებში შევამჩნიე პირველად ძმები რუხაძეები, თუმცა მაშინ მათი არც გვარი ვიცოდი და არც ძმობის ამბავი. ორთავენი საკმაოდ ტანმაღალი და ბრგე ჭაბუკები იყვნენ, ჩემზე გაცილებით უფროსები. ისინი პანიკაში ჩავარდნილ ხალხს წინ მედგრად აღუდგნენ, რომ სამი დაჭრილი თუ მკვდარი ახალგაზრდა ფეხით არ გაეთელათ. მალე სროლა შეწყდა. გაქცეულები შორს არ წასულან. ნაწილი პიონერთა სასახლესთან შექუჩდა, ნაწილი კინო „სპარტაკთან“. მე ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია. არ ვიცი, რა დამემართა. ჩემს თვალწინ ასე უხმოდ, უსიტყვოდ წაქცეულმა სამმა ბიჭმა გამაშეშა თუ იმ ორი ახალგაზრდა კაცის ვაჟკაცობამ, შიშისგან დაფეთებულ ბრბოს რომ ის სამი მოკლული ყმაწვილი არ გადაათელინა. დიახ, მოკლული. როგორ გვინდოდა, მათთვის სიცოცხლის ნიშანწყალი შეგვენიშნა. რა უმწეო ყოფილა ადამიანი, რა უსიტყვოდ, გაუბრძოლებლად დაეცნენ სამთავენი. რა სასაცილოდ მეჩვენება კინოფილმებში გადაღებული ეპიზოდები, ტყვიით დაცხრილული ადამიანები კვლავაც რომ ფეხზე დგანან და მგზნებარე ლოზუნგებს ისვრიან.

— თავისი საქმე უკვე გააკეთეს, — თქვა უცებ ერთმა, უფროსს რომ ჰგავდა, ხალხი დამალეს. არა მგონია, კიდევ ისროლონ. ეს უბედურები უკვე მკვდრები არიან. წავიდეთ, სხვებს მივხედოთ.

ორთავენი კავშირგაბმულობის სახლისაკენ გაემართნენ. მე ისევ ერთ ადგილზე ვიყავი გაშეშებული და იმ სამ ბიჭს დავცქეროდი, ჩემს წინ რომ ეყარნენ. მახსოვს საოცარი სიმპათიით, უფრო მეტიც, სიყვარულითაც კი განვიმსჭვალე ამ ორი უშიშარი ადამიანის მიმართ. ერთხელ კიდევ სინანულით დავხედე საცოდავებს და ბიჭებს თან მივყევი. ალაგ-ალაგ დამალულმა ოციოდე კაცმა მაინც მოგვბაძა. ყველანი მკვდრებს შორის დავრბოდით და დაჭრილებს ვეძებდით. არ ვიცი, იქნებ სხვებმა იპოვეს

კიდეც დაჭრილები, მე ვისთანაც მივედი, არცერთს პირში სული აღარ ედგა. ყველაზე მეტი მკვდარი კავშირგაბმულობის სახლის კიბეზე ეყარა. ნელ-ნელა ავყევი კიბეს. კარს იქით, ავტომატის ტყვიებით დაცხრილულ და ჩამომსხვრეულ მინებს უკან, იარაღმომარჯვებული ჯარისკაცები იდგნენ. შიში სრულიად გამიქრა. ყოველი ავტომატის ლულიდან სიკვდილი იმზირებოდა. აღარაფერს ვეპუებოდი, მაღლა და მაღლა მივიწევდი. კარებთან მოკლული ჭაბუკის გვამთან რომ მივედი და დავიხარე, ვიგრძენი, ავტომატის ლულას თავით ვეხებოდი. ქვემოთ კი ჯარისკაცთა ჩექმების მწკრივი სულ რაღაც ნახევარი მეტრით იყო ჩემგან დაშორებული, ‘ჭაბუკი, სამწუხაროდ, მკვდარი იყო. ერთი ტყვია თვალში მოხვედროდა. ჩამსხვრეული სათვალეში შუშის ნაცვლად დაკვერებული სისხლი მოუჩანდა. ერთი ტყვიის მეტი არ ჰქონდა მოხვედრილი. ეტყობა, რევოლვერის ერთი გასროლით იყო მოკლული. თვალში მომხვდა მისი გამხდარი, მაგრამ ძლიერი მკერდი. სიცოცხლის ნიშანი რომ ვეღარ შევატყვე, წელში წამოვიმართე და ჯარისკაცებს შევხედე. ავტომატმომარჯვებულთა მწკრივიდან თვალი ჩემს პირდაპირ მდგომ ჯარისკაცს გავუსწორე. ჩვენს შორის მანძილი ორი ნაბიჯი თუ იქნებოდა. მან თვალი თვალში გამიყარა და თან ბაგეებზე დამცინავი ღიმილი გამოეხატა. ისიც ნათლად დავინახე, ბოროტად მომღიმარ თვალებში უზარმაზარი რისხვა ჩასდგომოდა. რომ იცოდეთ, რაოდენ მეტყველია ხშირად ადამიანის სახე. თვით შექსპირსაც გაუჭირდებოდა სიტყვით გამოეხატა ის მუქარა, დაცინვა, ზიზღი, შურისძიებით მთვრალი პირუტყვის ტკბობა, თვრამეტი თუ ოცი წლის ავტომატიანი ლაწირაკის სახიდან რომ ილვრებოდა. „ხომ გიტირეთ დედის სული“, — მეუბნებოდნენ თვალები, უბედურს არც კი ჰქონდა გათვითცნობიერებული, რა ჩაიდინა. იქნებ სიამაყის გრძნობასაც ჰყავდა შეპყრობილი, საკუთარი ხელით დახოცილ ბიჭებს რომ ხედავდა. რა მინდოდა, ზიზღით და ბოღმით რატომ შევჩერებოდი ახალგაზრდა ჯარისკაცს, სულ რამდენიმე წუთის წინ რომ მკვლელი გახდა? მე ვკითხავდი რამეს, თუ ის ამიხსნიდა და გაამართლებდა სროლის აუცილებლობას?! განა არ ვიცოდი, მისთვის რომ არაფერს ნიშნავდა სასხლეტზე თითის ერთი დაჭერა და ზუსტად იმ სათვალიანი ჭაბუკის გვამს გადავემხობოდი?! იქნებ ჩემს თავს ვამოწმებდი, შემეძლო თუ არა შიში დამეთრგუნა?!

უცებ საშინელმა სურვილმა მომიარა, ყელში ვწვდომოდი და იქვე მიმეხრჩო დამცინავად მომზირალი ჯარისკაცი, წვრილი, ყვრიმალებამოვარდნილი თავი მწვანე მუზარადის ქვეშ რომ ჰქონდა შემალული, რაღაც ძალამ შემაჩერა. არა, შიშმა არა, რაღაც სხვა ძალამ! ვიცოდი განძრევასაც ვერ მოვასწრებდი, ავტომატის ჯერი ისე გადამჭრიდა. იმ საშინელ წამს, ჩემს არსებაში რომ შურისძიებამ იფეთქა და გონება დამიბნელა, სადღა იყო დრო, სიტუაცია შემეფასებინა და მოსალოდნელი შედეგი გამეანალიზებინა. ზუსტად ამ დროს შემაჩერა არა შიშმა, არა ინსტინქტმა, არამედ რაღაც ძალამ. ამდენი წლის შემდეგ ცხრა მარტის იმ საშინელ წუთებს რომ ვიგონებ, დარწმუნებული ვარ, რომ იმ მომენტში მე ვიღაც მმართავდა. ხოლო ეს ვიღაც ჩემს სხეულში, ჩემს გონებაში იჯდა და დღესაც ზის. განგებამ ბევრი თვითკონტროლი, ბევრი მუხრუჭი დაუწესა ადამიანს, ბევრი ისეთი თვისება ჩაუსახა, თვითონ რომ ვერ გრძნობს და, ბუნებრივია, ვერც ფლობს. ადამიანმა არ იცის, რომ მის სხეულში მეორე პიროვნებაც ზის, ღმერთთან უფრო მიახლოებული ორეული. ვაი, იმ ადამიანის ბრალი, ვისაც სხეულში ის „მეორე“ ძალიან სუსტი

ჰყავს ან სულაც არ გააჩნია. აი, ასეთი ადამიანები არიან ნამუსგარეცხილნი. ისინი ყოველ წუთში მზად არიან სინდისის ქენჯნის გარეშე გადადგან ყოვლად უწმინდური ნაბიჯები, დაიკმაყოფილონ პირუტყვული გრძნობები. თუკი საჭირო გახდა, ხელი არ აუკანკალდებათ, ისე მოახრჩობენ პატარა ბავშვსაც კი, და, რაც მთავარია, არასდროს არ ინანებენ თავიანთ სისხლიან ნაბიჯებს. და იცით, რატომ? მათ სხეულში არ ზის ღმერთთან გაცილებით მიახლოებული ორეული, კრიტიკულ მომენტებში რომ გამოგთიშავს და თვითონ ჩიილებს სწორ გადაწყვეტილებებს. უმორჩილესად გთხოვთ, ჩემს დაკვირვებებს გიჟის ბოდვად ნუ მიიჩნევთ. აბა, დაფიქრდით, თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ რამდენჯერ შეუკავებიხართ რაღაც შინაგან ძალას? განა ის ძალა თქვენი გონებისმიერი განსჯის შემდეგ დაიბადა? არა, ძვირფასო, არავითარ შემთხვევაში! ადამიანი ურთულესი მექანიზმია, გონიერი მექანიზმი. განა ჯერ ჩვენ სანახევროდ მაინც ვიცით, რა არის ადამიანი?

●

პაუზა. წამონთებული თვალები.

ვერც კი შევამჩნიე, მატარებელი როდის დაიძრა. ჩამოვარდნილი დუმილისას კუპეში კვლავ შემოიჭრა ვაგონის ბორბლების სასიამოვნო რიტმი.

„ნუთუ იმდენად გამიტაცა უცნაური სტუმრის ნაამბობმა, რომ მატარებლის დაძვრა და სოხუმის დატოვება ვერ შევნიშნე?“ — ვფიქრობდი გაოცებული და ფიქრებში წასული კაცის სახეს ყურადღებით ვაკვირდებოდი.

●

— ვინ იცის, მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა. ჩემი გონებიდან კი ჯერაც არ ამოდის იმ წვრილთვალა და ამოცვენილყვრიმალებიანი ჯარისკაცის სახე. ავტომატიანი ლაწირაკის გამოხედვაში დღესაც უშუალოდ ვგრძნობ მუქარას, დაცინვას, ზიზღს, შურისძიებით მთვრალი პირუტყვის ტკბობას. სად არის [illegible]? რას აკეთებს, არ აწუხებს [illegible] ქენჯნა, ტყვიით რომ დაცხრილა თავისი კბილა ბიჭები? საშინლად მაინტერესებდა და დღესაც არანაკლებ მაინტერესებს, პირველსავე წერილში რა მისწერა მშობლებს, სატრფოს, ნაცნობ-მეგობრებს, თუკი რასაკვირველია, მსგავს პირუტყვს შეიძლება ჰყავდეს მშობლები, სატრფო და ნაცნობ-მეგობრები. დარწმუნებული ვარ, ისე ჩავალ სამარეში, ჩემს მეხსიერებაში არ წაიშლება მწვანე მუზარადში სანახევროდ შემალული წვრილთვალა მკვლელის ლორწოიანი სახე.

სათქმელს მაინც გადავუხვიე, ბატონო ჩემო! არაფერია იმაზე უფრო საშინელი, ვიდრე გრძნობდე შენს გასრესას, დამცირებას და, ამავე დროს, აბსოლუტურ უმწეობას!

ცოცხალ-მკვდარი შემოვბრუნდი და კიბეზე ლასლასით ჩამოვედი. აი, სწორედ იმ მომენტში კვლავ დავინახე ის ორი ჭაბუკი, ძმები რუხაძეები რომ ყოფილან. ერთი, სრულიად ახალგაზრდა დაჭრილის აყვანას ცდილობდნენ. უმალვე გონს მოვეგე, გამეხარდა, ვიღაც მაინც რომ ვიპოვეთ ცოცხალი. უმალვე მათთან გავჩნდი და აწევაში შევეშველე. აი, ზუსტად ეს კადრი იყო, კინოფირზე რომ ვნახე.

— შენ სხვებს მიხედე, ამას ჩვენ მოვუვლით! — მითხრა ერთ-ერთმა, ასაკით უფროსს რომ ჰგავდა.

რატომღაც იმ ადგილისკენ გავემართე, სამი ბიჭი რომ დავტოვე ჩახოცილი.

„იქნებ ვერ შევნიშნე და ერთი მათგანი მაინცაა ცოცხალი?“ — გავიფიქრე რატომღაც და ნაბიჯს ავუჩქარე. ჩემთვის ცხრა მარტი, ბატონო ჩემო, მაინც ის სამი ბიჭია. რა საშინელი შესახედავნი იყვნენ! ერთს სახე საერთოდ აღარ უჩანდა, მთლიანად დაკვერებული სისხლი ჰქონდა გადაკრული. დანარჩენი ორის ტანსაცმლი-

დან უკვე გამოეცონა მოშავო სისხლს, უცებ საშინელი ისტერიული ტირილი ამივარდა. არ ვიცი, ის ორი ჭაბუკი, ძმები რუხაძეები რომ ყოფილან, როგორ და როდის გაჩნდნენ ჩემს გვერდით. არც ის მახსოვს, შინ როგორ მიმიყვანეს. მას მერე ძმები რუხაძეები აღარ მინახავს. თქვენთან მაინც რა მაქვს დასამალი, თანაც დღეს, იმ საბედისწერო დღეებიდან ამდენი წლის შემდეგ. არც სახელი ვიცოდი მათი, არც გვარი, არც პროფესია. შინ რომ მიმიყვანეს, გონზემოსულს აზრადაც არ მომსვლია, მეკითხა, ვინ ბრძანდებით-მეთქი. ისიც არ მახსოვს, ჩემი მისამართი როდის ვუთხარი. არც მერე გამიგია მათი ასავალ-დასავალი. დაპატიმრებები ცხრა მარტიდანვე დაიწყო. მეშინოდა, რომ მეც დამიჭერდნენ. ბუნებრივია, გული მეკუმშებოდა. ვიცოდი, თუ დამიჭერდნენ, ბოროტად გამახსენებდნენ ჩემი ოჯახის ცოდვებს, ბებიასა და მამაჩემის ღალატის ამბავს. ამიტომაც აღარ ვცდილვარ, უცნობი ბიჭები მენახა და ჩემი მადლიერება გამომეხატა. ბედად, არავის გავხსენებივარ. კაცმა რომ თქვას, ანკი რატომ უნდა გავხსენებოდი. მართალია, გამოსვლებს მთელი არსებით თანავუგრძნობდი, მართალია, სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან ყოველ საღამოს დავდიოდი და გამომსვლელთა მოწოდებებს დიდი ყურადღებით ვისმენდი, მაგრამ თვითონ არ ვყოფილვარ რაიმე ღონისძიების ხელმძღვანელი ან ორგანიზატორი.

საკნის საკეტმა კვლავ საზარლად გაიჩხაკუნა. მთელი დღის მშიერს საჭმლის სუნი მეცა. საკანში ვიღაც შემოვიდა. იატაკზე რაღაც დადგა, კარი გაიკეტა და ჩუმად წავიდა. თვალის გახელას არ ვჩქარობდი. ეჭვი კვლავაც მეპარებოდა, რომ მითვალთვალებდნენ. არ მინდოდა დაენახათ, საჭმელს მშიერი როგორ მივვარდებოდი, ერთი სული მქონდა, საჭმელს დავძგერებოდი, თავს მაინც მოვუვლიე, დიახ, ძალიან არ მინდოდა შეეგრძნოთ ჩემი უმწეობა. არც ის მინდოდა ჰგონებოდათ, რომ მეძინა. ფეხზე წამოვდექი, ოთახში დინჯად გავიარ-გამოვიარე, თან თვალი საჭმელისაკენ გავაპარე — ჯარისკაცს პატარა ქვაბით რაღაც წვენისმაგვარი და პური შემოეტანა. იქვე „პარაშაც“ დაედგა. ხუთი წუთი მაინც დავდიოდი წინ და უკან. ვაი თუ არავინ მითვალთვალებდა და ტყუილად ვიკლავდი თავს! როცა ჭამა და სხვა საქმეებიც მოვათავე, ძილი მომეკიდა. კუთხეში მივჯექი და ფეხები იატაკზე გავშალე. დედაჩემზე ლაპარაკით აღარ მინდა თავი შეგაწყინოთ. დროის ორიენტაცია სავსებით დავკარგე. დაახლოებითაც აღარ ვიცოდი, რა დრო იყო. ერთ რამეში კი ეჭვი აღარ მეპარებოდა. დედას უკვე ეცოდინება, სად ვარ და რატომ ვარ. მადლობა ღმერთს, მან ხომ მაინც იცოდა, რომ ხრუშჩოვის ჩამოსვლის დღეს სახლიდან არ გავსულვარ. საბრალო ქალის დამშვიდებაც არ შეეშლებათ უშიშროების მუშაკებს. ალბათ დაუყვავებენ, ეტყვიან, ნუ ღელავთ, თქვენი ვაჟიშვილი მხოლოდ ეჭვითაა დაკავებული, ხვალზეგ ყველაფერი გაირკვევა და გამოუშვებენო. არაფერი გამომდიოდა, მაგრამ მაინც მინდოდა, დედაზე აღარ მეფიქრა. თვალწინ კვლავ ტანმორჩილი, ქალარა გამომძიებელი დამიდგა. გადავწყვიტე, მოსალოდნელი შემოტევები განმესაზღვრა და გამეანალიზებინა. საიდან, რომელი მხრიდან მელის მორიგი დარტყმა? საკითხი ნათელია. ეძებენ თავდასხმის მესამე მონაწილეს. ბუნებრივია, მარტო მე არ ვიქნები დაკავებული. ალბათ აქვე, ჩემს გვერდით არიან რუხაძეების სხვა ნაცნობ-მეგობრებიც. ჩემი დაპატიმრება, ბუნებრივია, კინოფირმა განაპირობა. ცხრა მარტს კავშირგაბმულობის სახლის წინ მათთან ერთად დაჭრილ ყმაწვილთან ვარ ფირზე აღბეჭდილი. აქვთ თუ არა საფუძველი მიაჩნიონ, რომ მე მათი განუყრელი მე-

გობარი და თანამზრახველი ვარ? რასაკვირველია, აქვთ! ვინ იცის, კიდევ რამდენი ჩემისთანა თანამზრახველი ჰყავთ დაკავებული. ვიცი, საბოლოოდ მაინც იპოვიან ნამდვილ დამნაშავეს, მაგრამ როდის? ჩემი მდგომარეობა გონებაში თანდათან გამოვძერწე, უამრავი საეჭვო დეტალი ჩამოვაშორე და საბოლოო სახე მივეცი. მე უკვე კარგად ვიცოდი, რატომ დამაპატიმრეს და რას მოითხოვდნენ ჩემგან. სამოქმედო გეგმაც იოლად შევადგინე. გეგმა მეტად ნათელი და მარტივი იყო. გეგმის სიმარტივეს, ბუნებრივია, ჩემი სიმართლე უწყობდა ხელს. პირველი, რაც მე უნდა მეთქვა ის იყო, რომ ჯემალ და იორამ რუხაძეებს არ ვიცნობდი. კინოფირი, დამეთანხმებით, არაფერს არ ნიშნავდა. ფირზე აღბეჭდილ ეპიზოდში ოცამდე სხვა ადამიანი მაინც ჩანდა. მეც და რუხაძეებიც ერთმანეთის გარდა სხვებსაც ველაპარაკებოდით და ხელითაც რაღაცეებს ვანიშნებდით. დამეთანხმებით, რაკი დაჭრილის აწევაში რუხაძეებს ვეხმარები, სულაც არ ნიშნავს, რომ მათი მეგობარი ვარ და მით უმეტეს, ამდენი წლის შემდეგ, მათთან ერთად ხრუშჩოვზე თავდასხმის მონაწილე! თუ რუხაძეებთან დამაპირისპირებენ, რასაკვირველია, უნდა ვთქვა, არცერთს არ ვიცნობ, ორთავეს პირველად ვხედავ-მეთქი. დარწმუნებული ვარ, ძმებიც ამასვე იტყვიან. სულ ეს იყო! მდგომარეობის ბოლომდე გააანალიზებამ სიმხნევე შემმატა. აშკარად მეჩქარებოდა, გამომძიებელი შემოსულიყო და დაკითხვა გაეგრძელებინა. არ ვიცი, როდის ჩამეძინა ან რამდენხანს მეძინა. გასაღების უსიამო ხმამ გამომაღვიძა და გაბრუებულს უმალვე გამახსენდა, სადაც ვიყავი. საჭმელი უცნობმა ჯარისკაცმა შემომიტანა. ალბათ გათენდა და ახალი ცვლა მოვიდა-მეთქი, — დავასკვენი გულში. სუპი სასწრაფოდ დავხვრიპე. ორი ნაჭერი პურიც გემრიელად დავაყოლე და ოდნავ გუნებაგამოკეთებული გამომძიებელთან შესახვედრად მოვემზადე. დრო გადიოდა. გამომძიებელი [illegible] არ ჩანდა. კვლავ ნერვიულობამ დამრია ხელი. დედის სახე ამოტივტივდებოდა თუ არა თვალწინ, უმალვე ფიქრი სხვა თემაზე გადამქონდა. ირგვლივ საშინელი სიჩუმე იყო გამეფებული. დერეფანშიც კი არავინ დადიოდა. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ისევ საზარლად გაიჟღრიალა კარის საკეტმა. ჯარისკაცმა დილანდელი ქვაბი წაიღო და იატაკზე ახლადმოტანილი ქვაბი დამიდგა. ორი ნაჭერი პური ქვაბის სახურავზე მოათავსა. წყლით სავსე ალუმინის მსუბუქი ტოლჩაც ქვაბის გვერდით მიდგა და გარეთ გავიდა. ჩემთვის არც შემოუხედავს. ახლაღა გავიხსენე, რომ არც დილით შემოუხედავს. სრულიად ახალგაზრდა, გაურკვეველი ეროვნების ჯარისკაცი დღევანდელი უკანასკნელი თაობის რობოტივით მოქმედებდა. არცერთ ზედმეტ ნაბიჯს არ დგამდა, არცერთ ზედმეტ მოძრაობას არ აკეთებდა. შემდეგ კვლავ სიჩუმე, საშინელი, ავისმომასწავებელი სიჩუმე. ვახშმამდე დრომ შედარებით ადრე გაირბინა. მინდოდა გაურკვეველი ეროვნების ჯარისკაცისათვის მეკითხა, გამომძიებელი რატომ არ მოდის-მეთქი. უმალვე გადავიფიქრე: მივხვდი, მაინც არაფერს მიპასუხებდა, თანაც ჩემს სისუსტეს გამოვამჟღავნებდი. დღეს ალბათ აღარავინ მომაკითხავს-მეთქი, — დავასკვენი და იატაკზე დავჯექი. „რატომ?“ — უნებურად ხმამაღლა შევეკამათე ჩემს თავს. ირგვლივ მიმოვიხედე: ჩემი „რატომ?“ ხომ არავინ გაიგონა-მეთქი. თუმცა რისი მეშინოდა?! კიდევაც რომ გაეგონა, აბა რა დასკვნას გამოიტანდა?! დიახ, უცებ გამახსენდა, რომ უშიშროების კომიტეტის შენობაში დაკითხვები ძირითადად ღამით მიმდინარეობდა. თუმცა, იმ ღამითაც (რასაკვირველია, ჩემი ვარაუდით) არავის გავხსენებივარ.

მომდევნო დილას საუზმე სულ სხვა უცნობმა ჯარისკაცმა შემომიტანა. საუზმეს ვჭამდი თუ ვახშამს, ანგარიში აღარ მჭირდებოდა. ჯარისკაცის შეცვლა გათენებას ნიშნავდა. გავიდა მეორე დღეც, მეოთხეც, ვატყობდი, კიდევ ორი დღე და ჭკუაზე შევიშლებოდი. დედაზე ფიქრს, რაც შემეძლო, გავურბოდი. გრძნობებს რომ ავყოლოდი, შეიძლება გამოუსწორებელი სისულელე ჩამედინა. ერთხელ საშინელმა ჟინმა მომიარა, ჯარისკაცს დავტაკებოდი, სახეში მეთხლიშა, წყალწყალა წვენით სავსე ქვაბი თავზე გადამემხო, წამექცია და წიხლებით მეცემა. იქნებ მაშინ გავხსენებოდი ვინმეს. „ვინმეში", ალბათ მიმიხვდით, ჰალარა, ტანმორჩილ გამომძიებელს ვგულისხმობდი. თავი მოვთოკე. მივხვდი, სამი დღის მანძილზე საკანში უმოძრაოდ ნაგდები და დასუსტებული დაკუნთულ ჯარისკაცს ვერ მოვერეოდი. მორევას ვინ დაეძებდა, ჯარისკაცის მკვლელობას ან გაქცევის მცდელობას დამაბრალებდნენ და კაციშვილი ვეღარაფერს მიშველიდა. თეორიულად სწორად ვმსჯელობდი, რაკი ტანმორჩილი, ჰალარა გამომძიებელი ჩემთან აღარ შემოდის, ესე იგი, ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს. მაგრამ ვაი თუ ასე მარტოდმარტო მიტოვება დამნაშავის გამოტეხვის ერთ-ერთი ხერხია?! ვაი თუ ფსიქოლოგიური დაწოლით უნდათ გამტეხონ, რომ სულიერად დათრგუნული ყველაფერზე დამითანხმონ და ხელი მომაწერინონ?! წარმოდგენილი მაქვს, რა დღეში იქნებიან უშიშროებაც და მილიციაც, თუ მესამე დამნაშავე ჯერ არ დაუჭერიათ. გადარჩებიან ქვეყნის პირველი მდივნის რისხვას? უმალ ვიღაც საცოდავსა და უდანაშაულოს აჰკიდებენ დანაშაულს, ვიდრე თვითონ გასწირავენ რესპუბლიკის პრესტიჟს და, რასაკვირველია, საკუთარ კარიერას. იქნებ ეს ვიღაც საცოდავი და უდანაშაულო მე ვარ, მე, არჩილ გორდელი?!

მეოთხე დღეს კარი ნაცნობმა ჯარისკაცმა შემოაღო. მაღალმა, გამხდარმა ჭაბუკმა. უხალისოდ გავიფიქრე: ალბათ საუზმე მომიტანა-მეთქი. კუთხეში მიმჯდარმა თვალი უხალისოდ შევავლე. გავოცდი, მთელ სახეზე კეთილი ღიმილი ჰქონდა გადაკრული. თვალებში ალბათ ორი დიდი კითხვის ნიშანი გამომესახა.

— მომყევით! — მომესმა მოულოდნელად.

ჯარისკაცი შებრუნდა და დერეფანში გავიდა. კარი არ გაუკეტია. ჯერ ვიფიქრე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი, ისე ვიყავი ადამიანის ხმას დანატრებული, დროდადრო ვგრძნობდი, ჰალუცინაციები მტანჯავდა. მივხვდი, არ მომჩვენებია. რკინის საზარელი კარი კვლავ ღია იყო. ფეხზე წამოვიჭერი და სასწრაფოდ დერეფანში გავვარდი. ჯარისკაცი წინ მიდიოდა, მე ერთი ნაბიჯის დაშორებით მივყვებოდი. გრძელი, ნაცნობი დერეფნის გავლის შემდეგ კიბესთან მოთავსებული ლიფტით ორი სართულით მაღლა ავედით. კვლავ გრძელი დერეფანი გავიარეთ და უცებ ფართო ღია კარიდან ეზოს მოვკარი თვალი. საკომენდანტოსთან თუ სამორიგეოსთან შევჩერდით. ჯარისკაცმა ორმოციოდე წლის კაპიტანს რაღაც ქაღალდი გადააწოდა. კაპიტანმა თვალი შემავლო, ქაღალდი წაიკითხა, თბილად გამიღიმა და ხელით გვანიშნა, გადითო. ეზოს გავლით ჯარისკაცმა ქუჩაში გამიყვანა და საათი დამიბრუნა. დავიბენი, არ ვიცოდი რა ხდებოდა. გაღიმებულმა ხელი ასწია, კარგად იყავითო, მითხრა, შეტრიალდა და რკინის კარიც მიიხურა. თავი სიზმარში მეგონა. გაღენჩებული ვიდექი და მწვანედ შეღებილ რკინის კარს შევყურებდი. სხეულში ცხელმა ნაკადმა დამიარა. მივხვდი, რომ გამანთავისუფლეს. ფიცხლად შემოვბრუნდი და თავქვე დავეშვი. თითქოს მეშინოდა, ჩემი განთავისუფლება არ გადაიფიქრონ და კვლავ ბნელ, პატარა და უჩ-

ვეულოდ მაღალჭერიან საკანში არ შემაბრუნონ-მეთქი. არ მახსოვს, შინ როგორ მივედი. დედაჩემი ფანჯარაში იცქირებოდა. ნუთუ მელოდა? რასაკვირველია, მელოდა. დილიდან საღამომდე მელოდა, საღამოდან დილამდე მელოდა. დარწმუნებული ვარ, ოთხი დღის მანძილზე დილას საღამო ცვლიდა, საღამოს დილა, ის კი ფანჯარასთან იდგა და მელოდა. კიბეზე გიჟივით ავირბინე. კარი ღია დამხვდა. დედაჩემი სასადილო ოთახში იდგა, იქიდან მიცქეროდა და ტიროდა. შესასვლელ კართან იმიტომ არ დამხვდა, არ უნდოდა, მეზობლებს მისი ქვითინი გაეგონათ. „დედა!" — ვიყვირე მთელი ხმით და საწყალი ქალი ხელში ავიტაცე. მერე სავარძელში ჩავსვი და დაჩოქილმა თავი კალთაში ჩავუდე. არ მინდოდა, დაენახა, როგორ ვტიროდი. არც ის მინდოდა დამენახა, როგორ ტიროდა. საბრალო ქალი ცდილობდა ხმადაბლა ეტირა. კეფაზე ცრემლები მეცემოდა, მაგრამ არ ვინძრეოდი. საკმარისი იყო თავი ამეწია, რომ უმალვე ბლავილი ამომხდებოდა. გადავწყვიტე, დედაჩემის კალთაში მანამ მქონოდა თავი ჩარგული, სანამ ტირილით გულს არ მოიჯერებდა და მეც საბოლოოდ არ დავმშვიდდებოდი.

მატარებელი სიბნელეში მიჰქროდა. სადგურების თანმიმდევრობისათვის ყურადღება აღარ მიმიქცევია და არ ვიცოდი, დაახლოებით სად ვიმყოფებოდით. უნებურად საათს დავხედე.

— თავი შეგაწყინეთ, არა? — მკითხა უცებ შეწუხებულმა.

მივხვდი, უტაქტოდ მოვიქეცი და სულელურად გავიღიმე.

— როგორ გეკადრებათ! უბრალოდ, დამაინტერესა, სად ვიმყოფებით. თუ ნებას დამრთავთ, ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი.

— დიდი სიამოვნებით.

მინდოდა ჩემი უტაქტობა გამომესწორებინა და სადღეგრძელოს დალევაც იმიტომ გადავწყვიტე.

ჩვენს უცნაურ შეხვედრას გაუმარჯოს. საერთოდ, [illegible]დაწყებული ურთიერთობ[illegible] საინტერესოდ ვითარდებიან ხოლმე. იმედი მაქვს, არც ჩვენი შეხვედრა იქნება გამონაკლისი.

ჭიქა ბოლომდე გამოვცალე.

— აგაშენათ ღმერთმა. გულზე მომეშვა. დაღლილს დასვენება არ გაცალეთ და თუ ჩემმა ნაამბობმაც არ დაგაინტერესათ, ორმაგად დასჯისათვის ნამდვილად ბოდიში უნდა მოგიხადოთ.

— რატომ გგონიათ? მე ხომ დიდი ყურადღებით გისმენდით.

— ყურადღებით ნამდვილად მისმენდით. მით უფრო დარწმუნებული ვარ, რომ სხვანაირ ფინალს ელოდით. მოულოდნელს, ღრმას, დრამატულს, გნებავთ ფილოსოფიურს, ჩვენს ციხეებს, უშიშროების კომიტეტსა და მსგავს ორგანოებს რომ „ეკადრებათ", არა, ბატონო ჩემო?

გამეღიმა.

— არ გეგონოთ, ზრდილობის გულისთვის გეუბნებოდეთ. ნამდვილად საინტერესო ამბავი მიამბეთ. თანაც ისე ოსტატურად და ხატოვნად, რომ თითქმის ვიზუალურად ვხედავდი თქვენს მიერ გადმოცემულ ეპიზოდებს. თუმცა, გულწრფელად გეტყვით, დასასრულს მაინც სხვანაირს ველოდი.

— „სხვანაირს!" — ამოიოხრა არჩილ გორდელმა და ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა. — ჩემს მოყოლილ ამბავს ნამდვილად სხვანაირი ფინალი აგვირგვინებს.

ბოლო სიტყვის წარმოთქმას დამცინავი ინტონაცია არ აკმარა და მარჯვენა ხელიც მაღლა ასწია.

— არც ისეთი გულუბრყვილო მინდა გეგონოთ, საბჭოთა კავშირში დაბადებული და ნახევარ საუკუნეს გადაცილებული კაცი მსგავსი ეპიზოდებით გაგაოცოთ.

— ჩემს თავგადასავალს ჰქონდა კიდეც სხვანაირი დასასრული, ტიან, ძალზე სხვანაირი და ტრაგიკული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული. სამწუხაროდ, იგი მხოლოდ თერთმეტიოდე თვის წინ გავიგე, დედაჩემის დასაფლავების დღეს...

გულში გამელიმა. სამოც წელს მიახლოებულს, ჩემი გულის მოსაგებად ნახევარ საუკუნეს გადაცილებული ამჯობინა.

პაუზა. სიგარეტი. ნაღვლიანი გამოხედვა.

— ქელეხი რომ დამთავრდა, ჩემთან ერთი მოხუცი კაცი მოვიდა და მთხოვა, გვერდზე გავყოლოდი. სტუმრები, თითოოროლა კაცს გარდა, წასულები იყვნენ. სუფრას მხოლოდ შინაურები და რამდენიმე ჩემი მეგობარი შემორჩენოდა. მთელი დღის ნერვიულობით დაღლილი მოხუცს მორჩილად გავყევი, ცარიელ მაგიდასთან ჩამოვჯექით და რაღაც უმნიშვნელო ამბის მოსასმენად უხალისოდ მოვემზადე.

— საწყალი დედათქვენი დიდი ქალი იყო! — დაიწყო მან და შეეცადა სკამზე მოხერხებულად დამჯდარიყო.

„ვინ არის, ან რა უნდა?“ — ვფიქრობდი გულში და მოხუცს გაოცებული მივჩერებოდი.

— მე თქვენ არ მიცნობთ. ან საიდან უნდა მიცნობდეთ, მამათქვენის ძველი ნაცნობი, უფრო სწორად, თანაკლასელი გახლავართ.

„ალბათ დათვრა ეს უბედური და ლაპარაკის სალერღელი აეშალა“, — გავიფიქრე მე და გადავწყვიტე, როგორმე თავი დამეძვრინა.

— მე, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, მინდა მოგითხროთ, როგორ გადაგარჩინათ დედათქვენმა ერთ დიდ უსიამოვნებას. მე ვიცი, რომ ამის თაობაზე დედათქვენს არავისთან და, მით უმეტეს, თქვენთან სიტყვა არ დასცდენია.

„რა უსიამოვნებას?“ — გულმა რეჩხი მიყო. ვიგრძენი, ძარღვებში სისხლი როგორ შემიდედდა.

— ხომ გახსოვთ, ხრუშჩოვის ჩამოსვლის მეორე დღეს რომ დაგაპატიმრეს?

— დიახ, მახსოვს.

— რა სისულელეს გელაპარაკებით! რასაკვირველია, გემახსოვრებათ! ოღონდ თქვენ შეიძლება არ იცოდეთ საქმის ყველა ნიუანსი. აეროპორტის გზაზე...

— ეგ ყველაფერი ვიცი! — შევძახე მოუთმენლად. ერთი სული მქონდა, მოხუცს სათქმელი სწრაფად დაესრულებინა. ვერ წარმომედგინა, დედაჩემი რით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ჩემს გადარჩენასთან.

— ჰო, რასაკვირველია, თქვენ ყველაფერი იცით. ოღონდ ერთი რამ კი ნამდვილად არ იცით. თქვენ გასამართლება და ათი წლის ციხე გელოდათ. ორთავე ძმას რუხაძეს და კიდევ თქვენს ერთ თანამზრახველს ათ-ათი წლის ციხე მისცეს.

— მე დამნაშავე არ ვყოფილვარ და იძულებულნი გახდნენ გავენთავისუფლებინეთ.

— „იძულებულნი გახდნენ...“ — ჩაიცინა უცნობმა მოხუცმა, — თქვენ იცით, რა დღე აყარეს მუავანაძესა და ინაურს, მესამე დამნაშავის პოვნა რომ შეუგვიანდათ? კინოფირი, თქვენ რომ ციხეში ნახეთ, საკმარისი იყო თქვენი დანაშაულის დასამტკიცებლად. კინოფირს თქვენი ბებიისა და მამის ამბავიც დაამატეთ. ყმაწვილო, შეთითხნილი საქმეებით განა ერთი და ორი კაცი დაუხვრეტიათ ჩვენი უშიშროების მუშაკებს?

— თქვენ ეს ყველაფერი საიდან იცით?

— კრწანისის დაცვის უფროსი გახლდით, — უცნობი მოხუცი რატომღაც დაფიქრდა, თითქოს რაღაცას იგონებსო. — ნუ ღელავთ, ყველაფერს დაწვრილებით გეტყვით. სანამ დედათქვენმა სპორტის სასახლესთან ხრუშჩოვის მანქანასთან კივილით მისვლა არ მოიწადინა, არც კი ვიცოდი, რომ

დაპატიმრებული იყავით. საბრალო ქალს ხელი სტაცეს, გვერდზე გაათრიეს. კივილი მაინც ვერ შეაწყვეტინეს. ხრუშჩოვმა, რასაკვირველია, გაიგონა დედათქვენის სასოწარკვეთილი კივილი, დიახ, კივილი, დღესაც რომ ყურში მიდგას და არ ამომდის! მერე ველარ გეტყვით, მოვლენები როგორ განვითარდა. ერთი კი ვიცი, დილის ცხრა საათზე ინაურის მოადგილემ დედათქვენი კრწანისში მოიყვანა. მერე მიამბეს, იმ სულძაღლს, რომ გაუგია დედათქვენი რას ითხოვდა, შეხვედრაზე თანხმობა განუცხადებია. ხრუშჩოვი ძალზე აგრესიულად დახვედრია, შენი შვილი მკვლელია და მკვლელივით უნდა დაისაჯოსო. ქალბატონი ნინო მუხლებზე დაცემულა და ხრუშჩოვისათვის ფეხები დაუკოცნია.

— კმარა! — ვიყვირე მე.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ მე შემომხედა.

— ღმერთო, რატომ არ მომკლავ! რატომ გიამბეთ მე ბრიყვმა, რატომ, რატომ... — ცრემლი მოერია მოხუცს.

თავი არ ამიწევია, მაგრამ ვიგრძენი, ყველა ჩვენ გვიყურებდა. წეღანდელი აურზაურის შემდეგ გამეფებული სიჩუმე გულზე ლოდივით დამაწვა. არ მინდოდა ვინმეს რამე ეგრძნო და გაეგო. თავს მოვერიე და ღიმილიც მოვახერხე.

— ღმერთი რატომ არ გამიწყრება... — დაიწყო ისევ მოხუცმა.

— ძალიან კარგი ქენით, რომ მომიყევით, — შევაწყვეტინე მე, — სხვანაირად ხომ ბოლომდე არ მეცოდინებოდა, ვინ იყო დედაჩემი.

და მოხდა სასწაული, ნამდვილი სასწაული! უცებ საკუთარი თავი დავინახე. იგი ჩემს პირდაპირ იჯდა და თვალებში შემომჩერებოდა. სადღაც გაქრა რესტორნის დარბაზი, სადღაც უფსკრულში ჩაინგრა მისი ბროლის ჭაღებით გაჩირაღდნებული კედლები და ჭერი, ჩემი საკუთარი თავის უკან, სივრცეში, თითქოს უსაშველოდ დიდი ეკრანი გაიჭიმა, სადაც ელვისებურად გაირბინა მთელმა ჩემმა ცხოვრებამ, ის დღე იყო და ის [illegible] სხვა კაცად ვიქეცი. ქუჩაში, შინ, სამსახურში, გაოგნებული დავდიოდი. მინდოდა მეპოვა კაცი, ვისაც ყველაფერს მოვუყვებოდი, მინდოდა მეპოვა კაცი, ვინც ყველაფერს გამიგებდა. დიდი ფიქრის შემდეგ თქვენ აგირჩიეთ. რამდენჯერმე დაგირეკეთ, საზღვარგარეთ ბრძანდებოდით. დღეს კი, თითქოს განგებამ ინებაო, სრულიად შემთხვევით შევხვდით. კარგად მენიშნა! დიახ, ვფიცავარ მაღალ ღმერთს, კარგად მენიშნა! დღეს მეტს აღარაფერს გიამბობთ. თბილისში დაგირეკავთ. უმორჩილესად გთხოვთ, არ მოგეხათროთ, თუ ჩემი მოსმენის სურვილი არ გექნებათ, პირდაპირ მითხარით. კაცობას გეფიცებით, არ მეწყინება. ან რატომ უნდა მეწყინოს. რა ვალდებული ხართ, უსმინოთ ჩემნაირი გარეგბული კაცის თავგადასავალს. ყურადღებისათვის კიდევ ერთხელ გწირავთ დიდ მადლობას! კარგად ბრძანდებოდეთ!

## თავი მესამე

### 1

ალბათ გაგაოცათ ჩემმა ზარმა, არა? რასაკვირველია, გაგაოცებდათ. ალბათ გაიფიქრეთ, რას გადამეკიდა ეს კაციო! არ გაუოცებიხართ?! ელოდით კიდეც?! დიდი მადლობა, დიდი მადლობა. ღმერთმა აგაშენოთ! მე თვითონ ვერ ვიტან აბეზარ ხალხს. კარგია, რომ აბეზარ კაცად არ მიმიღეთ. არც დაპატიჟება გაგიკვირდათ? ამასაც ელოდით? მრავალგზის მადლობელი ვარ თქვენი. იქნებ „ივერია“ არც კი გიყვართ და სხვა რესტორანი გერჩიათ სადმე? პირადად მე, გულწრფელად რომ გითხრათ, „ივერია“ ყველა რესტორანს მირჩევნია. ჭამა-სმის კაცი არ გახლავართ, სილამაზე და სისუფთავე კი ძალიან მიყვარს. უძვირფასესი კონიაკიც არაფერს ნიშნავს ჩემ-

თვის, თუ იგი ბროლის ლამაზი ჭიქით არ მომაწოდეს... თქვენც, არა? მიხარია რომ თქვენც ჩემი ხასიათი გქონიათ. თვითონ „ივერიაში", აი აქ, მეთექვსმეტე სართულის ამ კუპეში თუ კაბინეტში მიყვარს ამოსვლა. ოფიციანტებმა უკვე იციან ჩემი გემოვნება და ხასიათი. ყოველთვის წინასწარ ვრეკავ ხოლმე...

ხომ არ მოსწევთ? ინებეთ, ამერიკულია.. .თუმცა თქვენ ხომ არ ეწევით. ნება მიბოძეთ, მოვუკიდო. ღვინოს ინებებთ თუ კონიაკს? ღვინოს, არა? სამწუხაროდ, მხოლოდ „გურჯაანი" აქვთ. „გურჯაანი" გიყვართ? ძალიან კარგი. მე კონიაკს დავლევ. აბა ვნახოთ, რა კონიაკი მომიტანეს... როგორც ყოველთვის, „ენისელი"... არ იფიქროთ დიდი მსმელი ვიყო, ან რესტორნებში ვათენებ-ვაღამებდე. მხოლოდ მეგობართან ერთად მიყვარს შემოსვლა და საუბარი. დიახ, ხომ არ გაგიკვირდათ? რესტორანში ძირითადად მეგობართან სასაუბროდ შემოვდივარ ხოლმე. არ მიყვარს ქეიფი და ღრიანცელი. არც სმა და სიმღერაა ჩემი სტიქია. მოგეხსენებათ, ჩვენში ხშირად იმართება ხოლმე ხალხმრავალი სუფრები, დაგპატიჟებენ და წაუსვლელობაც არ იქნება. ხშირად თვითონაც გიხდება ხოლმე კაცს დიდი სუფრის გაშლა. ეს სულ სხვა რამაა. მსგავსი სუფრები სხვადასხვა მიზეზებთანაა დაკავშირებული. აი, ასე, როგორც დღეს, რესტორანში უმიზეზოდ შემოსვლა მხოლოდ სასაუბროდ მიყვარს. არც ის გეგონოთ, კონიაკს მოდის გამო ვსვამდე, ან ძალიან ვარჩევდე ერთმანეთისგან „ენისელსა" და „გრემს". სიმსუქნისკენ მაქვს მიდრეკილება და ნაკლები სითხის მიღებას ვამჯობინებ. ამ პატარა განმარტებას იმიტომ ვიძლევი, რომ ჰემინგუეივით კონიაკზე გადარეული კაცი არ გეგონოთ. დავლიოთ არა? იქნებ თქვენც კონიაკს მიირთმევთ? მხოლოდ ერთ ჭიქას? დიდი სიამოვნებით, ახლავე დაგისხამთ. თქვენ ნუ წუხდებით, მე თვითონ შეგივსებთ ჭიქას. დიახ, გაგვიმარჯოს! ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! გულწრფელად რომ გითხრათ, სულ ვფიქრობდი მატარებელში ჩვენი ერთი კვირისწინანდელ შეხვედრაზე. არ ვიცი, თქვენზე რა შთაბეჭდილება დავტოვე. იქნებ, აბეზარი გეგონეთ, იქნებ, ცოტა შერეკილიც... დღეს რომ დარეკვა გადავწყვიტე, გულახდილად გეტყვით, ვღელავდი. რამდენჯერმე გადავიფიქრე კიდეც... საბოლოოდ, მაინც დაგირეკეთ. თქვენს პასუხზე მივხვდი, რომ იმ საღამოს, მატარებელში, მაინცდამაინც არ დამიტოვებია მთლად შეშლილის შთაბეჭდილება. პირიქით? აგაშენათ ღმერთმა! გულწრფელად მიხარია, ამ სიტყვებს თუ დასამშვიდებლად არ მეუბნებით. ქართულ სუფრას ბევრი ნიუანსი აქვს, მაგრამ ერთი მაინც უმთავრესია. რასაკვირველია, შეგვეძლო ბაღშიც გველაპარაკა, მანქანაშიც, ქუჩაშიც, კაბინეტშიც ფინჯან ყავაზე. დამეთანხმებით, მსგავს გარემოში საუბარი მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა ან საქმიანი დიალოგი იქნებოდა, ოღონდ ყოველგვარ უშუალობას, განცდასა და ალბათ, გულწრფელობასაც მოკლებული. ქართულ სუფრას, თუნდაც ერთსაათიანს, მაგიური თვისება აქვს. იგი ელვის სისწრაფით აახლოებს ადამიანებს, წუთიერად სპობს იმ ბარიერებს, რომელთა მოსპობასაც, ჩვეულებრივ წელიწადი მაინც სჭირდება ხოლმე, ფარდობითობის თეორია, თუკი იგი მართლა გახლავთ სინამდვილის გამოხატულება, ყველაზე უფრო, ალბათ, ქართული სუფრის მაგალითით დამტკიცდება, აბა დააკვირდით და გაიხსენეთ, ხომ გყავთ ისეთი მეზობელი, ათი წელი რომ მაინც ცხოვრობს თქვენს გვერდით და მის ოჯახში ჯერ ფეხი არ შეგიდგამთ! უფრო მეტიც, ერთმანეთისათვის გამარჯობის გარდა რომ არაფერი გითქვამთ! გყავთ, ხომ? სუფრაზე კი სრულიად უცნობ ადამიან-

თან გატარებული ერთი საათი მეტია, ვიდრე მეზობლის გვერდით ნაცხოვრები ათი წელიწადი. ადამიანებს სუფრაზე ერთ საათში კი არა, ხუთ წუთში შეუძლიათ გახდნენ ახლობლები. განუყრელი მეგობრებიც კი! ყოველ შემთხვევაში, ქართული სუფრა მხოლოდ ჭამა-სმის რიტუალი როდია. ქართული სუფრა სიყვარულის გამოცხადების ასპარეზია. შეიძლება კაცს არ დაუმეგობრდე, მაგრამ ისიც იცი, რაკი მასთან სუფრაზე იჯექი და ჭიქა ღვინო ასწიე, მეორე დღიდან ვალდებული ხარ მას სხვა სითბოთი და გულისხმიერებით მიესალმო. დიახ, შეიძლება ფიქრობთ, ნუთუ ამ ორმოცდათვრამეტი წლის კაცს, საზოგადოებაში მიღებულსა და საკმაოდ მნიშვნელოვანი თანამდებობის მქონე პიროვნებას, ერთი მეგობარი მაინც არა ჰყავს ისეთი, ვისაც გულს გადაუშლისო?! წარმოიდგინეთ, რომ არ მყავს. თქვენ მწერალი კაცი ბრძანდებით და ალბათ ყველაზე უკეთ იცით, რა მარტოა ადამიანი. რომ ვამბობ, მეგობარი არა მყავს-მეთქი, ჭეშმარიტ მეგობრობას ვგულისხმობ, იმ ადამიანებზე როდი ვლაპარაკობ, ჩემს მეგობრებად რომ ასაღებენ თავს. ისეთი მეგობრები ბევრი მყავს, იმდენი, რომ მათ სათვალავს ველარ ავუდივარ! თვითონვე ვიცი, თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს საქართველოს სამთო ქიმიისა და გეოლოგიის სამმართველოს უფროსობა, მაგრამ არც მეტისმეტი თავმდაბლობა მინდა გამოვიჩინო. ჩემი დღევანდელი მდგომარეობა საკმარისია იმისათვის, რომ მეგობრები ბუზებივით მეხვიოს თავს. დიახ, ბუზებივით და მახვევია კიდეც. თითო ჭიქაც დავლიოთ. იქნებ კიდევ მიირთმევთ კონიაკს? კი, ბატონო, ახლავე შეგივსებთ ჭიქას. დიახ, მეგობრები ბუზებივით მახვევია, თუკი მათ ნამდვილად ჰქვია მეგობრები. ფიზიკაში ერკვევით? თუმცა საიდან უნდა ერკვეოდეთ, ალბათ ფილოლოგი ბრძანდებით, ან ისტორიკოსი, არა? ახ, მეტალურგი ხართ? საინტერესოა, ძალიან საინტერესო! სხვათა შორის, როცა თქვენს წიგნებს ან სტატიებს ვკითხულობდი, ვფიქრობდი ხოლმე, არ შეიძლება ამ კაცს რაიმე ტექნიკური განათლება არ ჰქონდეს-მეთქი მიღებული. ძალიან კარგი! ვფიქრობ, უფრო გამიადვილდება თქვენთან საუბარი. ფიზიკაზე მოგახსენებდით, როდესაც სინათლის ნაწილაკი აღმოაჩინეს, დიდხანს ფიქრობდნენ და სამართლიანადაც, რომ იგი ნაწილაკი იყო, მაგრამ გავიდა დრო და დადასტურდა მისი ტალღურობაც. იგი ორსახოვანი აღმოჩნდა. დიახ, სინათლის ნაწილაკი ერთდროულად ნაწილაკიცაა და ტალღაც! ასეთივე ორსახოვანია მეგობარიც. იგი ერთდროულად მეგობარიცაა შენი და მტერიც. მეგობარი მტერი კი ყველა მტერზე უარესია, დიახ, ყველა მტერზე უარესი! იქნებ თქვენ მითხრათ, ეგ მოსაზრება ნამდვილ მეგობრებზე არ ვრცელდებაო. გეთანხმებით! აი, ხომ ხედავთ, ლამის ყვირილით გეთანხმებით! ოღონდ დამანახეთ, სად არიან ნამდვილი მეგობრები! და თუ თქვენ გყავთ ნამდვილი მეგობარი, ან იცნობთ ვინმეს, ვისაც ჭეშმარიტი მეგობრობის გაწევა შეუძლია, გემუდარებით, გამაცანით, ერთი კაცი მაინც გამაცანით! ვაჭარბებ, არა? თქვენ დუმხართ და იღიმებით. ვიცი, დუმილი ყოველთვის არ არის თანხმობის ნიშანი. მით უმეტეს, თუ მას ღიმილიც ახლავს. არ იფიქროთ, ჩემს მოსაზრებებს გახვევდეთ თავზე, უბრალოდ, ჩემს გულისტკივილს გიზიარებთ. ერთ რამესაც მოგახსენებთ, შეიძლება გყავდეთ კიდეც კარგი მეგობარი... ხომ ხედავთ, მღელვარებით წარმოთქმული იმსიგრძე ტირადის შემდეგ რამოდენა დათმობაზე წავედი! დიახ, იქნებ გყავდეთ კიდეც კარგი მეგობარი, კეთილი, ერთგული, თქვენთვის თავდადებული, თქვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი... დიახ, იქნებ

გყავდეთ და ალბათ გყავთ კიდეც, მაგრამ მერწმუნეთ, მასთან გულახდილი საუბარი მაინც არ გამოგივათ, თუნდაც იმიტომ, რომ დაბალი ინტელექტის გამო შეიძლება ვერც კი ჩასწვდეს თქვენს გულისტკივილს. იქნებ შემეკამათოთ, განა არ შეიძლება, კარგი მეგობარი სათანადო ინტელექტის მქონე პიროვნებაც იყოსო?! ასეთი რამ, დარწმუნებული ვარ, ზღაპრებში თუ მოხდება. თანაბარინტელექტიანი ადამიანები შეიძლება მეგობრობდნენ კიდეც ერთმანეთთან, მაგრამ მათი მეგობრობის ხარისხი ვერასდროს ვერ მიაღწევს იმ დონეს, ნამდვილი მეგობრობა, ჭეშმარიტი, ამაღლებული მეგობრობა რომ ჰქვია! ნუ შემეკამათებით! სრული უფლება გაქვთ, ჩემი მოსაზრება არ გაიზიაროთ. ოღონდ, ნუ შემეკამათებით! მე, უბრალოდ, ჩემს გულისტკივილს, ჩემს შეხედულებებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოგახსენებთ და სულაც არ დამწყდება გული, თუ თქვენ ჩემს შეხედულებებს ნაწილობრივ მაინც არ გაიზიარებთ, ან საერთოდ არ დამეთანხმებით. ერთს კი გთხოვთ, აბა, დააკვირდით, და გემუდარებით, გულწრფელად მიპასუხოთ, ხანდახან სრულიად უცნობთან ან არც თუ ახლობელ ნორმალურ ადამიანთან განა უფრო გულწრფელი და ღრმა საუბარი არ გამოგვიდის, ვიდრე ახლობლებთან და იმ ადამიანებთან, მეგობრებად რომ მიგვაჩნია?! ტანაც, გვინდა თუ არ გვინდა, მაინც ისინი არიან ჩვენი მეგობრები და მაინც მათთან ერთად უნდა გავატაროთ მთელი ცხოვრება. გულწრფელად რომ გითხრათ, მე, ორმოცდათვრამეტი წლის კაცს, ჯერ არ მყოლია ისეთი მეგობარი, თუნდაც უბრალო ნაცნობი, ვისთანაც გულახდილი საუბრის სურვილი მექნებოდა. ჯერ კაციშვილისთვის არ მომიყოლია ის, რაც თქვენ უკვე გიამბეთ. საკმარისია ადამიანთან საუბრის დაწყებისთანავე მივხვდე, რომ იგი ვერ სწვდება რაიმე თუნდაც უბრალო ნიუანსს, ან ვერ გრძნობს შეფარულ ირონიას, რომ გუნება უმალვე მიფუჭდება და ლაპარაკის სურვილი მეკარგება. თქვენთან საუბრით კი, რაღაც შვება ვიგრძენი. მე უკვე იმ კაცს ვგავდი, საკუთარი განცდების მორევში რომ ვიხრჩობოდი. აი, გესაუბრეთ თქვენ და მორევიც ოდნავ დამშვიდდა, წყალმა დაბლა დაიწია და თითქოს შვებითაც ამოვისუნთქე. ამიტომ ნუ დამძრახავთ, ათასში ერთხელ თუ შეგაწუხებთ. ისევ კონიაკს მიირთმევთ თუ ღვინით შევივსოთ ჭიქა?

●

მაინც როგორი დღე იყო, თავის მოკვლა რომ გადაწყვიტა? იმ დილით გადაწყვიტა თუ უბრალოდ, იმ დღეს მოინდომა კარგა ხნის გადაწყვეტილების შესრულება? რასაკვირველია, მისი იმდღევანდელი და შემდგომი მოქმედებიდან გამომდინარე, არჩილ გორდელი უკვე კარგა ხანია ფიქრობდა, ამ ქვეყანას თავისი ნებასურვილით და თავისივე ხელით გამოსთხოვებოდა.

როგორ გათენდა მაინც ის საბედისწერო დღე?

2

დილით ერთბაშად მოიღრუბლა და წამოწვიმა. ყველას ეგონა, ოქტომბრის მიწურულს ნელა, მაგრამ საფუძვლიანად დაწყებული წვიმა შემოდგომის გაბმულ, მომაბეზრებელ უამინდობაში გადაიზრდებოდა. დღის ორი საათისათვის კვლავ მოიწმინდა. სასიამოვნო ნიავმა დაუბერა და სულ მალე ღრუბლებიც ნელ-ნელა სადღაც გაუჩინარდნენ. თბილისი ისევ აივსო შემოდგომის მზის სხივებით.

არჩილ გორდელი თავის კრიალა შავ „ვოლგასთან" მივიდა. მძღოლს ძრავა უკვე ჩაერთო და კარგად გამართული მანქანა თითქმის შეუმჩნევლად და რიტმულად გუგუნებდა.

არჩილმა მანქანის კარი გამოაღო.

სანამ ჩაჯდებოდა, უნებურად მაღლა აიხედა. ერთადერთი მრგვალი, პატარა ფუმფულა ღრუბელი პარაშუტივით მახათას მთისკენ მიემართებოდა და კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, სადაცაა არსენალის მიდამოებში დაეშვებაო.

არჩილ გორდელი მანქანაში ჩაჯდომას არ ჩქარობდა, „პარაშუტს" დაჟინებით მისჩერებოდა და ელოდა, მიწამდე როდის დააღწევდა. თეთრი „პარაშუტი" ქარმა შორს, ძალიან შორს წაიღო და სადღაც მახათას მთის გადაღმა გაუჩინარდა.

არჩილი მანქანაში ჩაჯდა. გარედან გაკრიალებული მანქანა შიგნითაც არანაკლებ კრიალებდა. სამთო ქიმიისა და გეოლოგიის სამმართველოს უფროსს მანქანა კარგად ესმოდა და მძღოლიც საგანგებოდ ჰყავდა შერჩეული. არაფერი ისე არ აცოფებდა, როგორც გაუმართავი მანქანა. თავდაპირველად ოთხი მძღოლი გამოიცვალა ზედიზედ, სანამ კოტე მღებრიშვილი არ იპოვა. კოტე ადრე პროფილაქტორიუმში მუშაობდა და მანქანა მართლაც დიდებულად იცოდა. თან ერთი შესაშური თვისებაც ჰქონდა, არასდროს უფროსის საქმეში ცხვირს არ ჩაჰყოფდა. ერთთავად სდუმდა. ხმას მხოლოდ მაშინ ამოიღებდა, როცა ბატონი არჩილი რამეს კითხავდა ხოლმე. დუმილს ისე მიეჩვია, მანქანას რომ დასძრავდა, უფროსს არც ეკითხებოდა, სად წავიდეთო. მოთმინებით, მაგრამ ყურადღებით ელოდა, ბატონი არჩილი მოკლე ბრძანებას როდის გადმოუგდებდა. საერთოდ, შოფრები კარგი ინფორმატორები არიან ხოლმე. ეს კარგად იცოდა არჩილ გორდელმაც. ვინ ვისზე რა თქვა, ვინ ვისი საყვარელია, ვინ ვის მტრობს, ვის რა სკანდალი აქვს ოჯახში და, რაც მთავარია, რა აზრისანი არიან თავის უფროსებზე.. აი, რამდენი ინფორმაციის მიღება შეუძლია კაცს თავისი მძღოლისაგან. არჩილ გორდელი ცთუნებას არასდროს აჰყოლია. უფრო სწორად, სირცხვილად მიაჩნდა მძღოლის დონეზე ჭორაობა და ინფორმაციის შეკრება.

ინფორმატორები სხვაც ბევრი ჰყავდა. თანაც ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ადამიანები და სრულიად საწინააღმდეგო ინფორმაციების მომწოდებელნი.

არჩილს მოსმენის ტექნიკაც მშვენივრად ჰქონდა დამუშავებული. იგი თვითონ არავის არაფერს ეკითხებოდა. როცა ინფორმატორები უფროსის გასაგონად ერთმანეთში დაიწყებდნენ საუბარს, ისეთ სახეს იღებდა, თითქოს მათი ნაამბობი არც აინტერესებდა და არც ესმოდა. დროდადრო ვიღაცას ურეკავდა, დროდადრო თვითონ ურეკავდნენ. კაცმა თუ არჩილ გორდელის ხასიათი კარგად არ იცოდი, მართლა გეგონებოდათ, რომ ინფორმატორების ნალაპარაკევს ერთი ყურიდან მეორეში ატარებსო. სინამდვილეში კი ცდილობდა, არცერთი სიტყვა არ გამორჩენოდა. სიტყვას ვინ დაეძებდა, ინტონაციასაც დაკვირვებით და ყურადღებით იჭერდა. მშვენივრად იცოდა, ხშირად ინტონაცია უფრო მეტ ქვეტექსტს შეიცავდა, ვიდრე თუნდაც დაწვრილებით და საინტერესოდ მოყოლილი ამბავი.

არც ინფორმატორები იყვნენ გულუბრყვილონი, მშვენივრად ჰქონდათ შესწავლილი უფროსის ბუნება. მათთვისაც ხელსაყრელი იყო ინფორმაციის მიწოდების ასეთი ფორმა. ისინი ერთმანეთთან თითქოს სხვათაშორის საუბრობდნენ, უფროსის გასაგონად და საყურადღებოდ არაფერს ამბობდნენ. თან მშვენივრად იცოდნენ, ვითომდა საქმეებში გართულ არჩილს, არცერთი მათი სიტყვა არ გამორჩებოდა. ზნეობის ნორმები ორივე მხრიდან იყო დაცული. ერთ მხარეს თითქოს სიტყვა არ მოჰქონდა, მეორე მხარე მათ შინაურულ საუბარს თითქოს არ უსმენდა. თანამშრომლების აზრით, ამგვარი ხერხით მიწოდებულ ინფორ-

მაციას დამამცირებელი გამოთქმა — სიტყვის მიტანა ვერ დაერქმეოდა.

მძღოლის დონემდე კი ნამდვილად არ დადიოდა. თავის თავს არ უტყდებოდა, თუმცა ერთი რამ მშვენივრად იცოდა, თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, ინფორმაციის მიღებას არც მძღოლისგან იუკადრისებდა. ისიც კარგად იცოდა, მძღოლს ზოგიერთი ისეთი ცნობის მოტანა შეეძლო, ყველაზე გამოცდილი ინფორმატორიც რომ ვერ მოიპოვებდა.

არჩილ გორდელს ერთი ჭეშმარიტებაც კარგად ჰქონდა გასიგრძეგანებული — ადამიანები მარტო ამბის მიმტანებად არ იბადებიან. ამბის მომტანები ამბის გამტანებიც რომ არიან, ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ყოველდღიური ცხოვრება ადასტურებდა. ბუნებრივია, ერთგული მძღოლის მიერ მოტანილი და გატანილი ამბები ვერაფრით ვერ დაბალანსირდებოდა. გატანილი ყოველთვის უმნიშვნელო იქნება მოტანილთან შედარებით, მაგრამ ამ უმნიშვნელოსაც არ უნდა გაეჟონა, კაცმა ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს. ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მძღოლი გაანთავისუფლოს? რა მოხდება მაშინ? ვინ აუკრავს პირს განაწყენებულ ადამიანს?

კოტე მღებრიშვილი თვითნაბად ოქროდ მიაჩნდა სამთო ქიმიისა და გეოლოგიის სამმართველოს უფროსს. ორმოცდათორმეტი წლის შეჭაღარავებული კაცი თავის ასაკთან შედარებით უფრო ხნიერად, მაგრამ საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებოდა. უკვე მეთხუთმეტე წელი იყო, არჩილ გორდელს ემსახურებოდა. დღესაც კარგად ახსოვს, სამუშაოზე გაფორმების წინ თავის ფართო და მშვენიერ კაბინეტში ძვირფასი ტყავის მბრუნავ სავარძელში დიდკაცურად გადაწოლილმა არჩილ გორდელმა მხოლოდ ერთი ფრაზა რომ გადმოუგდო ხმადაბლა, მაგრამ კატეგორიულად:

— ხვალიდან გაიკეთებ ჰალსტუხს.

კოტე მღებრიშვილი მიხვდა, ჰალსტუხი კოსტუმსაც და ყოველდღე წვერის გაპარსვასაც ნიშნავდა. სიტყვა არ შეუბრუნებია. თავდაპირველად ძალზე გაუჭირდა ჰალსტუხის ტარება, უხერხულობის გრძნობაც იპყრობდა. ეგონა, კოლეგები ჩუმჩუმად დასცინოდნენ კიდეც. მერე თანდათანობით შეეგუა. ერთი წლის თავზე უჰალსტუხობა ველარც კი წარმოედგინა.

არჩილ გორდელი თეატრალიც ბრძანდებოდა და რეჟისურაშიც კარგად ერკვეოდა. იცოდა, სანიმუშოდ მოვლილი, გაკრიალებული და ტელეფონიანი შავი „ვოლგა“ სერიოზულ და შთამბეჭდავ ატმოსფეროს ვერ შექმნიდა, თუ მის საჭეს მოდურ კოვბოურასა და იაფფასიან ჯინსებში გამოპრანჭული ბიჭი მიუჯდებოდა.

პირველი დღიდანვე მძღოლს ძუნწად, მაგრამ ბრძანების ხარისხში აყვანილ ინსტრუქციებსაც აძლევდა. „მანქანა თალის ქვეშ დააყენე. იცოდე, იქ მხოლოდ ჩემს მანქანას აქვს გაჩერების უფლება“.

„შესვენების დროს სხვა შოფრებში ჩამჯდარი და დომინოს მოთამაშე არ დაგინახო“.

„სიგარეტი ყოველთვის შენი გქონდეს. სხვისი, მითუმეტეს კოლეგის კოლოფისაკენ ხელი არ წაიღო. რაც მთავარია, იაფფასიანი სიგარეტი ხელში არ დაგინახო!“

კოტე მღებრიშვილი უსიტყვოდ ისმენდა ბრძანებებს და უსიტყვოდ ასრულებდა. !

მართალია, სუფრაზე სიმღერას ვერ იტანდა, მაგრამ მუსიკა ძალიან უყვარდა, ასაკიც ემატებოდა და კლასიკაც თანდათან უფრო იტაცებდა. ქალაქში შოფერს მაგნიტოფონს არასდროს ართვევინებდა. ქალაქგარეთ რომ გავიდოდნენ, კოტეს შეხსენება არ სჭირდებოდა. გასცდებოდნენ თუ არა დიღომს, ან აეროპორტს, ძალიან დაბალ

ხმაზე, უმალვე მაგნიტოფონს ჩართავდა.

არჩილი მანქანაში ყოველთვის უკან ჯდებოდა, მარჯვენა მხარეს. საზურგეზე დიდკაცურად გადაწვებოდა ხოლმე და მუსიკას მთელი გატაცებით უსმენდა, თან ათასგვარ საქმეზე ფიქრობდა. გრძნობდა, მუსიკის მოსმენის დროს უფრო სწრაფად და ნათლად აზროვნებდა.

არჩილ გორდელს ორი ინგლისური „დიპლომატი“ ჰქონდა. თუ ხელში სქელი „დიპლომატი“ ეჭირა, კოტემ უკვე იცოდა, რომ სადღაც შორს მიდიოდნენ, თანაც ორი ან სამი დღით. სამმართველოს უფროსი მძღოლს წინასწარ არასდროს არ ეუბნებოდა, ხვალ მივლინებით მივდივართო.

„მძღოლი და მანქანა ყოველთვის მზად უნდა იყოს ნებისმიერ ადგილზე ნებისმიერი დროით გასამგზავრებლად“ — ეს დებულება კოტესთვის არასდროს უთქვამს ხმამაღლა. თუმცა თქმა რად უნდოდა, პირველსავე თვეებში მძღოლმა უკვე შესანიშნავად იცოდა, ყოველგვარი მოულოდნელობისათვის მზად უნდა ყოფილიყო.

იმ საბედისწერო დილას... არჩილ გორდელი დროზე ადრე მივიდა სამსახურში, კაბინეტში რატომღაც ფეხაკრეფით შევიდა. კიდევ ერთხელ დაათვალიერა კარადები, დასასვენებელი ოთახი, სეიფი. კიდევ ერთხელ და უკვე უკანასკნელად გამოაღო მუხის მძიმე მაგიდის უჯრები. მშვენივრად იცოდა, რაც წასაღები იყო, უკვე წაღებული ჰქონდა. ყველაფერი მაინც საგულდაგულოდ შეამოწმა. მაგიდის მოპირდაპირე მხარეს, კაბინეტში შემოსასვლელი კარის თავზე მოგრძო ელექტრონის საათს გახედა. ცხრას ხუთი წუთი აკლდა, მდივანი კიდევ არ ჩანდა. თავი უკმაყოფილოდ გაიქნია, სავარძელში ჩაჯდა, საზურგეს მიაწვა და თვალები ჭერს გაუშტერა. ზუსტად ცხრაზე შეშინებულმა მდივანმა კაბინეტში შემოჰყო თავი.

— დილამშვიდობისა, ბატონო არჩილ, ასე ადრე მობრძანდით?!

— გთხოვთ, ყავა მომიტანეთ, — გადაუგდო პასუხად მდივანს.

სამსახურში ყველა თანამშრომელთან მხოლოდ თქვენობით ლაპარაკობდა.

მდივანმა უმალვე კარი გაიხურა. არჩილმა სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა.

— გისმენთ, ბატონო! — გამოეპასუხა მდივანი.

— შვიდთვიანი ხომ არ ბრძანდებით? — სცადა გახუმრება არჩილმა.

— გისმენთ! — დაიბნა მდივანი. ამდენი წლის მანძილზე პირველი შემთხვევა იყო, არჩილ გორდელი რომ გაეხუმრა. არა და, უკვე მეხუთე წელია, მასთან მუშაობდა. სამმართველოს უფროსად რომ დანიშნეს, მდივანიც თან გადმოიყვანა. ამის თაობაზე დაბადებული და ულიმღამოდ აგორებული ჭორი უმალვე ჩაქრა. მალე ყველას შეუყვარდა სიმპათიური, თავაზიანი და საქმიანი ოცდაოთხი წლის ქალიშვილი.

— დღეს ვერავის მივიღებ. თუ ვინმემ დარეკოს, უთხარით, რომ სამინისტროში ვარ.

— გასაგებია.

არჩილ გორდელმა მთავრობის ტელეფონი და ის ტელეფონებიც გამორთო, რომელთა პარალელები მდივანთან არ იყო გაყვანილი.

ფიქრში წასულმა ვერც კი გაიგო, მდივანმა ყავა როდის შემოუტანა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა, ქალიშვილმა რომ კარი ფრთხილად გაიხურა. ნაღვლიანად ჩაიცინა და ფინჯანს დასწვდა.

„მაშ დამთავრდა ჩემი სიცოცხლე!“ — გაიფიქრა ერთგვარი სინანულით და წელანდელი ნაღვლიანი ჩაციება ბაგეებზე შეახმა.

ფეხზე წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა. ქუჩა მანქანებით იყო გადატვირ-

თული, ღრმა ფიქრში წასული ვერც კი ამჩნევდა ერთმანეთის საპირისპიროდ მდორედ მოძრავ რკინის ორ მდინარეს.

„სულ რამდენიმე საათში გავიგებ უკვდავია თუ არა სული“, ვერ იტყოდი, ეს მოსაზრება რომ მხოლოდ სერიოზულად, იუმორის გარეშე წარმოთქვა გონებაში. დასკვნაც უმალვე გამოიტანა, — „თუ სული უკვდავია, მხოლოდ მაშინ გახდება დასაჯერებელი იმქვეყნიური ცხოვრება. ხოლო თუ არა, მაშინ, ხომ ვერაფერს გავიგებ მარადიულ სიბნელესა და დუმილში“.

ოდნავ გასაგონად გაეცინა. თვითონვე მიხვდა, ბოლო ფრაზა ზედმეტად პათეტიკური რომ გამოუვიდა.

უნებურად „ვალტერით“ დამძიმებული პიჯაკის ჯიბეზე ხელი მოიკიდა. საკუთარი გულის ხმა გაიგონა და ხელი სწრაფად ჩაუშვა.

„ხომ არ მეშინია?“

ფიცხლად შემობრუნდა, დასასვენებელ ოთახში გავიდა და პალტოების საკიდის გვერდით მოთავსებულ გრძელ სარკესთან მივიდა. შეკრთა, საკუთარი სახე არასდროს დაუნახავს ასე გაფითრებული.

„ნუთუ მეშინია?“

თავი უმალვე დაიმშვიდა. სხვა დროს, სიბრაზისგან ან წყენისაგან გაფითრებულს, სარკეში არასდროს ჩაუხედავს. ალბათ იმ წუთებშიც ზუსტად ისევე გამოიყურებოდა, როგორც ახლა.

საკუთარი თავი შეათვალიერა. კმაყოფილი დარჩა. უნაკლო იტალიური მუქი ლურჯი კოსტუმი, ქათქათა ინგლისური თეთრი პერანგი და ლურჯწითელ ზოლებიანი ჰალსტუხი ძალზე უხდებოდა მის გაფითრებულ სახეს. რაც დრო გადიოდა, სიმსუქნისაკენ მიდრეკილება უძლიერდებოდა და ლოყებიც უწითლდებოდა, იცოდა, მოწითალო, მსუქანი ლოყები მის გამოხედვას კმაყოფილი კაცის პროვინციულ, უინტელექტო იერს აძლევდა. ამიტომაც ცდილობდა, წონა [illegible] მე შეენარჩუნებინა. ნემსის [illegible] ბოდა, ვარჯიშობდა, დიეტას იცავდა, ყველა ღონეს ხმარობდა, გამოხედვაში თუ მანერებში დახვეწილობა, ინტელიგენტურობა შეენარჩუნებინა. ამ წუთში თავისი თავი მართლა მოეწონა. მიხვდა, სწორედ გაფითრებულმა სახემ მისცა ინტელექტუალური იერი. სარკიდან არჩილ გორდელს მისთვის კარგად ნაცნობი, ცხოვრებით კმაყოფილი ლოყაწითელა პროვინციელი კი არა, დახვეწილი, მგრძნობიარე, დაფიქრებული და ოდნავ ნერვიული ინტელიგენტი შემოსცქეროდა. იცოდა, მთელი ცხოვრება ვიღაცას ეჯიბრებოდა. ცდილობდა თავის თავს არ გამოსტყდომოდა, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გაურბოდა. თუმცა იმ ადამიანის სახელის ხსენებას ფიქრშიაც კი ერიდებოდა. ღლენიადაგ წვალობდა, განსაკუთრებით გამოეჩინა თავისი არისტოკრატულობა. თუმცა სულ ეჭვი ქლავდა, რომ ევროპელი ინტელიგენტის თამაში მაინცდამაინც არ გამოსდიოდა. ყოველთვის ძვირფასი და გემოვნებით შერჩეული ტანსაცმელი ამშვენებდა. სპორტის სახეებსაც ისეთს არჩევდა, არისტოკრატული რომ ეთქმოდა, კვირაში ორჯერ ჩოგბურთს თამაშობდა, ერთხელ ცხენოსნობაზე დადიოდა. თვითონ ყველაზე უფრო ცურვა უყვარდა, მაგრამ ბოლო წლებში ცურვა მაინცდამაინც აღარ ითვლებოდა რჩეულთა სპორტად.

ყოველ წელს იცლიდა, ზაკურიანში ორი კვირით მაინც ასულიყო. ძვირფასი ავსტრიული თხილამურებითა და ფრანგული სათხილამურო კოსტუმი ძალზე უხდებოდა. საშუალოზე ოდნავ მაღალს პროპორციული და მოხდენილი ტანი ჰქონდა. სალამოობით რესტორანში ნაცნობს და უცნობს თითქმის ყოველთვის თვითონ მასპინძლობდა. თბილისიდან რამდენიმე ყუთი „ენისელი“ მიჰქონდა, მოსწონდა, ყვე-

ლამ რომ იცოდა, არჩილ გორდელი მხოლოდ „ენისელს“ სვამსო, სიგარეტსაც მხოლოდ ამერიკულს ან თავის განუყრელ ჩიბუხს ეწეოდა. ასაკის მომატებასთან ერთად მისი სპორტულობაც ქვეითდებოდა. ახალგაზრდებს მაინც მოსწონდათ, ორმოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული კაცი ნამდვილი სპორტული ცხოვრებით რომ ცხოვრობდა. ოცი-ოცდახუთი წლის ბიჭებსა და ქალიშვილებს ხომ ნახევარ საუკუნეს გადაცილებული ხალხი გაცილებით ხნიერი ჰგონიათ, ვიდრე ისინი სინამდვილეში არიან.

არჩილ გორდელმა საათს დახედა. თერთმეტი სრულდებოდა. „როდის გავიდა ამდენი დრო?“ — გაოცებულმა იქვე, კედელზე ჩამოკიდებულ საათს შეხედა, შემდეგ დასასვენებელი ოთახიდან კვლავ კაბინეტში გავიდა და დრო ელექტროსაათზეც შეამოწმა. ან კი რა შემოწმება უნდოდა, წარმოუდგენელი იყო, მისი „ომეგა“ წინ წასულიყო.

ისევ ტყავის მძიმე სავარძელში მოკალათდა და თავი ხელებში ჩარგო.

„ახლა თერთმეტი საათია. თორმეტზე „ივერიაში“ ვიქნები. პირველ საათზე კი...“

„რა მოხდება შემდეგ?“

„ნახევარ საათში მთელ თბილისს მოედება ჩემი თვითმკვლელობის ამბავი. ვინ იცის, რას არ იტყვიან...“ — არჩილ გორდელის თვალწინ უამრავი ადამიანის სახემ გაირბინა. მათ შორის მტერიც ბევრი იყო და მოყვარეც. ძირითადად იმ ხალხზე ფიქრობდა, ვისაც მისი სიკვდილი გულს დასწყვეტდა ან ძალიან გაახარებდა. იგი ნელ-ნელა და საფუძვლიანად თავის ყველაზე საყვარელ და ყველაზე საძულველ ადამიანებს უთმობდა გონების ეკრანს. აი, მისი მეუღლე — „ქალბატონი ლონდა“ იგი ხომ გულში დაცინვით ასე უძახდა საკუთარ მეუღლეს.

„ეწყინება, ჩემს სიკვდილს რომ გაიგებს?“

არჩილ გორდელი სიცოცხლეს ხელმეორედ გაიღებდა, ოღონდ [illegible] დანახა, ზღვისფერთვალება ლონდას სახეზე რა გამოეხატებოდა, ქმრის თვითმკვლელობის ამბავს რომ გაიგებდა.

„რასაკვირველია, ეწყინება. ცოტა, ალბათ, ჩემზეც დასწყდება გული. უფრო დიდი ელდა კი ის იქნება, თბილისის რჩეული საზოგადოებიდან უცებ სადღაც ფსკერზე რომ გაადენს ზღართანს“.

არჩილ გორდელი დარწმუნებული იყო, ლონდა გულწრფელად დაიტირებდა ტრაგიკულად გარდაცვლილ მეუღლეს. განა ცოტაჯერ შესწრებია და უნახავს ლონდას მსგავსი ქალბატონები როგორ დასტირიან და გლოვობენ გარდაცვლილ მეუღლეებს? არჩილ გორდელმა ისიც მშვენივრად იცოდა, რა ატირებდათ ამ ქალბატონებს. რასაკვირველია, დაკარგული კეთილდღეობა და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში დაკარგული ადგილი. ლონდამ და მისმა მსგავსმა ქალბატონებმა მშვენივრად იციან, მეუღლესთან ერთად უზრუნველ ცხოვრებასაც რომ ასაფლავებენ.

არჩილ გორდელს მოულოდნელად შურისძიებით გამოწვეული ტკბობა დაეუფლა და გულში დამცინავად ჩაიცინა.

„დათო, ჩემო დათო?“ — არჩილს თვალწინ დაუდგა თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი. თავიდან, როცა მათ ოჯახს და ცოლ-ქმრულ ურთიერთობას დალაგებული ეთქმოდა, „ქალბატონმა ლონდამ“ აღარ ისურვა მეორე შვილის გაჩენა. დათო მართლა სიგიჟემდე უყვარდა არჩილს. საოცარი სურვილი ჰქონდა, შვილთან ემეგობრა, მასთან ერთად ემოგზაურა, არჩილ გორდელის ტრაგედია ის იყო, რომ შვილი მამასთან არამცთუ მეგობრობის, ლაპარაკის სურვილსაც არ ამჟღავნებდა. არჩილმა იცოდა, შვილი სხვა, სრულიად განსხვავებული შეხედულებების მქონე ახალგაზრდა იყო და მამის

ცხოვრების გზა არ მოსწონდა. მხოლოდ ის ამშვიდებდა, დათო რომ დედას საერთოდ ვერ იტანდა.

„ნუთუ დათომ ყველაფერი იცის?“— ეჭვი ჭიასავით უღრღნიდა გულს.

ერთ მშვენიერ დღეს გაირკვა, რომ შვილს ყველაფერი სცოდნია. გაირკვა იმ დღეს, როცა...

არჩილ გორდელს აღარ უნდოდა, ფიქრი ამ მიმართულებით გაეგრძელებინა.

„მოიწონებს ჩემს საქციელს? ოდნავ მაინც ავმაღლდები შვილის თვალში? ბოლოს და ბოლოს, განა მე ყველაფერს მხოლოდ შვილის ხათრით არ ვითმენდი?“

არჩილს სირცხვილმა ლოყები დასწვა და უმალვე უკან დაიხია.

„არა, მარტო შვილისთვის როდი ვითმენდი ამდენ უბედურებას. რასაკპირველია, ჩემი კარიერისთვის, რაკვირველია, ოჯახის კეთილდღეობისთვისაც. საბოლოო ჯამში განა ოჯახის კეთილდღეობა იგივე შვილის კეთილდღეობა და ბედნიერება არ არის?!“

თვითონვე მიხვდა, თავის მართლება არ გამოსდიოდა. მშვენივრად იცოდა, მისი ამაყი შვილისათვის ოჯახური კეთილდღეობა სულ სხვა რამეს ნიშნავდა.

„ვფიქრობ, თავის მოკვლა მაინც ამამაღლებს შვილის თვალში. გახვრეტილი საფეთქელი რაღაც სისუსტეებს მაინც ჩამომაწერს“.

გულში წარმოთქმულმა ბოლო ფრაზებმა ერთგვარი შვება და კმაყოფილება მოჰგვარა. ფეხზე წამოდგა, კაბინეტში გაიარ-გამოიარა და ისევ საათს დახედა. თორმეტის ათი წუთი იყო.

„რა სწრაფად გადის დრო!“

ისევ სავარძელთან მივიდა, სელექტორის კლავიშისაკენ ხელი წაიღო, უნდოდა მდივანი გამოეძახებინა. უმალვე გადაიფიქრა. ოცნებაში იგი ყველა მნიშვნელოვან ნაცნობ-მეგობარს გაესაუბრა და გამოეთხოვა. ზოგზე მხოლოდ თავისი მოსაზრებანი გამოთქვა. ოჯახს შემდეგ თითქოს არაფერი დარჩა მოსაგონებელი.

დარჩა, როგორ არ დარჩა, თავისი პირველი სიყვარული მანანა შელია.

„მანანა შელია!“

აი, ვისი სიყვარული ვერ გადახარშა არჩილ გორდელმა.

არა, არავითარი სიყვარული!

მანანასადმი მის გრძნობებს სიყვარული არ ეთქმოდა.

მანანა უყვარდა. რასაკვირველია, უყვარდა. უფრო მეტიც, სიგიჟემდე უყვარდა. არჩილ გორდელი ბევრჯერ შეებრძოლა საკუთარ გრძნობებს. უნდოდა მანანასადმი სიყვარული ერთხელ და სამუდამოდ ჩაეკლა გულში. თითქოს აჯობა კიდეც საკუთარ თავს. თუმცა მანანაზე ფიქრი თავიდან ვერ ამოიგდო. ვერა და ვერ დაივიწყა ის შიში და სისუსტე, ქალიშვილის უკიდურესი გაჭირვების ჟამს რომ დაეუფლა. ვერა და ვერ დაივიწყა ის თავისი სილაჩრე და უძლურება, საკუთარი თავი რომ ლამის შეაზიზღა.

„თუმცა რა დანაშაულზეა ლაპარაკი! ვახსოვარ კი მანანას საერთოდ?! ვნიშნავ კი რაიმეს მისთვის? იქნებ კმაყოფილი ღმერთს მადლობას სწირავს, დროზე რომ გამომჟღავნდა ჩემი პიროვნული უძლურება და სიღარიბე?“

არჩილ გორდელს რცხვენოდა საკუთარ თავს გამოსტყდომოდა, თითქმის ყველაფერს მანანასა და მისი მეუღლის სოსო ხომერიკის ჯიბრზე რომ აკეთებდა. დღენიადაგ ცდილობდა, მისი ყოველი წარმატებული ნაბიჯი მანანასა და სოსო ხომერიკის ყურამდე მისულიყო.

ვერც დრომ, ვერც წარმატებებმა არჩილ გორდელის სულსა და გონებას ვერ ჩამოაწერა ის საბედისწერო ნაბიჯი, ჭაბუკობაში რომ ვერ გადადგა.

ცხოვრებას ლოგიკური და ულმობელი კანონები აქვს და წამიერ შე-

ყოვნებასაც არ გაპატიებს, ნაზიჯი, რომელიც არჩილ გორდელმა ვერ გადადგა, გადადგა სწვამ, მისივე სკოლის მეგობარმა სოსო ხომერიკმა.

2

სოსო [ხომერიკი.

სოსო ხომერიკი.

ჩემს გონებაში ისევ დატრიალდა არჩილ გორდელის პანაშვიდზე გადაღებული ვიდეოფირი. ჰალის ძირში ისევ დავინახე სამოც წელს მიღწეული ელეგანტური ქერა კაცი. თუმცა მთლად ქერა არ ეთქმოდა. უფრო წაბლისფერისაკენ იხრებოდა. გამხდარიაო, ვერ იტყოდი, თუმცა მსუქანი სრულებით არ ეტყობოდა. სადად და მოხდენილად ეცვა. გემოვნებით შერჩეული ნაქსოვი ჰალსტუხი, მოდურ უჯრედებიანი პიჯაკი და ოქროსჩარჩოიანი სათვალე უცხოელის იერს აძლევდა.

სოსო ხომერიკი.

რატომ ავირჩიე, მაინცდამაინც ის კაცია-მეთქი სოსო ხომერიკი, არჩილ გორდელის პანაშვიდზე ჩემი ყურადღება რომ მიიქცია?!

იქნებ ჩემმა მწერლურმა ინტუიციამ მიკარნახა?

იქნებ ტელეპატიური სიგნალი მივიღე?

იყო კი მართლა ის კაცი სოსო ხომერიკი, მე რომ პანაშვიდზე შევნიშნე? იმ რამდენიმე ასეული კაციდან, არჩილ გორდელის სადარბაზოსთან რომ ტრიალებდა, რატომ მაინცდამაინც იმ უცხოელის მსგავსმა კაცმა მიიქცია ჩემი ყურადღება? იქნებ სწორედ იმიტომ, უცხოელს, უფრო ზუსტად კი ავსტრიელსა თუ შვეიცარიელ გერმანელს რომ ჰგავდა?!

განა არჩილ გორდელის მიერ აღწერილი სოსო ხომერიკის პორტრეტი ჰგავდა ამ უცხოელის მსგავსი კაცის პორტრეტს?

მხოლოდ სათვალე?

განა დღეს ყოველ მესამე თუ მეოთხე კაცს არ უკეთია სათვალე?

თუმცა იმავე წუთში [illegible] მივხვდი, სწორედ ეს კაცია-მეთქი სოსო ხომერიკი.

პანაშვიდის დღეს მხოლოდ ერთი რამე ვიაზრე, კაცი, უჯრედებიანი პიჯაკი რომ ეცვა და ოქროსფერჩარჩოიანი სათვალე რომ ეკეთა, რაღაც ძლიერი ძაფით იყო დაკავშირებული არჩილ გორდელის ცხოვრების ტრაგიკულ სიუჟეტთან. დასაფლავებიდან მესამე თუ მეოთხე დღეს, არჩილ გორდელის მიერ ნაამბობი ყველა დეტალი რომ გავიხსენე, ერთბაშად მივხვდი, ავსტრიელს თუ შვეიცარიელ გერმანელს რომ კაცი ჰგავდა, სწორედ ის იყო სოსო ხომერიკი.

გათენდა თუ არა, დილიდანვე შევუდექი ჩემი ეჭვის დაზუსტებას.

არ შევმცდარვარ.

ვფიქრობ, ტრაბახში არ ჩამითვლით თუ ვიტყვი, ჩემმა მწერლურმა ინტუიციამ რომ ფრთები შემასხა. უკვე აღარ მეშინოდა, უფრო ღრმად შევჭრილიყავი არჩილ გორდელის ცხოვრების არსში, უფრო თამამი დასკვნები გამეკეთებინა და უფრო დიდი ადგილი დამეთმო ჩემი ფანტაზიისათვის. უფრო სწორად, რეალობას დაყრდნობილი ფანტაზიისათვის. რაც მთავარია, ვგრძნობდი, გემში უკვე ვიჯექი. ახლა მთავარი იყო ყველა საჭირო კაიუტის კარი გამომეღო და შიგ დაკვირვებით შემეხედა.

## თავი მესამე

1

— უცნაური თვისება მჭირს, ბატონო ჩემო, ფეხსაცმელი ან ტანსაცმელი რომ დამიცვდება, არაფრით გადასაგდებად არ მემეტება. სულ ვფიქრობ, რატომ უნდა გადავაგდო, ხომ შეიძლება მომავალში გამომადგეს-მეთქი? რაღაში უნდა გამომადგეს

დღეს ძველი ტანსაცმელი?! არაფერში! თქვენ ხომ თითქმის ჩემი ასაკისა ბრძანდებით და ვფიქრობ, არც თქვენთვის უნდა იყოს უცხო ეს თვისება. და თუ უცხო არ არის, მაშინ დამეთანხმებით კიდეც, რომ იგი ომისა და ომისშემდგომი გაჭირვებული წლების რელიქტია. დიახ, შემორჩენილი ჩვეულებაა. ვიცი, კარგად გემახსოვრებათ ჩვენი მაშინდელი გაჭირვება, ხშირად შიმშილიც კი. ჩემს მეუღლეს სასაცილოდ არ ჰყოფნის ჩემი უცნაური ახირება, რასაკვირველია, თუ იგი მართლაც ახირებაა და თანაც უცნაური. ჯერ ხეირიანად არც კი მაქვს რაიმე გაცვეთილი, ფეხსაცმელი იქნება ეს, კოსტუმი თუ პერანგი, რომ უკვე ამაოდ ვეძებ კარადაში. ერთ მშვენიერ დღეს ჩამოვდივარ ეზოში და რას ვხედავ, მეზობელი შოფრის ბიჭი დავინახე ჩემს ავსტრიულ კოსტუმში გამოწყობილი. სასაცილოა, არა? ვერ დამეთანხმებით, ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით. არა მგონია, სასაცილო იყოს! ჩვენი შვილებისათვის... თქვენ რამდენი გყავთ? სამი? ღმერთმა სამთავე გაგიზარდოთ და გიბედნიეროთ. მე, მგონი უკვე გითხარით, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი, ერთი შვილი მყავს (ჩიბუხი, კონიაკი). დიახ, ბევრი რამ ჩვენთვის რომ წმიდათაწმიდაა და ორგანული, ჩვენი შვილებისათვის გაუგებარია და ხშირად სასაცილოც. და იცით რატომ? ჩვენ მათზე მარტო განსხვავებული წლების რაოდენობით კი არა, სამამულო ომით ვართ უფროსი, დიახ, სამამულო ომით!

პაუზა, კონიაკი. სახის კმაყოფილი გამომეტყველება. ვატყობ, თავისი ფორმულით თვითონვე ტკბება.

„ჩვენ მათზე სამამულო ომით ვართ უფროსი!"

ეჭვიც არ ეპარება, რომ მის მიერ ხაზგასმულად და პათეტიკურად წარმოთქმული ფრაზა მეც მომეწონა.

დასამალი არაფერია, მართლა მომეწონა.

— ხომ არ დაიღალეთ? თუ გნებავთ, მეტს აღარ მოვწევ. არ გეწყინებათ? ძალიან კარგი! ნუ გაგიკვირდებათ, და თქვენთან სასაუბროდ რომ ვემზადებოდი, ვფიქრობდი, როგორ მელაპარაკა. აწეული, ამაღლებული ინტონაციით, მაღალფარდოვნად თუ სადად, ან იქნებ ისე, ჩვეულებრივ რომ ვლაპარაკობ ხოლმე. ბუნებრივია, ყველაზე ნორმალურია ილაპარაკო ჩვეულებრივად, ძალდაუტანებლად, ზუსტად ისე, საერთოდ რომ ლაპარაკობ ხოლმე, არ მიყვარს საზოგადოებაში ნაკითხობის ან განათლების გამოჩენა. პროვინციალიზმია. ეს და მეტი არაფერი! აი, მაშინ, მატარებელში, და დღესაც, ვცდილობდი და ვცდილობ, რაც შეიძლება, სადად გესაუბროთ. არ გამომდის. ეტყობა, მაინც ვღელავ. მთელი ერთი ოქტავით მაღლა ვლაპარაკობ. ერთი ოქტავით მაღალ ტონალობას, თუ თავიდანვე სასაცილოდ არ მოგეჩვენებათ, ალბათ კიდევ გაუძლებს კაცი, მაგრამ ჩემს საუბარს არც გალიზიანება და გესლი აკლია, არა? უნდა მომიტევოთ. შემდგომი შეხვედრები და საუბრები ალბათ უფრო უშუალო იქნება.

პატარაობიდანვე უსიუჟეტო, არეული სიზმრები ვიცოდი. არ მახსოვს, მგონი, ორმოცი წლისა ვიყავი, ფერადი სიზმარი რომ ვნახე. პირველად მაშინ მივხვდი, მანამდე რომ მხოლოდ შავ-თეთრ სიზმრებს ვხედავდი. დღევანდელ დღემდე კიდევ რამდენჯერმე ვნახე ფერადი სიზმარი. ალბათ სულ ხუთჯერ თუ შვიდჯერ. თქვენ არ ნახულობთ? ნახულობთ, არა? ძალიან სასიამოვნოა. ჰოდა მაშინ საერთოდ არ ვიცოდი, ფერადი სიზმრები თუ არსებობდა. არც მე მენახა, არც სხვისგან გამეგონა! რატომღაც ერთი აზრი დამებადა და ვფიქრობ, არ უნდა იყოს ჭეშმარიტებას მოკლებული, ფერადი სიზმრები მას მერე გვესიზმრება, ფერადი კინო რომ გამოიგონეს. იქნებ ვცდები? ადვილი შესაძლებელია. ყო-

ველ შემთხვევაში, მე ასე მჯერა. ისევ კონიაკი დაგისხათ? დიდი სიამოვნებით. ერთი ბოთლი კიდევ დავლიოთ, ახლავე შევუკვეთავ. მე უკვე მომეკიდა სასმელი. ვღელავ და იმიტომ მომეკიდა. ალბათ ენამჭევრიც გავხდი, არა? რა ბრძანეთ? არა, ხომ! თქვენ ალბათ მამხნევებთ, განა თვითონვე არ ვგრძნობ, რომ ენად გავიკრიფე! შევეშვათ ფერად სიზმრებს და მისი წარმოშობის მექანიზმს, თქვენის ნებართვით, ერთი ბავშვობისდროინდელი ეპიზოდი მინდა გავიხსენო.

დიახ.... ერთ მშვენიერ დილას, თუკი ასეთ დილას მშვენივრი შეიძლება ეწოდოს, ერთდროულად დამესიზმრა ბაბუაც და მამაც, დედაც და მეგობრებიც. მაშინ თერთმეტი წლისა ვიყავი. შიგადაშიგ თვალსაც ვახელდი. თითქოს ვგრძნობდი, სინამდვილე და სიზმარი რომ ერთმანეთში იყო არეული, დიახ, სხვებთან ერთად ბაბუასაც ვხედავდი და მამასაც, გარკვევით ვხედავდი. თან მათი ხმაც მესმოდა. აშკარად მესმოდა. აგერ რადიოს ხმაც... დიახ, რადიოს ხმაც ნამდვილი იყო. და თუ ეს ყველაფერი სიზმარში არ ხდებოდა, მაშინ რატომ ვხედავდი ცამდე ავარდნილ მტვერსა და ქარბორბალას?!

თანდათანობით იძალა ბაბუას ხმამ. ცამდის ავარდნილი მტვერი უცებ გაფერმკრთალდა და გაქრა. ქიმიურ ხსნარში გამოსამჟღავნებლად ჩაგდებული ფოტოსურათივით ნელ-ნელა და მკაფიოდ გამოიხატა ნაცნობი შპალერის მკრქალი მოვარდისფრო ყვავილები.

საეჭვო აღარაფერი იყო, ბაბუას ხმამაღალმა ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ სიზმარი რეალობაში გადაიზარდა. ოთახში დედაჩემი შემოვიდა.

— ადექი, შვილო, ბაბუა გეძახის! — დღესაც ყურში მიდგას მისი უცნაური სველი ხმა. გაოგნებულმა ისიც კი გავიფიქრე, კვლავ სიზმარი ხომ არ გრძელდება-მეთქი. ლოგინზე წამოვჯექი და დაბნეული ვცდილობდი გავრკვეულიყავი, ჩემს ირგვლივ რა ხდებოდა.

სულით-ხორცამდე შემაძრწუნა დედაჩემის ნამტირალევმა თვალებმა და აშლილმა სახემ. შეშინებული სწრაფად წამოვხტი და საბაზანოს მივაშურე. პირს ნელა ვიბანდი, არ ვჩქარობდი. თან ვცდილობდი, თითქმის ყვირილით მოლაპარაკე ბაბუაჩემის სიტყვები დამეჭირა. კბილებს ნელა და საფუძვლიანად ვიხეხავდი, ფეხს ვითრევდი, ვცდილობდი, სასადილო ოთახში რაც შეიძლება გვიან შევსულიყავი, ჯერ კიდევ ვერ მივმხვდარიყავი, რა მოხდა, მაგრამ თავს რომ დიდი უბედურება დაგვატყდა, ეს კი ნათელი იყო. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. აღარ ისმოდა აღარც ბაბუაჩემის ყვირილი და აღარც დედაჩემის ტირილი. ახლაღა მივხვდი, მთელი ამდენი ხნის მანძილზე მამაჩემის ხმა რომ საერთოდ არ გამიგონია. იგი ბუნებით ჩუმი კაცი იყო და მხოლოდ მაშინ თუ დაილაპარაკებდა, უშუალოდ მას რომ მიმართავდნენ ხოლმე.

მე დღევანდელ დასკვნებს მოგახსენებთ, აბა, მაშინ სად შემეძლო დავკვირვებოდი ადამიანებს, თუნდაც შინაურების პიროვნულ თავისებურებებს და ნიუანსებს. ოღონდ ერთი კია, ეს ნიუანსები გონების რომელიღაც უჯრედში მტკიცედ იბეჭდებოდა და საიმედოდ ინახებოდა. არ ვდაობ, მრავალი მათგანი, ალბათ მეორე ან მესამეხარისხოვანი ამბავი, შეიძლება დამავიწყდა კიდეც. ხოლო ისინი, სამუდამოდ რომ შემომინახა გონებამ, სულ სხვანაირად აღიქმება და იშიფრება რამდენიმე ათეული წლის გასვლის შემდეგ. და თქვენ გგონიათ, რომ მათი გაშიფვრა ან ბოლომდე აღქმა დამთავრდა? არავითარ შემთხვევაში! დროს ყველაფერში შეაქვს კორექტივი. აი, ზოგი რამ, ათი წლის წინ რომ სამართლიანად არ მეჩვენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, დღეს უკვე მტკიცედ ვარ დარწმუნებული მათ სამართლიანობაში. ზოგიერთი ჩემი ნამოქმედარი, თუნდაც ამ ორი ათეული წლის წინ რომ მესირცხვილებოდა, დღეს პირიქით — მეამაყება კიდეც! კაცმა არ იცის, იგივე მოვლენებზე რა დასკვნებს გავაკეთებთ მომავალში, თუნდაც ათი წლის შემდეგ (პაუზა, კარის ჭრიალი, ოფიციანტი) მოხვედი, ნიკო, სად დაიკარგე ამდენ ხანს? აბა სასწრაფოდ კიდევ ერთი კონიაკი.

დიახ... უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. მგონი, უკვე გითხარით, მაშინღა მივხვდი, რომ მხოლოდ ბაბუა ბობოქრობდა. ბოლთას ჩვეულებისამებრ დინჯი ნაბიჯებით კი არა, ლამის სირბილით სცემდა. რამდენჯერმე „სტალინი", „ჰიტლერი" და „ომი" გავიგონე:

„ნუთუ ომი დაიწყო?" — გამკრა უცებ გონებაში. მოსწავლის ფორმა ჩავიცვი და სასადილო ოთახში გავედი. ბაბუაჩემის ჩაცმულობა რომ დავინახე, მივხვდი, საეჭვო აღარაფერი იყო.

„ომი დაიწყო!" — ჩემს ტვინში დიდმა ზარმა ჩამორეკა. ვიცოდი კი მაშინ მთელი სიგრძე-სიგანით, ომი რამდენ უბედურებას მოგვიტანდა? თქვენ წარმოიდგინეთ, ვიცოდი. თქვენ ოცდაცამეტში ხართ დაბადებული, არა? ომის დაწყებისას შვიდი წლისა იქნებოდით, თითქმის რვა წლისა. ესე იგი, თქვენც კარგად გემახსოვრებათ ის დაწყევლილი დღე. ბაბუაჩემს სამხედრო მუნდირი ჩაეცვა. გვარდიის პოლკოვნიკს მკერდს ფინეთის ომში მოპოვებული ბრძოლის წითელი ორდენი და ოთხი მედალი უმშვენებდა. იცით, რას ნიშნავდა მაშინ ორდენი? თანაც ბაბუაჩემმა იგი ბრძოლაში მოიპოვა. მეორედ რომ დაჭრეს, მაშინ დააჯილდოვეს იგი ორდენით.

დღეს? დღეს ნიშნავს რამეს ორდენი, თუნდაც იგი ლენინისა იყოს? ამ თემაზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, ოღონდ ერთს კი ვიტყვი, მაშინ ორდენი თითქმის ყველას თვალში მეტად მნიშვნელოვან მოვლენად აღიქმებოდა. გვარდიის პოლკოვნიკის ერთ ორდენს და ოთხ მედალს ორი ნაჭრილობევიც დაუმატეთ, მხარში და ფეხში! გიკვირთ, რომ ყველაფერმა ამან ბაბუაჩემი ჩემს თვალში ყველაზე დიდ გმირად, დაუმარცხებელ გოლიათად აქცია?! ოღონდ... ძალიან გთხოვთ, სწორად გამიგოთ და არ გაგეცინოთ.. გული მწყდებოდა, რომ მესამედაც არ იყო დაჭრილი, თანაც მკერდის არეში! არ გეცინებათ? არა?! მწერალი ბრძანდებით და ადვილად მიმიხვდებით, ტოლამხანაგებში ბაბუაჩემით როგორ ვტრაბახობდი. ტრაბახს კი სულ სხვა გემო ექნებოდა, თუ ვიტყოდი, რომ ბაბუაჩემს სამჯერ მოხვდა ტყვია, თანაც ერთხელ მკერდში, გულიდან ნახევარი სანტიმეტრის დაშორებით-მეთქი. გულწრფელად გამოგიტყდებით და, ერთხელ, ქვიშხეთში რომ ვისვენებდი, ახლადგაცნობილ ბიჭებთან მაინც წავიტრაბახე, ბაბუაჩემი სამჯერ არის-მეთქი დაჭრილი. ორჯერ ტყვიით, ერთხელ შრაპნელით-მეთქი. „შრაპნელი" ძალიან მომწონდა და ტყვიაზე უფრო საშიში და რომანტიკული მეჩვენებოდა... უცნაურია ბავშვის ბუნება, ბატონო ჩემო, იგი გულწრფელობითა და სიწმინდითაა სავსე. დიახ, ეგზიუპერისა არ იყოს, ყველა ბავშვის სულში მოცარტი ზის. მეექვსე კლასში ვიყავი, შეოთხე კლასელი გოგონა რომ შემიყვარდა. ჩემი სიყვარულის ამბავი მალე გამჟღავნდა, ამხანაგებმა და მასწავლებლებმა დაცინვა დამიწყეს. გოგონამ შემიზიზღა და ჩემი სახელის გაგონება აღარ უნდოდა. დამწუხრებული და დასევდიანებული გულწრფელად ვნატრობდი, ჩემი საოცნებო გოგონა ტრამვაის გაეტანა და ფეხები გადაეჭრა. მერე, არავინ რომ არ წაიყვანს, მაშინ ხომ შემიყვარებს და სიკვდილამდე ხომ ჩემი იქნება-მეთქი. სასაცილოა, ბატონო ჩემო, არა? მიხარია, რომ არ გეცინებათ. თქვენს ბაგეებზე გამოსახულ ღიმილში კი თანაგრ-

ნობას ვკითხულობ. მართალია, ჩემზე უმცროსი ბრძადებით, მაგრამ თითქმის ერთი თაობისანი ვართ და, ბუნებრივია, ერთნაირი მსოფლმხედველობით, ერთნაირი ოცნებით ვიზრდებით. დღევანდელ მეექვსე კლასელ მოსწავლეს რომ ჩემი მაშინდელი განცდები მოვუყვე, ალბათ, სიცილით გაიჭაჭება. რა გვემართება შემდგომ? ნუთუ ჩვენს სულში მართლა ასე უკვალოდ ქრება მოცარტი?

2.

პუზა. ხანგრძლივი პაუზა.

არჩილ გორდელი შუბლით მარცხენა ხელს დაეყრდნო, მარჯვენათი კი კონიაკით სავსე ჭიქას დაუწყო წვალება. სახე სევდით აევსო, მწუხარებაში გადასული სევდით. ცნობისმოყვარეობამ კიდევ უფრო შემიპყრო, ვინ არის ეს კაცი და რა უნდა ჩემგან? ნუთუ მე ვგავარ ისეთ კაცს, აღსარებას რომ ეუბნებიან? იქნებ მისი სული, მისი გონება ბოლომდე აივსო სევდა-ნაღველით და საშინელი სურვილი გაუჩნდა, ათეულ წლობით ნაფიქრი და გულში ჩაკლული ბოღმა ვიღაცასთან ამოენთხია?! რატომ მაინცდამაინც მე შემარჩია? იქნებ ზუსტად იმ დღეს, მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი რომ ჩავარდა, სხვებთან შედარებით გამორჩეული მე შევრჩი ხელში? ან იქნებ მართლა ჩემმა წიგნებმა განსაზღვრა მისი არჩევანი?

იმ დღეს „ივერიაში“, პირველი შეხვედრისაგან განსხვავებით, უსასრულოდ მეტი ვიცოდი არჩილ გორდელზე. მაგრამ არც იმდენი, რაიმე დასკვნა რომ გამეკეთებინა და გორდელის ირგვლივ გარკვეული წარმოდგენა რომ შემქმნოდა. ბევრი რამ; ჩემთვის რომ თავდაპირველად გამოცანას წარმოადგენდა, შემდგომ შეხვედრებზე ამოიხსნა. იმ დღეს კი გაოცებული და ცოტა გაოგნებულიც შევჩერებოდი ადამიანს, რომელმაც ორმოცდათვრამეტი წლის ასაკამდე აჯობა სულის ამბოხს, საკუთარ სხეულში ჩაკლა ყოველგვარი შინაგანი პროტესტი, მაგრამ ბოლოს მაინც ველარ გაუძლო ემოციების, განცდების ვულკანურ მოწოლას. იქნებ მხოლოდ ახლა მიხვდა არჩილ გორდელი, გონებით რომ ვერასდროს დაჩაგრავდა სულს, სულს, რომელიც მას არ ემორჩილებოდა?! და თუ სულმა მაინც სძლია ცივ, რაციონალურ გონებას, იგი უკვე აღარაა უბრალო ადამიანი, მხოლოდ სიმდიდრესა და ოჯახურ კეთილდღეობას დახარბებული ადამიანი. იქნებ ცოტას მსახიობობს კიდეც? კაცს შეიძლებოდა ცოტა უცნაურიც მოგჩვენებოდა, ყოველთვის როგორც უმცროსს რომ მელაპარაკებოდა. ასაკთა შორის სამწლიანი სხვაობა ამის საბაბს მაინცდამაინც არ იძლეოდა. მაგრამ ვფიქრობ, მისი დიდკაცური ტონი თანამდებობრივი ინერცია უფრო იყო, ვიდრე გააზრებული მოქმედება. მით უმეტეს, მან ხომ თვითონ მომნახა, აღსარების სათქმელად ხომ თვითონ ამომირჩია! დიახ, თვითონ ჩამთვალა იმ პიროვნებად, ვინც ღირსი ვიყავი, სულში ორმოცდათვრამეტი წლის მანძილზე ჩაგუბებულ განცდათა გადაშლისა. თვითონ მიმიჩნია იმ მწერლად, აუცილებლად რომ გავუგებდი. იქნებ მაინც ჰქონდა სურვილი, მისი ნაამბობი ქაღალდზე გადამეტანა?! სიმართლე რომ გითხრათ, ასეთი სურვილი არჩილ გორდელს მინიშნებითაც კი არ გამოუთქვამს. მე გულწრფელად მომწონდა გორდელის ხან აღგზნებული, ხან კი სევდით სავსე სახე. მომწონდა, პაუზის დროს ხან სევდიანად, ხან კი სიმწრით რომ ჩაიცინებდა, გააგრძელებდა საუბარს და ჩემთვის უმალვე ნათელი ხდებოდა, რატომ ჩაიცინა. თუმცა იყო შემთხვევები, როცა ვერ ვხვდებოდი ჩაცინების მიზეზს. სამაგიეროდ, ვხვდებოდი, რომ რაღაც გამოტოვა, რაღაც დამიმალა. ერთი სიტყვით, მივხვდი, რომ აღსარების დროს ბოლომდე გულწრფელი

მაინც არ იყო ჩემი უცნაური მოსაუბრე. თავდაპირველად არჩილ გორდელის ნაამბობი გაცილებით ლოგიკური და რეალური მეჩვენებოდა. მოვლენებსა და ეპიზოდებს შორის უტყუარი ორგანული კავშირი იგრძნობოდა. შემდგომ და შემდგომ, განსაკუთრებით ოჯახური ამბების მოყოლაზე რომ გადავიდა, ადვილად ვხვდებოდი, ბევრი ცალკეული ეპიზოდის თუ მოვლენის გამომზეურება ესირცხვილებოდა. გონების მეტისმეტი დაძაბვა როდი მჭირდებოდა, თვითონ „ალმედგინა“ ეპიზოდში გამოტოვებული ადგილები. ვფიქრობ, მკითხველს გაუჭირდება კიდეც, გამოიცნოს არჩილ გორდელის ცხოვრების ჩემეული წარმოდგენით აღდგენილი ეპიზოდები. თავიდანვე ვცდილობდი, ფანტაზიას ნაკლებად ავყოლოდი და მხოლოდ ლოგიკით, მოვლენათა კავშირითა და არჩილ გორდელის პიროვნული თვისებების გათვალისწინებით ალმედგინა ყოველი გამოტოვებული მოვლენა და მთლიანი ეპიზოდი. ხშირად მთელი საკვანძო დღეც კი, თვითონ არჩილ გორდელი რომ უწოდებდა ხოლმე რომელიმე დიდ და მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე დღეს.

3

— დიახ... საზეიმო მუნდირში გამოწყობილ ბაბუაჩემს რევოლვერიც გაეკეთებინა. გულწრფელად გამიკვირდა, რევოლვერს იგი არასდროს არ ატარებდა. ყოველ შემთხვევაში, მე არასდროს შემიმჩნევია, რევოლვერი ეტარებინოს. მივხვდი, რევოლვერი კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მდგომარეობის სერიოზულობას.

— მოდი, შვილო, ჩემთან! — დამიძახა ბაბუამ. რაოდენი სითბო იყო მის ხმაში. გვარდიის პოლკოვნიკს ემაყებოდა, მე რომ მისი სახელი შემრქმევა — არჩილი. აი, ახლა მწყდება სასტიკად გული, ჩემს ვაჟიშვილს რომ სიმამრის სახელი დავარქვი და არა მამაჩემისა. ვინ იცის, როგორ ვატკინე გული მამაჩემის სიკვდილით ისედაც გამწარებულ დედაჩემს. რას იზამ, ასეც ხდება ხოლმე. მჯერა, მწერალ კაცს ჩემი პატარ-პატარა ადამიანური სისუსტეები არ გაგიკვირდებათ.

პაუზა.

— ბაბუაჩემის თბილმა ხმამ დამამშვიდა. მივხვდი, ჯერჯერობით ყველანი კარგად ვიყავით. ომი ძალზე შორეულ შეუგრძნობელ ამბად მეჩვენებოდა. არავითარ საფრთხეს არ ვგრძნობდი და სრულიად დამშვიდებული ბაბუას მივჩერებოდი.

— მოდი, შვილო, დაჯექი მაგიდასთან. შენ უკვე კაცი ხარ და რასაც ახლა ვილაპარაკებთ, კარგად უნდა მოისმინო!

მაგიდასთან მივედი, სკამზე ჩამოვჯექი, თვალი ყველას მოვავლე და საბოლოოდ მაინც ბაბუას მივაჩერდი.

მძიმე დუმილი ჩამოწვა. დედა აღარ ტიროდა, მამაც იჯდა და დაღონებული იატაკს დასცქეროდა. ბაბუაჩემი ნერვიული ნაბიჯებით ბოლთას სცემდა. მისი ჩექმების ოდნავ შესამჩნევი ჭრიალი ოთახში გამეფებულ სიჩუმეში ყურში უსიამოდ ჩამესმოდა. დროდადრო შეჩერდებოდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო, მერე კვლავ სიარულს განაგრძობდა. ისევ დედას შევხედე. ცრემლებით დასველებული ცხვირსახოცით თვალის უპეებსა და ლოყებს იწმენდდა. ხანდახან მწარედ ამოიკვნესებდა ხოლმე, მაგრამ უმალვე უფროსი არჩილ გორდელის მკაცრ გამოხედვას გრძნობდა და ცრემლებს უხმოდ ყლაპავდა. უცებ თვალი იმ კედლისაკენ გავაპარე, სადაც სტალინის დიდი პორტრეტი ეკიდა. ალბათ გემახსოვრებათ სტალინის ცნობილი პორტრეტი, ხელში რომ ჩიბუხი უჭირავს და იღიმება. არა, არ იფიქროთ, ბატონო ჩემო, რომ მე ჩიბუხს ბელადისა და იმ სურათის წაბაძვით ან გავლენით ვეწევი. ერთხელ, უბრალოდ, ერთმა ჩემმა მეგობარმა

მაჩუქა ჩიბუხი. მანამდე ჯერ პაპიროსს, გემახსოვრებათ, იყო ასეთი პაპიროსი „ყაზბეგი“, დიახ, ჯერ პაპიროსს, შემდეგ კი სიგარეტს ვეწეოდი ხანდახან, ალბათ მატარებლიდანაც გახსოვთ სიგარეტსაც ვეწევი. უცხო წრეში ვერიდები ჩიბუხის გაწყობას, ვიცი, ხშირად იგი უცნობი ადამიანების ღიმილს იწვევს, ზოგიც პოზაში მითვლის. სინამდვილეში კი თავდაპირველად ჩემი მეგობრის ხათრით ვეწეოდი ჩიბუხს. მერე თანდათან გამიტკბა და, თქვენ წარმოიდგინეთ, დღეს უჩიბუხოდ წარმოუდგენლად მიმაჩნია ჩემი ცხოვრება (კონიაკი, ნაფაზი). დიახ, იმას მოგახსენებდით, კედელზე დაკიდებულ სტალინის პორტრეტს გავხედე-მეთქი. ბელადის ღიმილმა დამამშვიდა. უმალვე კი ერთი აზრი დაიბადა ჩემს გონებაში, — „როგორ გაუბედა ჰიტლერმა სტალინს ომი?“ გვარდიის პოლკოვნიკს არ გამოპარვია ერთადერთი შვილიშვილის თვალების მოძრაობა და არ გასჭირვებია მისი გულუბრყვილო ბავშვური შუბლის უკან დაბადებული აზრის წაკითხვა-გამოცნობა.

— ინანებს, შვილო, საშინლად ინანებს! ისე ინანებს, ჯერ რომ კაცს არ უნანია ამ ქვეყანაზე! — ბაბუა შედგა, სტალინის პორტრეტისკენ ზურგით დადგა, მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, ცერი თითით უკან მიგვანიშა და ხმამაღლა თქვა:

— გერმანიამ ჯერ კიდევ არ იცის, ვისთან აქვს საქმე!

მერე უცებ მამას მიუბრუნდა.

— ლევან არჩილის ძევ!

ადრე ბაბუას არასდროს მიუმართავს შვილისთვის მამის სახელით. შემდგომ წლებში მივხვდი ამ მიმართვის ნიუანსს. გვარდიის პოლკოვნიკს უნდოდა საფუძვლიანად გვეგრძნო მოახლოებული საფრთხე და მდგომარეობის სერიოზულობა. მამაჩემსაც ეხამუშა ასეთი მიმართვა. თავი ოდნავ ასწია და ბაბუას შეხედა.

— ყოველი წუთის დაკარგვა დანაშაულია, მავნებლობაა, საქმის ღალატია. მე ორმოცდათექვსმეტი წლის კაცი ვარ. ორჯერ დაჭრილი და დაინვალიდებული, მაგრამ დღესვე მინდა მოვითხოვო ფრონტზე გაგზავნა. მჯერა, იქ უფრო სასარგებლო ვიქნები, დღეს ფრონტს გამოცდილი ხალხი სჭირდება.

— რაღა დროს თქვენი ბრძოლაა, — გაუბედავად ამოიკვნესა დედაჩემმა.

— როგორ მიბედავთ! — თვალები ბრაზით წამოენთო. ბაბუას.

გამიკვირდა, დედაჩემს რომ თქვენობით მიმართა. მერე, ვინ იცის, რამდენი წლის შემდეგ, ისევე როგორც ბევრ სხვა რამეს, იმასაც, მივხვდი, რომ ამ შეძახილით სამთავეს გაგვცა პასუხი. ბაბუამ ხომ იგივე მოსაზრება, დედაჩემმა რომ გამოთქვა, ჩვენს თვალებში და სახის გამომეტყველებაშიც ამოიკითხა.

— ჯერ ისე არ დავუძლურებულვარ, ბარეორ დღევანდელ ახალგაზრდას ვერ ვაჯობო! საბრძოლო გამოცდილებაზე ალარაფერს მოგახსენებთ. ბოლოს და ბოლოს, თუ ბრძოლას ვეღარ შევძლებ, ერთ ტყვიას მაინც შევაჩერებ. შენ კი, ლევან არჩილის ძევ, გირჩევ, ახლავე წახვიდე კომისარიატში და ფრონტზე მოხალისედ წასვლა მოითხოვო.

— მამა, — წამოიყვირა დედაჩემმა, — გესმით, რას ამბობთ? არ იკმარებს, როცა თვითონ წაიყვანენ?!

— მჯერა, ჩემი შვილი ქალების ცრემლსა და კნავილს არ აჰყვება! — ბაბუაჩემმა, ძალზე ზრდილმა და თავაზიანმა კაცმა, ისე რომ უყვარდა დედაჩემი, ამჯერად არც კი ჩათვალა საჭიროდ, ახალგაზრდა რძლისთვის პასუხი გაეცა. — დღესვე, ახლავე, ამ წუთში წახვალ სამხედრო კომისარიატში.

მამაჩემმა თავი ასწია და ბაბუას თვალი გაუსწორა. სახეზე ნელა, მაგრამ მუქად წამოუვიდა წითელი ფერი.

— იქნებ აქ უფრო საჭირო ვარ, იქნებ

ჩემი მეცნიერული მოღვაწეობით აქ უფრო გამოვადგე. ქვეყანას?! განა მე ვგავარ ისეთ კაცს, ბრძოლა, კაცის მოკვლა რომ შეუძლია?

— ბრძოლაში კაცს არ კლავენ! ეს კარგად უნდა იცოდეს ჩემმა შვილმა. ბრძოლაში კაცს კი არა, სამშობლოს მტერს და დამპყრობს უნდა ესროლო ტყვია! — ხმადაბლა და მტკიცედ წარმოთქვა ბაბუაჩემმა.

პატარა ვიყავი, მაგრამ გვარდიის პოლკოვნიკის სახეზე შეუცდომლად ამოვიკითხე გაოცება, ასეთი უბრალო ამბები ჩემმა შვილმა როგორ არ იცისო!

— რატომ ვიჩქარო! თექვსმეტი წლის ბიჭივით როგორ გავიქცე სამხედრო კომისარიატში! განა მთავრობამ უკეთ არ იცის, სად უფრო სასარგებლო იქნება ჩემი შრომა?!

— ნამდვილი მამაკაცებისათვის ახლა შრომის დრო კი არა, ბრძოლის დროა! არ მეგონა, თუ ჩემი შვილი ასეთი ლაჩარი იყო!

— მამა!

— არავითარი მამა! მე, გვარდიის პოლკოვნიკი არჩილ ლევანის ძე გორდელი გეუბნებით და გიბრძანებთ, ახლა, როცა სამშობლო განსაცდელშია, არაა ენის მოჩლექის დრო. მესმის, შეიძლება ზურგში მეტი და მნიშვნელოვანი საქმე გააკეთო, გაცილებით სასარგებლო საქმე! ისიც შეიძლება, თოფის გასროლაც ვერ მოასწრო და ფრონტზე გაყვანისთანავე ბრმა ტყვიამ მოგიღოს ბოლო ან ჭურვის მსხვერპლი გახდე. მაგრამ ამ მრისხანე დღეებში როგორ გაგიძლებს გული, დედაკაცივით შინ იჯდე და შემოჭრილ მტერს არ შეება, თავბედი არ აწყევლინო და თუ საჭირო იქნება, არ შეაკვდე კიდეც?! მამაკაცების გმირობა სისხლით იზომება, სამშობლოსათვის, სტალინისათვის გაღებული სისხლით!

— სამშობლოსათვის მესმის, მაგრამ... — ჩუმად, გაუბედავად დაიწყო მამაჩემმა.

რაღაც საშინელის გაგონების მოლოდინში მამის სახიდან გამქრალმა მუქმა სიწითლემ მე დამწვა ლოყები.

— რა მაგრამ?! — მაგიდას ხელი დაჰკრა გვარდიის პოლკოვნიკმა.

ინტუიციით იგრძნო, შვილს რაღაც გამოუსწორებელი საშინელება უნდა ეთქვა.

მამაჩემი წყნარი კაცი იყო. ასე შემორჩა იგი ჩემს ბავშვურ მეხსიერებას, ასე ვიცოდი დედაჩემისა და მამას ნაცნობ-მეგობრების ნაამბობიდან. მისი ხმამაღალი სიტყვა არავის გაეგონა. მაგრამ ძალზე იშვიათად, თუ ვინმე წონასწორობიდან გამოიყვანდა, თურმე ამ დინჯმა, დაფიქრებულმა ინტელიგენტმა და საკმაოდ კარგმა ექსპერიმენტატორმა ფიზიკოსმა საშინელი გაცოფება იცოდა, თავს ველარ ერეოდა, წონასწორობას კარგავდა. მანამდე ვერ დაამშვიდებდი, სანამ გულიდან ყველაფერს არ ამოანთხევდა. თავისი ნალაპარაკევი შემდგომ თურმე აღარც კი ახსოვდა. როცა შეახსენებდნენ, მეგობრებს ეჭვით უყურებდა, ხომ არ მატყუებენო, მათი ნაამბობი იმდენად დაუჯერებლად ეჩვენებოდა. ბაბუას სიტყვებმა ისე გააცოფა, კონტროლის გრძნობა დაკარგა, ტვინში რაღაც გადაუბრუნდა, ჯერ საშინლად გაფითრდა, მერე სახეზე ერთბაშად მწვანე ფერი ჩამოეღვარა და წლების მანძილზე გულში ნაგროვები ბოლმა ერთად ამოანთხია.

—სამშობლოსათვის თვალის დაუხამხამებლად მოვკვდები, მაგრამ სტალინისათვის, მშობელი დედა რომ წამართვა, არასდროს! განა შეიძლება როდესმე დამავიწყდეს, წყურვილით როგორ დაიხრჩო დედაჩემი გადასახლებულთა ეშელონში?!

— არამზადა! — განწირული ხმით იყვირა ბაბუაჩემმა.

თქვენ მწერალი ხართ და კარგად წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი თერთმეტი წლის ბიჭი. გინახავთ ახლად დაჭერილი და დამფრთხალი ჩი-

ტი გალიაში როგორ აწყდება კედლებს? ჩემი გულიც მკერდში იმ ჩიტივით ფართხალებდა, ნეკნებს საშინელი ძალით ეხეთქებოდა, თავის დაღწევასა და შორს, შორს გაფრენას ლამობდა. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს სხეულში გულს გარდა სხვა არაფერი მქონდა.

გვარდიის პოლკოვნიკის სასოწარკვეთილმა ყვირილმა მამაჩემი უცებ გამოაფხიზლა. საცოდავი შიშმა შეიპყრო, ჩაქრა, ჩაიფერფლა, თვალები ჩაულამდა, მომეჩვენა, რომ ერთბაშად დაბერდა. თავისმა ნათქვამმა თვითონვე დათრგუნა და გააცამტვერა, ის უბედური სტალინის პორტრეტის პირდაპირ იჯდა. სასოწარკვეთილი მივჩერებოდი და ბავშვური ინტუიციით თუ შეგნებულად ვგრძნობდი, თავის აწევისა ეშინოდა, თვალები პორტრეტისაკენ რომ არ გაქცეოდა. გაფერმკრთალებულმა და გასაცოდავებულმა ჯერ დედაჩემის სასოწარკვეთილ სახეს შეხედა, მერე მე შემავლო თვალი და შეცბა. დღესაც არ ვიცი, პატივცემულო მწერალო, რატომ შეცბა მამაჩემი. ამდენი ათეული წლის მანძილზე წარმომიდგებოდა თუ არა მამაჩემის შეცბუნებული და სასოწარკვეთილი სახე, უმალვე ვცდილობდი, ფიქრი სხვა საგანზე გადამეტანა. აი დღეს, ამ წუთში მინდა სინამდვილეს თვალი გავუსწორო, მინდა თქვენც გამოგიტყდეთ და ჩემს თავსაც გამოვუტყდე, რომ მამაჩემი ამ საშინელ დღეში მე ჩავაგდე, მან ხომ ერთადერთი და უსაყვარლესი შვილის თვალებში ზიზღი, სირცხვილი და თავზარდაცემა ამოიკითხა. იმედს, სრულიად პატარა იმედს მაინც ვებღაუჭები, რომ იმ საშინელ წუთებში მამაჩემი მხოლოდ შიშისაგან აკანკალებული შვილის გამოხედვამ შეაცბუნა და არა მის ბავშვურ თვალებში ჩამდგარმა ზიზღმა.

ღმერთო, თითქოს თავისუფლად ამოვისუნთქე, გამოსაშვები სისხლი რომ გამოვუშვი, ამდენი წლის მანძილზე გულში ჩამარხული მტანჯველი ეჭვი და ფიქრი რომ გაგიზიარეთ!

პაუზა. ნაფაზი. კონიაკი.

— ხომ არ გადაგღალეთ? არა? კარგია, თუ ზრდილობისთვის არ მეუბნებით. ბარემ თქვენი გულისხმიერებით ბოლომდე ვისარგებლებ და დაწვრილებით გიამბობთ ჩემი ცხოვრების ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღის განცდებს. მე მსახიობი არ გახლავართ, რაიმეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოყოლა რომ შემეძლოს. რასაც ახლა ისმენთ, ერთი მთლიანი გრძნობაა, მისი დანაკუწება, თუნდაც ორ ნაწილად გაყოფა ნამდვილად არ შემიძლია.

შემდეგი, რაც დაბნეულმა და გონებადანისლულმა მამამჩემმა აღიქვა, იყო გვარდიის პოლკოვნიკის აკანკალებული ყბა და რევოლვერისაკენ წაღებული კიდევ უფრო აკანკალებული ხელი. ეტყობა, დედაჩემმა ვერ შეამჩნია, ბაბუა რომ რევოლვერის ამოღებას აპირებდა, თორემ კივილით იქაურობას დააქცევდა. მამაჩემი კი სკამზე მონუსხულივით იჯდა და ბაბუაჩემს უაზროდ მისჩერებოდა, გვარდიის პოლკოვნიკს რომ რევოლვერი ამოეღო, ალბათ განძრევასაც ვერ მოასწრებდა. უფრო სწორად, არ გაინძრეოდა. ბაბუაჩემმა ფერი დაკარგა, ხელი რევოლვერამდე ველარ მიიტანა. უცებ სუნთქვა შეეკრა, ჰაერის უკმარისობისაგან თითქოს ადგილზეც დაბარბაცდა, მერე ნელ-ნელა უკან-უკან წავიდა და სავარძელში ჩაეშვა. დედაჩემი, აქამდე შიშისგან რომ იყო გაქვავებული, ფეხზე წამოიჭრა, მიხვდა, ბაბუას გული გაუხდა ცუდად. ქმრის ნათქვამით თავზარდაცემულს ალბათ თვითონვე უკვირდა, კიდევ რომ შეეძლო აზროვნება და მოქმედება. სამზარეულოდან თვალის დახამხამებაში ჭიქით წყალი გამოიტანა და მამამთილს მიაწოდა. მამაჩემი ადგილიდან არ წამომდგარა, მხოლოდ შეშფოთებული აკვირდებოდა პოლკოვნიკის გაფითრებულ სახეს. ამჯერად ჩემსკენ ერთხე-

ლაც არ გამოუხედავს. ვაი თუ ეშინოდა, ერთადერთი შვილის სახეზე და თვალებში ისევ არ დაენახა ზიზღი და თავზარდაცემა. ამას განა მაშინ ვაანალიზებდი. ან კი სად შემეძლო თერთმეტი წლის ბიჭს ამდენი განსჯა და ფიქრი. ადრეც მოგახსენებდით და გთხოვთ, გამეორებად ნუ ჩამითვლით, მხოლოდ წლებთან ერთად მომატებულმა აზროვნების უნარმა და მწარე ცხოვრებამ ამიხილა თვალი, კვლავ გამახსენდა მამაჩემის შეცბუნებული სახე. არა, ზუსტად ვერ გეუბნებით, კი არ გამახსენდა, სხვანაირად შევხედე მამაჩემის მაშინდელ შეცბუნებულ სახეს. აი, ახლაც, დღესაც, თითქმის ხუთი ათეული წლის შემდეგ, თვალწინ მიდგას მამის გამოხედვა. მიდგას და, ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს მამაჩემი ბრალს მე მდებს, რაღაცაში მადანაშაულებს. დიახ, იმას მოგახსენებდით, ჯერ მაშინ სრულიად ბავშვი ვიყავი, და მსგავსი ფიქრები, ბუნებრივია, თავში არ მომივიდოდა. მე მხოლოდ თავზარდაცემული ვიყავი, თავზარდაცემული და შეშინებული. იმდენად წარმოუდგენელი და დაუჯერებელი იყო ჩემთვის სტალინის აუგად მოხსენიება. წამიერად ისიც კი გავიფიქრე, იქნებ ჯერაც არ გამღვიძებია და კვლავ წელანდელი სიზმარი გრძელდება-მეთქი. ერთი სურვილი მქონდა, მაღლა ამეხედა და ბელადის სურათისთვის თვალი შემევლო. ვერ შევძელი. შეშინებული და განადგურებული, ადგილიდან ვერ ვიძროდი. გნებავთ დამიჯერეთ, და გნებავთ ნუ დამიჯერებთ, იმ წუთში დარწმუნებული ვიყავი, რომ სტალინმა ყველაფერი გაიგონა, აბსოლუტურად ყველაფერი, ერთი სიტყვაც კი არ გამოჰპარვია! ბოლოს, როგორც იქნა, მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და თვალი ბელადის სურათისაკენ გავაპარე. ღმერთო ჩემო, განა ვინმეს, თუნდაც თქვენ, უზარმაზარი ფანტაზიის • ნიჭით დაჯილდოებულ მწერალს, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი შეებით ამოვისუნთქე? კედლიდან დიდ-ბელადი ძველებურად გადმოგვყურებდა და თავისი ნათელი და კეთილი ღიმილით.

Δ

— დედა, სად არის ბებია? — ვკითხე ღამით ჩემს ოთახში შემოსულ დედას.

— ბებია გარდაიცვალა, შვილო.

— სად გარდაიცვალა? მართლა ეშელონში დაიხრჩო წყურვილით?

— არავინ არ იცის, როგორ გარდაიცვალა. არ ვიცი, მამაშენმა საიდან მოიტანა ეგ ამბავი.

— რატომ დაიჭირეს?

— სჯობია, დაიძინო. არ არის ახლა მაგაზე ლაპარაკის დრო.

— მართლა სტალინმა დაიჭირა?

— სუ, ჩუმად! — გული გადაუქანდა საბრალო ქალს, — ეგ სისულელე მეორედ აღარ გაიმეორო!

— აბა რატომ თქვა მამამ?

— მამამ სისულელე თქვა. რა იცოდა სტალინმა, ვინ იყო ბებიაშენი. მაშინ ბევრი ხალხი დაიჭირეს, სამშობლოს მტრები.

— მერე, ბებია სამშობლოს მტერი იყო?

— არ ვიცი, შვილო, არაფერი არ ვიცი, მისი ძმა კი ნამდვილად იყო სამშობლოს მტერი. დიდხანს მუშაობდა პოლონეთში. და იქ თურმე გერმანიის დაზვერვას დაჰკავშირებია. ეტყობა, ბებია ძმას ეხმარებოდა, ხელს უწყობდა. ტყუილად არავის იჭერენ შვილო! ხომ ხედავ, ბაბუაშენი არ დაიჭირეს. არაფერ საქმეში არ გარეულა და იმიტომ არ დაიჭირეს. პირიქით, ორდენიც მისცეს. ბებიაშენმა იცოდა თავისი ქმრის ხასიათი და როგორ გაბედავდა, მასთან რაიმე წამოსცდენოდა. ჯერ მისი ძმა დაიჭირეს პოლონეთში. ეტყობა გამოტეხეს და ათქმევინეს, თავის დასთან რომ ჰქონდა საიდუმლო კავშირი. სტალინი ძალიან ცოტას თუ იცნობდა, ვისაც იჭერდნენ.

აბა ბებიაშენი საიდან უნდა სცოდნოდა! ტყუილად კი არავის იჭერენ. ახლა დაიძინე. ძალიან გთხოვ, სიტყვა არავისთან წამოგცდეს. არ ვიცი, დილით რა დაეტაკა მამაშენს. რაც გაიგონე, სიბრაზისა და დაბნეულობისაგან წამოროშა. შეიძლება შიშითაც. ომი დიდი უბედურებაა, შვილო. აბა გაიხსენე, გონს მოეგო თუ არა, უმალვე სამხედრო კომისარიატში წავიდა. ზეგ კი მოხალისედ მიდის არმიაში. ბაბუაც დაწყნარდა და დაშოშმინდა. კიდევ ერთხელ გა[illegible]ხილებ, სიტყვა არავისთან წამოგც[illegible]. პირიქით, ყველგან სიამაყით თქვი, მამა მოხალისედ მიდის-თქო არმიაში.

— ბებიას სურათი გვაქვს?

დედაჩემი დაიბნა.

— მგონი, ერთი ცალი უნდა ჰქონდეს მამაშენს. აბა, ახლა დაიძინე!

დედამ საბანი ამომიკეცა. შუბლზე მაკოცა და ოთახიდან გავიდა.

მინდა, ძალიან მინდა გჯეროდეთ, რომ აბსოლუტურად ზუსტად გადმოგეცით დედაჩემისა და ჩემი მაშინდელი დიალოგი. უფრო მეტიც, შევეცადე მაშინდელი დიალოგის ინტონაციაც კი შემენარჩუნებინა. მე ხომ დღესაც ყურში მიდგას დედაჩემის შემკრთალი, სევდიანი და სიყვარულით სავსე ხმა.

მთელი ღამე თეთრად გავათენე. მამაჩემის კომისარიატში წასვლამ და მოხალისეთა სიაში ჩაწერამ გული მომიბრუნა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მეპატიებინა დილანდელი ლაპარაკი.

„ტყუილად არავის იჭერენ შვილო“, — ჩამესმოდა ყურში ყოველ წამს დედაჩემის ხმა და მიხაროდა, რომ... აბა თუ გამოიცნობთ, რა მიხაროდა? მე უბედურს მიხაროდა, რომ ბებიაჩემი დამნაშავე გახლდათ და იგი ტყუილად არ დაუჭერიათ. მიხაროდა, რომ ჩემს რწმენას იოტისოდენა ბზარიც არ გასჩენია. განა შეიძლება ბელადი შემცდარიყო? განა იგი უდანაშაულო ქალს დაიჭერდა.

„ტყუილად არავის იჭერენ, შვილო“.

„ნუთუ ბებიაჩემი ხალხის მტერი იყო?“

ეს ორი ფრაზა ერთმანეთის პარალელურად დაჰქროდა ჩემს გონებაში. თითქოს მათ ფიზიკურადაც კი ვხედავდი. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ჩემი გონებიდან ლიანდაგივით თუ სხვივით გამოჭრილი ამ ორი ფრაზის ორი უსასრულო ნაკადი სადღაც შორს, შორს, ტყვიისფერ ცაში იკარგებოდა.

„ტყუილად არავის იჭერენ, შვილო“.

„ნუთუ ბებია ხალხის მტერი იყო?“

რამდენი სითბო მახსოვდა ერთდროულად მკაცრი და სათნო ბებიასაგან,, განა შეიძლებოდა იგი ხალხის, სამშობლოს მოღალტე ყოფილიყო?!

„რაკი დაიჭირეს, ესე იგი, იყო კიდეც!“ — გულდათუთქულმა დავასკვენი ბოლოს და გადავწყვიტე, მისი სურათისათვის აღარ დამეხედა. როგორ მრცხვენია, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ რა ვქნა, რაკი გული გადაგიშალეთ, მინდა ბოლომდე გულწრფელი ვიყო. სხვანაირად თქვენ ხომ ვერ ჩასწვდებით ჩემი შინაგანი ტკივილების ნამდვილ მიზეზებსა და არსს. დიახ, მრცხვენია, საშინლად მრცხვენია იმის წარმოთქმა, რასაც ახლა გაიგონებთ. მე შემძულდა ბებიაჩემი. დიახ, დიახ, მივხვდი, არ გესიამოვნათ ჩემი სიტყვები. უფრო სწორად, შეგაწუხათ, გული გატკინათ პატარა ბავშვის გაუკუღმართებულმა გრძნობებმა. დიახ, შემძულდა ბებიაჩემი. დღეს, ორმოცდათვრამეტი წლის კაცმა როგორ გავამართლო ჩემი ბავშვური გრძნობები? იქნებ თქვენ ამიხსნათ და დამეხმაროთ. თუმცა უკეთესს ვერ იტყვით, მე თვითონ რომ გამოვნახე გამოსავალი. ის, რაც მაშინ მე განვიცადე და გადავიტანე, მილიონობით ჩემნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბავშვმა განიცადა და გადაიტანა. ჩემში ჩაბადებული და გაღვივებული სიძულვილი არ იყო ჩემი ინდივიდუალური

თვისება. ჩვენ ხომ ყველას ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინასავით პოლიტიკური ვაქცინა გვქონდა სისხლსა და გონებაში შეყვანილი!

პაუზა. ნაფაზი, ღრმა ამოხვნეშა, ერთი ყლუპი კონიაკი.

— შვიდი წლისა ვიყავი, ბებიაჩემი რომ დაიჭირეს. მისი დაპატიმრების ამბავი ერთი მთლიანი და ძალზე საგულისხმო ეპიზოდია. თუ ნებას დამრთავთ, სხვა დროს გიამბობთ. ბებია მაშინ ორმოცდაათი წლისა იყო. ორმოცდაათი წლის ქალი კი შვიდი წლის ბავშვს საკმაოდ მოხუცად მეჩვენებოდა. გონებაში დღემდე შემომრჩა მისი კეთილი და ამავე დროს მკაცრი სახე.

თავდაპირველად ტოლ-ამხანაგებისა და მეზობლებისა მრცხვენოდა, ბებია რომ ხალხის მტერი აღმოჩნდა. ამ სიტყვებისა თუ გამოთქმის მნიშვნელობა არ მესმოდა, მაგრამ იმას კი ვგრძნობდი, რაღაც საშინელებას რომ წარმოადგენდა. დღეს მხოლოდ მოკლედ გეტყვით. დაპატიმრებული ბებია იოლად დაივიწყა ჩემმა ბავშვურმა გონებამ. მაშინ ვერც კი აღვიქვი, საბრალო ქალის დაპატიმრებისთანავე, ოჯახში მისი სურათები უმალვე რომ მოსპეს თუ გადაკარგეს. არასდროს, ყოველ შემთხვევაში, ჩემი თანდასწრებით, მას აღარავინ ახსენებდა.

გადასახლებიდან ოთხი წლის მანძილზე ჩემს გონებაში მისი ხსოვნა ლამის წაიშალა. თუმცა, არავითარი წაშლა. ბებიას ხსოვნამ ტვინის უკანა, პასიურ უჯრედებში გადაინაცვლა.

პაუზა. ამჯერად გაცილებით ხანგრძლივი დუმილი, ვიდრე წეღან. უცებ გამოცოცხლება, ჭიქების კონიაკით შევსება, ერთი ყლუპის შესმა და, რასაკვირველია, ჩიბუხი.

— კიდევ ერთი დიალოგი მინდა გავიხსენო, დიალოგი, მამაჩემთან რომ შედგა მეორე დღეს, დაახლოებით დილის შვიდ საათზე. მანამდე კი მოკლედ მინდა მოგითხროთ, როგორ განვითარდა მოვლენები მამაჩემისა და ბაბუაჩემის კონფლიქტის [illegible]

უკვე ბნელდებოდა, მამა[illegible] დაბრუნდა. ვიცოდი, სადაც წავიდა და მთელი დღე მის მოსვლას ველოდებოდი. დავინახე თუ არა, მივხვდი, ჩემს თვალებში გამოსახული ორი დიდი კითხვის ნიშნისათვის კარგი პასუხი ჰქონდა მომზადებული. ზეგ, საღამოს ხუთ საათზე, ფრონტზე მოხალისედ მივდივართ, — თქვა სხვათა შორის და მეორე ოთახში გავიდა. დედაჩემს ტირილი წასკდა. ბაბუამ კარგად გაიგონა შვილის სიტყვები, მაგრამ, ვითომც აქ არაფერიაო, გაქვავებული რადიომიმღებთან იჯდა და გადაცემას უსმენდა. მივხვდი, მოხუც პოლკოვნიკს რამოდენა ტვირთი მოეხსნა გულიდან, თვითონ აღშფოთებული დაბრუნდა ნაწილიდან. აქვე, წვევამდელთა ექვსთვიანი მოსამზადებელი კურსების უფროსად მნიშნავენო, — თქვა საშინელი ზიზღით და ბრაზით, — მაგრამ ვერ მიართვეს. უკვე გავგზავნე დეპეშა, სადაც ჯერ არსო. ვიცოდი, — ბაბუა რასაც აიჩემებდა, კაციშვილი ვერ გადაათქმევინებდა. მჯეროდა, ყველაფერს მოიმოქმედებდა, მთავრობას თავს შეაბეზრებდა, ყველა ღილაკს თითს დააჭერდა, ყველა სატელეფონო ზარს გამოიყენებდა, ოღონდაც ფრონტზე წასულიყო. ნუ გამამტყუნებთ, დღევანდელი ენით რომ გადმოგცემთ ჩემს მაშინდელ ფიქრებს და განცდებს.

დედაჩემი ხმას არ იღებდა. თუმცა ხმის ამოღებას რა აზრი ჰქონდა. მისი თვალებიდან, ისევე როგორც ტელეტაიპის ლენტიდან, შეგეძლოთ მშვენივრად ამოგეკითხათ, მამამთილისათვის რის თქმასაც აპირებდა: „ქმარი ფრონტზე მიდის მოხალისედ. თქვენ სამოცს მიღწეული კაცი, ფინეთის ომის მონაწილე, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, ორდენოსანი, ორჯერ დაჭრილი და ინვალიდი მაინც დარჩით შინ. თქვენი ცოდნა და გამოცდილება,

როგორც უფროსებმა გიბრძანეს, წვევამდელთა აღზრდას მოახმარეთ. მერწმუნეთ, თქვენი თბილისში დარჩენა საქმისთვისაც სასარგებლო იქნება და ოჯახისთვისაც. მარტოხელა ქალმა ოჯახს როგორ მოვუარო, პატარა ბავშვსაც ხომ უნდა პატრონობა!"

ვერ იქნა და დედაჩემმა ვერ შებედა ბაბუას სათქმელი. თუმცა ისიც მშვენივრად იცოდა, გვარდიის პოლკოვნიკთან ამ თემაზე საუბარს აზრი არ ჰქონდა.

იძიერაჟა თუ არა, გამეღვიძა კიდეც. თუმცა მეძინა კი საერთოდ? მოთენთილობას და დაღლილობას მაინც არ ვგრძნობდი. პირიქით, ხალისითა და ენერგიით ვიყავი სავსე. მივხვდი, მამაჩემის გადაწყვეტილებამ,— მოხალისედ წასულიყო ფრონტზე, სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ამავსო. ახლა, მეორე დილით, გაცილებით ენერგიულად და მონდომებით ვცდილობდი მის გამართლებას. ვცდილობდი, რაღაც არგუმენტს, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო არგუმენტს ჩავჭიდებოდი, რომ მისი გუშინდელი საქციელის მიზეზები რომ ამომეხსნა და გამემართლებინა.

„რასაკვირველია, შეცდა, — ვფიქრობდი მე, — სისულელე წამოროშა. განა სულ მალე თვითონვე არ გაათგნა თავისმა ნათქვამმა? მაგრამ ვაი თუ წლების მანძილზე გულში ღრმად ჩამარხულმა ფრაზამ მოულოდნელად იპოვა გზა და უნებურად ამოხტა მაღლა? — უცებ გველივით მიკბინა ეჭვმა, — არადა არა, განა თვითონვე არ დაეცა თავზარი თავისი სიტყვების გამო? განა თვითონვე არ გამოერკვა და არ მიხვდა თავისი ნათქვამის უსაფუძვლობას? განა თვითონ მშვენივრად არ იცოდა, ბიძამისი პოლონეთში გერმანიის დაზვერვას რომ ემსახურებოდა? განა ძნელი მისახვედრია, რომ ბებიაჩემი, მკაცრი, მაგრამ კეთილი და სათნო ქალი, ძმამ რომ ჩაითრია სამშობლოს ღალატში? ხალხს რომ ტყუილად იჭერდნენ, ბებიაჩემს ბაბუასაც ხომ მიაყოლებდნენ?! ბაბუაჩემმა კი შემდეგ მიიღო ორდენი და მედლები?!

უცებ ოთახში მამაჩემი შემოვიდა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, დაიხარა და შუბლზე მაკოცა.

— რა იყო, შვილო, ხომ გეძინება? — მითხრა თითქმის ჩურჩულით.

— რატომ? კარგად მეძინა. ხუთი წუთი იქნება, რაც გამეღვიძა, — ვიცრუე მე.

დუმილი ჩამოვარდა. მამაჩემს საუბრის გაგრძელება უჭირდა. მეც არ ვიცოდი რა მეთქვა.

— ომი მალე დამთავრდება? — ვკითხე მოულოდნელად.

— ჰო, ალბათ... რასაკვირველია, მალე დამთავრდება. რაც მთავარია, ჩვენ გავიმარჯვებთ. მე ხვალ მივდივარ ფრონტზე, გამაცილებ?

— გაგაცილებ!

— მალე ბაბუაც წავა.

— ბაბუას რომ არ უშვებენ?

— არ უშვებენ, მაგრამ მაინც თავისას გაიტანს. შინ ორნი დარჩებით. სწავლას არ მოუკლო და დედას დაეხმარე. პატარა აღარა ხარ, იცოდე, ფრონტზე დარდი არ გამაყოლო. იქ კი შევეცდები, არ შეგარცხვინო.

მამამ ამჯერად ლოყაზე მაკოცა, დინჯად წამოდგა და ოთახის კარი გაიხურა.

ასე ხმადაბლა რატომ მელაპარაკებოდა? სხვების გაღვიძებისა ეშინოდა? არა მგონია. დარწმუნებული ვიყავი, დედაჩემი უკვე სამზარეულოში ტრიალებდა. ბაბუაც ალბათ რადიოსთან იჯდა და უკანასკნელ ცნობებს ისმენდა, ან მის გადმოცემას ელოდებოდა. კაცმა რომ თქვას, მისახვედრი არაფერი იყო. ალბათ არ უნდოდა ჩვენი საუბარი ვინმეს მოესმინა და ჩემს ოთახშიც უთენია იმიტომ შემოვიდა. ისევ წარმომიდგა თვალწინ გუშინდელი დილა. გონების ეკრანზე

მთელი სიცხადით აღდგა მამაჩემის შეცბუნებული გამოხედვა. მივხვდი, ჩემი რცხვენოდა. იმასაც მივხვდი, ჩემს სახეზე ამოკითხული სასოწარკვეთის უკვალოდ გაქრობას ცდილობდა. ვიგრძენი, რამოდენა სურვილი ჰქონდა, ჩემში ყოველგვარი ეჭვი გაეფანტა, ჩემს გულსა და გონებაში მამისადმი ძველებური რწმენა ჩაენერგა. ჩემდა საუბედუროდ, კიდევ ერთ რამეს მივხვდი, გთხოვთ, ყურადღებით დამიგდოთ ყური. არა, იმ წუთში არ მივმხვდარვარ. არც იმ დღეს, არც მეორე დღეს. ომის დამთავრების შემდეგ მივხვდი. უფრო ზუსტად, ფრონტზე დაკარგული მამის დაბრუნების იმედი რომ საბოლოოდ გადამეწურა, მაშინ მივხვდი. სჯობდა კი, არ მივმხვდარიყავი. მას შემდეგ სულ მჯერა, რომ მე დავღუპე მამაჩემი, მე გადავადგმევინე საბედისწერო ნაბიჯი. დიახ, დიახ, ბატონო ჩემო, მამაჩემი ჩემი გულისთვის წავიდა ფრონტზე! ბაბუაჩემის მრისხანებას როგორმე გაუძლებდა, მაგრამ როცა იმ დილით, იმ საბედისწერო და დაწყევლილ დილით ჩემს სახეზე ზიზღი და თავზარდაცემა წაიკითხა, გადაწყვიტა უმალვე მოხალისედ წასულიყო, რომ მე, მის ერთადერთ ვაჟიშვილს გული არ მტკენოდა, მშობელი მამა ლაჩარი არ მგონებოდა. რომ... და მაინც, იცით, მეცნიერ კაცს რამ გადაადგმევინა საბედისწერო ნაბიჯი? (ანთებული თვალები, აღგზნებული გამოხედვა). არ უნდოდა ჩემს არსებაში ბელადისადმი ფანატიკური რწმენა და ერთგულება შერყეულიყო, და ამით ჩემი მომავალი ცხოვრება, თვით სიცოცხლეც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო. რაც მე იმ დილით მოვისმინე, იცოდ[illegible] [illegible]დილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ალბათ გელიმებათ, გაცვეთილი და ბანალური გამოთქმით რომ შევეცადე მაშინდელი სიტუაციის დახატვას. მამაჩემმა მშვენივრად იცოდა, ბელადზე მსგავსი სიტყვების მოსმენა ჩემს აზროვნებაში ისეთსავე ქაოსს შეიტანდა, ერთ მშვენიერ დღეს მზის სისტემის უზუსტესი ბრუნვის ციკლის დარღვევა რომ გამოიწვევდა.

დიახ, სწორედ ის მკლავს და მტანჯავს, მამაჩემი რომ ჩემი გულისთვის წავიდა ფრონტზე მოხალისედ. წავიდა და პირველსავე თვეს დაიკარგა. კიდევ ვიმეორებ, ბაბუაჩემის გულისწყრომას იოლად გაუძლებდა. ჯარში წასვლა რატომ უნდა ეჩქარა, თუ წასაყვანი იყო, მთავრობა წაიყვანდა! მამაჩემს, უკვე საკმაოდ ცნობილ ფიზიკოს-ექსპერიმენტატორს, მაშინ თურმე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ბუნებრივია, ნიჭიერი მეცნიერის თბილისში დატოვება გაცილებით სასარგებლო იქნებოდა. წარმოიდგინეთ ჩემი გულისტკივილი, ტანჯვა და სინანული, ამ საბედისწერო მოვლენის არსში ჩაწვდომამ რომ მომიტანა.

მცირე პაუზა.

— დღესაც ყურში მიდგას მამაჩემის სიტყვები, იქ კი შევეცდები, არ შეგარცხვინოო. „იქ", — ღმერთო, რამდენი რამ იგულისხმებოდა მამაჩემის მიერ ხაზგასმულად წარმოთქმულ ამ პატარა, ერთმარცვლიან სიტყვაში.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი გეგეჭკორი

## ეგვიპტე

რაკი ტკაცანი თვითმფრინავმა არ მოადინა,
რვა დღეა თქვენი ბრწყინვალება ქაიროშია,
და ღარიბული ზარდის სუპი მოაქვთ სადილად,
სიცხით გალექილს და დაქანცულს როცა მოგშივა.

ფანჯრების მიღმა აფრიკული სილამაზეა,
ქალები გვანან ოაზისში გაშლილ პიონებს,
„სენტ-ჯორჯი" ჰქვია შენს სასტუმროს იაფფასიანს,
ნომერში ხშირად გითიშავენ კონდიციონერს.

დღეს ალერსიან მზერის ტურისტს გზა აგერია,
დღეს ალერსიან მზერის ტურისტს წყალი გწყურია,
აქ ძველ ეგვიპტურ მანუსკრიპტში ასე სწერია:
„ალერსიანი მზერის კაცი უბედურია...."

ასეც რომ იყოს, ბიბლიური ეს მიზრაიმი
ანუ ეგვიპტე, წილნაყარი უდაბნოს მტვერთან,
ისე გაბრუებს, რომ ვერ გითქვამს ახლა რაიმე,
ბრუნავს ქაირო და იყოფა ნილოსის დელტა...

დღეს სფინქსი ისე იმზირება, რომ უმეცრებმა
ღამის წყვდიადში თითქოს წუხელ ცხვირი მოქლიბეს,
ხოლო ტურისტებს ნიალაგი ფეხქვეშ ეცლებათ,
როცა წაკითხვას უპირებენ იეროგლიფებს.

ალერსიანი მზერის ტურისტს აქაც ფირუზის
ცა გეფერება და მზე ადის ხეოფსის კიბით,
აქაც წარსულით ამაყობენ და პაპირუსით
და ალმერთებენ პაპირუსში გაფრენილ იბისს...

აქ ყველას უნდა უკვდავება.
ჟამის მონება
არ უნდა არვის.

უკვდავებას გრილი ხელები
შეავლეს კვერცხისთავიანმა ფარაონებმა
პირამიდებით, ლაშქრობებით, მზის დაბნელებით.

ალერსიანი მზერის კაციც თურმე საიდან
სად ჩამოსულხარ იმ განზრახვით,
ისე არ გაქრე,
შთამომავლობას რომ არ დარჩე ფერად სლაიდად,
როცა აჰყვები რწევა-რწევით წამომდგარ აქლემს...

ჟამით იშლება შენობები...
იშლება ჰალვა
თეფშზე არაბის დანის წვერით...
თვლემა ერევა
ხვატში ქაიროს. დაგივიწყებს ქაირო ხვალვე
და ვერ შერჩები ამ ქუჩების მეხსიერებას.

ქუჩამ სხეულზე თუ ბურუსი შემოიხვია,
ბოლოს და ბოლოს შენობები ულიმღამონი
თუ ბნელმა შთანთქა, ამ ქალაქში ყველგან ჩიხია,
შენი მეგზური აქ ბრძანდება მხოლოდ ამონი.

ვერ მოშმინდება რეგტაიმით დიდხანს საყვირი
გეზირის მწუხრში, როცა როკავს მუცლით ნილოსი,
გადმოყრილი აქვს მულატს ნუშის გოზინაყივით
თეთრი კბილები და იმშრალებს ხელებს ფილოზე.

ზიხარ ლიმონის თვალებიან ეგვიპტელებში,
პირი გიშრება ანანასის და წყლის ნატვრაში,
სიცხემ ჩაგიკლა მოგზაურის დღეს ინტერესი,
აქვს ამ აფრიკას მცხუნვარება კლეოპატრასი...

ბნელში ერთმანეთს ეხვევიან ძმაკაცებივით
მთვრალი ლანდები და შრიალებს უდაბნოს ქვიშა,
და შენ ტეხურის ჭალებიდან გატაცებული
არ გაძინებს და გულსაკლავად ქვითინებს ხვიჩა....

## ხასიათი

ყველას გინდა მოემსახურო.
ყველას გინდა გზა დაუთმო.
გერიდება, სხვას კარებში შეასწრო.
სანამ სხვა არ დაჯდება, არ დაჯდები.
საჭმელს სანამ სხვა არ გადაიღებს, არ გადაიღებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავის არ გინდა აწყენინო,
არც უფროსს, არც უმცროსს.
გერიდება, ბაზარში კაცს შეევაჭრო,
რასაც გიფასებს, იმას აძლევ.
გერიდება, ბალახზე ფეხი დაადგა.
აივნის მოაჯირზე ჩიტი რომ დაჯდება,
ფეხი ვერ გადაგიდგამს, რომ არ დააფრთხო.
ოთახში თუ ვინმეს სძინავს,
ფეხაკრეფით დადიხარ,
ისიც კი გერიდება, წიგნი გადაფურცლო,
ვაითუ გაიღვიძოს...

რა გეშველება,
შენი სიკვდილით ხალხი როგორ უნდა შეაწუხო?

* * *

ჭურჭელი სადმე დაგდებული ოჯახში უქმად
იქნება უქმი თუ არასდროს გაივსო სითხით.
ჩემი ცხოვრება არის მხოლოდ სრულქმნილი სიტყვით,
ო, მე ცხოვრების ვერ შევძელი უსიტყვო სრულქმნა.

არ გამაშუქა უხილავმა ნათელმა შუქმა,
როგორც კი აღარ გადირბინა თვალმა წიგნებზე,
მე სრულქმნილი ვარ, როცა სიტყვას ამოვიკვნესებ,
ო, მე ცხოვრების ვერ შევძელი უსიტყვოდ სრულქმნა...

## მშვენიერი იოსები

თავისუფლება გსურდა, შეგიპყრეს,
ამაყი იყავ, ხარ თავდახრილი,
სამშობლოს ნაცვლად გერგო ეგვიპტე,
ლია გიყვარდა, შეგრთეს რაქილი.

სდევს მძულვარება დაუფარავი
ქვეყნის ტკივილზე შენს ცრემლს და ზღავილს,
თავი გასწირო გსურს და არავის
არ უნდა შენი ბეხრეკი თავი...

* * *

იმას, ქაღალდზე რაც შენ გადაგაქვს
როცა ჩურჩულებს ჩემი ტუჩები,
თითქოს სიცოცხლეს, ქცეულს ბადაგად,
ცახცახით უფრო ვებღაუჭები.

თითქოს მღერის და თითქოს ანათებს,
ბავშვური ხელით დაწერილ გვერდებს
როცა ვკითხულობ...
ო, შენ ბარათებს
უნდა სანტო ქაღალდზე წერდე...

## პარიზი

მოხიბლული შემოგყურებ
პირმშვენიერს
და შენც ისევ შემომცინი აფიშებით,
მე თუ ერთხელ გზა დამებნა, მიშველიან
ბელურები და ეს შენი ცა მიშველის ..

რვადღიანი ფუსფუსით და საფიქრალით,
საკრე-კერის მზერითა და მონატრებით,
კიბეებზე სირბილით და პლას პიგალით
მე ვიქნები რვადღიანი მონმარტრელი.

უნდა შენი მასპინძლობა შევიფერო,
თუნდ პირქუშად შემომხედოს
რიშელიემ,
შენ მიშველი და მიშველის ეიფელი,
მზე მიშველის, ბელურები მიშველიან!

ხვალ თუ არა, ზეგ თუ არა, ალბათ
მაზეგ
მე ხმას გამცემს ეს ბრინჯაოს
კონეტაბლი,
შენ ალერსით ბოლოს ხელი უნდა თმაზე
გადამისვა, დამიხალო უნდა წაბლი.

თუ ღრუბლიდან გამოსულმა [illegible]
შემომცინა.. ეს თუ ბატინიოლია
და მზიანმა მონპარნასმა თუ მინდომა,
ჩემი მოშინაურება იოლია!

ცის ლურჯ ფარდას გადასწევენ
ამურები
და ბურდელი სიყვარულის შვილდს
მოზიდავს,
და კაბა რომ მუხლებს მიელამუნება,
მე გამოვალ ზამთრის ანაბიოზიდან!..

როგორც ცხენებს ადგილიდან
მოწყვეტილებს
და აქამდე მოუღლელებს ხეტიალით,
თორმეტ ბულვარს დაუხტვენს და
თორმეტივე
ბულვარს ყალყზე შეაყენებს ეტუალი.

სენ-ჟერმენის მერე ალბათ სენ-მიშელი
დამიხვდება.. დიახ, ეს სენ-მიშელია!
და თუ ერთხელ გზა დამებნა, შენ
მიშველი,
მზე მიშველის, ბელურები მიშველიან ..

* * *

ღმერთმა როცა გამაჩინა
და მაქცია კაცად თიხა,
ასე მითხრა: „არ ივარგებ,
მზეჭაბუკად არ მინდიხარ...“

არ ინდომა იმან ჩემი
არც ტყავი და არც ჩიჩია,
დაჭიმული სასიმღეროდ
მხოლოდ სული აირჩია.

და გამხადა სიტყვის მონად,
ამ ცხოვრების ანაბანა
არ მასწავლა და დამტოვა
მხოლოდ სიტყვის ანაბარა.

ახლა სიტყვაგაძარცული
ვგავარ უნაყოფო ასკილს,
ღმერთო, რაც შენ ჩაიფიქრე,
რატომ ხორცი ვერ შეასხი?..

* * *

ვსვამ ხავერდოვან დღეების ღვინოს
და ისე მათრობს, როგორც კიანტი,
ეს გაუმარჯოს ადრიატიკას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ რომ შრიალებს, ვით ფოლიანტი.
ეს გაუმარჯოს რომის პინიებს
და რომში ჩემზე გაცემულ ვიზას,
მთვარიან ღამეს და პულჩინელას
მოსაჟერებლად გადმოხრილ პიზას;
გარიბალდიან ლირებს და სოფლის
ტრატორიაში გაკრულ ბოტიჩელს,
და ლათინურის კაბალისტიკას,
ჩემს გაწითლებას და ჩემს ბოდიშებს;
ჩემს უძილობას, ჩემს თავის ტკივილს
ან სხვანაირად თუ ვიტყვით — მიგრენს,
ფლორენციაში პუდელს, რომელიც
გაუბედავად ფანჯრიდან მიღრენს;
ლიფტის სარკეში შრომანის თავით
დაბოლოებულ სხეულის ღეროს;
სიცილიელი ქალების ქოლგებს —
მსოფლიოს ფერად ნახევარსფეროს;
ფორთოხალს, წყალში ატივტივებულს,
და სან-მარკოსთან მისულ გონდოლას
და კიდევ მრავალს, რომ არ მინახავს
ან მინახავს და არ მაგონდება...

## შანდალი

სინათლე ჩაქრა და ოთახში ღამემ საგნები
უეცრად შთანთქა, ბნელში ვდგავარ და ვირინდები,
თითქოს წაიძრო ფეხსაცმელი და ფეხაკრეფით
მოიწევს შიში და აცვია მხოლოდ წინდები.

მაგრამ ეს შიში მიმორჩილებს ორიოდ წუთით
და სინამდვილეს უბრუნდება გონება ზანტი,
მერე ბრინჯაოს ორი გველი მიჭირავს კუდით
და გზას ოთახში მარმარილოს მივიკვლევ შანდლით.

მემკვიდრეობით გადმოცემულ ნივთსა და ძველმანს
დღემდე შემორჩა სურნელება, ისე ტკბილია,
რომ თითქოს უნდა მაგრძნობინოს სიცივე გველმა,
მაგრამ სითბო აქვს ამ ბრინჯაოს ორ რეპტილიას.

პროვინციაში გვიან მოსულს ორიოდ კვირით
„კვალს“ კითხულობდნენ იმის შუქზე ან „ივერიას“
და როცა ხვი სტეარინის ცრემლებით ტირის,
განათებული ეს ქვეყანა განიერია...

ამ შანდლის შუქზე ბანჯგვლიანი პოლიფემოსი
ქვაბს უზარმაზარ ლოდით ველარ ამომიქოლავს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სინათლე ბნელზე გაიმარჯვებს შანდლის შემოსვლით,
დაიბადება სიხარული ლექსის სტრიქონად...

და გამოსული შუაღამის ბნელ წიაღიდან
ძვირფასი ლანდი ჩაძინებულ შვილს და მეუღლეს
რაკი დახედავს, მიუჯდება მერე მაგიდას
და გაასწორებს ვარდისფერი მელნით რვეულებს...

* * *

სიბერე ესა ყოფილა,
ბკე მოიკიდა სისხლმა,
სადაც ხალისით მისულხარ,
იქ გეზარება მისვლა.

ათინათია გამქრალი,
რაც დღევანდლამდე ნახე,
დღეს პურს ისეთი გემო აქვს,
თითქოს ღეჭავდე ნახერხს.

გაქრა სიცოცხლის ხალისი,
დაგჩლუნგებია ალღო,
რა მოგივიდა, მითხარი,
დაბერებულო ბალღო!..

გახარებული სიკვდილის
თავს დაგდგომია ელჩი,
ეკლეზიასტეს ნაღველით
გულგამოჭმული შერჩი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ირაკლი ფარჯიანი, ქართველი მხატვარი

## გახსენება

1950 წლის — მაისი — 1991 წლის 23 დეკემბერი

1991 წლის 23 დეკემბერს თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა 41 წლის ირაკლი ფარჯიანი. უკანასკნელი თხუთმეტი წელი იგი თავდაუზოგავად ხატავდა და ასევე თავგანწირული ებრძოდა ფილტვების უკურნებელ სენს, რისი მიზეზითაც ხანგამოშვებით საავადმყოფოში უხდებოდა წოლა, სანამ 1991 წლის დამდეგს სნეულებამ საბოლოოდ არ დაუდო ზღვარი მის აღმა-დაღმა სირბილს კიბეზე ბინიდან სახელოსნომდე ნუცუბიძის პლატოზე.

იგი მესტიაში დაიბადა, სპირიდონ ფარჯიანისა და სოფიო ჯაფარიძის ოჯახში. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც 1974 წელს დაამთავრა. სადიპლომო ნაშრომად საოჯახო პორტრეტი ჰქონდა წარმოდგენილი. მისი ადრეული მხატვრობა: ყვავილები, პეიზაჟები, ნატურმორტები მდიდარი ნათელი პალიტრით წარმოგვიდგება. დედის გარდაცვალების შემდეგ კი, 1971 წლიდან მოყოლებული, მის შემოქმედებაში მთავარ ადგილს ბიბლიური თემატიკა იკავებს. მაღალი სულიერების, ღრმად მოაზროვნე ყმაწვილი კაცი უფაქიზესად ამუშავებს ოთხთავის (ხელნაწერთა დასურათება) იოანესა და მარკოზის სახარებებს (1977—1985 წწ.). ლუკას სახარებაზე იგი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა, ამავე დროს შექმნა ჭეშმარიტად ამაღელვებელი და იდუმალებით აღსავსე ტილოები ბიბლიურ და მითოლოგიურ თემებზე.

1985 წლიდან, როდესაც, ბოლოსდაბოლოს, ეღირსა შესაფერის სახელოსნოში გადასვლა, მან გრანდიოზული ტილოები უძღვნა ქრისტიანულ თემატიკას, — ძირითადად ჯვარცმა და ხარება. დაავადების გამო, იგი იძულებული იყო უარი ეთქვა ზეთის საღებავებზე და სანაცვლოდ, თვითნაკეთი ცვილის პასტელით მუშაობის უბრწყინვალესი და საოცრად ეფექტური ტექნიკა განავითარა. მან მრავალი წიგნი დაასურათა. მათ შორის: გოეთეს „ფაუსტი“, ჰომეროსის „ოდისეა“, გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კრებული, გერმანული საბავშვო მოთხრობები, თარგმნილი ქართულ ენაზე. გარდა ამისა მან ილუსტრაციები დაურთო ბიბლიური მოთხრობების საბავშვო კრებულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც გერმანელმა თეოლოგმა ირენ იოჰანსონმა მოამზადა და გამოსცა შტუტგარდში, გერმანიაში 1992 წლის სექტემბერში.

ფარჯიანის ნამუშევრები წარმოდგენილია თბილისის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, პალერმოს, ბარსელონას, ბერლინის გამოფენებზე. მისი მხატვრობა ამშვენებს გუგენჰაიმის მუზეუმს, ვაშინგტონში, ტრეტიაკოვის გალერეას და აღმოსავლურ მუზეუმს — მოსკოვში, თბილისის სახელმწიფო მუზეუმს, აგრეთვე, კერძო კოლექციებს — საქართველოში, რუსეთში, გერმანიაში, ესპანეთში, იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1991 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში იგი ტუბერკულოზის კლინიკაში დააწვინეს სადაც 23 დეკემბერს გარდაიცვალა. მას დარჩა ორი ძმა, თვრამეტი წლის ვაჟი ბექა, თერთმეტი წლის ქალიშვილი სოფიო და ქვრივი, მწერალი და მთარგმნელი ასმათ ფიცხელაური, რომელზეც 1979 წელს იქორწინა.

ტომ ბერტრანდი

P.S. აქ წარმოდგენილი ლექსები ირაკლი ფარჯიანის ხსოვნას ეძღვნება. პირველი ეკუთვნის რეზო ამაშუკელს, და დაბეჭდილია 1992 წლის თებერვალში კრებულში „პოეზია“. იგი ინგლისურად თარგმნა ამერიკელმა მეცნიერმა ტომ ბერტრანდმა. ტომ ბერტრანდია, აგრეთვე, მეორე ლექსის ავტორიც, რომელიც რეზო ამაშუკელის მიძღვნაზე ერთგვარი გამოძახილი გახლავთ. ტომ ბერტრანდი 1988 წლიდან მეგობრობდა ირაკლი ფარჯიანთან. მან გასულ წელს სამი და ამ ზაფხულსაც სამი თვე დაჰყო თბილისში, როგორც ვაშინგტონის ეროვნული მშვიდობის ფონდის წევრმა და სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოწვეულმა პროფესორმა სამართლისა და უმაღლესი განათლების დარგში. ამჟამად იგი გამოსაცემად ამზადებს ქართველი თანამედროვე პოეტების ანთოლოგიას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

## რეზო ამაშუკელი

ირაკლი ფარჯიანის ხსოვნას

გათავდა,  
მორჩა,  
ჩაიღველფა მკერდში ღადარი  
და ბოლო სუნთქვა ცაში გაღლვა  
მთვარედ გამდნარი...  
მაგრამ  
ურიგებს შიშველ კედლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იისფერ სევდას,
სული, ნიადაგ მობიბინე,
როგორც შანდალი!

ჩიჩილაკივით ანთებული ოცნება დარჩა,
მარადიული სმარაგდები
მტევნებად ხარჯა...
— ნაპირი არ ჩანს?! —
კითხულობდა, —
არ ჩანს, ნაპირი!
— და კრეფდა, კრეფდა
სულის ფსკერზე მძინარე მარჯანს...
ცხოვრობდა ქვეყნად
ჰლექიანი,
გამხდარი ბიჭი,
ბექა და ბეშქენ ოპიზრების
მოდგმის და ჯიშის.
უმზერდნენ შორით უგვანონი
შურით და შიშით...
და წევს მიწაში
იბერიის ბრდღვიალა ნიჭი!..

...პური,
მარილი,
ღვინის დოქის, გრილი სურნელი,
შენ მასპინძელი,
მე სტუმარი ხარბად მჭვრეტელი...
და სიყვარული,
სიყვარული განუკურნელი,
ამ ცის და მიწის,
ფერის, ფუნჯის და საჭრეთელის!

— აფსუს,
ირაკლი ფარჯიანო!
— სანთელი იწვის,
ცახცახებს სხივი
მშვენიერი და ალმაცერი...
ასე თუ მოკვდა
ვინც ხატავდა გელათს და ყინწვისს,
ასე თუ ჩაქრა
ბერთუბანის კედლის დამწერი?!

28 თებერვალი 1992 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## "To the Memory of Irakli Parjiani"

**[A poem by Rezo Amashukeli, published orginally in მეგზია, February 28, 1992.**
**Translated from the Georgian, by Tom Bertrand in July 1992]**

It is done,
ended,
a brilliantly glowing coal
burnt to a cinder in the breast,
a last breath whispered to the sky,
merging into moon...
yet casting still
on our bare walls
soul's violet, tremulous
eloquence.

A dream, bright-lit as Chichilaki, has passed,
his emeralds squandered by the handful...
– Can you see the shore there? –
he'd ask,
– No, it can't be seen! –
...and there he was, collecting
coral from the bottom of the soul...

He lived on earth awhile,
this thin, consumptive boy,
Beka's kith and Beshken Opizari's kin,
with talentless fools squinting from afar
in envious insecurity...
...now alone in the grave he lies,
bright master of Iberia!...

...Bread,
salt,
fresh flagon-smell of wine,
you are the host,
I, with hungry eye, the guest...
such love is here!
an all-consuming love
of sky and earth,
of brush and paint and palette-knife!

Alas,
Irakly Parjiani!
...The generous flame burns down,
flickers exquisitely, but then...
it is
as if we've lost again
the masters of Gelati's and Kintsvisi's frescoed halls,
are again bereft
of him who painted Bertubani's walls.

(translation copyright 1992 Tom Bertrand)

## ტომ ბერტრანდის პასუხი რეზო ამაშუკელის ლექსზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო, მხატვრობის მოყვარევ და ჯაზის ტრფიალო
შენებურია, შენ დაგვანახე ეს ნატიფი ხელოვანი, სათუთი სული.
შენ გაგვიძეხი მდიდრულ ფრესკებით მოხატული თაღებისაკენ,
შენ მოგვატარე ის კოშკები, გუმბათები და მწვერვალები, რომელთაც კაცი,
უშბას ქედებს განშორებული, სამუდამოდ გაითავისებს.
შენ არაფერი გამოგეპარვია: არც ღვთიური შუქის მადლი —
მის პალიტრაში და თვით მის გულში, —
გულში, რომელიც თვითნაბადი მარგალიტია, მღვრიე და მუქი
და არც შუქ-ჩრდილთა ალქიმია, ფერთა თამაში, —
სადაც ერწყმიან კაცი — მთას და მთვარეს კი — ნავი.
დაბოლოს სულ, სულ ზვარაკი,
მარადიული შესაწირავი უფლისადმი, ცოლისადმი, შვილებისადმი,
და მაინც ჩემო მეგობარო, ვერ დამითანხმებ,
ამას არ ჰქვია აღსასრული...

შემოსწრებული სტუმარივით, მე ვეზიარე
მხოლოდ ენას მზერის და გულის.
თუმცა, სხვაც მახსოვს, რითაც იგი, ასე უხვად გამიმასპინძლდა:
მეტყველი ხელები, საუბრისას მრავალი რამის გამომსახველი,
ხელებში ფუნჯი, — იმ სახეთა გამოსაძერწად,
დღეს რომ ცოცხლობენ ფურცლებს შორის,
მარკოზის და იოანეს სახარებებში;
ამ ხელებმა გამოკვეთა ის ანგელოზიც, მარად მწუხარე და თავდახრილი,
ის ძველი ხალხიც, ასე უბრალოდ გულკეთილნი, ასე მართალნი.
ეს მართლაც სულის ზეიმია, მარადიული დღესასწაული.

იგი მხოლოდ საქართველოს პანთეონში კი არ მარხია, —
მკვიდრი არის მთელი ქვეყანის პანთეონების.
ძალუძს კი ვინმეს, ანჯელიკოს მეტს,
ასე ნამდვილი რომ გახადოს საზარი წამი,
როცა მეტყველებს ანგელოზი, —
სიჩუმის თრთოლვა, ფართო თვალებში, წიგნის შრიალი
ხელის ცახცახში —
ან ვინ გადმოსცემს მტანჯველ სურვილს ემსახუროს მხოლოდ სიკეთეს,
ანდა ტკივილს სამოთხესთან გამოთხოვების.

ღამით წავიდა, გაქრა სიწმინდე
და დაგვიტოვა სახარება მარად ცოცხალი.
ვის შეუძლია ბოროტების ასეთ ღრიალში
აღძრას სურვილი განწმენდის და აღორძინების?
ან ავსულების მოძალების ჟამს, ვის შეუძლია
ასე ფაქიზად რომ ააჟღეროს, უსათუთესი სიმები სულის.

თარგმნა ბესიკ ხარანაულმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ტომას ელიოტი

# ლიტლ გიდინგი*

პოემიდან „ოთხი კვარტეტი“

1

გაზაფხული შუა ზამთარში — წელიწადის ცალკე დრო არის.
მზისდასავალს მიტანებულ მარადისობას,
მხოლოდ დროღა აწონასწორებს, პოლუსსა და ეკვატორს შორის.
მოკლე დღე როცა გავარვარდება ცეცხლით და ყინვით,
ალმური როცა წაეკიდება გუბეთა და ტბორთა ყინულებს,
უქარო სუსხში, ან უფრო სწორად, შუა მზისგულზე,
წყლის სარკეებში არეკლილი დღენაკლული მზე
ნაშუადღევის დამაბრმავებელ ბრწყინვალებით რომ იელვარებს,
მაშინ, სინათლე, ცეცხლმოკიდებულ ტოტებზე და ქურების ალზე
ძლიერი შუქი,
აამეტყველებს სულს დამუნჯებულს: ქარი კი არა, —
ეს სულთმოფენის ცეცხლი არის
ბნელყამობაში. ყინვასა და გალღობას შორის
ილვიძებენ სულის ძალები. არსად ტრიალებს არც მიწის,
არც სიცოცხლის სუნი. და ეს ნამდვილი გაზაფხულია,
ჟამთასვლის ჩვეულ წესს აცდენილი. ამ ერთ საათში
ცოცხალი ღობე აყვავდება თოვლის კვირტებით
და უფრო მალე გაიშლება ვიდრე ზაფხულში. არც კოკორი აქვს,
არც ლერწები,
და ეს ნამდვილი ყვავილობაა, — დაბადების ბუნებრივ წესს
გადაცდენილი.
სად არის ზაფხული, ის წარმოუდგენელი,
ზაფხული ნულზე გაჩერებული.

აქ რომ მოხვიდე
გზით, რომლითაც ადამიანს სჩვევია მოსვლა

---

* სოფელი ჰანტინგდონშირის საგრაფოში. ანგლიკანობის და როიალიზმის ბურჯი 1641—1649 წწ. სამოქალაქო ომში. ადგილი, სადაც სამგზის მოილოცა მეფე კარლოს პირველმა.

და იქიდან რომ წამოხვიდე, საიდანაც მუდამ მოდიხარ,
აქ რომ მოხვიდე მაისის თვეში, თვალწინ ისევ გადაგეშლება
ცოცხალი ღობე, აყვავებული, ტკბილ-მიწიერი მაისობისთვის
ჩვეულ სურნელით.

გზის დასასრული შეუცვლელია.
აქ ღამით მოხვალ უგვირგვინო მეუფესავით,
თუ დღისით მოხვალ, ისე, რომ არც გეცოდინება რისთვის მოხვედი,
გზის დასასრული შეუცვლელია. როგორც კი შარას მოიტოვებ
და საღორესაც გვერდს რომ აუვლი, წინ დაგიხვდება რუხი ფასადი
და საფლავის ქვა. მაშინ მიხვდები, რომ ის, რაც ადრე მოსვლის
მიზნად გეჩვენებოდა,
მხოლოდ გარსია, აზრის ნაჭუჭი,
საიდანაც ეს მიზანი გამოტეხავს, გადმოიღვრება,
თუკი აზრი კარგად არის მომწიფებული, სხვა შემთხვევაში შენ მიზანი არ
გაგაჩნია
რადგანაც მუდამ შენს მიერვე დასახული შენი მიზანი
ზღვარს მიღმა რჩება, სახეს იცვლის,
თუ გზას ადგახარ, თუ მიზანს აღწევ და თუ ახლოა გზის დასასრული.
სხვა მხარეებსაც ექახიან ქვეყნის კიდეებს
თუნდაც ზღვის ხახა, ტბა უძირო, ჩაშავებული, ანდა უდაბნო, ანდა, თუნდაც,
დიდი ქალაქი.
მაგრამ ეს ზღვარი ყველაფერზე ახლობელია და ყველაზე ახლოს არის დროში,
სივრცეში
და ეს ზღვარი არის ახლა, არის ინგლისში.

აქ თუ მოხვედი,
სულერთია, რა გზით მოხვალ, საიდან მოხვალ,
წელიწადის რომელ დროს, ან დღის რომელ საათს,
დასასრული შეუცვლელია: უკან უნდა მოიტოვო, ჩამოიბერტყო
აზრი და გრძნობა. შენ აქ იმისთვის არ მოსულხარ, რომ განისწავლო
ანდა დარწმუნდე, ცნობისწადილი რომ მოიკლა ან ანგარიში რომ გაასწორო,
აქ მუხლი უნდა მოიყარო, უნდა დაემხო. აქ ყველა ლოცვა შეისმინება.
და არ გეგონოს ლოცვა მხოლოდ სიტყვათა წყობა, ანდა გონებით
აზრის წვდომა,
ან ქლერადობა მხოლოდ გალობის — ლოცვა მეტია.
და რაც არ უთქვამთ სიცოცხლეში მიცვალებულებს
ახლა გეტყვიან: გარდაცვლილები გაგიცხადებენ ცეცხლოვან ენით,
ცოცხალთ ენას რომ აღემატება.
აქ, ამ წამიერ გზაჯვარედინზე უჟამო ჟამის
არის ინგლისი და არის არსად. არის არასდროს, არის მარადის.

II

ფერფლი, ბერიკაცს მხრებზე რომ ადევს.
დაუტოვიათ დაფერფლილ ვარდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცრის და ბუქის კორიანტელი
ნიშნავს, რომ მორჩა, ჩაქრა სანთელი.
სუნთქვას ერევა მჭვარტლი და მტვერი
ჩანავლულ სახლის, კედლის და ჭერის,
ქრება იმედი სასომიხდილი —
კვდება ჰაერი.

ბაგე და პირი გამოშრა გვალვით,
მოვარდა წარღვნა, დაალტო თვალნი,
მკვდარი წყალი და მკვდარი ქვიშანი
სიკვდილ-სიცოცხლის შეჯიბრს ნიშნავენ.
ცრემლებდამშრალი გლოვობს ხმელეთი
ამაოების ამ ელეთ-მელეთს.
სიცილი ღია ჭრილობად იქცა
და კვდება მიწა

წყალთა და ცეცხლთა საასპარეზოდ
იქცევა ჭალა, ქალაქი, ეზო.
წყლითა და ცეცხლით წარიწყმიდება
შეუწირავი მსხვერპლის სიწმინდე.
წყალი და ცეცხლი წალეკავს, შთანთქავს
გადავიწყებულ ამბიონს, საყდარს.
წარიხოცება ფუძე და კვალი
ასე მოკვდება ცეცხლი და წყალი.

ერთ განუსაზღვრელ საათს დილამდე
დაახლოებით უსასრულო ღამის დასასრულს
უსაზღვროების ერთ-ერთ საზღვარზე
იმ დროს როდესაც, შავი მტრედი, სულისმლაფავი,
შინდაბრუნების ჰორიზონტებს ეფარებოდა
და გაბზარული ლითონის ხმით ქლრიალებდა
მკვდარი ფოთლების კორიანტელი,
ასფალტზე, სადაც არსაიდან ჩქამიც არ ისმის,
ახრჩოლებული სამი უბნის გადაკვეთაზე
შევხვდით მე და ის. მოდიოდა და ხან ფეხს ითრევდა,
ხან ნიავივით ჩამიქროლებდა ქარით წამოშლილ
ხმელ ფოთლებზე ამხედრებული.
და როცა ისე ჩავაშტერდი მზედაკრულ სახეს
როგორც შემთხვევით სიბნელეში ჩამოვლილ მგზავრს დააკვირდება
ადამიანი,
მოულოდნელად დავიჭირე მზერა ერთ-ერთი დიადთაგანის
ვისაც ვიცნობდი, დამვიწყებოდა, ძლივს ვიხსენებდი
როგორც ყველაფერს, დამწვარი სახე, შინაური გამოხედვა
მრავალსახა ნაცნობ აჩრდილის,
ერთდროულად, ახლობელიც, შეუცნობელიც.
მოკლედ, ორმაგი როლი ვიტვირთე, მგზავრს შევუყვირე
და ყვირილმავე მიპასუხა: როგორ, შენა ხარ?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ არ ვიყავით. და მეც ისევ ჩემადვე დავრჩი,
მაგრამ ვიცოდი, რომ უკვე სხვაც ვარ —
იმისი სახე კი ჯერ მხოლოდ ხორცს ისხამდა, ყალიბდებოდა,
თუმცა მის მიერ წარმოთქმული სიტყვები კვლავაც
ადასტურებდა ჩვენს ნაცნობობას.
ai ამგვარად, ჩვეულებრივ ქარის ნებას დაყოლილები
და საკმარისად უცხოები იმისათვის რომ მომხდარიყო გაუგებრობა
ზიარებულნი აქ, ამ დროთა გზაჯვარედინზე,
როდესაც უკვე არ არსებობს „მერე“ და „მანამ“
ჩვენ შევხვდით „არსად“ და ღამეული /გუშაგებივით
ქვაფენილზე გავაგრძელეთ ჩვენი ლანდთა სვლა.
მე წამოვიწყე: საოცარია, მე შენთან ისე მეადვილება,
მაგრამ განა სიადვილე არ წარმოშობს მუდამ საოცარს?
და ამიტომაც შენ მითხარი რაც, შესაძლოა, მე ვერ გავიგე, ან შესაძლოა,
გადამავიწყდა,
მან კი: რად მინდა განმეორება იმ ჩემს აზრთა და მოსაზრებათა
რაც აღარ გახსოვს, ამ ყველაფერმა თავისი დრო უკვე მოჭამა, მოვეშვათ მაგათ.
შენც იგივე დაგემართება. შენ ის ილოცე, ეგ ყოველივე შეგინდონ სხვებმა,
ჩემსავით, აქ რომ შემოგწირავ ლოცვა-ვედრებას
ავის და კარგის მისატევებლად.
შარშანდელი მოსავალი მოწეულია. ცარიელ ჭურჭელს გამაძღარი მხეცი
წიხლსა ჰკრავს,
და შარშანდელი სიტყვა ეკუთვნის მხოლოდ შარშანდელ ენას
წოლო გაისის სიტყვა კი მოელის უკვე ახალ ხმას
რადგანაც გზათაგასაყარი აქ არის, ახლა. უღელტეხილი ორ სამყაროთა,
რომლებიც ერთურთს უკვე ისე დამსგავსებიან, რომ ბილიკს მგზავრი —
ყარიბი და შეუპოვარი, დაუბრკოლებლად გადაივლის და გადალახავს.
მეც აქ ვიპოვი გარდაცვლილ სიტყვებს, აქ, ამ ქუჩებში, რომელთაც უკვე აღარ
მეგონა თუ ვიხილავდი,
რადგან ყველაფერს დავეთხოვე გაღმა ნაპირზე სხეულთან ერთად.
ჩვენი საქმე და საზრუნავი — მეტყველებაა, რომელიც მუდამ იმისაკენ
გვიბიძგებდა,
რომ ტომის ენა გაგვეწმინდა კილოკავისგან, ხოლო გონება მიგვემართა
ჭვრეტად, შორსჭვრეტად.
მაგრამ ჯერ მოდი გადმოგიშალო დაზოგილი წლობით საუნჯე,
შრომის და ღვაწლის გასამრჯელო, კაცთა ცხოვრება მუდამ რითაც
დაგვირგვინდება.
უპირველესად, ჩამქრალ გრძნობათა ცივი ხრიალი, უმწეობა, სასოწარკვეთა,
ნუგეშის ნაცვლად მწარე გემო მოჩვენებით მწკლარტე ნაყოფის,
მაშინ როდესაც სული და ხორცი ერთურთს ეყრება.
მერე, შეცნობა ადამიანთა სირეგვნეზე აღშფოთების უსუსურობის,
სიცილის კრუნჩხვა, — ტანჯვა, რადგანაც აღარაფერზე არ გეცინება.
დაბოლოს, კიდევ ერთი წამება — იძულებითი განმეორება ყველაფრისა,
რაც გააკეთე და რასაც შენი სახელი ერქვა. ამ ყოველივეს მოსდევს სირცხვილი,
რადგანაც უკვე შიშველია შენი ქმედების ყველა მიზეზი.
აქ კი ირწმუნებ, რომ ბოროტება სხვებისათვის ვნების მომტანი, ოდესღაც
მორიგ წარმატებად მიგიჩნევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაგექცევა შხამად ქება, — დაღად პატივი.
ავიდან ავში დაძრწის ასე ტანჯული სული, ვიდრე განწმენდის
ცეცხლგამოყლილი კვლავ არ აღდგება
და ჩაებმება მწყობრი ცეკვით ალთა ფერხულში.
დღე თენდებოდა, ერთ-ერთ ანგრეულ გარეუბანში რომ მიმატოვა
მგონი, კიდევაც დამემშვიდობა.
შემოჰკრა გაყრის ნაღარას და გაუჩინარდა.

III

არსებობს სამი მდგომარეობა: ხშირად თითქოსდა ერთნაირი,
არსით სხვადასხვა და სამივე კი ერთ გზისპირა ბუჩქზე ყვავილობს.
სწრაფვა შენივე თავისაკენ, სხვებისა და საგნებისაკენ,
განდგომა შენი თავისაგან, სხვებისა და საგნებისაგან
და ამ ორს შუა ამოზრდილი — განურჩევლობა — უნაყოფო
ცოცხალსა და მკვდარ ჭინჭარს შორის, იმ ორ დანარჩენს ისევე რომ ჰგავს,
როგორც სიცოცხლე ჰგავს ხოლმე სიკვდილს.
აი ეს არის მეხსიერების გამოყენება: თავისუფლება
სიყვარულის უარყოფას კი არ გულისხმობს, არამედ გრძნობის
ისეთ განვრცობას, რომ სიყვარული გადასცილდეს გულისთქმის საზღვრებს.
და ასეთივე თავისუფლება მომავლისა და წარსულისაგან.
ამგვარად, ქვეყნის სიყვარული იწყება შენი, საკუთარი
მოქმედების ველისკენ სწრაფვით.
მერე გზადაგზა აღმოჩნდება, რომ მოქმედება
თავისთავად უმნიშვნელოა, მაგრამ არასდროს არის სულერთი.
ისტორია შესაძლოა, მონობაც იყოს — თავისუფლებაც.
ერთი შეხედე, როგორ თანდათან უჩინარდება ყველა სახე და
ყველა ადგილი, თან როგორ მისდევს შენი სახება.
რომელსაც მუდამ ეს ყველაფერი როგორც შეეძლო ისე უყვარდა,
და ახლა ელტვის განახლებას, ფერისცვალებას, ახალ სივრცეებს.

ცოდვა კი არის გარდაუვალი
და მაინც ყველა კარგად იქნება
და ყოველივე კვლავ კეთილად გარდაიქმნება
თუკი ხელახლა დავფიქრდები, — რა ქვეყანაა ეს
და რა ხალხი, არც სასახელო, არც ახლობელი
ბუნებითა და ნათესაობით.
მაგრამ ზეგარდმო ნიჭით ცხებული,
ზეგარდმო ნიჭით გამორჩეული
შეერთებული ბრძოლით, რომელშიც ასე დაიყვნენ და დაქუცმაცდნენ.
თუ სულ ვიფიქრებ უგვირგვინო დევნილ მეფეზე,
ანდა იმ სამზე, და სხვა მრავალზე, ძელზე რომ გასვეს,
იმათზე ვისაც უპატრონოდ ამოხდა სული უცხოეთშიც
და ამ მიწა-წყალზეც
უსინათლოზე, ვინც კვდებოდა წყნარი და მშვიდი,
და მაინც რატომ მოვიხსენიებთ მიცვალებულებს მომაკვდავებზე მეტი
პატივით?
ნუთუ იმისთვის, ზარების რეკვით და შელოცვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსულიდან რომ გამოვიხმოთ შორეული ზმანება ვარდის.
არა, ჩვენ უკვე ვერასოდეს ავაღორძინებთ
ვერც ძველ პარტიებს, ვერც ძველ ასპარეზს
და ვერც ძველთაძველ დაფდაფის ხმას ველარ გავყვებით.
ბოლოს ყველანი ერთ პარტიად შეერთებულნი
აღიარებენ მარადიული დუმილის კანონს.
გამარჯვებულთა მემკვიდრეობა
არის ყოველთვის დამარცხებულთ სამკვიდრებელი.
რას გვიტოვებენ? მხოლოდ სიმბოლოს — სიკვდილით სრულქმნილს.
და მაინც ყველა კარგად იქნება
და ყოველივე კვლავ კეთილად გარდაიქმნება
ზრახვათა ჩვენთა განწმენდს ეს მიწა —
მარადიული სავედრებელი.

IV

გაიხსნა ზეცა, დაეშვა მტრედი,
მდუღარე ალი გადმოსკდა ღვარად,
ჩამოჰკრა ზარმა, სასტიკი ბედი
ცეცხლის ენების ცეკვამ გვახარა.
სულის ხსნა ანდა სულის წარწყმედა.
    ცეცხლს და ცეცხლს შუა ცეცხლის დანთება,
    ცეცხლში — ცეცხლისგან — ცეცხლით განწმენდა.

რა გვკლავს და გვტანჯავს კვლავ? სიყვარული.
სახელი უცხო, მტრული, ფარული.
დააფრიალებს ფრთადაღალული
მარად უცვეთელ ალმურის კაბას,
ქვეყნიერებას რომ სწვავს და დაგავს.
    და ვცხოვრობთ, ვოხრავთ, მოვთქვამთ თუ ვკვნესით,
    ვინთქმებით მაინც ცეცხლში ან ცეცხლით.

V

რასაც დასაწყისს ეძახიან, უფრო ხშირად დასასრულია,
ხოლო დასასრულს რომ მიაღწევ — იწყებ თავიდან,
და დასასრული მუდამ ისევ დასაწყისს ნიშნავს.
და ყველა სწორი ფრაზა ანდა წინადადება (სადაც ყოველი სიტყვა
შინ არის და მხარს უმაგრებს მომდევნო სიტყვას,
სადაც ყოველი სიტყვა ითქმის არა ყასიდად
არამედ სიტყვა ნამდვილია — და აკავშირებს აწმყოს წარსულთან,
სადაც სიტყვები ისე ზუსტია, რომ გაცვეთილი, უხეში სიტყვა
არ ქღერს უხამსად,

ხოლო კაზმული — მაღალფარდოვნად,
მწყობრი ფერხულის სრულყოფი თანხმიერება ()
მოკლედ, ყოველი ზუსტი ფრაზა, ყველა მართალი წინადადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად მოიცავს დასაწყისსაც და დასასრულსაც
და ყველა ლექსი არის მუდამ ეპიტაფია.
ხოლო ყოველი მოქმედება მხოლოდ მომდევნო ნაბიჯია
დაბრკოლებისკენ, ცეცხლისაკენ, ზღვის ხახისაკენ,
ამოუხსნელი წარწერებით ნაკვეთი ქვისკენ: აი ეს არის დასაწყისი,
აქედან ვიწყებთ.

ჩვენ ვიხოცებით მათთან ერთად ვინც ახლა კვდება,
ერთი შეხედვით, მიდიან და ჩვენც თან მივყავართ
და ვიბადებით მათთან ერთად, ვინც დღეს მკვდარია
უკან რომლესაც ბრუნდებიან, წინ მოგვიძღვიან,
წამი ვარდის და ურთხელის წამი — ერთი წამია.
ხოლო ერი კი უისტორიოდ დროის მიღმა მაინც არ რჩება,
რადგან ის, რითაც ისტორია უნდა შეიქმნას —
განსაზღვრულია უჟამო ჟამით.
და ამიტომაც, მზისდასავალს, შუა ზამთარში, განმარტოებულ სამრეკლოში
ისტორია არის ახლა, არის ინგლისში.
ამ სიყვარულით შეპყრობილი, ამ მოწოდებით.

მანამ ვიქნებით მაძიებელნი
და ქვეყნად მანამ ვიხეტიალებთ,
სანამ გზის ბოლო დასაწყისთან არ მიგვაბრუნებს,
იქ არ მიგვიყვანს, სადაც დავიწყეთ.
და ამ უცნობ და დაუვიწყარ კარიბჭის მიღმა
მივხვდებით, ქვეყნად შესაცნობი
მხოლოდ ის დაგვრჩა — რითაც დავიწყეთ:
უგრძეს მდინარის სათავეში
მიმალული წყალვარდნილის ხმა,
ბავშვები, ვაშლის ხის რტოებში შეყუჟულები,
უხილავები, — უმეთვალყუროდ,
მხოლოდ ხმა ისმის, ოდნავ ისმის, ძლივს გასაგონად,
ორ ტალღას შუა ჩამოწოლილ ამ სიჩუმეში.
აქეთ, აქ, ახლა და მარად
აი პირობა სრულყოფილი უმანკოების
(რასაც ამქვეყნად ყველაფერზე მეტი ფასი აქვს)
და მაინც ყველა კარგად იქნება,
და ყოველივე კვლავ კეთილად გარდაიქმნება,
ალთა ენები როცა ისე შეიკვრება და დაიწნება,
რომ მოელვარე ცეცხლის გვირგვინში
ერთი იქნება ალი და ვარდი.

თარგმნა ახმათ ბეჟიძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

# ჩხადისიზმარიანა

რაკი ხელსაყრელი პირობები ვერ შეჰქმნეს იქ, რათა ქვეყნის მოქალაქეები ნება-სურვილით, დაინტერესებით მისწვდომოდა ციმბირის ტყეებსა და მაღაროებს, მდინარეებსა და ქვისსამტეხლოებს, საჭირო შეიქნა იძულებითი ღონისძიებანი. მხოლოდ სააგიტაციო მოწოდებებმა და ათასნაირმა პარტიულმა თუ კომკავშირულმა თაოსნობებმა საქმეს ვერ უშველეს და ამიტომაც მავთულხლართებით შემოღობა მთელი ციმბირის ტერიტორია და საგუშაგო კოშკების ტყეები აღმართა ამ მავთულხლართებით შემოზღუდული სახელდახელოდ გამართული გრძელი ძელური ბარაკები.

ჯერ კოლექტივიზაციის, — (გავანადგუროთ კულაკობა, როგორც კლასი) — პროცესების გამო ჩეკას უმკაცრესი მეთოდებით მიდენა თავისი მოქალაქეების დასჯილი, — (არა ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რის გამო), — მასები ამ ბარაკებში, მერე ოცდათოთხმეტში კიროვის მკვლელობას მისცა ზოგადი უმკაცრესი შეფასება, ხალხის მტრებით, დაიჭუხა და არნახული რეპრესიების გამო, — (დაგეგმილიც კი იყო, ადგილებიდან რამდენი პატიმარი უნდა გაეგზავნათ), — მიაწყდა დასჯილთა მასები ციმბირის ლაგერებს, მერე ოცდაჩვიდმეტის ქარიშხალმა წაიხვეტა მილიონები ციმბირისაკენ, ომის მერე კი აგრეთვე მილიონობით ტყვედყოფილები და მათი ოჯახების წევრები მირეკა ციმბირის მავთულხლართებამდე, ომის დროსაც ხომ ხალხთა დიდი გადასახლებები ჩაატარა, ამას გარდა ყველა რესპუბლიკის ჩეკა მტრების თავისებურ, რეგიონალურ ხატსაც ძერწავდა და აივსო ციმბირის უნაპირო და უკაცრიელი ტყეები, მთები და სტეპები ურიცხვი მონებით.

ამით ორი კურდღელი დაიჭირა სატანისებური ძალის მქონე სტალინმა: კარგად გრძნობდა ბოროტი გენია, თანდათან როგორ იმაგრებდნენ ფესვებს მიმალული ოპოზიციური ძალები და რაღა სათითაოდ ეძებნა ისინი, ამის დროც არ იყო, გერმანია გამალებით ემზადებოდა ომისათვის და ომის დროს ოპოზიციური ძალები ქვეყანაში ძალიან სახიფათო იქნებოდა, ამ რეპრესიული კამპანიების, — (ბევრი მათგანი ხელოვნურად შეკოწიწებული რო იყო) — დროს ხალხებში გადასროლილ ჩეკას მოქსოვილ ბადეებში კი არ შეიძლებოდა ჯერ კიდევ უცნობი და საგულდაგულოდ შენიღბული ოპოზიციური ძალებიც არ მოჰყოლოდა. სატანისათვის არაფერს ნიშნავდა, ამ წვრილთვლებიან ბადეებში უდანაშაულო ლოფსიტებიც რო მოჰყვებოდნენ, ამათაც თავისი საქმე გამოუჩნდებოდათ ციმბირის ტაიგებში, რაკი თავისი ნებით არ გაეშურენ იქითკენ.

მეორე კურდღელი ის იყო, რომა

გაგრძელება. იხ. „მნათობი" 1992 წ. № 11-12.

ციმბირის სიმდიდრის გამოულეველ ბელელს თუ იძულებით არ მიუსიე მონათა ლაშქრები, იმპერია ვერ გაძლიერდებოდა. მონების ლაშქართა გადაადგილებაც უფრო მოსახერხებელი და ხელსაყრელი იყო. დაიძახებდი „სვეშჩამი!“ და ერთ ლაგერში თავმოყრილ ორ-სამი ათას პატიმარს თვალისდახამხამებაში ჩაყრილი, ჩატენილი, მიჭუჭკავდი საბარგო ავტოებში და ოთხასხუთას-ათას კილომეტრს იქით ისე სწრაფად და უმტკივნეულოდ გადაისროდი ამოდენა მუშა ძალას, ერთი კაპიკიც არ დაგეხარჯებოდა, რაც მთავარია, ხვეწნა-მუდარა არ დაგჭირდებოდა, და ლმობიერი გარიგებანიც არ იყო საჭირო. იქ კი, საცა ეს დათრგუნული მონები მიჰყარე, ოქროს ახალი საბადო იყო გასაშენებელი, რათა საჭირო სპეციალისტები, რომელთაც დროებითი, მათთვის საინტერესო ხელშეკრულებებით ჩამოიტყუებდი, დაგებინავებია.

აი, ამიტომაც შექმნა სტალინმა კულაკის, ხალხის მტრის, მოღალატის ხატები, ძალიან კარგადაც იცოდა, ქვეყანაში არ იყო ამდენი კულაკი, ხალხის მტერი და სამშობლოს მოღალატე, მაგრამ ისიც კარგად მოეხსენებოდა, თუ ამგვარ ბრალდებებს არ გამოჩორკნიდი, ციმბირისკენ ვერ გარეკავდი მუშათა არმიებს.

ციმბირი კი ვეებერთელა საბჭოური იმპერიის ბურჯების მძლავრ და სამუდამო საყრდენად ესახებოდა რუსეთის ამ ბოლო იმპერიის მართლაც სატანური ძალისა და გონების მქონე მეთაურს.

მე მეცნიერულად, დოკუმენტალურად ვერ ვასაბუთებ ჩემს ვარაუდებს, მაგრამ ამ რეალობის მხილველთათვის და მათთვისაც, ვისაც არ უხილავს ეს რეალობა, არ არის ძნელი მისახვედრი, ჩემს მოსაზრებებში სიმართლის მარცვლები რო ბრჭყვიალებს.

აბა,

ერთ ქვეყანაში ამდენი

კულაკი?!

ხალხის მტერი?!

სამშობლოს მოღალატე?!

არა მარტო პიროვნებებით, ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერიის შემადგენელი ხალხებით?!

რუსი ხალხი კი არ უნდა ამხობდეს, ახალ და ახალ ძეგლებს უნდა უდგამდეს სტალინს. რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ხალხებისათვის მათ შორის საქართველოს ხალხებისათვის ის მართლაც ბოროტი გენიის, სატანის ხატად დარჩება მარად, მათ ხარჯზე მან რუსეთი, გუთნისა და ცხენის ისტორიული რუსეთი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს გაუთანაბრა.

ქართველი როა, ამიტომ ვერ ეგუებიან მის სახელს, თორემ ჭკუათმყოფელი რუსი მართლაც ხელთუქმნელ ძეგლებს უნდა უმართავდეს რუსეთში სტალინსა.

## ჯოჯოხეთის ვაგონები

ჰოდა, დადგა ჩვენი გაციმბირების დროც.

1949 წლის ივნისის ერთ დღეს რამდენიმე კაცი ბარგიბარხანიანად გამოგვიყვანეს, გამოვემშვიდობეთ საკანში დარჩენილთ და სხვა საკნებიდანაც გამოყვანილთ თავი მოგვიყარეს ციხის ეზოს ალაყაფის კართან.

აშკარა იყო, საეტაპოდ გვამზადებდნენ. ოცდახუთწლიანებს მოგვიყარეს თავი. არავინ გვეუბნება, სად მივყავართ. პატიმარს ვინ გააგებინებს, სად მიჰყავთ?! პატიმარს კი არა, ჯარისკაცს არ ეუბნებოდნენ ომის დროს, სად მიჰყავდათ, შემთხვევით რო ჩამორჩენოდა თავის ნაწილს, ველარც მიაგნებდა. პატიმარი კი არსადაც არ ჩამორჩება, ბადრაგის ფხიზელი თვალი არ დაუშვებს ამას, ვერც „ჩორნი ვორონიდანა“ და სპეციალურ საეტაპო ვაგონებიდან გამოძვრები, ძალიანაც რო მოინდომო.

ალაყაფის კართან შეჯგუფულნი საღამომდე გვაყურყუტეს. კვლავ შევხვდი ვანო ჩაჩხიანს, ჩემს ნათლიას ამგვარ ვითარებაშიც განიცდის ადამიანი ერთგვარ

სიხარულს. რაკი უკვე ვიცნობდით ერთმანეთს და ძნელ გზას ერთად უნდა შევდგომოდით ერთად რო ვიქნებოდით, ამან გაგვახარა. ვანოს ამ ციხეში ყოფნისას ერთი ყმაწვილიც დაძმაკაცებია და ისიც გამაცნო — იოსებ კვერცხიშვილი. ხარფუხელი ყოფილიყო, ჩემ მეზობლად ცხოვრობდა და ერთმანეთთან სწრაფად დაგვაახლოვა ამ მეზობლობამ.

აქედან დაწყებული ხუთი წელიწადი ჩვენ ერთად ვიყავით ურალში და კალიმაში, ერთად გავიარეთ უმძიმესი საეტაპო გზები.

არაადამიანური წამება გადავიტანე ამ გზებზე, მაგრამ თურმე ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ციხის ალაყაფის კართან რო ვიყავით შეჯგუფულნი, მაშინ ვყოფილვარ. ეს მოგვიანებით გავიგე, დედაჩემმა მომწერა ნიქნიტაგილში, დილით მოსულიყო ციხესთან, „პერედაჩა“ არ მიუღიათ, აღარ არის აქაო, უთქვამთ. საღამომდე ლოდინით გაუწამებიათ დედაჩემი, ის რო კომენდატურას ემუდარებოდა, მე ალაყაფის კართან ვიჯექი საეტაპოდ გამზადებული, შეღამებამდე იქ ვიყავიო, შვილო, წერდა საბრალო დედა, ფეხი ვერ მოვიცვალე, არა მჯეროდა, გაგზავნილი რო იყავი, გული სხვას მეუბნებოდაო, ისე როგორ განმაშორებდნენ, ერთხელ კიდევ შენთვის თვალი არ მომეკრა მაინცაო, შეღამდა და მერელა გულჩაკლული გავეშურე სახლისაკენ ჩემი „პერედაჩიანადაო“. ეს მაინც მიეღოთ, ეს მაინც წაგეღო საგზლადაო, მეორე დღეს მითხრა ერთმა ჩემსავით გატანჯულმა ქალმა, როგორც კი წახველი, კართან „ჩორნი ვორონკა“ მოაყენეს და იქ შეჩურთეს საეტაპო პატიმრებიო, ალბათ შენიც იქ იქნებოდაო, ვერ მომინელებია, შვილო, რამ ამაჩქარა, რამ წამომიყვანა იქიდან, გული ხო მიგრძნობდაო, ჩემი გული ხო არ შეცდებოდაო, თვალი მაინც მომეკრა შენთვის, ჩემო ჯუჯუკია ბიჭოო, ეს იყო კვირა დღესაო, 15 ივნისსაო, საღამოს ათ საათზედაო.

სწორედ ამ დღესა და ამ დროს ჩაგვყარეს, ჩაგვჩურთეს, ჩაგვწნეხეს კაცი და ქალი „ჩორნი ვორონკაში“ და სადგურზე ჩვენთვის გამზადებულ საეტაპო ვაგონში ჩაგვყარეს.

იქა მდგარა, ციხის ალაყაფის კართან, საბრალო დედაჩემი და „პერედაჩაც“ კი არ გამოართვეს, არ უთხრეს ულმერთოებმა აქ არის შენი შვილი, სალსალმათია და ნუ სწუხარო. არ ეჩვენებინათ, არ დაენახვებინათ ჩემი თავი, ორიოდე თბილი სიტყვა მაინც ეთქვათ. დაეშოშმინებიათ აფორიაქებული ქალის გული! რა მოხდებოდა?! რა დაშავდებოდა?! გამოიქცეოდა დედაჩემი და სადგურზე ვაგონის გისოსებიან სარკმელთან მაინც შემომხედავდა, შემომძახებდა, ნუ გეშინია, შვილო, აბა, შენ იცი, რა მაგრად იქნები, ჩემო ჯუჯუკია ბიჭოო. მეტი არაფერი. ვიცი, ამ სიტყვებს გამატანდა საგზლად და ოდნავ მაინც მღელვარებას დაიოკებდა, რაკი ორიოდე სიტყვას გამატანდა, ცრემლში ამოვლებულს ,ნაღველსა და სამსალში ამოვლებულს, მაგრამ გამძლესა და გამასულდგმულებელს სიმწრით გაზრდილი შვილისას.

ბაქოში ჩაგვიყვანეს და იქაურ გამანაწილებელ ციხეში შეგვრეკეს. ერთი თვე აქ ვიყავით, უფლება მოგვცეს და ჩასვლისთანავე წერილი გავუგზავნე ჩემიანებს. ჩამოასკდა ჩემი ძმა ბაქოს ციხეს, გვარიანი საგზალი ჩამომიტანა ორცხობილების საკმაო მარაგით, ნახვაც მოახერხა, მაგრამ სანახავად სხვებიც იყვნენ და იმდენი მოაწყდა გრძელი სანახავი დერეფნის გამყოფ რკინის ბადურას, ისეთი ყაყანი და ცრემლიანი კვნესა-მუდარა ატყდა, ჩემი ძმა კი დავინახე, მაგრამ სიტყვები ვერ გავაგონეთ ერთმანეთს. ორ-სამ დღეს იყო იქ, ფული მიკლებია, საათი გაუყიდია და ძლივს დაბრუნებულა თბილისში.

ჩვენს ეტაპს ქურდებიც ერია. ბაქოს ციხეში ვანოს, იოსებს და მე ერ-

თი თბილისელი ბერძენი შემოგვიამხანავდა. ბაქოს ციხეში ყოფნისას ქურდებთან ზარს აგორებდა, ერთხელ გააგულისეს რაღაცაზე, ბამბის თხელი საბანი ჰქონდა, ეძგერა იმის ერთ კიდეს, ჩაფხრიწა, იქიდან პატარა ჯაყვა გამოაძვრინა, ეცა ერთ-ერთ მოთამაშეთაგანს და ლაწვი ჩამოუსერა დანით. ხმა არ გაუღიათ მოთამაშე ქურდებს, მერე გვითხრა ბერძენმა, მართლა იჩათლახა, ჩემთან, დამჯდარი კამათელი გადამიგორა ოსტატურად, მაგრამ თვალი მოვკარი, ჩხუბისას როცა მართალი ხარ, სხვანიც შენს მხარეზე არიანო, ასეთია ქურდების კანონიო. ამის მერე ისიც ქურდად მივიჩნიეთ არა მარტო ჩვენ, არამედ დიდ საკანში მყოფმა ყველა პატიმარმა. ჯაყვა ისევ ჩააკერა საბნის კიდეში ჩვენ თვალწინ. ამის შემდეგ ჩვენ არავინ გვეკარებოდა ავი განზრახვით.

მთელ საეტაპო გზაზე ქურდები თავს იკავებდნენ ქართველების მიმართ.

ბაქოდან როსტოვის ციხეში ამოგვაყოფინეს თავი, რამდენიმე დღის შემდეგ კი შეგვყარეს სტოლიპინის ვაგონებში და გაქანდა ეს მატარებელი რუსეთის უკიდეგანო სტეპებზე.

სტოლიპინის ვაგონები.

ვაგონები კი არა, ჯოჯოხეთის რონოდები.

ჩვეულებრივ სამგზავრო გრძელი ვაგონების კუპეებს მოხსნილი აქვს კარები და გადაღობილია რკინის გისოსებით, ზედა საწოლები შეერთებულია ფიცრებით, რომელზედაც ექვსი კაცი წევს, ქვემოთ ორი კაცი. ზაფხული იყო, ცხელოდა და სული გვეხუთებოდა.

სპეციალურად გაწვრთნილი გუშაგები დარაჯობენ ამგვარ ვაგონებს. ყოველგვარი ადამიანური სიბრალულის გრძნობა ამორეცხილია მათი გულებიდან. მხოლოდ რუსი ახალგაზრდებია შერჩეული საამისოდ. სხვა ეროვნებისა მათ შორის არავინ დაუგენახავს. სული რო ძვრებოდეს პატიმარს, ისე გაივლის წარბსაც არ შეხრის, რო შესძახო, კაცი კვდებაო, დაგიღრენს, „მალჩატ, სვინიაო!“ კიდეც რო შემოიხედოს და გაწამებული მომაკვდავი დაინახოს, მის გულს მაინც არაფერი გაეკარება, გულგრილად ჩაივლის.

მეტწილად მარილიან ქაშაყს გვაძლევდნენ ამ გაუთავებელ გზებზე. სტოლიპინელ გუშაგებს მკაცრი რეჟიმი აქვთ. წყალს დილა-საღამოს ჩამოგირიგებენ მხოლოდ. მშივრები ქაშაყს მივეტანებოდით, მერე გაგვახელებდა წყურვილი, ცალკე ქაშაყი გამოგვიშრობდა სტომაქებს და ცალკე სიცხისაგან ოფლად ვიღვრებოდით. ვითმენდით, ვითმენდით, ვიცოდით დილიდან საღამომდე წვეთ წყალს არავინ მოგვიწოდებდა, მაგრამ ისე გავხელდებოდით, მოთმენის უნარი გამოგველეოდა, ველარ ვთოკავდით თავს, ავღრიალდებოდით, მთელი ვაგონი აყაყანდებოდა, გაისმოდა მხოლოდ ერთი სიტყვა „წყალი!“, არა მგონია ჯოჯოხეთში ამაზე მეტი გნიასი ატეხილიყოს ოდესმე , გუშაგი აივლ-ჩაივლის რკინის ბადურებს მოწყვეტილი, ხახაგამშრალი ტუსაღების წინ და არაფრად აგდებს ამ არაადამიანურ ღრიანცელს. ზოგ-ზოგი გონიერებას მთლად კარგავს და ცხრასართულიან დედის გინებასაც გამოურევს, ათასნაირ სხვა სალანძღავ სიტყვებსაც — „ნეგადიაი“, „სვოლოჩ“, „სუკა“, „პედერასტ“, — და სხვა მისთანანს, მაგრამ გუშაგი თითქოს ყრუაო, ამასაც არაფრად დაგიდევს, ზოგ-ზოგი, კი დაოსებული და ნიშატმიშრეტილი ვედრებასა და თხოვნას დაიწყებს — „გრაჟდანინ ნაჩალნიკ“, „რადი ბოგა“, „ბრატეც“, „ბუდ ჩელოვეკომ“, — მაგრამ ამგვარი ხვეწნა-მუდარა ხომ ამათ გულს საერთოდ არ ეკარება.

ამბობდნენ უპატრონო ბავშვთა სახლებში არჩევდნენ ამგვარ ყმაწვილებს,

უდედმამოთა უდაძმანოთა, უნათესაოთა და თუ რამ ადამიანური გრძნობათაგანი ჯერ კიდევ ჩარჩენოდათ მიამიტ გულებში, იმის ამოძირკვასაც ახერხებდნენ, ათასნაირი ფანდებით, ხერხებით, ჩაჩიჩინება-ჩაციებით. ჩეკას ციხეებსა და გულაგის კატორღებში გულცივი და გულგამოღრღნილი ზედამხედველებისა და გუშაგების ლაშქარში ესენი, სტოლიპინელები სულ სხვა კასტა იყო, აბა ციხისანებსა და გულაგელებზე მკაცრები და უხეშები რაღანი უნდა ყოფილიყვნენ?!

წყალი!

წყალი!

წყალი!

ღრიალებდა მთელი ვაგონი, ხანდახან წამოიძახებდნენ, სადგურამდე მოითმინეთ, მაგრამ აღარ ჩანდა სადგური. მიჰქროდა მთელი დღე გაუჩერებლად მატარებელი.

ასედაც მოხდა ერთხელ: წყალიო, რო ვღრიალებდით, ერთმა გამწლიკვნულმა გუშაგმა ალუმინის ჰიქით გამოიტანა წყალი და ჩვენ წინ დაღვა. მიაგინა და მიაფურთხა ერთმა ჩვენთაგანმა. ეგაც არაფრად ჩაუთვლია გამწლიკვნულ არაკაცს.

შიმშილით და უწყლობით გაწამებულმა ძლივს მივაღწიეთ სვერდლოვსკის ციხემდე.

სული მოვითქვით, როცა ჩამოგვყარეს ჯოჯოხეთის ვაგონებიდან.

## ჯიუტი იოსები

სვერდლოვსკის ციხეში შეგვაჩერეს, რადგან სექტემბერი წამოგვეწია. ამ დროს ბუხტე-ვანინოდან მაგადანამდე ზღვა იყინება და ნაოსნობა შეწყვეტილია. ამიტომ ოცდახუთწლიანები მომდევნო წლის გაზაფხულის ბოლომდე ნიჟნი-ტაგილის ლაგერში მოგვათავსეს. გაზაფხულის ბოლოს იხსნებოდა ბუხტე-ვანინოდან მაგადანისაკენ ნაოსნობა.

ერთქმის ერთი თვე გაგვაჩერეს სვერდლოვსკის ციხეში. ერთ დიდ საკანში მე, ვანო ჩაჩხიანი და იოსებ კვერცხიშვილი ორსართულიან ნარებზე მაღლა მოვთავსდით.

გზაზე საკმაოდ დავუახლოვდი იოსებ კვერცხიშვილს. სწრაფად დაგვაახლოვა იმან რომ ორივენი ხარფუხელები ვიყავით. ნაღდი ქალაქელი იყო იოსები, მამა-პაპათა შორეული ფესვები ორთაჭალაში, ხარფუხში ჰქონდა გადგმული. ის იერი დაჰკრავდა მის ქცევებსა და მეტყველებას, ძველ ორთაჭალელებს რო ახასიათებდა და ახლაც რო გვარიანადაა შემორჩენილი თბილისის ამ ძველთაძველ უბანსა და უბნელებში.

საკმაოდ მაღალი იყო იოსები, ყანგისფერ სახეზე ლაპარაკისა და ღიმილის დროს ნაოჭები უჩნდებოდა, ეს არ იყო ხანდაზმულობის ნაოჭები, ის ჯერ ოცდათხუთმეტი წლისა იყო, მშვენებელი ინჟინერი გახლდათ და ჩვენსავით ტყვედყოფილი და ლეგიონერყოფილი. მოუსვენარი და მოძრავი, ფიცხი,, მაგრამ სიფიცხისა გამო ვერასოდეს შეამჩნევდით უხეშობას.

საუბრისას ხარჯავდა დიდ ენერგიას, ლაპარაკობდა ხმამაღლა, არცთუ ისე მწყობრი კბილები, ალაგალაგ ჩაშავებულიც კი, უჩანდა ლაპარაკის დროს, დაბეჯითებით გამოთქვამდა თავის აზრს, რის შესახებაც არ უნდა ყოფილიყო ის, ყოველწამიერ წვრილმანზე თუ რაიმე მნიშვნელოვან რამეზე და ხელებს ისე ენერგიულად აქნევდა, თითქოს სიტყვებს შენი ყურებისაკენ ამ ხელებითაც ტყორცნისო.

რუსულად ლაპარაკის დროსაც ქალაქური კილო ეტყობოდა, გაოცებისას ან შეძახილისას „ვა“ ნაწილაკს წამოიძახებდა ხოლმე: — „ვა, ეგა გაგონილა?!“ — ამდაგვარად, რუსულად საუბრისასაც არ ივიწყებდა ამას — „ვა, ჩტო ტი გავარიშო!“ დაკვირვებული ვარ თბილისში, არცერთი უბნელების საუბარში ეს ნაწილაკი ისე ბუნებრივად და განუშორებლად არ ისმის, რო-

გორც ავლაბრელებისა და ორთაჭალელების საუბარში.

ამ და სხვა თვისებებითაც იოსები ტიპიური ორთაჭალელი იყო. შესამჩნევად გამოირჩეოდა ამით ჩვენგან.

გულადი და ერთგული ჭირთა თანამოზიარე იყო ამხანაგობაში. მერედამერე ლაგერებში განმარტოება და განცალკევება კი უყვარდა, მაგრამ საერთო გასაჭირისას განზე არ გადგებოდა.

ერთადერთი მიზეზი, რაც მარტოდმარტო გამოჰყოფდა ჩვენგან, ეს იყო მოსაზრებანი საბჭოთა კავშირისა, კომუნისტებისა და სტალინის შესახებ. ამათი ამგვარი დამცველი და პატრიოტი, ალბათ, გარეთაც არავინ იქნებოდა თავად კომუნისტებს შორისაც კი.

გაგვამწარებდა ხოლმე მეც, ვანოსაც, სხვებსაც. ვანოს, ამ დინჯსა და აუჩქარებელ ბიჭს, მოთმინებიდან გამოიყვანდა, გადარევდა, აცოფებდა. კომუნისტების ხსენებაზე ალერგია ემართებოდა, მათ უბრალო ხსენებასაც კი ვერ იტანდა, იოსები კი მოდგებოდა და მოდგებოდა, გაიძახოდა, ომი მოიგესო, ფაშიზმი დაამარცხესო, ქვეყანა გააძლიერესო, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს გაუტოლესო, სტალინზე დიდი და მძლავრი ბელადი არანაირ ხალხს არ ჰყოლიაო.

რა საწინააღმდეგო არგუმენტიც არ უნდა გეთქვა, უკან არ დაიხევდა, წყალი რო არ გაუდიოდა, ისეთ საბუთსაც მოუხმობდი, ამას მაინც ვერ გატეხდი, უკან ვერ დაახევინებდი, რამდენიც არ უნდა მისვლოდით, ამ მხრივ კლდე იყო, უტეხი, ყრუ, უჯიუტესი.

ისედაც მყარი ხასიათისა იყო, რამეს რომ აიჩემებდა, ძნელად გადაათქმევინებდი. არაო, რო იტყოდა, მორჩა და გათავდა, ბოლომდე თავისას გაიტანდა.

სვერდლოვსკის ციხეში ერთი რუსი შეუჩნდა, მახორკა მომაწოდეინეო, არა მაქვსო, კი გაქვსო, უთხრა რუსმა, ვა, ეგ ვინა ყოფილა, კაცო, ამას უფრო ცოდნია, რა მაქვს და რა არაო, შესძახა რუსულად, ჰო, ვიცი და მოიტაო, — („დავაი, დავაი, კაცოო", ქართველებს „კაცოს" გვეძახდნენ), — შენ ვინა ხარ, ასე რომ მედიდგულებიო?, გაცხარდა იოსები, ვინა ვარ და, ქურდიო.

„მერე ჩემთან რა გინდაო?!"

„მახორკაო"

„არა მაქვსთქო, ხო გითხარი?!"

„გაქვსო".

ვანო და მე ზემოთ, ნარის ზედა სართულზე ვისხედით და თვალგაფაციცებული დავყურებდით იქვე, ნართან მდგარ იოსებსა და რუსს. იოსებმა ფეხებზე დაიკიდა მისი ქურდობა, თავი რო მოაბეზრა თითქმის ზედ აკრულ რუსს, უბიგა ხელი და მიაყვირა:

„ვა, რა გული გამიწყალეო!"

რუსი კინაღამ წაიქცა, თავი შეიკავა და გამოქანდა იოსებისაკენ. ვანოს ალუმინის ჯამი ეკავა ხელთ, ეს რო დაინახა, გადმოიხარა ნარიდან და როგორც კი რუსი მოაწყდა იქვე, ნართან მდგარ იოსებს, აიქნია ვანომ ჯამი და თავში ჩაარტყა, დაბარბაცდა რუსი და ძირს დავარდა. მაშინვე საკნის შორეულ კუთხეში მხართეძოზე წამოთხლაშულიყო ორი რუსი წამოიჭრა და ამხანაგის საშველად გამოემართნენ.

მაშინვე იხუვლა სხვა დანარჩენებმა, წამოიშალნენ, შეჰყვირეს, შესძახეს, ერთმანეთში აირია ათასნაირი რუსული გინება, მიაცხრნენ ქურდებს, მოიქციეს ფეხქვეშ. ვიღაცამ კარზე ბრახუნი ატეხა, მოვარდნენ ზედამხედველები, სარკმლიდან შემოიხედეს, დაინახეს აურზაური, მიაძახეს მათ საკნიდან, გაიყვანეთ ეგ ქურდები, თორემ მოვკლავთო, გააღეს კარი, შემოცვივდნენ ზედამხედველები, ძლივს გამოგლიჯეს ხელებიდან მისიკვდილებული ქურდები, გაათრიეს გარეთ და მოიჯახუნეს კარები. ფეხზე მდგარი დარჩა მთელი საკანი. გრძელდებოდა ლანძღვა-გინება, მერე ნელ-ნელა ჩაცხრა ვნებათა ღელვა, „მალადეცო",

ასძახოდნენ ხელში ჯამშერჩენილ ვანოს, შენც „მალადეც“, კაცოო, მახორკა რო არ მიეციო, დაგვაჯდნენ თავზე, ჭკუა უნდა ვასწავლოთო.

ორმოცდაათამდე კაცი ვიყავით საკანში. თურმე ქურდთაგანი ერთერთი ღამღამობით მიუცოცდებოდნენ რომელიმეს, მუქარით ართმევდნენ ხან რას და ხან რას. დუმდნენ ესენი, ხმას არ იღებდნენ, ციხეში ქურდების დაუწერელი კანონებით დაშინებულნი მორჩილებდნენ მათ და იყვნენ გატრუნულნი, მაგრამ ყელში ბოღმამოწოლილნი.

ვანოს მიერ ქურდი მოძალადის თავში ჩარტყმულმა რკინის ჯამმა ერთბაშად გამოაფხიზლა ყველანი. მისი ხმა შურისძიების ზარივით გახმაურდა და ამოხეთქა ერთბაშად ყელში მოწოლილმა ბოღმამ, დაინახეს თუ არა ფეხზე წამოჭრილი მოძალადეები, მაშინვე ეძგერნენ მათ, ერთ მუშტად შეიკვრნენ, ალბათ გულში ელდასავით მიაწყდათ აზრი, ამ სამმა ღლაპმა ამდენი ოცდახუთწლიანი კატორღელი როგორ უნდა დაგვიმონოსო და ის იყო აჯანყდნენ.

## აბა, მელოდეთ

ნიჟნი-ტაგილში 1950 წლის გაზაფხულის ბოლომდე გაგვაჩერეს. ქალაქიდან კარგა მანძილით მოშორებით ლაგერი ულრან ტყეში მდებარეობდა. ძირითადად აქ პატიმრები ტყის ჭრაზე ჰყავდათ დასაქმებული. ახლომახლო სოფლები და ხუტორები არა ჩანდა. ვანო ჩახჩიანმა პირველივე დღეებიდანვე სანიტარულ ბლოკში შერგო თავი, იოსებ კვერცხიშვილს, როგორც ინჟინერს, რაღაც საქმე გამოუჩინეს, მე კი ერთმა ქართველმა ბრიგადირმა წამიყვანა თავის ბრიგადაში.

დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ამ არემარეში ალექსი კუთხაშვილსა და მის ბრიგადას. ტყისმჭრელების ბრიგადაში მეტწილად ბალტიისპირელები — ესტონელები, ლიტველები და ლატვიელები იყვნენ. ალექს[illegible]ყვია ბრიგადის საქმიანობა[illegible] მეტყევეთა ბრიგადებსაც რო შეშურდებოდათ. გეგმებს ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებდა და ბრიგადის წევრების გამოკვება არ უჭირდა. დისციპლინის დამყარება, რა თქმა უნდა, არ გაჭირვებია ბალტიისპირელებთან, მაგრამ შრომისმოყვარე ბალტიისპირელები გაუოცებია მის უნარსა და გამჭრიახობას ტყის ჭრის პროფესიულ საქმიანობაში. რამდენიმე წელიწადში მთელს ნიჟნი-ტაგილს მოდებია მისი სახელი. კანონიერი ქურდებიც კი არ გაუკარებია ახლოს, რადგან უმუშევარ კაცს ვერ გუობდა და „ზაკონნიკებმაც“ ვერა დააკლეს რა, ძალდატანებით და დაშინებით ვერაფერი გაუტანიათ მასთან. უდიდეს პატივს სცემდა კარგ მუშას და თუ რამე გააჩნდა, არაფერს იშურებდა მათთვის. მკაცრად თხოვდა ლაგერის უფროსებს ყველაფერს, რაც ბრიგადას ეკუთვნოდა გაწეული შრომის შედეგად. უფროსები დიდ ანგარიშს უწევდნენ ალექსის. ბალტიისპირელები ქომაგსა და მცოდნე წინამძღოლს ხედავდნენ მასში და ამიტომაც მართლაც სანიმუშო წესრიგი ჰქონდათ ბრიგადაში. ხშირად ამანათებს ღებულობდნენ ოჯახებიდან, იზოგავდნენ სანოვაგეს და შენახული ჰქონდათ ამისთვის სპეციალურად მიჩენილ ოთახში, რომელსაც მეთვალყურე ჰყავდა მიჩენილი. ქურდი და გამომძალველი ალექსის ბრიგადის წევრებს ვერ ეკარებოდნენ.

ბალტიისპირელები მკვეთრად გამოირჩეოდნენ დანარჩენი საბჭოელი კატორღელებისაგან. მათი ქცევები, ურთიერთობანი, საქმესთან დამოკიდებულება აქაც კი, დასჯილთა ამ მრავალფეროვან სამყაროში, მოთმინებისა და გონიერების ძალით იყო განსაზღვრული და ადამიანურობის ფარგლებს არ სცილდებოდა. მათ ვერ გადაეღო დასჯილთა სამყაროს უხეშობა, უგუ-

ლობა, დაუნდობლობა, მათ საუბარში ვერ შეიჭრა, ვერ მოიკიდა ფეხი ამ სამყაროს თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელთა საუბრებში მყარად დამკვიდრებულმა რუსულმა გინებებმა, განსაკუთრებით დედის გინებამ. რა უნდოდათ ბალტიისპირელებს ციმბირში? ეს ქვეყნები ომის წინ დაიპყრო რუსის ჯარმა, იმპერიაში ძალით შერეკილებს არც გერმანელების ახალი მსოფლიო წესრიგი ეჰაშნიკებოდათ, მაგრამ რა ექნათ, მათთან რო თანამშრომლობდნენ, ეგაც იძულებითი იყო. ამის გამო ომის შემდეგ მასიურად გამოაციმბირეს.

ალექსიმ ერთ-ერთ ლატვიელს ჩააბარა ჩემი თავი, ამას მოუარეო. ამკიდეს მეც ვეებერთელა ხელის ხერხი, ცული და შევუდექი ტყის ჭრის საქმიანობას. ლაგერიდან შვიდი კილომეტრი უნდა გაგვევლო, თოვლიან გზაზე, აღმართ-დაღმართზე, ხერხი — „ლუჩოკი" — მხარზე მქონდა ჩამოკიდებული და იმდენად სიმძიმე არ მაწუხედა, რამდენადაც მისი სიგრძე, თოვლს ან თოვლით დაფარულ რაღაც წამონაზარდებს შეეხებოდა ხოლმე ქვედა ბოლოთი და სიარულს მიშლიდა, ალაგ-ალაგ ფიცარნაგი ბილიკები იყო და იმიდან ფეხი რო გადაგცდენოდა ჩაქანებულ ფერდობებზე მოადენდი ზღართანს, თოფშეღერილ ბადრაგსა და მათ ძაღლებს კი მეტი არაფერი უნდოდათ, ამგვარ ფიცარნაგებზე ერთმწკრივად მივდიოდით და შენს უკან მომავალის ბედიც შენზე იყო დამოკიდებული.

ძნელი იყო ამგვარად შვიდი კილომეტრის გავლა. მე ძალიან გამიჭირდა. გასავათებული მივდიოდი ხოლმე სამუშაო ადგილამდე.

შხუილით ეცემოდნენ ძირს ამ „ლუჩოკებით" გადახერხილი ვეებერთელა ხეები ჩემი ლატვიელი ამხანაგი ნამდვილი ოსტატი იყო ამგვარი ხერხისა. მე ვერა და ვერ მოვიმარჯვე ეს ხერხი, ბევრი მეჩიჩინა ჩემი ლატვიელი,— (სახელი და გვარი აღარ მახსოვს), — მეც ძალიან ვცდილობდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ბოლოს მითხრა, შენ რტოების სხეპვაზე იმუშავეო. ვადგებოდი წაქცეულ ხეებს, რტოებს ვაჭრიდი ცულით. ეგაც გამიჭირდა, მაგრამ ჩემი ოსტატი რო შემამჩნევდა გადაღლას, შეისვენეო, მეტყოდა, რო მორჩებოდა ხეების მოჭრას, მერე ერთად ვსხეპდით და მოჭრილ რტოებს ერთად ვაქუჩებდით. გასხეპილ ხეებს ბირდაბირით ვხერხავდით სტანდარტულ ზომაზე. მუშაობის დამთავრების სიბნელეც წამოგვეწეოდა და ძალიან მიჭირდა იმავე გზით შვიდი კილომეტრის გავლა ლაგერამდე.

ერთი თვე გავუძელი ამ მძიმე საქმიანობას.

შალის თეთრი სვიტერი მქონდა ყელიანი, ვანომ მითხრა, მივცეთ ექიმს, და იქნება სანიტარულ ბლოკში მოგაწყოს სანიტრადაო. მოელაპარაკა ექიმს, ებრაელს თვალები გაუფართოვდა სვიტერზე და მაშინვე მომაწყო სანიტრად მისაღებში.

დილით ადრე სამუშაოზე გასვლამდე და საღამოთი, ექიმი ღებულობდა პატიმრებს, ზოგი მართლა ავად იყო, ზოგი თაღლითობდა, ეგებ სამუშაოდან გამანთავისუფლოსო და მე ამ მიღება-გასინჯვის დროს ვეხმარებოდი ექიმს, მერე წესრიგში მომყავდა ის ორი ოთახი, რომლებიც ამისთვის იყო განკუთვნილი იმ ბარაკში, რომლის ერთ გრძელ დარბაზში მოთავსებულნი იყვნენ ფიზიკურად დაუძლურებული პატიმრები, ამათ შედარებით უფრო კარგად კვებავდნენ და მოძლიერდებოდნენ თუ არა, კვლავ ტყის საჭრელად გარეკავდნენ. მეც ამათთან ერთად მომიჩინეს საწოლი.

ციხეების შემდეგ ასე დაიწყო ჩემი პირველი კატორღული ციებ-ცხელება ურალის მთების გაუვალ ტყეებში. ტყისმჭრელთა მძიმე საქმიანობას მე ვერ გავუძლებდი, სანიტრობამ მიხსნა იმჟამად.

ყველანაირი დამნაშავე იყო თავმო-

ყრილი ან ლაგერში. ქურდები, ბანდიტები, რეციდივისტები, გამფლანგველები, ერთმანეთს გლეჯდნენ და ძიძგნიდნენ, ესენი ბალტიისპირელებს ფაშისტებს ეძახდნენ, ჩვენ რომ მიგვიყვანეს, ოცდახუთწლიანი იქ არავინ იყო. ომის შემდეგ დახვრეტის კანონის გაუქმებამდე მეტწილად ტყვედყოფილებსა და ლეგიონერებს, მათ შორის ბალტიისპირელებსაც ათ-ათი წლის პატიმრობას უსჯიდნენ. ოცდახუთწლიანი ვადები დახვრეტის კანონის გაუქმების შემდეგ დაარიგეს აგრე გულუხვად. ნიჟნი-ტაგილის ლაგერში არავინ დაგვხვედრია ოცდახუთწლიანი და ამიტომაც ჩეკისტები ჩვენდამი უფრო ამახვილებდნენ ყურადღებას, ჩვენ დროებით, ნაოსნობის გახსნამდე შეხიზნული ვყავდით მათ და ფრთხილობდნენ, არავინ გაქცეოდათ უღრან ტყეებში.

არცერთი ჩვენთაგანი არსად გამქცევი არ იყო, მაგრამ ჩეკისტები ხომ თავიანთ ვარაუდებს სულმუდამ ეჭვებზე ამყარებდნენ... ვაი, თუ?! და სულერთი იყო, იყავი მტერი თუ არა, გინდოდა გაქცევა თუ არა, ვაი, თუო და უნდა მოგქცეოდა ისე, როგორც მტერს ან გაქცევის მოსურნეს. ამიტომ გიჭერდა და გიჭერდა მარწუხებს.

იმათ არა, ქურდებსა და ბანდიტებს, ისინი ლაღად დაპარპაშობდნენ ლაგერებში, ციხე და ლაგერი ჩვენი დასასვენებელი სახლიაო, აცხადებდნენ ისინი, და მართლაც ასე იყვნენ, უსირცხვილოდ წაგაჭდებოდნენ, თუ ქედს წაუხრიდი.

ალექსი კუთხაშვილის ქედზე წაჭდომა ვერ მოაერხეს.

ერთ დილით თავთით სკამზე დაწყობილი ტანსაცმელი ვეღარ ვიპოვე, აუწაპნია ვიღაცას. აქეთ ვეცი, ვეღარსად მივაგენი. ჩემთან ერთად თხუთმეტიოდე კაცი იწვა. არცერთმა არაფერი იცოდა.

გავიქეცი ალექსისთან.

იმავე დღეს მიაკვლია ქურდ-ბაცაცას. ისიც უთხრეს, ხვალ სამუშაო ობიექტზე აპირებს გატანას, ზედ ეცმევა თავისი ტანისამოსის ქვემოდან.

დილით სამუშაოზე გასვლის წინ ალაყაფის კართან მწყობრში მდგარს ხელი წაავლო ალექსიმ, გამოათრია მწყობრიდან, წაათრია ბარაკში, შეიყვანა „სუშილკაში", გახადა ტანსაცმელი და ქვემოდ მართლაც ეცვა ჩემი სვიტერი და შარვალი. ესეც გაახდევინა და ისე ლეწა სილაქი, მიწაზე გაიშოტა ქურდბაცაცა, ჩაფსკვნილი, ჩაკურატებული შუაზიელივით ფართო პირისახის რუსი, რამდენიმეჯერ წიხლიც ჩააზილა და ჩასძახა იატაკზე გათხლაშულს, ჩემს არემარეზე არ დაგინახო, თორემ გაგათავებო.

კანონიერ ქურდებთან ალექსისაც ჰქონდა ის ურთიერთობა, რაც საერთოდ მიღებულია ლაგერებში, მაგრამ თავგასულობას ისინიც ვერ ბედავდნენ ალექსისთან. ქურდბაცაცებს კი დაუნდობლად უსწორდებოდა და ამიტომაც იყო, მისი ბრიგადის არემარეზე ცხვირს ვერა ყოფდნენ ისინი.

ამ ლაგერიდან 1950 წლის 11 იანვარს ერთერთ წერილში დედაჩემს ვწერდი:

„დედია, ახლა ღამდება უკვე. ერთი შენს კალთაში ჩამადებია თავი და ისე დამაძინა ამაღამ. უჰ, რა ტკბილად დამეძინება. შენ მწერ ერთ წერილში, ჩემო ჯუჯუკიაო. სულ ყურებში ხმაურობს ეს სიტყვა. შენს მეტს ეს სიტყვა ჯერ არავის უთქვამს. რაც ქართულში სასიყვარულო სიტყვებია, ალბათ შენს სიყვარულს ჩემდამი ვერ გამოხატავენ სრულად, შენი სიყვარული უფრო მეტია და, აი, ამ სიტყვით გამოგიხატავს ის, ჯუჯუკიაო. ჰოდა, გეხუტუნე დედია, მოვა ის დროც, როცა შენი ჯუჯუკია ბიჭი კვლავ ჩაიძინებს შენს კალთაში. სამი წლის დაკარგული, სულ დაკარგული, დაგიბრუნდი, ბეჩა, და ახლა რა დამკარგავს. „მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ"... ა, ავლილინდი

მეც, ამყევი, დედია, ამ წერილს რომ მიიღებ, მაშინ ამყევი!...!“

გვარიანად შევეჩვიე ჩემს სანიტარულ საქმიანობას, რაც მთავარია, ურალის მკაცრი ზამთრის პირისპირ არ ვიდექი, ოცდაათი გრადუსი ყინვის ატანა მაინცადამაინც გაუსაძლისი არ იყო, მაგრამ როცა ქარი დაუბერავდა, ყინვის ძალა გაათკეცდებოდა. ერთხელ მეც წამეყინა ცხვირი, ვიგრძენი, რომ მაგრად წამწვდა სუსხი ზედ, მაგრამ ცალი ხელით „ლუჩოკი“ მქონდა დამაგრებული მხარზე, ცალ ხელში ცული მეკავა და ვერ მოვახერხე ცხვირის თითებით შეზელვა, შეჩერებაც არ შეიძლებოდა, რომ ეს ყველაფერი ძირს მიგეყარა, ცერა თითიანი ბამბის ხელთათმანები წაგეძრო და თოვლით შეგეზილა გათეთრებული ცხვირი. მე, რა თქმა უნდა, ვერ შევამჩნიე. გათეთრებული რო მქონდა, ჩემმა ლატვიელმა ოსტატმა შემაჩერა, შეჩერდა ერთ მწკრივად გაწელილი კოლონაც, თოვლზე დაყარა, რაც რამ ეჭირა, წაიძრო ხელთათმანები და თოვლით მიზილა და მიზილა არა მარტო ცხვირი, მთელი სახე, ლოყებიც გათეთრებული მქონდა, როგორც იქნა ამიპილპილდა თურმე ცხვირი და სახე, ცოტაც და ველარაფერი გიშველიდაო, მითხრა მერე ოსტატმა. ასე გადავურჩი სახის მოყინვას.

ბევრი შეეწირა ურალის ქარიან ყინვას.

მეც ვერ გადავურჩებოდი, სანიტარულ ბლოკს რო არ შევფარებოდი. თორმეტი საათი უდაბურ ტყეში ყოფნა ზამთარში, იოლი არ იყო.

მუდამ წესრიგში მქონდა ექიმის მისაღები ოთახები. წამლები, რა თქმა უნდა, ბევრი არა გვქონდა, მაგრამ რაც რამ მოგვეპოვებოდა, იმათი სახელები და დანიშნულებაც გვარიანად შევისწავლე.

ზოგი სიმულიანტი მიწყალებდა გულს, იმიტომ რომ სამუშაოზე არ გასულიყო, ექიმს ეტყოდა, კუჭი მტკივა, ფალარათი მაქვსო, ექიმი მე მომანდობდა შემოწმებას, ფეხსადგილში გავყვებოდი და უნდა მენახა, მართლა ფალარათი ჰქონდა თუ არა. ყურ[illegible] ილადრავდა ზოგიერთი, უთხარი, რო მაქვსო, შემეცოდებოდა და დავუდასტურებდი, ორი-სამი დღით ანთავისუფლებდა ექიმი. ბევრი მიეჩვია ამ ფანდს, მაგრამ მე ყველას ვერ ვუთანაგრძნობდი ხოლმე და მეჯიჯლინებოდნენ კიდეც ამის გამო.

მე კი ჩემს თავსაც ვუფრთხილდებოდი, სიყალბეში რო გამოვეჭირე ექიმს, გამაგდებდნენ და კვლავ ტყის ჭრაზე გასვლა უეჭველია დაღუპვა იქნებოდა ჩემი.

ამას რო ვუფრთხოდი, ერთი სამარცხვინო ამბავი შემემთხვა იმიტომაც.

ერთ დღეს კბილის ექიმი გვესტუმრა, სტომატოლოგი, ხქიმი მონატრებული, ყოველდღიურად არა გვყავდა ასეთი მკურნალი, კბილები კი, თუმცა საღეჭი არა გვქონდა რა, მაინც გვისნეულდებოდა, გვიჩირქდებოდა, გვილპებოდა, გვტკიოდა და მკურნალი არა ჩანდა, ჩვენ თავადვე ვინელებდით, ვუძლებდით, ვკვნესოდით, ცხელ სილას ვიდებდით ყბაზე, პირამიდონის ტაბლეტებს თუ ვიშოვნიდით, ვფხვნიდით და იმ ფხვნილს ვიყრიდით ღრძილებზე, ნუნებზე, ტკივილი ჩაგვცხრომოდა ოლონდაც. თავისუფალ სტომატოლოგს კი ვინ მოავლენდა ამ უკაცრიელსა და ულრან ტყეში? პატიმარმა მკურნალმა კი ვერა და ვერ მოაღწია ჩვენამდე.

და, აჰა, დადგა ეს ნანატრი დღეც.

მოვიდა სტომატოლოგი.

ახალგაზრდა, ჩემი ხნისა, გარეგნულად დიდათ უმცროსი რო ჩანდა, ისეთი მკურნალი გოგონა, ეჭვი რო შეგეპარებოდა მის ექიმობაში, ამას რა ეცოდინება კბილის ექიმობისაო, მაგრამ გაუჩერდებოდი, პირს დაუღებდი, შეაჩერდებოდი პირდაღებული და მოინუსხებოდი, ისეთი ამო შესახედავი იყო, ისეთი ცქრიალა და ცისფერი თვალები ჰქონდა, ფართო და ღიმილა, წვრილ-წვრილ, გადალას-

ტულ წარბებსაც რო ედებოდა ხოლმე ღიმილის შუქი, წამწამებსაც, ფიჭვის წიწვებივით აბზეკილ წამწამებს. არც მთლად დაბალი, მაგრამ მაინც დაბალი ეთქმოდა, თავის ბურღმანქანასაც რო ვერ წვდებოდა, მეც კი ნიკაპთან მეხებოდა მისი წაბლისფერი თმები, როცა უკან ვიდექი და ბურღმანქანას ფეხით ვუბზრიალებდი.

მომეხმარეო, საღამოს მიღებაზე მითხრა, დავიღალეო და მომეხმარეო.

მის უკან მდგარი ფეხს დავაჭერდი მანქანის საფეხურს და ბზრიალობდა, ტრიალობდა, ჩხრიალობდა ბურღი კბილისა, ის ბურღავდა და ბურღავდა ავადმყოფ, გამოხრულ კბილს რომელიმე პატიმრისას და მე აკრული ვიყავი მის ზურგზე.

რო შემოვიდა, გამარჯობა შენიო, ისე მითხრა, თითქოს კარგა ხნის ნაცნობი ყოფილიყო და რამდენიმე დღით წასული, ახლახანს დაბრუნებულიყო. შევხედე თუ არა, მოვინუსხე, მაგრამ ზედ თვალის შეჩერება ვერ გავბედე. ზედამხედველი მოჰყვა, აი, აქ უნდა იმუშაოთო, უთხრა გოგონას და წავიდა.

ოთახებს თვალი მოავლო.

„შენ რა გქვიაო?“ — მკითხა.

„ლადო-მეთქი“.

„სადაური ხარო?“

„ქართველი-მეთქი“.

„ქართველიო?“

„ჰო-მეთქი“.

„მე დარია მქვიაო“.

„ვისი ასული მეთქი?“

„არ გინდათ, დარია დამიძახეთო“.

„კეთილი-მეთქი“.

„ახლა წავიდეთ, ბურღმანქანა და ხელსაწყო მოვიტანოთო“.

წინ გამიძღვა. ნელა მიდიოდა თოვლიან ბილიკზე. თექის ჩექმები ეცვა და კი არ მიაბოტებდა, მიგოგმანობდა მწყერივით, ბამბის კურტაკში ტანი გამოკვეთილად არ მოუჩანდა, მაგრამ ჩექმის ყელამდე ჩაშვებულ იუბკაში თეძოებს ისე მიარხევდა, ეტყობოდა, ურიგო ტანი არ უნდა ჰქონოდა.

კარგი ხანია ქალთან, მით უფრო ასეთ ცქრიალა გოგონასთან [illegible] არ ვყოფილვარ და თვ[illegible]ოდა, მივყვებოდი და თვალით ვზომავდი, ისე მივყვებოდი, თითქოს ყელზე თოკი მქონოდა მობმული და მეორე ბოლოთი ის მეზიდებოდა,

მოვიტანეთ ბურღმანქანა და ხელსაწყოები. ბამბის კურტაკი და ჩექმები გაიხადა, ფოსტლებში პატარა ფეხები გაუყარა, ჩანთიდან თეთრი, ქათქათა ხალათი ამოიღო. მივწვდი მაშინვე და მკლავებს რო უყრიდა სახელოებში, მაშინ შემეხო მისი თავი ნიკაპზე, მეცა თმის საამო სუნი და ტანში გამბურძგლა.

„რამდენ წლიანი ხარო?“ — შემეკითხა, ხალათს რო ირგებდა, ისე.

„ოცდახუთიანი-მეთქი“.

ციბრუტივით შემობრუნდა:

„ოცდახუთიანიაო?!“

„ჰო-მეთქი“.

„უჰ, რა ულმერთობააო!“

ვარდისფერ ბლუზაზე ამობურცულ პატარა ძუძუებზე ხალათი გადაიფარა და წელზე სარტყელი შემოიჭირა. ბეჭედში გასაძრომი წელი არა, მაგრამ მკერდსა და თეძოებთან შედარებით უფრო შეზნექილი ჰქონდა და ეს უფორმო ხალათიც ვერ ფარავდა მის შნოიან აღნაგობას

„ბარაკებში ჩამოიარე და აქ მყოფთაგანს ვისაც კბილის მკურნალობა სურს მოვიდესო“. — მითხრა.

შემოვიარე ბარაკები.

პირველი მოვიდა ქურდი, რომელსაც მეტსახელად ზვერას ეძახდნენ. შემოაღო კარი, მოღრეცილი თვალები დარიას მიაშტერა და იქვე, კარში გაჩხერილმა იკითხა:

„ექიმი შენა ხარო?“

„დიახო“, — უპასუხა ბურღმანქანასთან მდგარმა დარიამ.

„შენაო?!“ — გაიკვირვა ზვერამ.

„თუ კბილი გაწუხებთ, მობრძანდით“, — მოიპატიჟა დარიამ.

„მკლავს და კბილი უნდა ამომიღოთო".

„კი ბატონოო?"

„ღრძილის კბილიაო"

„იყოსო".

„შენ როგორ ამოაძრობო?"

„თუ გეშინია, წადიო".

„მეო?"

„ჰო, თქვენო".

„რისა უნდა მეშინოდესო?!" — დაიღრიჯა ზვერა.

„აბა, მობრძანდით".

„შენ ბავშვი ხარ და სად გექნება იმოდენა ძალაო?!"

„კომპლიმენტისთვის დიდი მადლობაო".

„რა, არა ხარ ბავშვიო?!"

„მე ექიმი ვარ, სტომატოლოგიო".— გაიღიმა დარიამ.

„აბა, ჰა, ვნახოთო".

როგორც იქნა შემოდგა ფეხი ოთახში და ბურღმანქანის წინ სკამზე ჩაჯდა.

დახედა დარიამ კბილს, ხვრელი შეუჩიჩქნა. მტკივაო, ჩაიდუდუნა ზვერამ. ამოსაძრობიაო, თქვა ექიმმა, ამოაძვრე, ეგ შობელძაღლიო, მისცა თანხმობა ზვერამ და დააყოლა, თუ შეგიძლიაო.

რა თქმა უნდა, უნარკოზოდ, უნოვოკაინოდ ჩაავლო გაზი ექიმმა და მყისვე დაკავარჯნილ ფესვებიანი კბილი გაზით ცხვირწინ შეუმართა პაციენტს, რომელსაც კვნესაც კი არ დასცდენია, ოღონდ უეცრად შუბლზე ახვირთქლული ოფლი იმის დასტური იყო, რომ ტკივილი კაი გვარიანი ჰქონდა, მაგრამ გაუძლო და ხმა არ გაიღო.

„დიდი გამძლე ვინმე ყოფილხარო", — უთხრა დარიამ და ნადირის კბილივით ფესვებდაკავარჯლნილი კბილი თეფშზე დააგდო.

ზვერა არ წამომდგარა, ცოტა ხანს გაოგნებული იჯდა, ცხვირსახოცით შუბლზე ოფლი შეიმშრალა, პირში დარიას მიერ მიცემული მარგანცოვკიანი წყალი გამოივლო და იქვე ტაშტზე გამოღვარა მე შემომხედა და მითხრა:

„იცოდე, ამ ქალს რო ვინმემ რამე კადროს, ცოცხალი ვერ გადამირჩები, თუ იმწამსვე არ გამაგებინეთ".

ექიმმა ღრძილებზე რაღაც წაუსვა, ბამბა ჩაუდო, ორი საათი არაფერი ჭამოო, უთხრა, წამოდგა ზვერა, მხარზე ბანჯგვლიანი ხელი დაადო და ოთახიდან გავიდა.

სამუშაოდან შინდაბრუნებულები მოაწყდნენ საღამოს. გვიანამდე იმუშავა. რაც შემეძლო, ვეხმარებოდი, ბურღმანქანას ფეხით ამუშავებდა, ამან დაღალა და მე მომიხმო, მომეხმარეო, ზურგში ამოვუდგებოდი, როცა ბურღმანქანა ჰირდებოდა, ფეხით ვამუშავებდი მანქანას, ის კი ავადმყოფის კბილს ჩიჩქნიდა და ასუფთავებდა ბურღით. ვცდილობდი არ შევხებოდი მის სხეულს, მაგრამ ისე ახლოს ვიდექი, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, მაბრუებდა მისი თმის სურნელი, თეძოებით მეხებოდა ხოლმე და ეს ისე ხშირად ხდებოდა, გავიფიქრე კიდეც, თავად განგებ ხომ არ აკეთებსმეთქი. იძულებული შევიქენი, ხანდახან გავრიდებოდი, მეორე ოთახში გავიდოდი, დავმშვიდდებოდი და მერე ისევ მივაკითხავდი.

გულით მეწადა ამგვარი დახმარება, მაგრამ მერიდებოდა, არ შეემჩნია ჩემი აღგზნებულობა. რო გამრისხებოდა, რო გაკაპასებულიყო, რო გაეცხადებია, ხო გამაგდებდნენ აქედან, ხო დამაყრიდნენ რისხვა-ქოქოლას, ოცდახუთწლიანს, ვინ იცის, რას მიზამდნენ.

უარიც როგორ მეთქვა, ექიმი კია, ფორმა არ აცვია, მაგრამ იქნებ ჩეკისტია, იქნებ რამე ჩინიცა აქვს?!

გვიან ღამემდე იმუშავა და გავწამდი, გავთავდი, მოვიშალე, ავიწეწდავიწეწე.

ორი დღე ამგვარ გაგანიაში ვიყავი. ავადმყოფი ბევრი იყო მეორე დღესაც. ვინაც განაცხადა, სამუშაოზე აღარ გაიყვანეს და განუწყვეტლივ იჯდა ბურღმანქანასთან პაციენტები, შუადღისას შესვენება გამოაცხადა, ჩვეულებრივი ბალანდა მომატანინა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადილოდან და ერთად ვისადილეთ. მერე ზეწარგადაფარებულ ტახტზე მხართეძოზე წამოწვა და საქართველოზე გამესაუბრა, ბევრი რამ მსმენია და არასოდეს არა ვყოფილვარ თქვენშიო. მეც მოვუხსენი თავი გუდას და ვუამბე და ვუამბე ჩვენს მთებსა და ველებზე, სოფლებსა და ქალაქებზე, განსაკუთრებით თბილისზე. ჩემი ოჯახითაც დაინტერესდა, ეგაც ვუამბე და ვუთხარი კიდეც, თუ თბილისში მოხვდე, ესტუმრე დედაჩემს და მამაჩემსმეთქი. გადაიკისკისა, ორი წელი კიდევ დამრჩა სასჯელის ვადა, თუ გავაღწიე აქედან, უეჭველად ჩავალ თბილისშიო.

ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო, ორი წელი სასჯელის ვადა დამრჩაო, მაშასადამე, ეგაც პატიმარი ყოფილა, ნიჟნი-ტაგილის ლაგერში ვიხდი სასჯელსაო.

ოდნავ გავთამამდი, ნასადილევის მილებაზე უფრო გაბედულად ვეხახუნე თეძოებზე, არ იმჩნევდა და არ გამირბოდა.

შელამებისას დაამთავრა ყველა ავადმყოფის მიღება. დავრეცხეთ და დავასუფთავეთ ხელსაწყოები.

ყველაფერს რო მოვრჩით, ისევ ტახტზე წამოწვა. მე მაგიდას მივუჯექი და იმაზე დავუწყე ლაპარაკი, ეს რა კარგი ექიმი ყოფილხართქო, ასე ახალგაზრდას მოგიხერხებია ამ პროფესიის ჩინებულად დაუფლებათქო, რამდენი ოპერაცია ჩაუტარე ავადმყოფებს და ყველანი კმაყოფილნი დარჩენთქო და ისიც წამომცდა, ნეტავი შენისთანა გოგო თბილისში შემახვედრათქო.

კარგა ხანს ველაქუცე ასე მიკიბმოკიბვით.

უცებ მითხრა, სინათლე ჩააქრეო.

ჩავაქრე და კვლავ ჩემს სკამზე ჩამოვჯექი.

ერთხანს ვდუმდით ორთავენი. ვდუმდი და ვფიქრობდი, სინათლე რად ჩამაქრობინა-მეთქი? იდუმალი ხმა ჩამძახოდა, ხო ხედავ, მიგანიშნა, გაბედულად იმოქმედეო. ვერა და ვერ გავბედე, ვერ მივეახლე ტახტზე წამოწოლილს.

მერე ისევ ამანთებინა სინათლე. წამოდგა, ხალათი გაიხადა და ჩანთაში ჩაჩურთა, თექის ჩექმები და ბამბის კურტაკი ჩაიცვა, წავიდეთო, თქვა, და ვახტამდე უხმოდ მივაცილე.

ვახტიორმა კარი გაუღო.

დარია მომიბრუნდა და იქედნურად მითხრა:

„თბილისში ჩამოვიდეო?“

„ჩამოდი-მეთქი“, — მივუგე კრიჭაშეკრულმა.

„აბა, მელოდეო“.

კარში გავიდა და გაუჩინარდა.

## დედამიწის გაყინული გვერდი

1950 წლის 10 მაისს ჩემიანებს ვწერდი ურალის ლაგერიდან:

„გუშინ გამოვედი, დღეს უკვე ტაგილში ვარ. აქედან სვერდლოვსკში წაგვიყვანენ და მერე, ჰაიდა, დაიწყება კიდევ, ჩემი მგზავრობა, გუშინ წერილები გამოვგზავნე თქვენთან. ასე, რომ მივდივარ დანიშნულების ადგილზე, არ შეშინდეთ, კარგად ვარ, მე და ვანოს ცოტაოდენი საგზალი ქე გვაქვს შემორჩენილი: სალა, შაქარი, ვინახავდით, მოველოდით ამას და იმიტომ. სვერდლოვსკიდან გიდეპეშებთ და ცოტა ფულს გამომიგზავნით ალბათ, თუ მომისწრებს, ხო კაი, თუ არადა, დაბრუნდება ისევ. მერე შეიძლება ადგილზე ჩასვლამდე სხვა „პერესილკაში“ მოვხვდეთ კიდევ. თუ სვერდლოვსკში“ ფული ვერ მივიღეთ სხვა „პერესილკიდან“ გიდეპეშებთ და ასე, იქნება სადმე მოგვისწროს. თუ არადა, არაფერი იჯავროთ. ამ გზას როგორმე გავუძლებთ და მერე ადგილზე უკვე საფიქრალი არ არის. ადგილიდან, სადაც მივალ, მაშინვე გაცნობებთ, შეიძლება დეპეშა გამოგიგზავნოთ. დეპეშით გაცნობებთ, რა გამომიგზავნოთ, ფული თუ „პასილკა“, მაშინვე გამომიგ-

ზავნეთ. ხომ იცით, პირველ ხანებში ძნელია ახალ ადგილას. აქ რომ ვიყავი, თქვენმა დახმარებამ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი დახმარება გამიწია. თუ დეპეშა ვერ გამოვგზავნე და წერილსაც შეაგვიანდა, არ დაშინდეთ. ამბობენ, რომ იქ ათასგზის უკეთესი პირობებია. ასე, რომ მე და ვანო შევძლებთ რამეს, ლუკმა პურს როგორმე ვიშოვით“.

წერილებში ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი ნამდვილი მდგომარეობა არ მიმეწერა მშობლებისათვის. ვამხნევებდი, ვამშვიდებდი, არაფერი მიჭირსმეთქი. ეგაც ამ მიზნით ჩავწერე ზემოთ მოტანილ წერილში, „ამბობენ, რომ იქ ათასგზის უკეთესი პირობებიაო“. ამათ რო ვერიდებოდი, ისედაც გახეთქილ გულს მთლად ხომ არ გავუგლეჯდი, ამიტომაც წერილებში თითქმის სრულებითაც არ ვწერდი მძიმე ყოფით დეტალებს, სიმწარესა და სიდუხჭირეს, რასაც ახლა ძალიან ვნანობ, ბევრი მათგანი აღარ მახსოვს, გადამავიწყდა, წერილები შემომინახავდნენ მათ.

ასე, რომ მაისში წამოგვასხეს ურალიდან და ენით აუწერელი ტანჯვა გავიარეთ ბუხტე-ვანინოში მისვლამდე. აქაც ჯერ კიდევ ნაოსნობა არ იყო გახსნილი. ასე, რომ მაგადანში ჩასვლას რამდენიმე თვე მოვუნდით. ხან სტოლიპინისა და ხან საბარგო ვაგონებით, მერე რომელიღაც სატვირთო გემით თრევამ და ვაივაგლახმა დაგვასავათა, დაგვანელა, დაგვცვითა და დაგვაუძლურა.

მაგადანის გამანაწილებელ ლაგერში ბევრმა ქართველმაც მოიყარა თავი, მაგრამ დაგვაშორიშორეს და კალიმის სხვადასხვა მხარეს დაგვფანტეს. მე და ვანო კვლავ ერთად მოვხვდით და ასე აღმოვჩნდით მაგადანიდან შვიდასორმოცდაათი კილომეტრით მოშორებულ ლაგერში. რომელსაც რუსულად დე-დვა ჰქვიოდა, გაშიფრულად „დალსტროი დვა“, მერე კი, როცა იქ დასახლებული დაბა-ქალაქი შეჰქმნა, მას მიაუნჯას ეძახდნენ, იქვე ჩამომდინარე მდინარის სახელს.

ამ ლაგერში დავყავით მე და ვანომ ხუთი წელიწადი.

ეს იყო გულაგის განსაკუთრებული რეჟიმის ლაგერი. აქ მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო დამნაშავეები, რეციდივისტი ბანდიტები და ქურდები იყვნენ თავმოყრილნი.

მე და ვანო რო მივედით, ახლად ყალიბდებოდა იგი. მაღალი ღობეებითა და მავთულხლართებით შემოზღუდულ ვეებერთელა ადგილას ჯერ კიდევ ორი ძელური საცხოვრებელი და ერთი სასადილო ბარაკი იდგა მხოლოდ და საშიოდე ბარაკის მშენებლობა მიმდინარეობდა. ზონის გარეთ ჩეკისტების საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები და პურის საცხობი ფურნე იდგა.

უდაბური და უკაცური იყო ეს ადგილი, უსწორმასწორო, ვრცელი დაბლობის მერე ნელნელა დაქანებული ფერდობიანი ბორცვები იწყებოდა, პატარა მდინარე მიაუნჯას ნაპირ-ნაპირ ბუჩქნარი და დაბალი ხეები ხარობდა, სხვაგან უკიდეგანო სივრცეზე მცენარისნაირი არა ჩანდა რა. მიწის ზედაპირზე არაფერი ხარობდა ამ არემარეში, ზაფხულში, ივლისსა და აგვისტოში, ბალახი ოდნავ შემწვანდებოდა და შემწვანებულს თვალს მოკრავდი თუ არა, მაშინვე ყვითლდებოდა და იმწამსვე თოვლით იფარებოდა. მუდმივი გამყინვარების ზონას მზის მცხუნვარება ალბათ საუკუნეების განმავლობაში არც კი უგრძვნია. ივლისსა და აგვისტოში წერაქვით შეიძლებოდა ოცი-ოცდაათი სანტიმეტრის სიღრმის მიწა ამოგეთხარა, მერე წერაქვსა და ლომს რო დაჰკრავდი, ნაპერწკლები ეყრებოდათ წერაქვსა და ლომს, ისეა გაყინული მიწა.

აქ დაწერილი ჩემი პირველი ლექსი ასეთია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთები

არ უცხოვრია ამ მთებთან არვის,
თოვლის, ღრუბლების და მწირი ქარის
მეტი არავინ აქ არ ყოფილა.
დგანან და კარგად ამ ცივი მხარის
მზით ერთხელხც კი არ გათბობილან
აქ მარტო თოვლის სამშობლო არის,
ამათთან კაცი ჯერ არ შობილა...
მე აქ პირველი შევჩერდი მგზავრი
და, იმერეთის მაღალო მთანო,
თქვენ მაგონდებით და მახრჩობს ჯავრი,
თქვენი ჰაერი ვინ მომიტანოს, —
არა სჩანს თქვენი ყიყინა ქარი.

იმ ორ ბარაკში, რომლებიც იქ დაგვხვდა, თავდაპირველად ორასამდე პატიმარი მოგვათავსეს. ერთ წელიწადში ზონაში თექვსმეტი ბარაკი და საავადმყოფო აშენდა. ერთი წლის შემდეგ აქ ერთდროულად სამი-ოთხი ათასი კატორღელი მოთავსდა. როგორც კი ეს კონტინგენტი შეივსო, დაიწყო გარე მშენებლობა. თურმე მაგადანის შემდეგ კალიმაში აქ მეორე სამრეწველო ქალაქის გაშენება ჰქონიათ განზრახული.

თავდაპირველად დაიწყო ასი ათას კილოვატიანი თბოელექტროსადგურის მშენებლობა. კლდოვან გორაკზე დაიწყეს მთავარი კორპუსის დადგმა. პარალელურად მიმდინარეობდა პატარა მიაუნჯას პლატინის აგება, საცა უნდა დაგროვებულიყო ეს მდინარე, რომელიც გამოკვებავდა ელსადგურს, ამავე დროს წინ დაცემულ ტრიალ ველობზე დაიწყო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

ამ გრანდიოზულ სამუშაოებს აწარმოებდნენ პატიმრები.

ეს იყო ხალხის მტრების, სამშობლოს მოღალატეთა იძულებითი მუშაობა. ეს არ იყო მხოლოდ საბჭოთა მოქალაქეების კატორღა, აქ იყვნენ ჩინელებიც, კორეელებიც, ბალტიისპირელებიც, აგრეთვე ამ ქვეყნების რუსი ემიგრანტებიც.

დასჯილებითქო, მოგახსენეთ, დიახაც, დასჯილები, ზოგი სამართლიანად, ზოგი უსამართლოდ, მაგრამ ძირითადად ყველანი იმისთვის გასამართლებულნი, რათა აქ, ამ უკაცრიელ შორეული ციმბირის ყინულოვან მხარეში იძულებით მოერეკათ, რათა თბოელექტროსადგური და დაბა-ქალაქი აეშენებინათ, ამგვარად ადამიანები დაემკვიდრებიათ აქა და მერე შედგომოდნენ მიწის წიაღისეულის ძებნასა და მოპოვებას. ელსადგური და თბილი სამსართულიანი სახლები თუ იქნებოდა, მერე შეიძლება მოქალაქენიც ჩამოსულიყვნენ სამუშაოდ, ამათ კიდევ ის პატიმრები მიემატებოდათ, რომლებსაც სასჯელის მოხდის შემდეგ შინ წასვლის უფლება არა ჰქონდათ, ხუთი წელი აქვე უნდა დარჩენილიყვნენ სამუშაოდ. ხუთ წელიწადში ბევრი მათგანი ოჯახსაც გაიჩენდა და მერე ოჯახიანად აყრას აქვე სამუდამოდ დარჩენას ამჯობინებდნენ, აქ დაბადებული ბავშვები კი სამშობლოდ შეისისხლხორცებდნენ ამ ადგილებს და ასე გაჩნდებოდა მუდმივი მკვიდრები.

აი, ესენი კი შეძლებდნენ ამ უმდიდრესი წიაღისეულის მოპოვებასა და ამოღებას მარად გაყინული კალიმის ქანებიდან.

მონური, იაფი და ხელსაყრელი შრომით შეიძლებოდა მხოლოდ ამ არემარეში ამის მიღწევა.

მე მომიხდა პირველი წერაქვის დარტყმა ამ გაროფილ მიწაზე.

მე და ვანო ჩაჩხიანს.

მე და ალექსანდრე ქათამაძეს.

მე და იოსებ კვერცხიშვილს.

ბორია ხუხუას, ალეკო მელაძეს, შოთა ჯიჯაძეს, შალვა ქვათელაძეს, ლევთერი მალანიას, შალვა მჭედლიშვილს, გოგი ბარბაქაძეს, შალვას, გოგის, ზაქროს — (ამათ გვარებს ველარ ვიგონებ).

1954 წლის 1 იანვარს მიაუნჯადან მშობლებს ვწერდი:

„მე კი, საყვარლებო, ჯერჯერობით არა მიშავს, ვმაგრობ, დიდი იმედი მაქვს. საშინელი ყინვებია. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, სამოცი გრადუსი, ორ-

მოცდაათი ჩვეულებრივია. ორმოცს ქვემოთ რომ დაიწევს ხანდახან, გაზაფხული გვგონია. კაცი რომ გარეთ გამოდის, პირიდან ბოლი ისე ამოდის, როგორც ორთქლმავლის მილიდან, შუილით, ბარაკში შიგნიდან მინები ყინულით არის დაფარული. წელიწადში მხოლოდ ორი თვეა ,ზაფხული. დანარჩენი სულ თოვლია ჩემს გარშემო".

ასეთი სიმღერაც არის კალიმაში გავრცელებული:

„კალიმაა პლანეტა
სხვაგან არსად ნახული,
თორმეტი თვე ზამთარია,
დანარჩენი ზაფხული".

ამ ლაგერში ხუთი წელი ვიყავი გამოკეტილი. მე არ შემეძლო მომევლო ციმბირის ეს უკიდურესი ჩრდილოეთის, კალიმის მარად თოვლიანი მთები და ველები, ტაიგები, მიწა, რომლის ტერიტორიაზეც რამდენიმე სახელმწიფო დაეტეოდა, არც შინ მობრუნების შემდეგ ჩავჯდომივარ მისი ისტორიის შესწავლას, ამ წიგნში არც ისა მაქვს განზრახული საბჭოური უზარმაზარი გულაგის ლაგერების ისტორია აღვწერო, ეს ჩინებულად მოუხერხებია სოლჟენიცინს და ეგაც საკმარისია დაინტერესებული მკითხველისათვის.

მე ჩემს ვარაუდებს გამოვთქვამ უკვე პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ძირითადად ერთი ქართველი ყმაწვილი კაცისა და პოეტის ავი ბედისწერის ამბავი მინდა როგორმე მოგითხროთ.

ამიტომ ზოგადი მსჯელობებით, როგორც ამჩნევთ, თავი არ მინდა შეგაწყინოთ.

## თავისუფლებისაკენ გზას ვულოცავდი ალეს

ალე (ალექსანდრე) ქათამაძე პირველი ქართველია, რომელმაც აქ ფეხი დადგა, შემდეგ შევემატეთ მე და ვანო ჩაჩხიანი. მერე და მერე მოგროვდნენ სხვა ქართველებიც.

ალეს მოეხერხებინა და სანიტარული მდგომარეობის მოწესრიგებისათვის თვალყური მიენდოთ, ბრიგადებს არ დაჰყვებოდა საერთო სამუშაოზე და ეს ლაგერში დიდ ბედნიერებად ითვლებოდა. ზონაში სამუშაოდ მოწყობისათვის თავს იკლავდნენ პატიმრები. მე ვერ მოვახერხე თავდაპირველად. ვანოს კი ხელთ წითელჯვრიანი წამლების პატარა ყუთი მისცეს და მუშა ბრიგადებს დაჰყვებოდა სამუშაო ობიექტებზე, როგორც ექთანი, ეგაც, რა თქმა უნდა, დიდი შეღავათი იყო, ფიზიკურად არ მუშაობდა მთელი დღე, სადმე ცეცხლს მიუჯდებოდა ხოლმე და ყინვით არ ითოშებოდა. თუ ვინმე შეუძლოდ გახდებოდა ან რაიმე ტრავმას მიიღებდა, იმათ პატრონობდა. ასეთი შემთხვევა კი ძალიან იშვიათი იყო.

ალე ქათამაძე ბათუმელი იყო, ისტორიკოსი, ომში გაწვევამდე აჭარის კუთხის წარსულის კვლევა-ძიებაზე მუშაობდა. ომში ტყვედჩავარდნილი დათა კავსაძის მომღერალთა გუნდში მოხვედრილა.

ამ გუნდის ყველა წევრს სამშობლოს ღალატი დასწამეს და ათ-ათი წლის კატორღა მიუსაჯეს, იმის ნაცვლად, რომ მადლობა ეთქვათ დიდი ეროვნული ღვაწლისათვის, — ეს ხომ პირველი ქართული ანსამბლი იყო, რომელმაც აგრე ღირსეულად გააცნო ევროპას ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. როგორი სიმწრით შედგენილი ანსამბლი! რა პირობებში! ტყვეთა ლაგერებიდან ძლივს მონახული მომღერლებითა და მოცეკვავეებით, მერე ქართულ ლეგიონებში მიკვლეული არაპროფესიონალი. მაგრამ ღვთისნიჭით ძებული ხმის მქონე მუსიკოსებით შეკოწიწებული.

რა ენერგია და თავდადება უნდა გამოეჩინა დათა კავსაძეს, ამ დიდი მუსიკალური ოჯახის ნაშიერს, ეს დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასებელი ღვაწლი გაეწია და შეექმნა პროფესიულ დონეზე აწყობილი ანსამბლი!

ომის წლებში, უსასტიკეს დროს, ამ ანსამბლმა გააცნო ქართული სიმღერები და ცეკვები იტალიელებს, ფრანგებს, გერმანელებს. ოვაციებით ხვდებოდნენ და აცილებნენ მათ კონცერტებს. მღეროდნენ, ალცებდნენ ევროპელებს ქართული შეიდხმიანი, მსოფლიოში უნიკალური ჰანგების, მიმოხვრების, ხანჯლების ნაპერწკლებითა და ფეხის წვერებზე აროკებული სასწაულებრივი პლასტიკით.

ქართული სულის ძგერა და მშვენება აჩვენა ამ ანსამბლმა უცხოელებს.

რას ღალატი!

რა ღალატი!

მერე რა, რომ გერმანელების მწვავე მუნდირები ეცვათ.

ქართულ სულს რა მუნდირიც არ მოახვიო, მისი გადასხვაფერება არ მოხერხდება, სხვა ფერს ის არ დაიკრავს, არ იგუებს, არ შეიფერებს. სიმღერისას და ცეკვისას ანსამბლი ეროვნული ჩოხა-ახალოხითა და ყაწიმებიანი უძიროებით გამოდიოდა. გერმანული მუნდირები მხოლოდ მაშინ ეცვათ, როცა არ მღეროდნენ და არ ცეკვავდნენ.

ქართული სული კი მაიმედებლად მაშინ ელავდა და შფოთავდა მათში, როცა ისინი ჩოხა-ახალოხში გამოწკეპილნი „მრავალჟამიერს“ აგუგუნებდნენ ან პოეზიის უმაღლესი გზნებით გათანგულ ქართველი მანდილოსნისა და რაინდის ურთიერთ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ ცეკვაში.

ამ ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი ბასი იყო ალე ქათამაძე.

ის არ იყო პროფესიონალი მომღერალი, დათა კავსაძემ, აღმოაჩინა მასში ბუნების ნაჩუქარი ხმა და მუსიკალური სმენა. საუბრის დროსაც მკერდისმიერი ხავერდოვანი ბოხი ბგერებით გინუსხავდა ყურთასმენას ალე ქათამაძე, ძალიანაც რო მოენდომებინა, სიტყვას [illegible]ლით ვერ გეტყოდა, არც [illegible] ვერ ახერხებდა, თითქოს [illegible]ირი რბილი ჟღერადობის ზარი ჰქონდა გაჩხერილი და იმაზე ასხლეტილი იყო მისი ხმა.

ანსამბლთან ერთად საფრანგეთში ამერიკელების ზონაში მოხვედრილან. რო დარჩენილიყვნენ, რო შეფარებოდნენ ამერიკელების კალთას, სასწაულებს მოახდენდნენ ამერიკაშიც, მერე სხვაგანაც, მთელ მსოფლიოში. დათა კავსაძე ისეთი მუსიკოსი იყო, ამას მოახერხებდა. საბჭოური გულაგის კატორღებსაც გადაურჩებოდნენ.

მაგრამ, არა, არ ისურვეს ეს.

როგორ იფიქრებდნენ იმას, რომ სიმღერის გამო სამშობლოს ღალატს დასწამებდნენ?

და როგორც კი გამოჩნდნენ მათთან საბჭოთა აგიტატორები, რომლებიც სამშობლოსკენ უხმობდნენ, რაღა თქმა უნდა, მაშინვე გამოეშურნენ სამშობლოსაკენ.

ვლადივასტოკის პორტიდან შინ არც კი გაუშვეს, იქვე მიუსაჯეს ათ-ათი წლით გაციმბირება ყველას, მათ შორის დათა კავსაძესაც, რომელიც ვეღარც კი გადაურჩა ციმბირის სისასტიკეს.

მე რო შევხვდი, ალეს უკვე ოთხი წელი სასჯელისა მოხდილი ჰქონდა.

ალესთან შეხვედრა ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოდგა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სახით ერთგული, გულისხმიერი, ალალი მეგობარი შევიძინე. ასეთი მეგობარი სხვაც მყავდა, ამ მხრივ მარტო ვანო ჩაჩხიანიც მეყოფოდა.

ალე ლექსის მოყვარული და გამგები კაცი აღმოჩნდა. როგორც კი გავუმხილე ლექსებს ვწერ-მეთქი, მაშინვე მთხოვა, წამიკითხეო, გალაღდა, გახალისდა, შემიქო, მომიწონა, კონკრეტულადაც მითხრა, რა მოეწონა, რაკი ერთი კაცი მაინც დავიგულე გამგონე და მომსმენი, გავმხნევდი, გავთამამდი,

იმედი მომეცა, ალე ორიოდე წელში განთავისუფლდებოდა, გაუთავდებოდა სასჯელის ვადა, შინისაკენ გაუდგებოდა გზას და ჩემზეც ორიოდე თბილ სიტყვას წაილებდა.

იმჟამად ჩემი მთავარი საფიქრალიც ხო ეგ იყო, გადავარჩენდი თუ არა ქაღალდის ნაკუწებზე დაწერილ ლექსებს, რომელიმე მათგანი გააღწევდა თუ არა ამ ჯოჯოხეთიდან?!

ალემ ამ მხრივ დაუფასებელი ამაგი დამდო. ახალი ლექსის შეთხზვა იმიტომაც მიხაროდა, ალეს რო წავუკითხავდი. ის ზეპირადაც კი იმახსოვრებდა ზოგ მათგანს.

სხვა მხრივაც ყურადღებით იყო ჩემდამი. თუ რამეს ხელთ იგდებდა, ძმურად მიყოფდა. თადარიგიანი იყო, გამოზოგვა უყვარდა ყველაფრის, ერთბაშად არ მიაცხრებოდა, უთუთუნოდ ვერც ისა და ვერც მე ვერა ვძლებდით. მე ჩემი ულუფა პურიც ბევრჯერ გავცვალე მახორკაზე. ალეს პატარა ქისა ჰქონდა, სულ გამოულევლად ჰქონდა შიგ მახორკა. გაახვევდა ხოლმე თუთუნს გაზეთში, ეს ერთი მოვწიოთ ორთავემო, ნახევარს გააბოლებდა და ნახევარს მე გადმომცემდა, რა თქმა უნდა, ბოლომდე ვერ ჩავწუწნიდი სიგარეტს, ვინც დამინახავდა, მომვარდებოდა, „პაკურიმო“ და ბოლო ნამწვავს ისე დაეწაფებოდა. თუ ზონაში ვიყავი, როცა თუთუნს გაიწყობდა — ბევრ თუთუნს არ დააყრიდა ხოლმე ქაღალდს, წვრილად გახვევდა, — საცა არ უნდა ვყოფილიყავი, მომძებნიდა და ჩემ წილ თუთუნს მე გამაბოლებინებდა, ხელგაშლილად რო არ გაგვიხსნიდა ქისას, ეს არ იყო სიძუნწე, იზოგავდა, რადგან თავად თუ არა ჰქონდა, ერიდებოდა სხვებისთვის ეთხოვა, „პაკურიმო“.

იმ ულუფის გარდა, რაც ლაგერში გვეძლეოდა, სხვა რამეს თუ მოიხელთებდა, უჩემოდ პირს არ დააკარებდა.

ერთხელ სამუშაოდან მობრუნების შემდეგ, გათოშილსა და დაქანცულს თავისთან მიხმო, — სხვადასხვა ბარაკებში ვიწექით, — და პატარა [illegible]ლე ქვაბით, — რომელსაც გა[illegible]ლად ატარებდა, — ფაფა დადგა ტაბურეტზე, ფქვილი უშოვია ცოტაოდენი, მოუხარშავს და ერთად შევექეცით. ეს იმ ლაგერში მისვლის პირველი თვეები იყო და შიმშილმა ხელი დაგვრია. წყალწყალა ბალანდა და სამასი გრამი შავი, ტალახივით რო იზილებოდა თითებში, ისეთი პური, რა თქმა უნდა, შიმშილს ვერ გვიცხრობდა.

რო წარმოიდგინოთ, რა დონის შიმშილს განვიცდიდით, დროებით შევაჩერებ ალეს ფაფაზე თხრობას და იმ ხანების ერთ ეპიზოდს გავიხსენებ:

მშენებელთა ბრიგადის ბრიგადირმა, რომელიც წარმოშობით პოლონელი იყო, ერთ საღამოს ჩემ ბრიგადირს, — უკრაინელ კოლიას, რომელიც რამდენიმე წელი თბილისშიაც ცხოვრობდა თურმე, საყველპურო ქართული იცოდა და ამის გამო ლაგერში მას „კაცოს“ ეძახდნენ ყოველთვის,— უთხრა, ერთი ქართველი ბიჭი მუშაობს ჩემი ბრიგადის უბანზე და მთხოვა ხვალ რომელიმე ქართველი გამომიყვანეო .მეორე დღეს კაცომ მე გამაყოლა მშენებელთა ბრიგადას.

მაღალმა, მხარბეჭიანმა ოცდაათი წლის ყმაწვილმა თავისთან წამიყვანა, იქვე მუშაობდა, ათწლიანი ვადა სასჯელისა მოუხდია და ახლა იმ ხუთ წლიან ვადას იხდის, რომელიც თავისუფალ გადასახლებაში უნდა გაატაროს აქ. გულიანად ვესაუბრეთ ერთმანეთს. სადილობისას სამკილოიანი ერთი ბუხანკა და მეორე ნახევარი ბუხანკა პური მომიტანა, ისეთივე, რანაირსაც ლაგერში გვაძლევდნენ, ტალახივით რო შეგეზილება თითებზე.

საღამომდე მე ერთი სამკილოიანი ბუხანკა პური შევჭამე. მე საერთოდ, არასოდეს ვყოფილვარ ღორმუცელა, ტყვეობაშიც არასოდეს წავტანჯბივარ ტალახსა და ტყლაპოში ნაგდებ კარტოფილის ნათალებსა ან სხვა საჭმელს.

ამან გადამარჩინა. ამგვარებს, თავშეუკავებლებს, ღორმუცელებს დიზინტერიამ მუსრი გაავლო.

ისე ვიყავი დამშეული, სამკილოიანი ბუხანკა პურთან თავი ვერ შევიკავე, საღამომდე მთლიანად შევჭამე. ნახევარი ბუხანკა კი საღამოს ალეს მივუტანე.

არ არის ძნელი წარმოსადგენი, როგორი დამშეული უნდა ვყოფილიყავი, რომ იმოდენა პური სამ-ოთხ საათში შემეჭამა.

ამიტომ ალემ ფქვილის ფაფა რო დამახვედრა და იმით გამიმასპინძლდა, მე ასეთი ლექსით გადავუხადე მადლობა:

### უბრალო სუფრა

ალე ქათამაძეს

შენ ამ საღამოს გაშალე სუფრა,
გამიმასპინძლდი ფაფით და კიდევ
გული მიჩვენე წმინდა და სუფთა
და ძმობის ცეცხლი შემომიკიდე.
ჩვენ არ ვართ ახლა შენს აჭარაში,
ან კოინდარზე ჩემი სახლის წინ
და ქართველურად სუფრას არა შლის
შენი ან ჩემი დიასახლისი.
არა გვაქვს ახლად დამცხვარი მჭადი,
შავი ღვინო და ცვრიანი მწვადი.
ერთი უბრალო ფაფა გვაქვს მხოლოდ
და ვზივართ შენი საწოლის ბოლოს.
და გვაგონდება ჩვენებურები, —
ისინი ახლა ვენახებს კრეფენ
და ჭირნახულით სავსე ურმები
ორღობეებში მიჭრიალებენ.
სად მოვიწიოთ ჩვენ ჭირნახული,
მიწა არა გვაქვს სადმე დახნული.
ამ დასაქცევში ვერ დავინახე
ვერც შემოდგომა, ველარც ზაფხული.
ერთმანეთს ძმურად ვუქარვებთ ვარამს
და ვზივართ შენი საწოლის ბოლოს.
ერთი უბრალო ფაფა გვაქვს, მარა
კაცმა რომ მთელი ქვეყანა მოვლოს
ჩემნაირ სტუმარს, მასპინძელს შენებრს,
ამნაირ სუფრას ვერ ნახავს კიდევ.
შენ უწმინდესი გული მაჩვენე
და ძმობის ცეცხლი შემომიკიდე.

უეცრად ალე გაგზავნეს არეკში. ეს გახლდათ ჩვენგან ათიოდე კილომეტრით მოშორებული პატარა კოლონია, საცა. აგზავნიდნენ ერთი თვით „დახადიაკებს“, — შიმშილით დაუძლურებულებს სულის მოსათქმელად. დაუძლურებული რო იყავი, ამას ექიმები ადასტურებდნენ შემდეგნაირად: დუნდულზე ხელს შეგახებდნენ და თუ ძვალზე მხოლოდ ტყავი იყო გადაკრული, ტყავსა და ძვალს შორის ხორცის ნატამალი არ იყო, ესე იგი, არეკის კანდიდატურა იყავი. ასე მოხვდა უეცრად ალე არეკში.

იმჟამად ლაგერში ოთხი ქართველი ვიყავით, მაგრამ ალესთან განშორება მძიმე შეიქნა ჩემთვის. ორიოდე კვირის შემდეგ კვლავ აგზავნიდნენ რამდენიმე „დახადიაკს“ არეკში. ახალი პატარა პოემა „სარკე“ მქონდა დაწერილი. საოცრად მომინდა, ალეს წაეკითხა ის. გადავწერე თხელ ქაღალდზე, ვთხოვე ერთს, წაეღო და ალესთვის გადაეცა. გაჩხრეკისას უპოვეს წამლებს ჩემი ნაწერი და წაართვეს. მეორე დღეს გამოუძახნიათ ჩემი ამხანაგი შოთა ჯიჯაძე, რომელმაც ჩინებულად იცოდა რუსული და უთხოვიათ, გადაეთარგმნა მათთვის ჩემი ნაწერი.

შოთამ ეს მე მაცნობა. სიყვარულის პატარა ამბავი იყო პოემაში აღწერილი. სიტყვასიტყვით გადაუთარგმნია შოთას. რაკი დარწმუნდნენ, რომ შიგ საშიში არაფერი ეწერა, გამომიძახა „ოპერმა“ — (ასე ვეძახდით, „ოპერუპოლნომოჩენს“, ანუ „კუმს“ — ჩეკას სპეციალურ წარმომადგენელს ლაგერში), — დამიბრუნა ქაღალდი და მითხრა, ამგვარ ონანიზმს აქ თავი დაანებეო. ონანიზმად ჩათვალა სიყვარულზე დაწერილი პოემა.

ერთი თვის შემდეგ ცოტა სულმოთქმული ალე დაბრუნდა დედდავაზე და კვლავ შეუდგა თავის სანიტარულ საქმიანობას.

ერთი პატარა წიგნაკი შევკარი, ასეთივე პატარა წიგნაკში უკვე მქონდა ჩაწერილი ჩემი ლექსები, მეორეში დავიწყე გადაწერა, რადგან ერთი ჩვენი მეგობარი, ზონაში დალაქად მომუშა-

ვე, თიანეთელი ზაქრო მალე თავისუფლდებოდა და შემპირდა, წავიღებ შენს წიგნაკს და მშობლებს ჩავუტანო. ალემ მთხოვა, ჩემი ხელით მეც მინდა ჩავწერო ამ წიგნაკში შენი ლეგენდა „მანანაო“, ჩაწერა და იქვე მიაწერა შემდეგი სიტყვები:

„ძვირფასო ქართველო თანამემამულენო!

ეს პატარა „ოქროს წიგნაკი“ სულა ამურის ნააზრევი და განაფიქრებია. თითოეული ლექსი თუ პოემა დაწერილია მეტად ცუდ პირობებში ყოფნის დროს (პატიმრობაში 1950-53 წ.წ. განმავლობაში სიმშილისა და სიცივის პირობებში), მაგრამ მიუხედავად ამისა ავტორმა მაინც მოგვცა ძვირფასი ლექსები და პოემები, რომლებიც მომავალ თაობისათვის ყოველთვის სამაგალითო იქნება. ავტორი თავის პოეზიაში აშუქებს სპეტაკ სიყვარულს თავისი ზურმუხტი სამშობლოსადმი. ვუსურვებ მას კიდევ მეტ წარმატებებს და თავის საყვარელ სამშობლოში დაბრუნებას.

წამკითხველნო!

გთხოვთ უმორჩილესად თვალის ჩინივით მოუაროთ ამ ლექსებსა და პოემებს, ესენი ძვირფასნი არიან.

დაწერილია შორს ოცი ათასი ვერსის გადაღმა — კალიმაში, ე. წ. „სიცივის პოლუსზე“.

ამ სტრიქონებს ვწერ მე მისსავე პირობებში მყოფი, პატიმარი, ქართველი ალექსანდრე ქათამაძე, სულის ახლო მეგობარი“.

წიგნაკის ბოლოში მე მიმიწერია:

„ძმაო ზაქრო (იმას მივმართავ, ვინაც ეს წიგნაკი წამოიღო).

რა ვიცი, რა ფასი აქვს ამ წიგნს ხელოვნებისათვის, ეს მერე გამოჩნდება.

ახლა კი მხოლოდ ეს ვიცი:

ჩემი ძვლები რომ ამ მიწის ფენებში ჩაეყინება, ამ წიგნმა მაინც თუ მიაღწია საქართველომდე, ეს წიგნი ეტყვის ქართველებს: რა ულმერთოდ გამწირა ბედმა.

შენ გაბარებ ამ წიგნის ბედს.

არ დაივიწყო ის არასოდეს.

გემუდარები.

გზა მშვიდობისა, ძმაო ზაქრო!

სულა ამური“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომდევნო გვერდზე შვილს ვწერ:

„ავთანდილ!

შენამდე თუ მოაღწია ამ პატარა წიგნმა, ბედის უმადური აღარ ვიქნები.

შენს ზრდას ვერ შევალიე ჩემი სიცოცხლე (არ ვიცი რა იქნება აწი), მაგრამ შენზე ოცნებაში, შორიდან შენს ალერსში შევქმენი ეს პატარა წიგნი, — შენი ძმა, მამაშენის სული, უსახლკარო მწირი, — და თუ ამან შენამდე მოაღწია, გაშალე და ჩაიხედე შიგ:

შენი სიყვარულით დაიწვა, ფერფლად იქცა მამაშენი,

შენი და საქართველოს სიყვარულით!

ოცნებაში შენთან ალერსი ავიწყებდა მას საშინელ ტკივილებს!

ღმერთმა გაგიმარჯოს ორივეს!..

ჩემო ავთანდილ!

სულა ამური“

ამ წიგნაკში წინათქმასთან („მუდარა“) ერთად ჩაწერილია 67 ლექსი და 8 პოემა, დაწერილი 1950-54 წლებში.

ზაქროს ღირსეულად შეუსრულებია პირობა, ჩამოუტანია და თბილისში ჩაუბარებია ჩემი მშობლებისათვის, ეს მე შინ დაბრუნების შემდეგ გავიგე.

ზაქრო კვლავ თავის დალაქობას შეუდგა მშობლიურ თიანეთში. აგერ ახლა, რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა.

ამ წიგნში მუხლს ვიყრი მისი ხსოვნის წინაშე.

მეორე წიგნაკი თავად ალემ გაიტანა რამდენიმე წლის შემდეგ. 1954 წელს ალეს ვადა გაუთავდა და დადგა მისი განთავისუფლების დღეც. იმის გამო, რომ ის ფრთხილი და მშიშარაც კი იყო, წინა დღეებში ვერ ვუბედავდი, წიგნაკი წაიღე-მეთქი. ვერ მივეძალე იმიტომ, რომ თავად ვიცოდი, ეს გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებუ-

ლი. კაცი ტყვეობის ორომტრიალს გადაურჩა, ტყვეობიდან დაბრუნებული პირდაპირ გამოაციმბირეს, — ვფიქრობდი მაშინ, — რვა წელი ჯოჯოხეთურ კატორღას გაუძლო, ესე იგი, სულ თორმეტი წელიწადია ამ ეკლიან გზებზე დადის და ახლაც რო სახიფათო საქმე მოვახვიო თავზე, რო არ გაამართლოს, ჩხრეკისას უნახონ, შეუძლიათ უკან დააბრუნონ ლაგერში და ხელნაწერი რაკი გაჰქონდა, — ეს სასტიკად აკრძალული იყო, — რამდენიმე წელი პატიმრობა. კიდევ დაუმატონ-მეთქი.

ბუნებითაც არ იყო ეს მეტად სათნო და ალალი კაცი ამგვარი სარისკო საქმეებისთვის გაჩენილი.

ამიტომაც მოვერიდე და ვერ გავუბედე წიგნაკის გატანა. ხო ვიცოდი, ნამდვილი გულშემატკივარი იყო ჩემი ლექსებისა, დარწმუნებული ვიყავი ისიც ფიქრობდა ჩემზე, ოცდახუთი წლის კატორღას ვერ გავუძლებდი, ენანებოდა კიდეც ალბათ, ვაი, თუ ეს წიგნაკი დაიკარგოსო, გულით ეწადა ამის გამო მისი გადარჩენა, მაგრამ, ჩეკისტების ჯებირის გარღვევა რომ ამ წიგნაკიანად სახიფათო იყო, ესეც კარგად უწყოდა და არც იქნებოდა გასაკიცხი, უარი რო ეთქვა ჩემთვის. ხუმრობა ხო არ იყო, თორმეტი წლის ამდენი დავიდარაბის შემდეგ თავისუფლების გზას უნდა დადგომოდა-და ამ დროს უკან რო შემოებრუნებიათ, ეს ხო მართლაც ღვთის რისხვა იქნებოდა?! მეც როგორ უნდა გადამეტანა მერე, ამხანაგს, გულითად მეგობარს ჩემ გამო ასეთი დღე რო დაადგებოდა?!

დილით უნდა გასულიყო ლაგერიდან და საღამოთი სამზადისს შეუდგა. რა თქმა უნდა, მე მასთან ვიყავი და, წასახმარებელი თუმცა არა იყო რა, მაინც ვშველოდი. ამ ფართიფურთში ჩემდაუნებურად წამომცდა უჩინმაჩინის ქუდიც რო გქონდეს, იმაში ჩემ წიგნაკსაც ჩავდებდით და მივკუჭავდით შენს ჩემოდანში, შენზე უკეთესად ვინ მოუვლიდა-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ხმა არ ამოუღია, თავისი ხელით გაკეთებულ ფანერის ჩემოდანში ალაგებდა ნივთებს, ერთი კი ჩაიბურდღუნა, უჩინმაჩინის ქუდი მე ვინ მომაშავაო. მივხვდი, რა ბუღიც დატრიალდა მის გულში, გულით და სულით წაღებაც უნდოდა და ეშინოდა კიდეც. უცებ რაც ჩაალაგა, ისევ გადმოყარა ნარზე, დაუწყო ჩამოდანს თვალიერება, ორკეცი ფსკერი რო ქონდეს ამ ჩემოდანს, მათ შორის ჩავმალავდი წიგნაკსაო, თქვა ისე, თითქოს სელაც არ ჰოჰმანობდა. კარგა ხანს უკირკიტა ჩემოდანს, მერე მითხრა, აბა, მომიტანე წიგნაკი, ვნახოთ, ეგებ სადმე მივმალოთ საიმედოდაო. გავიქეცი და მოვარბენინე ჩემი წიგნაკი. შუაღამემდე იმის ცდაში ვიყავით, სად და როგორ მიგვემალა სულ ოთხ თითზე დასატევი პატარა წიგნაკი. რაღაცას მიაგნებდა, ჩააწყობდა რომელიმე ჰინჯში ან ფეხსაცმლის წვეროსთან მიკუნჭულ წიგნაკზე თავის ხარახურას, ჩემოდანს დახურავდა, ერთხანს დაფიქრდებოდა, თან იქით-აქით თვალს აცეცებდა, არავინ დაგვინახოსო, მერე ისევ გახსნიდა ჩემოდანს და ისევ გადმოაპირქვავებდა ნარზე. შუაღამემდე ასე ვიწვალეთ. ბოლოს აიღო წიგნაკი, ბამბის ხელთათმანში, რომელსაც მხოლოდ ცერა თითის სათითური ჰქონდა, ჩადო, გადაატრიალ-გადმოატრიალა, ხელებით მოსინჯა მრავალჯერ, ბარგიბარხანა ისევ ჩაალაგა ჩემოდანში, „ვარიშკები“, ასე ვეძახდით ბამბის სქელ ხელთათმანებს, ზემოდან დაადო და თქვა, იდოს ასე, მაინცდამაინც შიგ ხო არ ჩაიხედავს მჩხრეკავი ვახტიორი, ზემოთ რო იქნება დადებული, უფრო არ მიიტანს ეჭვსაო და, აჰა, მორჩა და გათავდა, რაც მომივა, მომივიდესო. შემხედა, გაიღიმა, დახურა ჩემოდანი და პატარა ბოქლომით ჩაკეტა.

გავახვიეთ თუთუნი და გულიანად გავაბოლეთ.

„ალე, თუ ძმა ხარ, გული თუ გეთანაღრება-მეთქი“..

„მორჩა და გათავდაო“.

„ჩემი გულისთვის-მეთქი“...

„შენი გულისთვის არ ვაკეთებ ამასაო“.

„რო გინახონ-მეთქი?“

„რაღა მაინცდამაინც შიგ ჩაიხედავსო?!“

„შენ რომ-მეთქი...“

„ქაი ერთი, თუ ღმერთი გწამსო“ — კვლავ შემაწყვეტინა სიტყვა ალემ და ჩუმად, თავის ბოხი ხმით წარმოთქვა ჩემი ერთერთი ლექსი, რომელიც ძალიან უყვარდა, რომლითაც ეს წიგნაკი იხსნება სათაურით „მუდარა“:

მე რომ მოვკვდები ამ უცხო მხარეს,
კუბოს ფიცრები შენ არ გათალო, —
შიშველი მიწა გადამაყარე
და არაფერი არ ჩამატანო.
ოღონდ ერთი მაქვს მე სამუდარო, —
როცა გადარჩეს ეს დღე უდარო,
ნუ მიატოვებ ამ ლექსებს ობლებს,
ნუ დაუტოვებ ამ მუდრეკ მხარეს.
ჩემს საქართველოს და მოხუც მშობლებს,
ჩემს ძმას, ცოლ-შვილს და მთაწმინდის
მთვარეს
მიუტანე და ასე უთხარი:
იმასთქო მიწა იქ გავუთხარე.
ნუ დაიწყებენ სამარის ძებნას, —
ვერ წავაღებები ქცეული ძვლებად.
ციმციმებს ცივი ცრემლი რითმაში.
როგორც ცვარნამი ღრუბლიან დილის,
და რაც ქალარა მერია თმაში,
ამ სტრიქონებზე მაქვს დაფენილი.
დახედონ ამ ჩემს ამონატირებს,
ამათთქო თქვენი ალერსი შიათ...
მე ამ ლექსებში ვიცოცხლე მცირედ,
ჩემი სამარეც ამ ლექსებშია.

„შენ თუ გესმის ამაში რა წერიაო?“ — მითხრა მერე.

„ნაპერწკლები აკლია-მეთქი“.

„ამხელა სევდის ცრემლებიდან რა ნაპერწკლები უნდა გამოცვივდესო?!“

„ღმერთმა გიშველოს-მეთქი.“

იმ ღამეს არც მე მძინებია და ვიცი, ალესაც გაუტყდა ძილი, ზაქროსაც გავატანე ჩემი წიგნაკი, მაგრამ იმას ამდენად არ აუწონ-დაუწონია, რას ჩადიოდა, იცოდა, კეთილ საქმეს აკეთებდა, ის არ გაუცნობიერებია, რომ შეიძლება მოჰყოლოდა ამას, თუ აღმოუჩენდნენ, ალბათ ფიქრობდა, აიღებენ და გადააგდებენ, მეტი რა უნდა ქნანო. ამიტომ ის ვნებათა ღელვა მას არ გადაუტანია, რამაც ალე ასე მწვავედ შეიპყრო.

შეცნობილი და შეუცნობელი თავგანწირვა ორივე გმირობაა და ამიტომ ზაქროსა და ალეს ეს ქმედება გმირობის ტოლფასია, არა აქვს მნიშვნელობა, მათ „ვეფხისტყაოსნის“ გადასარჩენად გასწიეს ამხელა რისკი თუ სულა ამურის პატარა წიგნაკისათვის.

მათ გმირობა ჩაიდინეს.

დილით ვახტასთან მივაცილე ალე. გადავეხვიეთ ერთმანეთს, ძლივს მოვშორდი და ალე ვახტის კარიდან გარეთ გავიდა. ალაყაფის კარის ღრიჭოდან მივაჩერდი. გაბაჯბაჯდა ალე, სამი ვახტიორი ჩხრეკდა გასულებს. ალე რო მივიდა, მაშინ დაამთავრა ერთ-ერთმა, რომელიც განთავისუფლებულს ჩხრეკდა და ალემ თავისი ჩემოდანი წინ დაუდო, ახადა თავი და ჩემი გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა, ალბათ ალეს გულიც ამდაგვარ მდგომარეობაში იქნებოდა იმ წუთს. ვახტიორმა ჯერ ტანზე ხელები ჩააყოლა და ამოაყოლა ალეს, მერე ჩემოდანზე დაიხარა, ზედ დადებული „ვარიშკები“, — ბამბის სქელი ხელთათმანები აიღო და იქვე მიწაზე დაყარა. ეს რო დავინახე, სული მოვითქვი, მგონი გადარჩა-მეთქი, გავიფიქრე, ამოყარა და ამოყარა ვახტიორმა ჩემოდნიდან ხარახურა, დააყარა „ვარიშკებს“, მერე უთხრა ალეს, წაიღეო, დაავლო ხელები ალემ თავის ბარგიბარხანას, ჩაჩურთა ჩემოდანში, აიკრა მკერდზე ჩემოდნიანად და გაძუნძულდა განზე. იქ კი როგორც იქნა ჩაჩურთა ყველაფერი, სახურავი ძლივს დაახურა და ბოქლომიც დაადო.

ალეც გადარჩა და ჩემი წიგნაკიც.

ალაყაფის კარის ღრიჭოს აღარ მოვშორებივარ, სანამ ალე და სხვა განთავისუფლებულები მანქანის ძარაზე არ შეჰყარეს და სანამ მანქანა თვალს არ მიეფარა.

თავისუფლებისაკენ გზას ვულოცავდი ალეს.

## ნაჭახი

Г₂—497

ეს არის ჩემი კატორღული ნომერი.

გულაგის კატორღაში შენი სახელი და გვარი არავის აინტერესებს. ისინი მაშინ სჭირდებათ ჩეკისტებს, როცა ციხეში ჩაგამწყვდევენ და თუ სასჯელის ვადის მოხდა შესძელი, როცა გაგანთავისუფლებენ. უკვე დასჯილს აღარა გვაქვს სახელი და გვარი.

აქ სახელის განდიდების ექსტაზი არავის ანთებს.

გვარიშვილობისა და წარმომავლობის დათრგუნვით გულაგი ადამიანის ეროვნული ნიშნებისა და ხასიათის ჩაკვლას ცდილობს.

ამიტომ ყველა კატორღელი დანომრილია და წინ რუსული „Г“ პირველი ასოა სიტყვა „Гулаг“-ისა — Государственное управление лагерей“.

თავისი ნომერი აკერია ყველა კატორღელს ქუდზე, შარვალზე მუხლს ზემოთ და ზურგზე, თეთრ ტილოზე დიდი მსუქანი ციფრებით.

„Г₂—497“ — დაგიძახებს რომელიმე ივან ივანიჩი და ეს შენ, ამ ნომრის პატრონმა ერთი ნაბიჯი წინ უნდა წარდგა მწყობრის წინაშე.

შენ ლადო სულაბერიძე აღარა ხარ.

შენა ხარ „Г₂—497“.

ნომერი ყოველთვის წესრიგში უნდა გქონდეს. გაჭუჭყიანდება თუ არა, თეთრი ნაჭერი ან უნდა გარეცხო, ან ახალს წააწერ შენვე ნომერს და მიაკერებ მინიშნებულ ადგილებზე.

განსაკუთრებული ლაგერების რეჟიმის შინაგანაწესი მეტად მკაცრია და ამ განაწესის დამრღვევიც სასტიკად ისჯება.

ლაგერში შინაგანი ციხეც არის, რომელსაც „ბურს“ ეძახიან. მყარად ნაგებ ნესტიან საკნებში ბუზიც ვერ შეფრინდება და მკაცრად არის დაცული. იქ ჩამწყვდეულს წყალწყალა ბალანდასაც არ აძლევენ, მარტოოდენ პურსა და წყალს აძლევენ. გასავათებულნი გამოდიან იქიდან იქ დამწყვდეულნი.

ეს მჭმუნვარე შენობაც ჩვენ აგვაშენებინეს.

ერთ დილას მის შესასვლელთან იმღამინდელი მისი მორიგე ზედამხედველი მარყუჟზე ჩამოკიდებული ნახეს. ეს ერთერთი იმ ზედამხედველთაგანი იყო, რომელიც პატიმრებს თანაუგრძნობდა. ასეთი გამონაკლისები თუმცა ძალზე ცოტა, მაგრამ მაინც იყვნენ ციხეებშიაც და ლაგერებშიც. ერთი მათაგანი იყო ესეც, შეღამებისას, როცა უფროსობას ლაგერიდან გაკრეფილს დაიგულებდა, ჩაუჯდებოდა ბარაკში ამა თუ იმ პატიმარს და გულიანად საუბრობდა მათთან, ხანდახან არაყსაც მიუტანდა რომელიმეს და მათთან ერთად თვითონაც გადაჰკრავდა. აი, ასეთი კაცი ნახეს ბურთან მარყუჟზე ჩამომხრჩვალი. ხმა გავარდა, ცოტა არაყს რო გადაჰკრავდა, — ლოთი კი არ იყო, პატიმრის პატივისცემისათვის სვამდა მცირეოდენს, — იტყოდა თურმე, ამგვარი სიცოცხლე არა ღირსო. ბევრმა, ვინც უფრო კარგად იცნობდა, დახასკვნა, ვეღარ გაუძლო ყველაფერ ამას და თავად ჩამოიხრჩო თავიო.

დროგზე დააგდეს და ალაყაფის კარიდან ისე გაათრიეს. ვახტასთან თავი მოიყარა ბევრმა კატორღელმა, გულისტკივილით გააყოლეს თვალი დროგზე დაგდებულ ნეშტს.

გარედან, ახლოს ვერავინ ეკარებოდა ბურს.

ჩვენ, ქართველებმა, შევძელით მისი გარე ბარიერების გადალახვა.

ეროვნული

გულგახეთქილი, მოვარდა ერთ საღამოს ლევთერი მალანია, ჩვენი ბრიგადირი.

„უნდა მოვკლათ!“

„ვინა-მეთქი“, — ვკითხე გაოცებულმა.

„ნიკოლაით... ნარიადჩიკით“.

„ნარიადჩიკი“ პატიმართაგან ის პიროვნება იყო, რომელიც სამუშაო ობიექტებზე ანაწილებდა ლაგერის მთელ კონტინგენტს. პატიმართაგან ის ყველაზე უფროსი ხელმძღვანელი იყო და გარკვეული უფლებებიც ჰქონდა მინიჭებული. ლაგერის მთელ შინაურ საქმეებსაც ის განაგებდა, ჰყავდა „პრიდურკების“ მთელი შტატი, რომელიც ლაგერის შინაურ საქმეს აწესრიგებდა, თბილად იყვნენ და მუშა კატორღელები, რომლებიც დღეში თორმეტი საათი უმძიმეს საქმეს აკეთებდა და შელამებისას გაყინულ-გათოშილი ბრუნდებოდნენ ბარაკებში, ერთგვარი შურით უყურებდნენ მათ, ჩეკისტების თანამდგომლებად თვლიდნენ, გულში კი ყველა ნატრობდა ლაგერში მათ ადგილებს.

„კაცოს“ ბრიგადიდან ერთმა მოახერხა ბუღალტერიაში თავის შერგვა, რუსი იყო, ორიოდე კვირაში ფერზე მოვიდა, წიგნების კითხვასაც მიჰყო ხელი, ორიოდე თვის შემდეგ ლაგერის რეჟიმის უფროსს თხოვა, სიმფონიური ორკესტრისათვის რამდენიმე ინსტრუმენტი მაინც მიშოვეთ და კონცერტს მოგიმზადებთო. ბრიგადაში სულაც არ ეტყობოდა, მუსიკოსი რო ყოფილა: სხვებთან შედარებით ლაპარაკშიც და ქცევებშიაც გამორჩეული კი იყო, უფრო ინტელიგენტური ფერი ედო, თავაზიანიცა და მორიდებულიც იყო სხვებთან შედარებით, მაგრამ თუ სიმფონიური ორკესტრის დირიჟორობა შეეძლო და ღარიბული ინსტრუმენტებით აღჭურვილ მუსიკოსებთან, — რომლებიც პატიმრებში თავად მოიძია და შეარჩია, ბიზეს „კარმენის“ უვერტიურას პარტიტურას დაწერდა, ორკესტროვკას მოამზადებდა და ასე თათარიახად შეკოწიწებული ანსამბლი, მისი დირიჟორობით „კარმენის“ უვერტიურას დაუკრავდა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა.

ბუღალტერიაში მოკალათების შემდეგ, შემთბარმა და შემაძღარმა შეძლო ბუნებრივი ტალანტის გამოვლენა, ხალისი მიეცა საამისოდ და ყველას წინაშე სხვაგვარ პიროვნებად წარსდგა. ბრიგადაში უჩინარი კაცი სწრაფად გამოჩინებული გახდა.

პირველი კონცერტის შემდეგ, რომელიც თავისი ანსამბლით მან პატიმრებს უჩვენა სასადილოს დიდი დარბაზის სცენიდან, საცა, დამთავრდა თუ არა „კარმენის“ უვერტიურის მღელვარე აკორდები, რომელსაც ხელების ქნევით დირიჟორი მიუძღვებოდა, ერთბაშად ისეთი ოვაცია ატყდა, გამიკვირდა, ამ ბეჩავ კატორღელებს საიდან შერჩათ ამ დიდებული მუსიკის შეგრძნების უნარი და იმის უნარი, ღირსეულად შეეფასებინათ თათარიახად შეკოწიწებული ანსამბლის მართლაც დაუფასებელი შრომა?!

ამ კონცერტის შემდეგ ლაგერის ჩეკისტი უფროსებიცა და რიგითებიც სხვაგვარი თვალით უყურებდნენ დირიჟორს.

მაგრამ „პრიდურკებში“ თავს შერგავდნენ თუ არა, ზოგნი სულს მოითქვამდნენ და მერე გაყოყოჩდებოდნენ, ცხვირს აიბზუებდნენ, მაამებლებსა და მექრთამეებს გაიჩენდნენ. მშრომელ კატორღელებს ალმაცერად დაუწყებდნენ ცქერას, ამდაგვარები რაღაც მანქანებით მიითვინიერებდნენ მზარეულებსა და პურისმჭრელებს და ისინი მატერიალურად უზრუნველყოფილთა ფენას ქმნიდნენ, შიმშილითა და სიცივით გაძვალტყავებულ პატიმართა მასაში. ეს ამ მასის სამართლიან სიძულვილს იწვევდა.

„პრიდურკების“ უფროსი „ნარიადჩიკი“ ნიკოლაი (გვარი არ მახსოვს), — ამ ფენას უფრო განეკუთვნებოდა და

ისე გაეალმასებია ლევთერი მალანია, შემოსვლისთანავე გაფითრებულმა მითხრა, უნდა მოვკლაო.

ლევთერი მალანია იმ ბრიგადის ბრიგადირი იყო, რომელიც ერთი წლის წინათ არეკის გამოსაჯანმრთელებელ კოლონიიდან ოდნავ სულმოთქმული „დახასიათებით“ შედგა. ლევთერიც ახალი მოყვანილი იყო ჩვენს ლაგერში, აქ მოსვლამდე სხვა ლაგერებში საკმაოდ გამოემუშავებინა გადარჩენისათვის ბრძოლის მეთოდები, მოვიდა თუ არა აქაც მოახერხა საერთო სამუშაოებზე თავის არიდება და მკაცრად მოსთხოვა რეჟიმის უფროსს ჩეკისტსაც და „ნარიადჩიკსაც“ ბრიგადირობა. სწორედ იმჟამად „დახადიაკებისაგან“ შედგენილი ბრიგადის ბრიგადირს ეძებდნენ და ლევთერსაც ეგ შესთავაზეს. უკან არ დაიხია და ჩაუდგა სათავეში ამ ბრიგადას. იმჟამად მეც ამ ბრიგადაში ვიყავი და გამიხარდა, იმედი მომეცა, ლევთერს უკვე ვიცნობდი, ორთაჭალის ციხეში ჩემს საკანში იჯდა, ყველა ჩვენთაგანზე უმცროსი ბავშვივით გვეჩვენებოდა და ამისა და იმის გამო, რომ არავინ პატრონი არა ყავდა თბილისში, თავად ზუგდიდელი იყო, დედა და ძმაც გადასახლებაში იყვნენ იმჟამად და შინ დარჩენილი ყრმაშვილიანი ცოლი, აბა, როგორ შეძლებდა ციხეში ყოფნისას მის დახმარებას, ჩვენ უმცროს ძმასავით მივილეთ, ყველაფერს ვუყოფდით, რაც გაგვაჩნდა და თავისი ალალი, კეთილი და ხალისიანი ხასიათის გამო შეგვიყვარდა.

რა თქმა უნდა, ჩვენი ბრიგადა ვერ ასრულებდა გეგმას და ამის გამო დამატებით ულუფას არ ვღებულობდით, გეგმის შესრულებისას ბრიგადის ყოველი წევრი ღებულობდა ყოველდღიურ სამას გრამ პურს.

სამიოდე თვის შემდეგ მოულოდნელად იმ დაფაზე, რომელიც ლაგერის ცენტრში იდგა და რომელზეც ეწერა, რომელმა ბრიგადამ რამდენი პროცენტით შეასრულა თავისი გეგმა, წავიკითხეთ, მალანიას ბრიგადამ ამ თვის გეგმა ასერთი პროცენტით შეასრულაო. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიხარულით მოედო მთელ ბრიგადას. ყველამ ვიცოდით, სინამდვილეში გეგმა არ შეგვისრულებია, კაციშვილმა არ იცოდა, როგორ მოახერხა ეს ჩვენმა ყმაწვილმა ბრიგადირმა. მალე მალანიას სახელი მთელ ლაგერს მოედო, ჩამორჩენილი ბრიგადა წელში გამართაო. მოგვიანებით გამიმხილა, ის, ვინაც „ნარიადში“ მუშაობის დამთავრების შემდეგ უნდა ჩაუწეროს, რამდენი პროცენტით შეასრულა ბრიგადამ დღიური ნორმა, მარტოკელა მოიხელთა და დაემუქრა, ნაჯახით თავს წაგათლი, თუ გეგმის შესრულებას არ ჩამიწერო, თანაც მახორკა ჩაუჩურთია ჯიბეში, შენ ეს გააკეთე და პატივისცემა ჩემზე იყოსო. არც ის გაჯიუტებია და ამის შემდეგ ბრიგადამ შეასრულა თუ არა დღიური გეგმა, მაინც გვეწერებოდა ასერთი პროცენტი.

გახალისდნენ ბიჭები, როცა სამას-სამასი გრამი პური დამატებით მიიღეს. მართლაც დაფაცურდნენ, ბრიგადირის ხათრი დაიდეს და მეტი მონდომებით შეუდგნენ მუშაობას.

სიმწრით ამას მიაღწია, კაი ბრიგადირის სახელი დაიგდო ლაგერში და უეცრად გახელებეული მოვარდა და უნდა მოვკლაო, დაიყვირა. ამ დროს შოთა ჯიჯაძეც მოვიდა, რომელიც აგრეთვე ჩვენს ბრიგადაში იყო, ჩვენთანვე იწვა ზედა ნარზე, მოესმა თუ არა ლევთერის მუქარა, ჰკითხა, რათაო? ხელი მკრა და დედა შემაგინაო, თქვა ლევთერმა. მერე ვაამბობინეთ, რა მოხდა. აღარ მახსოვს ახლა, რის გამო, ის კი მახსოვს, რომ ბრიგადის თაობაზე წაკამათებულან, ლევთერს, რა თქმა უნდა, არ დაუთმია და „ნარიადჩიკს“ ხელი უკრავს დედის გინებით, მომწყდი თავიდანო.

მართლაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა ლევთერი, ასეთი სახელის

მქონე ბრიგადირს, ისიც ქართველს ამგვარი შეურაცხყოფა არ უნდა ჩაეყლაპა, რაღაც უნდა ეღონა.

შევკრიბეთ იმჟამად იქ მყოფი ქართველები. ყველამ დაუდასტურა ლევთერს თავისი გადაწყვეტილება, უნდა მოკვდეს „ნარიადჩიკიო“.

ერთ მუშტათ შეიკრა ცხრა ქართველი. შალვა მჭედლიშვილმა თქვა, ეს ყველა ჩვენთაგანის შეურაცხყოფაა, ცხრავეს გვკრა ხელი და დედა შეგვაგინაო. ერთიანი ძალით უნდა ვიღონოთ რამეო. დაისახა გეგმა:

შალვა საქვაბეში მუშაობდა სამუშაო ზონაში, რომელიც ლაგერს ზედ ეკვროდა, საცა მიმდინარეობდა თბოელექტროსადგურის მშენებლობა, ღამის ცვლაში იყო, მან იკისრა, ნაჯახს მე მოვიტანო. დანარჩენებს დაგვავალა ჩვენ-ჩვენი ფუნქციები, იმ დროს, როცა ლევთერი ნაჯახით „ნარიადჩიკს“ მიუვარდებოდა, ვინ სად უნდა ვმდგარიყავით და რა უნდა გვექნა, თუ საქმე გამწვავდებოდა, დაუყოვნებლივ, მეორე დღეს უნდა მომხდარიყო ეს აქცია. ღამით შალვასთან ერთად გავიდოდა ლევთერიც, შალვა გათენებისას ბრუნდებოდა ლაგერში, ღამის ცვლას ლაგერში მობრუნებისას თითქმის არასოდეს არა ჩხრეკდნენ, შემოიტანდა შალვა ნაჯახს, იქიდანვე უნდა მივარდნოდა ლევთერი „ნარიადჩიკს“ თავის ოთახში და მძინარესა თუ ფხიზელს უნდა გასწორებოდა ნაჯახით.

მოხდა მოულოდნელი რამ, განთიადისას, სამუშაოდან მობრუნებულ ღამის ცვლის ჯგუფს, რომელსაც ბუშლატში ამოფარებული ნაჯახით შალვაც მოჰყვებოდა, ზედამხედველებმა ჩხრეკა დაუწყეს. შალვამ დრო იხელთა და ნაჯახი ხელიდან გაუშვა, რომელიც იქვე ფეხებთან ჩაცურდა, მაგრამ მაშინვე თვალი ჰკიდა ზედამხედველმა, მივარდა შალვას, ნაჯახი აიღო და შალვა მწყობრიდან გაიყვანა.

შალვა მყისვე ბურში ჩააჯინეს, ლევთერი გულდასეტყვილი მობრუნდა ჩვენთან.

ამგვარი რამეც წინასწარ გათვალისწინებული იყო. თუ შალვას ხელი მოეცარებოდა, უნდა განეცხადებია, ბრიგადირ ლევთერი მალანიას ბრიგადაში დაეკარგა ნაჯახი და იმისთვის მიჰქონდა. ლევთერისაც ასევე უნდა ეთქვა, როცა დაიმოწმებდნენ. ერთნაირი ჩვენება ბურში ჩამწყვდეული შალვასი და გარეთ მყოფი ლევთერისა მკვლელობის ეჭვს გაფანტავდა. წესი იყო ლაგერში და სამუშაო ზონაში, მუშაობის შემდეგ სამუშაო იარაღები ბრიგადას უნდა ჩაებარებია საწყობისათვის, დანაკლისი ითვლებოდა დიდ დანაშაულად, შეიძლებოდა სასჯელის ვადაც წაემატებინათ. აი, ამ დიდმა პასუხისმგებლობამ აიძულა შალვა მეგობარ ბრიგადირს წახმარებოდა.

ეს ლეგენდა ახეც მოხსენდა ორივე მხრიდან გამომძიებელს და მკვლელობის მცდელობა გამოირიცხა.

შალვას მიუსაჯეს ერთი თვით ბურში ჯდომა. ეგაც მძიმე სასჯელი იყო.

აი, ამ დროს გადავლახეთ ჩვენ გარედან ბურის ბარიერები, რაიც მანამდე ლაგერში არავის მოუხერხებია. ბური გარედან მავთულხლართებით იყო შემოღობილი. უკანა მხრიდან პატარა თხრილზე გადაჭიმული იყო მავთულხლართი. შუაღამისას მალანია მიეპარა ამ თხრილს, ოდნავ ჩაარმავა, შეძვრა, წინასწარ დადგენილი გვქონდა, რომელ საკანში იჯდა შალვა, საკანს გარედან სარკმელზე აფარებული იყო თუნუქის ფილა, რომლის ზემო თავი ოდნავ გადმოწეული იყო, ფრთხილად მიიჭრა ლევთერი იმ სარკმელთან და ჰინჭში გახვეული სანოვაგე სარკმლიდან შეაგდო. მორიგეობით ასე ვაკეთებდით ყოველ ღამე, ამ რისკმაც გაგვიმართლა. მანამ იქ იჯდა, შალვასთვის საკვები არ მიგვიკლია.

„ნარიადჩიკი“ სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ მალე მის ყურს მისწვდა ჩვენი განზრახვა, მოვიდა ჩვენთან, ყველას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მოგვიყარა და ჩვენ წინაშე ლევთერის ბოდიში მოუხადა.

ამან მოხსნა ეს კონფლიქტი.

მიუხედავად იმისა, რომ განზრახული არ შესრულდა, მალანიასა და იქ მყოფი ქართველების ავტორიტეტი საკმაოდ გაიზარდა.

სისხლით არ შეილება ნაჯახი.

## „მრავალჟამიერ“

გულაგის ლაგერები არ ითვალისწინებს კულტურულ მომსახურებას, თავად პატიმრები თუ მოახერხებდნენ რამეს, თორემ ამ მხრივ ჩეკისტები თავს არ იტკიებდნენ. აღმზრდელობით ღონისძიებებში შედიოდა მხოლოდ შრომისა და დისციპლინის პროპაგანდა. ლაგერის შიგა გზებზე ორივე მხარეს ჩამორიგებული იყო ტრანსპარანტები, რომლებზედაც ეწერა: „ვაშენოთ სწრაფად, იაფად და ხარისხიანად“, „შრომა, შრომა და შრომა“ და სხვანი მისთანანი. ჩვენში ამგვარი ლოზუნგები ალეგიურ ზიზღსა და საწინააღმდეგო რეაქციას იწვევდა, დაახლოებით ისეთს, როგორსაც გამოიწვევდა ლოზუნგები „წინ კომუნიზმისაკენ!“, ადამიანი ყველაზე ძვირფასი კაპიტალია“.

რა თქმა უნდა, ეს ლოზუნგები რო არაფრის მაქნისი იყო აქ, ამას კარგად ვხვდებოდი, მაგრამ ის კი ძალიან მიკვირდა, ზოგი ჩვენგანი როგორის მონდომებით მუშაობდა, ისიც კარგად ვიცოდი, რომ ამათ საზოგადოებრივი ინტერესები კი არ ამოძრავებდათ, არამედ ულუფაზე წამატებული სამასი გრამი პური და ერთი ჯამი ქერის „ქაშა“, შიმშილის დაოკება.

ორიოდე წლის მერე ვხედავდი, როგორ ალიმართა კლდეზე რკინის არმატურები ,მომავალი ელსადგურის ჩონჩხი, როგორ დაცოცავდნენ ზედ ელექტროშემდუღებლები თავიანთი იარაღებით, ოცდახუთწლიან კატორღელებს, ელექტროცეცხლსა და ნაპერწკლებში გახვეულთ, არ აშინებდათ არც სიმაღლე, არც გაყინულ რკინის არმატურებზე ცოცვა და ყოველდღიურად მაღლდებოდა, ფუძნდებოდა ელსადგური და მის წინ დაცემულ უკიდეგანო ველზე დაბა-ქალაქის საცხოვრებელი, სამსართულიანი სტანდარტული სახლები.

მათ სულიერ სიდუხჭირეზე არავინ ფიქრობდა.

ისინი უფრო დანომრილ ცხოველებს ჰგვანდნენ.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ვითარება ოდნავ შეიცვალა და გაჩნდა შესაძლებლობა ლაგერში კულტურული მომსახურების საქმეშიც გაკეთებულიყო რამე.

მე პირადად იმხანად ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი და როცა პრესაში გაიშალა საუბრები ნიკოლოზ ოსტროვსკის საიუბილეო დღეებზე, თავისებურად გამოვიყენე ეს საქვეყნო ზეიმი.

გავაკეთე კედლის გაზეთი, ერთ მხატვარს ლამაზად გავაფორმებინე, თუმცა ნ. ოსტროვსკი ბოლშევიკი მწერალი იყო, მაგრამ მისი ტრაგიკული ბედი, სულიერი გაუტეხლობა, გამძლეობა გამოვიყენე იმისათვის, რომ კატორღელების სულშიც აღძრულიყო ამგვარი ადამიანური თვისებები და ძალები. გაზეთში მოვათავსე ეპიზოდები ნ. ოსტროვსკის ცხოვრებიდან, ლოგინად ჩავარდნის შემდეგ როგორ მოახერხა სულიერი ძალების გამოვლინება, მასალები შევარჩიე წიგნებიდან, იმჟამად გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებიდან და ფოტოსურათებიდან. ყველა ამ მასალის კომპოზიციამ გაზეთში რიგიანი სურათი შექმნა უდიდეს გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანის შესახებ და როცა ეს გაზეთი თვალსაჩინო ადგილას გამოვაკარით, უნდა გენახათ, როგორ მოაწყდნენ მას პატიმრები, რაღაც წყურებიათ, რაღაც მითვლემილა მათ შინაგან ბუნებაში და გაჩხრეკა ნდომებია, განუწყვეტლივ იდგნენ ამ გაზეთთან და კითხულობდნენ, მერე მსჯელობდნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ მწერლის ტრაგიკული ცხოვრების ეპიზოდებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ასე ცხოვლად ალაპარაკდნენ, მაშასადამე მათმა სულიერმა ძალებმაც გაიღვიძეს, გამძლეობისა, გულგაუტეხაობისა, იმედის მომცემმა ძალებმა.

ეს შეამჩნიეს ლაგერის უფროსებმაც შეაქეს გაზეთი და ერთი თვის შემდეგ მთხოვეს, წარვადგინოთ ეს გაზეთი სამმართველოშიო. წაიღეს და იქ ისეთი დიდი მოწონება დაუმსახურებია, სხვა ლაგერებშიაც ჩამოუტარებიათ, ჩვენ მადლობის ქაღალდი გამოგვიგზავნეს და დაგვაჯილდოვეს წიგნებით.

მონატრებოდა-მეთქი, მოჰსურვებოდათ, მოწყურებოდათ ამგვარი რამეები, სულ ციხის კედლები, სტოლიპინის ვაგონები, წერაქვი და ნიჩაბი, ბადრაგები ძაღლებიანიცა და უძაღლებოც, გადათვლა-გადმოთვლა, ლანძღვა და გინება, — ყელში ამოსვლოდათ ეს ყველაფერი. მე ხუთი წელი ამის გარდა არა მინახავს რა, ჩემ მეგობარ ქართველებსაც და როგორ იფეთქა ერთბაშად სიხარულმა, როცა ერთ დღეს კინოფილმის ფირები შემოიტანეს და მთელ ლაგერს ელვასავით მოედო ხმა, საღამოს კინო იქნებაო. ავიზგიზდით, ავფორთიაქდით, ავჩქეფდით ჩვენ, ქართველები, როცა ეგაც გავიგეთ, ქართული ფილმი „ქეთო და კოტე“ მოიტანესო.

აივსო ვეებერთელა დარბაზი საღამოს, ჩაჰუჰკდნენ, ჩაწნეხეს ერთმანეთი, სადაც ჩასაჯდომი, ფეხმოსაკიდებელი ადგილი იყო, ყველგან მილაგმოლაგდნენ, ვინც დარბაზში ვერ შემოეტია, ატეხეს ერთი ამბავი: ჩვენაო?! ჩვენ რა დავაშავეთო?! ატყდნენ, აღრიალდნენ, უფროსობას მიაწყდნენ. დაპირდნენ უფროსები, ხვალაც გავუშვებთო, ზეგაცაო, თუ მოგესურვებათ, ოღონდ ახლა თავი შეიკავეთ, ერთმანეთს ნუ შეაწყდებითო.

ფილმმა მოაჯადოვა ყველა, ათასი ჯურის კატორღელიც, ჩეკისტებიც, ადამიანებმა წლების განმავლობაში მონატრებული ადამიანური ვნებათა ღელვის სურათები იხილეს, გაიხსენეს, მოიგონეს შინ დარჩენილი მსგავსი ვნებანი. ფილმი რო დამთავრდა, კარგა ხანს ადგილებიდან არ დაძრულან, თითქოს ეკრანზე შეწყვეტილ მოვლენების გაგრძელებას ელოდებოდნენ, მერე ნელნელა გარეთ გამოეფინენ განსჯით, შეძახილებით, სიმღერებითაც კი, იქ, კინოეკრანიდან რო შემოესმათ, იმას მიმსგავსებულებით.

და ფრთები შეგვესხა ჩვენ, ქართველებს, სიამაყე მოგვიჭარბდა, კარგი ფილმი რო გამოსულა, მაღალი გრძნობებით რო აღანთო ყველა.

მეორე დღესვე მე ჩვენი, ქართველების განწყობილება ამგვარი ლექსით გამოვხატე:

### მე გუშინ ვნახე

მე გუშინ ვნახე „ქეთო და კოტე“, —
მე იგი ბევრჯერ მინახავს ადრეც.
როცა ვხედავდი თბილისის კორდებს
და რუსთაველის პატარა ჭადრებს.
ახლოს მთაწმინდის სიონი ქროდნენ,
ოპერის ბაღში ვარსკვლავი ენთო,—
ვუსმენდი:
თბილისს უმღეროდა კოტე,
თბილისის ვარდებს უმღეროდა ქეთო.

მე მტკვრის ნაპირას ღვინოს დავლევდი,
კაცი ვიყავი სმის და მოლხენის.
თავისი ყანწით და ალავერდით
მხვდებოდა ძველი ყარაჩოღელი.
და ვიმღერებდით ერთად „მუხამბაზს“..
ორთაჭალაფ და მუხამბაზმა
მე თბილისს ასე შემადუღაბა.

თბილისში კოჯრის ქარები ქროდნენ....
ოპერის ბაღში ვარსკვლავი ენთო...
შეყვარებული მღეროდა კოტე,
შეყვარებული მღეროდა ქეთო.

მე ნარიყალას ქვის ნატეხი ვარ,
მე რუსთაველის ჭადრის ტოტი ვარ,
მე ფურცელი ვარ სარაჯიშვილის
საფლავის ვარდის.

და ქვეყანაზე არრა მიშველის
თბილისის გარდა.

მე გუშინ ვნახე „ქეთო და კოტე“...
მე თითქოს შევხვდი თვით თბილისელებს.
მე ციციშვილი ვნახე ისევე,
მე მედეია ვნახე ისევე.

თუმც თბილისამდე ასი ქარი ქჵეს, —
მე ჭავჭავაძე ვნახე, თამარი,
ვნახე ვერიკო ანჯაფარიძე.

და თუმცა ახლოს უცხო მთებია,
ცად ვარსკვლავებიც იყინებიან,
ცივი ზამთარი მოადგათ კორდებს, —
მადლობელი ვარ ღმერთო:
წუხელ თბილისზე მღეროდა კოტე,
თბილისის ვარდებს უმღერდა ქეთო.

ქეთოსა და კოტეს უმწიკვლო სიყვარულმა ქართული სულის პოეზიად გაიელვა ათასი ჯურის ადამიანთა გულებზე, ქართველი თავადის სულგრძელობაც თავისთავადი, სხვათაგან გამორჩეულ ისტორიულ ეროვნულ ხასიათად გასხივდა სხვათა თვალში და მომაჯადოებელი მუსიკისა და ნარნარი იუმორის ფონზე ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის მიმზიდველი პანორამა გამოაფინა ფილმმა. ამგვარ შთაბეჭდილებებს გვიზიარებდნენ მეორე დღიდანვე უცხო ეროვნების ადამიანები და სუყველანი ერთად მივხვდით, რომ გულაგის კატორღელების ძირეული მიზანი, ამოძირკვოს ადამიანებში ეროვნული სიამაყის შეგრძნება, ვერა და ვერ განხორციელდება.

საღამოს ჩვენ შევიკრიბენით შალვა ქვათელაძესთან. შევჯგუფდებოდით, ხოლმე შაბათს ან კვირას, საღამოს, შალვასთან, წავილიღინებდით სიმღერებს და სულს ვიბრუნებდით. ჩვენი ფილმის ნახვის მეორე დღესაც წავუღიღინეთ „მოუოხეთ ბატონებო“, „პატარა. ჩემო პატარა“, „იავნანა“, „ციცინათელა“, „სულიკო“, „მშვენიერო შენ გეტრფი“, „სისოულ ბატა“, იმერული, გურული, მეგრული, რუსული, კახური სიმღერები და ბოლოს „კახური მრავალჟამიერი.“ წამომჯდარიყო, წამომდგარიყო მთელი ბარაკი ქვედა და ზედა ნარებზე, გატრუნულიყო, გაქვავებულიყო და გვისმენდნენ სულგანაბულნი, ჟღერდა შალვას ფოლადივით მაგარი ტენორი, ჩვენი არცთუისე ჟღერადი, მაგრამ მუსიკალურად გამართული მეორე ხმები და ალე ქათამაძის ხავერდოვანი და მძლავრი ბანი, რომელიც ორღანის ხავერდოვან და რბილ აკორდებს ჰგავდა. „მრავალჟამიერი“ მართლა გაოგნებულებმა დავაგუგუნეთ. აღარ გვახსოვდა გულაგი და კატორღა, ზურგზე და მუხლზე დაკერებული ნომრები, ოცდახუთწლიანი სასჯელი და კალიმის ყინულეთი, იმწუთას ისინი ვიყავით, რანიც ჩვენჩვენ ოჯახებში. ჩვენს მიწაზე, ჩვენი ცის ქვეშ და ვგავდით თურმე მართლა ქართველებს. ამაში იმან დაგვარწმუნა, როცა სიმღერა დავამთავრეთ, იქუხა ბარაკში ტაშმა, ზოგი მეორე ნარზედაც ფეხზე შეიმართა და შემოგვძახა, „მოლოდცით“, როცა ვმღეროდით, მაშინ არც კი გვეგონა, თუ ვინმე გვისმენდა. წანთებია მათაც სიმღერის ცეცხლი, ნორმალურ ადამიანებს დამგვანებოდნენ წლების განმავლობაში გატანჯულნი ციხეებსა და გულაგის ლაგერებში, მუსიკის სიმები შეთრთოლებულა ყველა მათგანში და მონუსხულან ქართული „მრავალჟამიერით“.

ჯერ კიდევ არ ჩამკვდარიყო მათში ადამიანური სული.

## გიზგიზა ღუმელთან

სამუშაოს დამთავრებამდე სულ იმაზე ვფიქრობდი, ლაგერში რო მივბრუნდები, დამხვდება თუ არა ადგილზე ჩემი გადამალული წიგნაკები.

დილით ადრე, სამუშაოზე გასვლამდე ჩავფლავდი ხოლმე ბარაკთან ახლოს ან თოვლში ან ბარაკის კედლის წიდაში. ზედამხედველები ჩხრეკდნენ ხოლმე ტუმბოებს, საწოლებს და რო ენახათ წაიღებდნენ, აკრძალული იყო ხელნაწერების შენახვა, შინიდან მიღებული წერილების გარდა. ჩემი მთავარი მიზანი კი ის იყო, როგორმე წიგნაკები გადამერჩინა.

შემოვიდოდით თუ არა ზონაში, გაყინული, გალიგვული, ყინულის ლოლუები ცხვირზე და ულვაშებზე რო ჰქონდათ

ჩამოკიდებული, ისეთები, ყველანი ბარაკებისკენ მოქუსლავდნენ, ეჩქარებოდნენ, მირბოდნენ, ალარაფერი ალარ ახსოვდათ, ოღონდ სითბოში შეერგოთ თავი და ცხვირიდან და პირიდან ამოფრქვეული ორთქლი რო ცხვირსა და ულვაშებზე შეჰყინვოდათ, გაელღვოთ და ჩამოემშრალებიათ. ამას ძნელად გაიგებს ის, ვინაც თორმეტი საათის განმავლობაში გარეთ ორმოცი-ორმოცდაათ გრადუსიან სიცივეში არა მდგარა. შეცვივდებოდნენ, შეილალებოდნენ ბარაკში.

მე კი ჯერ იქ მივირბენდი, სადაც წიგნაკები მქონდა ჩაფლული, სასწრაფოდ გავჩხრეკდი, ხელს შევავლებდი, „ბუშლატის" ჯიბეში ჩავიდებდი და მერე შევრგავდი თავს ბარაკში.

ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში ყოველდღე.

ერთხელაც ტუმბოს ფსკერზე ამოვაჭედე ფანერის პატარა ფილა, ისე რომ ფილასა და ფსკერს შორის წიგნაკი მოთავსებულიყო. აქ შევაკვეხე ჩემი ორი წიგნაკი. კარგა ხანს იყო ასე და ზედამხედველები ჩხრეკისას ვერ აგნებდნენ. სამუშაოდან მობრუნებული პირველად ჩემ საიდუმლო ფანერს შევავლებდი ხოლმე ხელს. ეს მარტოოდენ ჩემმა ბრიგადირმა ლევთერი მალანიამ იცოდა. ტუმბო ორთავესი იყო, მან უკვე იცოდა ფასი ჩემი წიგნაკებისა.

მალანიას საშუალო სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული, წერა-კითხვა კი იცოდა, მაგრამ მთელი მისი საერთო განათლება მხოლოდ ამით ამოიწურებოდა. მე როცა მაღალი წნევის გამო მესამე კატეგორიის ინვალიდობა მომცეს, საერთო სამუშაოზე ალარ გავყავდით და ბიბლიოთეკაში მოხუც ბიბლიოთეკარს ფეოდორ ნიკოლაევიჩ კონდრატიევს შევეკედლე, ვეხმარებოდი მას წიგნების მიღება-გაცემაში. აი, მაშინ შევურჩიე საინტერესოდ საკითხავი წიგნი მალანიას, რუსულად გამოცემული მოპასანის „ფუნთუშა". კარგა ხანს მოუნდა ამის წაკითხვას, მაგრამ როცა წაიკითხა, მაშინვე მთხოვა, ასეთი წიგნი კიდევ მომ[illegible] გადაიკითხა მან რამდენიმე წიგნი[illegible] მის სიცოცხლეში არცერთი წიგნი არ წაეკითხა და უცებ მოიხიბლა წიგნით, განუწყვეტლივ კითხულობდა თავისუფალ დროს.

ერთ დღეს დავბრუნდით სამუშაოდან და ბარაკში არცერთი ტუმბო არ დაგვხვდა. ზედამხედველებს აეღიათ ტუმბოები და ბარაკის ბოლოს საკუჭნაოში შეეყარიათ, ბოქლომი დაუდვიათ და დაულუქავთ.

სხვა რა უნდა მეფიქრა?! ალბათ ნახეს ჩემი წიგნაკები, მოუყარეს თავი ყველა ტუმბოს ერთად და გულდასმით გასინჯავდნენ ოპერრწმუნებულთან ერთად. მალანია მოვიდა და ჩემი ვარაუდი შევჩივლე.

არც აცია, არც აცხელა, გაქანდა საკუჭნაოსაკენ, აალიტა კარს ბოქლომი და ლუქი და მიმართა ყველას, აბა, წაიღეთ თქვენ-თქვენი ტუმბოებიო. შევცვივდით საკუჭნაოში, ერთმანეთს არ ვაცლიდით, ყველამ თავისი ტუმბო ნახა და გამოიტანა. მეც, როგორც იქნა, მივაგენი ჩემსას, მაშინვე ფანერას შტაცე ხელი, ჩემი წიგნაკები ადგილზე დამხვდა. მაშასადამე ამის გამო არ შეუყრიათ აქ ტუმბოები. გულზე მომეშვა, მაგრამ ახლა იმან შემაფიქრა, მალანიას არ შეხვედროდა უსიამოვნება, ჩეკისტების დაუკითხავად გაალო საკუჭნაო.

როგორც კი გვითხრა, გაიტანეთ თქვენ-თქვენი ტუმბოებიო, მე ჩემიც რო მივნახე და ვუთხარი, ყველაფერი რიგზეა-მეთქი, მაშინვე გავიდა ბარაკიდან.

მივარდნია ლაგერის რეჟიმის უფროსს, მაიორს, აჯაჯლანებულა, აქოთქოთებულა, გაპილპილებულა, რას გავს ეს, ვინა ქნა ეს, გალიგვებული და დამშეული ხალხი სამუშაოდან დაბრუნდა, ტუმბოებში პურის ნატეხები ჰქონდათ გადანახული, ტუმბოები სა-

კუპენაში შეუყრიათ ზედამხედველებსო, ვინ მისცათ ამის უფლებაო!

ძლივს დაუწყნარებია მაიორს მალანია, გამოუძახნია მორიგე ზედამხედველები, ტუმბოები მოუწესრიგებელი ჰქონდათო, განუცხადებიათ მათ. მერე მაგის გამო მთელი ბრიგადა მშიერი უნდა მომიკლათო, აყვირებულა ისევ მალანია, მხარი დაუჭერია მისთვის რეჟიმის უფროსსაც, დაუმშვიდებია და როცა ბარაკში დაბრუნდა, მალანიამ მომაძახა, დედა ვუტირე მაგ მობელძალლებსაო.

მეორედაც დიდი ხიფათი შეემთხვა ჩემს წიგნაკებს.

იმ დღეს მალანიამ ზონაში დამტოვა, დაისვენეო.

წამოვწექი ჩემს ნარზე, ამოვიღე ჩემი წიგნაკი და ვათვალიერებდი, ვკითხულობდი.

უცებ თვალი მოვკარი, ბარაკში ზედამხედველი შემოვიდა, წამოვიჭერი, წიგნაკი სწრაფად ლეიბს ქვეშ შევჩურთე, და იქვე, ნართან დავდექი. შეუმჩნევია, რო ვიფართიფურთე, მოვიდა, ლეიბი აწია და წიგნაკი აილო.

გავთავდი, გავშრი, გულის მთავარი ძარღვი ჩამიწყდა, გავიფიქრე, მორჩა, ასე წვალებით ამდენხანს შემორჩენილი ლექსების წიგნაკი დამეკარგება-მეთქი.

გადაშალა, გადმოშალა, ჩააცქერდა, მერე მკითხა:

„რა არიო?“

„სიმღერები და ლექსებია-მეთქი“.

„რა ენაზეო?“

„ქართულია-მეთქი“.

„საიდან მოაგროვე ამდენიო?“

„წიგნებიდან ამოვიკითხე, ზოგმა ზეპირად მითხრა, ასე შევაგროვე. ხანდახან ვკითხულობთ-მეთქი“.

კიდევ ჩააცქერდა, გადაშალა, გადმოშალა, რანაირი ასოებია, სულ არ გავს რუსულსაო.

„ჩვენ ჩვენი საკუთარი დამწერლობა გვაქვს-მეთქი“.

ისე ვპასუხობდი, თითქოს სული მეპარებოდა, ჰაერი არა მყოფნიდა, ძლივს გასაგონად ვლუღლავდი სიტყვებს, გულზე ის ცეცხლი მინთია, წაილებს ახლა და რაღა მეშველება-მეთქი.

„რა ენაზეო?“ — კიდევ მკითხა.

„ქართულია-მეთქი“.

„ჰოოო! აბა, ვნახოთ ერთი, ცეცხლი თუ მოეკიდებაო“. — თქვა და ბუხრისაკენ გაემართა. ბუხარში ქვანახშირი გუზგუზებდა. მე რო ჩავეგდე იმ ლადარში და ის წიგნაკი გადარჩენილიყო, მერჩია, აგრეც გავიფიქრე და ბუხრისკენ მიმავალს თვალი გავაყოლე.

გრძელ ბარაკში იქეთ-აქეთ ორსართულიან ნარებს შორის გრძელი მაგიდა იდგა. მაგიდას ჩემსავით ზონაში შემორჩენილი ორი კატორღელი დომინოს თამაშობდნენ, ზედამხედველი რო შემოვიდა, ისინი ფეხზე წამოდგნენ და უსმენდნენ ჩვენს საუბარს.

ჩემი წიგნაკით ხელში ზედამხედველი მაგიდას რო გაშორდა და, ჰა და ჰა, ბუხარში უნდა შეეგდო წიგნაკი, რომელიც ხელისგულისოდენაც არ იყო, მაგიდასთან მდგარმა ერთ-ერთმა პატიმარმა ზედამხედველს მიმართა:

„მოქალაქე უფროსო, ნუ იზამთ მაგას, ის საცოდავი, — ჩემსკენ თითი მოაშვირა, — მოკვდებაო“.

ზედამხედველი შეჩერდა და ჰკითხა:

„რათაო“.

„მაგი მორწმუნეა, გაგვიწყალა გული აქ სულ ლოცვებს ბურტყუნებს, მაგ წიგნაკში ლოცვები უწერიაო“.

იმჟამად ჩვენს ლაგერში მრავალნაირი რელიგიური სექტის მორწმუნენიც იმყოფებოდნენ.

ზედამხედველმა წიგნაკში ისევ ჩაიხედა, მერე მე გადმომძახა:

„მართლა მორწმუნე ხარო?“

„მე არ დავაყოვნე, თითქოს მართლაც ასე იყო და ვუპასუხე ხმადაბლა:

„დიახ-მეთქი“.

ჩემმა ქომაგმა განაგრძო:

„სულ მაგ წიგნაკს ჩასცქერის და ჩიფჩიფობს და ჩიფჩიფობს, მაგი რო

ცეცხლში შეაგდოთ, ვერ გადარჩება საცოდავი, ნუ დაიდებთ მაგის ცოდვასაო“.

ზედამხედველმა აღარაფერი უპასუხა, რამდენჯერმე კიდევ გადააბრუნ-გადმოაბრუნა წიგნაკი, მერე მოისროლა ჩემსკენ და ნარების ჩამოვლას, ტუმბოების შემოწმებას შეუდგა.

დავავლე ხელი ჩემს წიგნაკს და ხელში შემეყინა.

გავიდა თუ არა ბარაკიდან ზედამხედველი, მივვარდი ჩემს ქომაგს, ყელზე ჩამოვეკიდე, მივიკარი მკერდზე და კინაღამ დავახრჩვე, ვკოცნე და ვკოცნე.

„შე დალოცვილო, შე მადლიანო, საიდან მოგაგონდა, ლოცვებიაო, ეს რო არ გეთქვა, ხო შეაგდებდა ღუმელში-მეთქი“.

ოცდაათიოდე წლის ტანთხელი, ოდნავ ჩამოგრძელებულ ნიკაპიანი უკრაინელი ვიტალი კოვალენკო რომელსაც ახლოს არც ვიცნობდი, იმ წუთს ჩემთვის უძვირფასესი მეგობარი იყო.

„რამ მოგაფიქრა-მეთქი“, — ვიმეორებდი, ვლუღლუღებდი [illegible]ოდი ვიტალის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მსმენია, რო პოეტი ხარო, ლექსების ფასიც ვიცი ცოტაოდენიო“.

ჩაიწვებოდა, ჩაიფერფლებოდა, ჩანაცრდებოდა ჩემი აქამდე სიმწრით მოტანილი წიგნაკი და მერე წავხდებოდი, დავჩაჩანაკდებოდი, ახლის დაწერასაც ველარ შევძლებდი, იმ ლექსებში მქონდა ჩაწრეტილი ჩემი მთავარი ცრემლი და სისხლი, ზეპირად ვერ აღვადგენდი, გამომეცლებოდა ხელიდან იმედი, ველარ გავუძლებდი ამას და ჩავეყინებოდი კალიმის გაყინულ მარადისობას.

ლოცვებიაო, თქვა ღვთისნიერმა ვიტალი კოვალენკომ.

ეს უეჭველად ჩემმა მფარველმა ანგელოზმა ჩააგონა მას და ჩეკისტის ქვის გულიც კი მოალბო ამ სიტყვამ.

ამჯერადაც ბედისწერის თამაშიდან სალსალამათი გამოვედი.

პირველი ნაწილის დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

# მარადიული [illegible]

## თედო სახოკიასთან

თედო სახოკიას, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაუსწრებლად გავიცანი. ეს კი ასე მოხდა. 1958 წლის გაზაფხულზე მას დაბადებიდან ოთხმოცდახუთი წელი შეუსრულდა. გადაწყდა ამ თარიღის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს ჩატარება, ხოლო მისი მომზადების ორგანიზაციული საკითხების მოგვარება მწერალთა კლუბს დაევალა, სადაც იმ ხანებში მე ვმუშაობდი. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ბატონ თედოს ახლო მეგობარმა, მწერალმა სოლომონ ცაიშვილმა ლამის უსაქმურად დამტოვა, თავად გაუძღვა საღამოს სამზადისს. რა თქმა უნდა, მეც მხარში ვედექი, ძირითადად იმ დავალებებს ვასრულებდი, რომლებსაც თვით თედო სახოკია ქაღალდის პატარა ფურცლებზე დაწერილი ბარათებით მავალებდა. ამ ბარათებს (რამდენიმე მათგანი დღემდე შემომრჩა) სოლომონ ცაიშვილი გადმომცემდა ხოლმე. მრავალგანსაცდელგამოვლილი და ჭანგატეხილი ბატონი თედო ბოლო წლებში შინიდან არ გამოდიოდა.

საღამო აპრილის შუა რიცხვებში გაიმართა რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში. ბატონ თედოს შემოსასვლელშივე შევეგებეთ. მე მას იმ საღამოს პირველად შევხვდი და პირველად ჩამოვართვი ხელი. ბატონმა თედომ ნება-ნება ამოიარა კიბე. ის პირდაპირ სცენისაკენ წავიყვანეთ. ძნელად სატარებელი სიმძიმე შესძენოდა მის მორჩილ და გამხდარ სხეულს. იუბილარი მოკრძალებით ჩაჯდა მისთვის განკუთვნილ სავარძელში.

საღამო დაიწყო. დარბაზიდან დამრეკილ ტაშზე შეტოკდა ბერიკაცი. სიკეთით გადაბრდღვიალებული მისი სახიდან თავისებური ნათელი მოედინა ირგვლივ.

ორატორებმა — გიორგი ლეონიძემ, შალვა დადიანმა, ლეო ქიაჩელმა, გერონტი ქიქოძემ, იპოლიტე ვართაგავამ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გიორგი ჩიტაიამ, [illegible] [illegible] [illegible] მოყვარულ[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და ხაზო-[illegible] [illegible] [illegible] წლის წაკითხული და წარსულიდან ხალხის [illegible] ნაცრთმბაო-ვაზ შეიხსნული [illegible].

მეტად თბილი, ხალასად ინტიმური საღამო იყო.

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] შეხვედ-რება ავილე და ჩემს სიცოცხლეში პირველად [illegible] [illegible] დასასვენებლად. [illegible] [illegible] [illegible] ახალ [illegible]. „აფხაზეთი" ერქვა თითქმის ზღვის პირზე აგებულ სანატორიუმს.

შევედი [illegible] და [illegible] სამზარ-ეულოში. — [illegible] [illegible] ქრისტიანულ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] თედო სახოკია, რომელიც საიუბილეო საღამოს შემდეგ [illegible] [illegible] [illegible], [illegible] ჩემი [illegible] [illegible]. ფიქრში იყო წასული. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], ჩამოჯდომით [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] ზღვის პირზე ცოტას გავისეირნებ და მერე ან აქ ვზივარ ან ჩემს ოთახში [illegible] [illegible] წამოვწვები-ხოლმე. მარტო, ახლობლების გარეშე ჩამოსულიყო ბატონი თედო.

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ხოლმე ბატონ თედოს. როგორც ჩანს, წარსულის გახსენება [illegible] არ უყვარდა. ძუნწად საუბრობდა გარდასულ დღეებზე. [illegible] [illegible], ნება-ნება [illegible] [illegible] [illegible] ირგვლივ.

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ბატონი თედო [illegible] [illegible] [illegible] ეზოში. [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] და მასზე სავარძელზე [illegible]:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ გელოდებოდი, მატარებლის ბილეთის ალებაში უნდა დამეხმარო. დღესვე უნდა დავბრუნდე თბილისში.

ხაზგაზ დავრჩი. რა მოხდა-მეთქი, ვკითხე შეშფოთებულმა. რა მოხდა და ჩემი წასვლა აუცილებელია. წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე. ვოდა, მირჩევნია, შინ მოვკვდე და ჩემიანები არ შევაწუხო თბილისში ჩემი ცხედრის გადასასვენებლად.

რა ესიზმრა, ის კი არ მითხრა. ხევრი ვეცადე დამერწმუნებინა, რომ იმ სიზმარზე აღარ ეფიქრა, რომ არაფერი არ მოხდებოდა და ბოლომდე გაეგრძელებინა დასვენება და მკურნალობა. არაფერმა გასჭრა. ხასაუზმოდ შევედით სასადილოში. ბატონი თედო თავის მაგიდამდე მივაცილე, კარგი მადა ვუსურვე, გახუმრებაც ვცადე, მაგრამ მის სახეზე ოდნავადაც არ გამკრთალა სინათლე.

ფისაუზმე და ისევ მივყავბლე მაგიდასთან მჯდარს. თითქმის არაფერი ეჭამა.

სასადილოდან გამოვედით. გამხნევება დავუპირე, მაგრამ სიტყვის თქმა არ მაცალა.

— აუცილებლად, აუცილებლად დღესვე უნდა წავიდე. გთხოვ ახლავე წადი რკინიგზის სადგურში ბილეთის ასაღებად.

მთელ დღეს ბატონ თედოს ირგვლივ ვტრიალებდი. ბერიკაცი ადგილს ვერ პოულობდა. საღამოს თბილისისაკენ მიმავალ მატარებელზე გავაცილე, გავაცილე და ახლა მე ავფორიაქდი — რამდენიმე დღეს მოუსვენრად ვიყავი — თბილისიდან მოსულ გაზეთებში წაუკითხავს არ ვტოვებდი სამგლოვიარო განცხადებებს.

და ის სამგლოვიარო განცხადება 1956 წლის თებერვალში გამოქვეყნდა — სიზმარმა ბატონ თედოს სამი წლით დაუგვიანა აცხადება. მე კი თურმე სამი წლით ადრე ახალი ათონის რკინიგზის სადგურში უკანასკნელად ვნახე და გამოვემშვიდობე.

## იოსებ გრიშაშვილთან

გაზაფხულის დღე იყო. თავისუფლების მოედანზე, მაღაზია „სამხედრო წიგნის" წინ, ჭადრის ჩრდილში მდგარი იოსებ გრიშაშვილი ჩემთვის უცნობ ორ კაცს ესაუბრებოდა. ილლიაში ჩვეულებისამებრ წიგნები ჰქონდა ამოჩრილი, ქუდმოხდილით და მოკრძალებით მივესალმე და გზა განვაგრძე — ლაპარაკში ხელი არ შევუშალო-მეთქი.

ოციოდე ნაბიჯი მექნებოდა გავლილი, ჩემი სახელი რომ შემომესმა. შემოვბრუნდი და ლამის სირბილით დავბრუნდი უკან. ახლოს მისულს ბატონი სოსო თვალებში ჩამაცქერდა. მისი დალაპარაკების მოლოდინში უხმოდ შევყურებდი და ვხედავდი, თვალები როგორ უწყლიანდებოდა. და მან შეთრთოლებული ხმით მითხრა:

— მოდი, გაკოცო, რა ვიცი, იქნებ ასეთ მყუდრო ვეღარა გნახო...

დავიბენი. ბატონო სოსო, ეგ რამ გათქმევინა-მეთქი, ვუთხარი. და ჩემკენ გადმოხრილ პოეტს კოცნა მე დავასწარი.

გულმა თუ უგრძნო...

ბატონ სოსოს იმ დღის მერე აღარ ვუნახივარ. მე კი მხოლოდ ერთხელღა ვნახე... მუხის ფიცრებისაგან შეკრულ კუბოში.

## დავით სულიაშვილთან

ოქტომბრის დასასრულისთვის არც თუ ჩვეულებრივი დღე იდგა — სუფთად გადახარხულ გამჭვირვალე ცაზე საშუადღეოდ აფრთხიალებული მზე საგრძნობლად აცხუნებდა.

შენობაში შესვლა არ მინდოდა. მწერალთა კავშირის სასახლის ჭიშკრის წინ ვიდექი და ქუჩას გავყურებდი.

შორიდანვე შევნიშნე — დავით სულიაშვილი მოდიოდა.

მოდიოდა და ამ ტანმორჩილ კაცს მთელი ქუჩა თან მოჰქონდა. მოდიოდა სახეგაბადრული, თვალებდანაპერწკლიანებული.

მასთან შეხვედრა და საუბარი ყოველთვის მსიამოვნებდა. გულიც დათაფლიანებული ჰქონდა და ენაც. ხუმარათოდაც რომ ჰყოფილიყავი, სულში სითბოს ჩაგიღვრებდა.

ერთმანეთს შევხვდით. სახეზე ბუნებრივი სიწითლე მომატებოდა. რაღაცით გახარებული და შემართული იყო.

მოკრძალებით მივესალმე, მოვიკითხე.

— ძალიან კარგადა ვარ, აი ისე ვარ, ჭაბუკობაში რომ ვიყავი ხოლმე, წუხელ ხნეულმა არ დამაძინა, — ეშმაკური ღიმილით მითხრა და მხარზე ხელი დამკრა, მერე თვალებში შემომხედა და ოდნავ მოიღუშა. — არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რანაირად შევბედო ჩემს ქალიშვილს, ცოლის შერთვა მინდა-მეთქი. არა და ახალგაზრდობას თურმე უკან დაბრუნებაც სცოდნია.

რა მეთქვა, რა მეპასუხნა, მრჩევლად ვერ ვივარგე, ის კი ვუთხარი, თქვენ მოხუცებული არც არასდროს ყოფილხართ—მეთქი.

ბატონ დავითს ჩვენ სწორედ იმ (1963) წლის გაზაფხულზე მივულოცეთ დაბადების ოთხმოცი წელი.

ბატონი დავითი შენობაში შევიდა.

და...

რაღაც ერთი კვირის შემდეგ, იმავე შენობაში, ლიტერატურული გაზეთის რედაქციაში სამუშაო მაგიდას მივუჯექი მწერალთა კავშირის გამგეობის სახელით დავით სულიაშვილის ნეკროლოგის დასაწერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვიდრე მის წრას დავიწყებდი, ლეო ქიაჩელის დაკრძალვის დღე გამახსენდა. მწერალთა სასახლიდან მისი გასვენების წინ გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე დავით ხუციაშვილმაც წარმოთქვა სიტყვა. მან გულწრფელი სიტყვებით დაიტირა თავისი ძველი მეგობარი და სხვათაშორის ესეც უთხრა: რას მიშვრები, ძმაო, რას... ყველაფერში მუდამ ჩემს წინ იყავი, ყველაფერს მასწრებდი, ყველაფერში მჩაგრავდი. და ახლა სიკვდილიც დამასწარი, საშუალება არ მომეცი ერთხელ მაინც შენზე წინ ვყოფილიყავი...

ლეო ქიაჩელი კი სულ რაღაც ათი თვის წინათ, ცხრაასსამოცდახამის დეკემბერში წავიდა.

## ალიო მირცხულავასთან

ზუგდიდიდან გვიან ღამით გამოვედით. შოფრის გვერდით კარლო კალაძე დაჯდა, უკანა სავარძელზე ალიო მირცხულავა და მე დავსხედით.

— ჭკვიანი კაცი ახლა დასაძინებელ ოთახში უნდა შედიოდეს, — გადმომილაპარაკა ალიომ მანქანის სალონში შესვლის წინ.

კარლომ კი მანქანაში ჩაჯდომისთანავე შოფერს გადაულაპარაკა:

— თუ ვინიცობაა წამთვლიმოს, ჰიშურაში გამაღვიძე აუცილებლად. იქ მთელ ღამეს ღია უნდა იყოს რესტორანი.

ალიოს ღამე მგზავრობა არ უნდოდა, მაგრამ კარლომ აიჩირა, გინდათ თუ არა, წავიდეთო. მანქანა მისი იყო და სხვა გზა აღარცა გვქონდა.

ზუგდიდიდან გამოსულებმა მცირე ხანს მუხაიფით შევიყოლიეთ თავი. მალე კარლომ ჩახთვლიმა. მეც დამიმძიმდა ქუთუთოები. არც გაგვემტყუნებოდა, ორ დღეს მუხლი არ ჩაგვიხრია, ავედით ენგურჰესის მშენებლობაზე. მოვიარეთ ზუგდიდის რაიონის სოფლები, დიდი საღამო ჩავატარეთ ზუგდიდის თეატრში, შეხვედრები — სკოლებში. იყო ბანკეტები.

ძიმბურანში შოფრის ხმა ჩამესმა, უკვე ჰიშურაში ვართო.

— აბა მანქანიდან გადავიდეთ, — გვითხრა კარლომ. — ჭიშიდან ასმანეთიანი მჩხვლეტს და თუ არ მოვიშორე, ვერ მოვისვენებ.

ალიომ უარი თქვა. რა დროს ქეიფია, ჩვენ ხომ ხუფრიდან წამოვედითო. ვინ დაუგდო ყური.

მასპინძლებმა კარლო იცნეს. დაბზრიალდნენ და მერე როგორ დაბზრიალდნენ.

ალიო გაბუტულივით იჯდა. ღვინო ახლოს არ გაიკარა, არც ჩაქმეულს მისძალებია. ხაშველი რომ აღარ მივეცით, მთხოვა, ოფიციანტი მონახე და უთხარი, ასი გრამი კონიაკი მოიტანოსო. იმ კონიაკს სწრუპავდა ნელნელა. ბოლომდე არც დაულევია.

ხათნახევარს მაინც შევჩერით ხუფრას.. ბატონი ალიო ვერ იქნა და ვერ მოვიდა ქეიფის ხასიათზე.

გზა გავაგრძელეთ.

გორში გამომეღვიძა. კარლოს ეძინა. ალიო ფხიზლობდა. ერთმანეთს კანტიკუნტად გადავულაპარაკებდით ხოლმე.

მცხეთას გამოვცილდით. ზაჰესს რომ მივუახლოვდით, ალიომ გადმომილაპარაკა:

— თუ იცი, რომ ამ წყალსაცავში ნიანგი გაჩენილა...

— ალბათ ბატონმა კარლომ თუ გაუშვა? — ვუთხარი ხუმრობის ხასიათზე მოსულმა. კარლო ხომ წლების განმავლობაში რედაქტორობდა ჟურნალ „ნიანგს“.

— რა ყველაფერს ხუმრობად იღებთ, მე ხომ სერიოზულად გეუბნები, — განაწყენებით მომიბრუნდა ალიო.

მეც აგუხირდი:

— როგორ თუ სერიოზულად! ნიანგი აქ საიდან უნდა გაჩენილიყო?

— ალბათ მტკვარს შემოჰყვა.

— მტკვარში საიდანღა მოხვდა?

— ალბათ კასპიის ზღვიდან...

— კი, მაგრამ ნიანგი ხომ ტროპიკული წყლების ბინადარია. ალბათ თქვენ ვიღაცამ მოგატყუათ...

— როგორ თუ მომატყუეს. ეს ისეთმა კაცმა მითხრა, რომელსაც დაეჯერება.

ამ დროს საუბარში კარლო ჩაერია. ეტყობა არ ეძინა და ყველაფერს ისმენდა. იხუმრა და იცინა, იცინა და იხარხარა. ამ მოსწრებული სიტყვის კაცმა ხშირად მოუზომავი ხუმრობა იცოდა და ამჯერადაც თავისი ენით საგრძნობლად და, რა თქმა უნდა, თავისდაუნებურად დაუსხა ალიოს პატივმოყვარეობა.

ამასობაში თბილისში შემოვედით.

ჯერ ბატონი ალიო მივიყვანეთ შინ.

მეც გადავედი მანქანიდან. ხელი გავუწოდე. ნახვამდის-მეთქი, ბატონო ალიო. ხელი არ გამომიწოდა. ირიბად შემომხედა. ასეთები ხართ ახლანდელი ახალგაზრდები, უფროსებისა არაფერი გწამთ და გჯერათო. — მწყრალად ჩაილაპარაკა, დაუმშვიდობებლად შებრუნდა და სადარბაზო შესასვლელისკენ გააბიჯა. კარლოზე გაბრაზებული გულიც, ეტყობა, ჩემზე მოიფხანა.

დაახლოებით ქრთი კვირის შემდეგ ლექსის კითხვის დროს გათავდა ეს ბავშვივით გულუბრყვილო და გულმინდობილი კაცი, რომელმაც, რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, იშვიათი პატიოსნებით და წრფელი პოეტური სიტყვით შეამთიარა უმკაცრესი ქარიშხლები.

## მიხეილ მრევლიშვილთან

ღიმილიც ლამაზი ჰქონდა და შუბლის შეკვრაც. მეგობრობაც ლამაზი იცოდა და თანამეხუფრეობაც. თავადაც ლამაზი იყო, დაუღლელი, მუხლჩაუხრელი.

და უცებ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს მუხლებმა უღალატეს. ლოგინად ჩავარდა. ვერ წარმოვიდგენდით თუ ის ზეზე აღარ წამოდგებოდა. მაგრამ ვაი რომ ველარ წამოდგა. სიცოცხლის ბოლოწუთამდე მიეჯაჭვა ლოგინს.

მაშინ ის გოგებაშვილის ქუჩაზე, მწერალთა სახლში ცხოვრობდა. რამდენიმე თვის მუხლწართმეული იყო, ლადო მრელაშვილმა და მე შინ რომ მივაკითხეთ. თან ღვინოც მივიყოლეთ. მიხეილს პურ-მარილი უყვარდა და მისი ყადრიც იცოდა. მოვიკითხეთ, გავამხნევეთ, დავლოცეთ იქვე, საწოლთან ჩამოდგმული პატარა მაგიდიდან. თვითონაც მოსვა ორიოდე ჰიქა. და როცა ჩვენს გვერდში მყოფი მისი ვაჟიშვილი სანდრო ამ ოთახიდან გავიდა, მიხეილმა დადაბლებული, მაგრამ მტკიცე ხმით გვითხრა:

— თუ ველარ წამოვდექი, იცოდეთ, აუცილებლად მოვიკლავ თავს.

გული ყელში მომებჯინა. ახლოს მივედი, მისკენ დავიხარე, გადავკოცნე და ვუთხარი: მაგისთანა ფიქრებს თავი დაანებე, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. ლადომაც გაამხნევა. და როცა მისი ვაჟიშვილი შემობრუნდა, მიხეილს გამოვემშვიდობეთ.

გავიდა წლები. მიხეილი აღარ გამართულა მუხლში. წლების მანძილზე ფეხი არ დაუდგამს მიწაზე. და მან ვერ შეასრულა თავისი სიტყვა. საშუალება არ მიეცა. თვითმკვლელობისა. თავისი ადრინდელი განზრახვის შესახებ სიტყვაც აღარ დაუძრავს. იმას კი იტყოდა ხოლმე, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო.

ცოცხალი კაცი თანდათან დაავიწყდათ მკითხველებსაც და გამომცემლებსაც, ახლო მეგობრებსაც კი... და, როგორც თვითონ ამბობდა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებსაც.

გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე მიხეილ მრევლიშვილი ახალ ბინაზე გადაიყვანეს საკაცით. იქ შეუსრულდა დაბადების სამოცდაათი წელი. და ბევრ ჩვენგანს ამ თარიღმა გაახსენა მისი არსებობა.

გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ალექსანდრე გომიაშვილმა და მე მოვინახულეთ. ხალისის ნასახიც აღარ ეტყობოდა. ძნელად, ძალიან ძნელად აეწყო ჩვენი საუბარი და ეს საუბარიც დიდხანს არ გაგრძელებულა. ლაპარაკმა დაღალა. ბორძიკ-ბორძიკით გვითხრა: ცით რას გეტყვით? ნულარც თქვენ მომაკითხავთ. თქვენც ცოდონი ხა[illegible]ემი საცოდაობის ყურებით. როგორც იქნება გავლევ ჩემს საცოდავ წუთისოფელს, რამენაირად ბოლომდე მივათრევ ამ დაღლილ სულს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუყიჟინეთ: რას ამბობ, შენისთანა რაინდ კაცს მაგის თქმა არ ეკადრებაო.

და ისე მოხდა, რომ მასთან მეორედ მისვლა აღარ დაგვჭირდა. უხმაუროდ ჩაიწვა და ჩაილევენთა, და საზოგადოებას თავისი სიკვდილით ერთხელ კიდევ შეახსენა თავისი თავი. ახლობლებმა შეუსრულეს ანდერძი — ახმეტის რაიონში, წინაპრების საძვლეში მიაბარეს მიწას.

## ვანო ურჯუმელაშვილთან

### ბოლო შეხვედრამდე შვიდი წლით ადრე

— მე შენზე ადრე უნდა მოვკვდე, მეუბნება ვანო.

ვეკითხები: რათა-მეთქი.

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ შენზე მეტი ერთი პერანგი მაინც გამიცვეთია, მეორეც — ერთ გემრიელ გამოსათხოვარ წერილს დამიწერ, აი ისეთს, „წიგნის სამყაროში" გივი გოგიჩაიშვილის გარდაცვალების გამო რომ გამოაქვეყნე.

(იმ დღეებში — 1977 წლის იანვარში გავაცილეთ ჩვენი ძმობის ამქრის ერთ-ერთი წევრი გივი გოგიჩაიშვილი).

— მერე სიკვდილმა ეგეთი რამეები რომ არ იცის?

— იცის თუ არ იცის, მე არ მესაქმება, შენ კი უნდა დამიწერო და... ოღონდ ძალიან რომ დავბერდებით, მაშინ.

ვანომ ჩემს დათანხმება-არდათანხმებას აღარ დაუცადა და კატეგორიულად მითხრა:

— ახლა წავიდეთ და თითო ბოთლა დავლიოთ, ჩვენი საწყალი გივი შევიწყალოთ.

### 1984-ის ივლისი, ბოლო შეხვედრის დღე.

რუსთავში ქალაქის ვაჭრობის მუშაკებს შევხვდით. ასეთ შეხვედრებზე პროზაიკოსებს ყოველთვის უჭირთ გამოსვლა. მსახიობის ნიჭიც უნდა გქონდეს, რომ საზოგადოებას ბოლომდე მოასმენინო მოთხრობა თუ რომანის ნაწყვეტი. ამიტომაც იყო, რომ ვანო ნაწარმოების კითხვით არასოდეს გამოდიოდა. ზეპირად ჰყვებოდა ხოლმე თავისი ჯარისკაცული თუ სამოქალაქო ცხოვრების რომელიმე საინტერესო ეპიზოდს. თხრობა კი კარგი იცოდა. ვანომ იმ დღესაც მოხიბლა პირთამდე სავსე დარბაზი.

შებინდებამდე ჯერ კიდევ ადრე იყო, შეხვედრა რომ დავამთავრეთ. რესტორანში შევედით სასადილოდ. სტუმარ-მასპინძელმა ერთმანეთი დავლოცეთ, ვისაუბრეთ მწერლობაზეც და ვაჭრობაზეც. ბინდდებოდა. წავიდეთო, ითქვა და სუფრიდან აშლა დავაპირეთ.

— ნუ ავჩქარდებით. თუ დალევა არ გიწ-

დათ, ნუ დავცლევთ, ისე ვისხდეთ ცოტაზანს და ვილაპარაკოთ, — ლამის შეგვეხვეწა ვანო.

მახპინძლებსაც არ ვეთმობოდით და ისევ შევყოვნდით ხუჟრახთან. ორმოცოოდე წუთის შემდეგ ისევ წამოვდექით. განსაკუთრებით ელიზბარ მაისურაძე აქტიურობდა — თბილისშიც მისივე „ჟიგულით" ვბრუნდებოდით და მანქანის ღამით მართვას ერიდებოდა. ახლაც შემოგვეხვეწა ვანო, ცოტაზანს კიდევ ვიყოთ ერთად. მაგრამ ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ზლაზვნით წამოდგა ნაწყენი.

ელიზბარ მაისურაძემ თბილისში, სასტუმრო „ივერიის" წინ გააჩერა თავისი „ჟიგული", ნუ მიწყენთ და სახლებში ვერ ჩამოგარიგებთო. ჩვენ ჩამოვედით. მან თავისი სახლისკენ გააგრძელა გზა. ვახტანგ გორგასლის რუსთაველის პროსპექტის მეორე მხარეს გადავიდა მეტროპოლიტენის სადგურში ჩასასვლელად. მე კი, ნახვამდისმეთქი შევძახე ვანოს და იმ ტროლეიბუსის კარის სახელურს შევავლე ხელი, რომელიც ისის იყო ჩამოდგა და ჩემი სახლის მხრისკენ მიდიოდა.

— არ აზვიდე, თუ ძმა ხარ! — მოძახა ვანომ.

სახელურს ხელი გავუშვი. შევატყვე, ვანის ესიამოვნა.

— რა გეჩქარება, ფეხით გავიაროთ, ვისაუბროთ, — მითხრა და იღლიაში ხელი გამომდო. ნელა მოდიოდა, ფეხს ითრევდა. ბოლო ხანებში ფეხების ტკივილი აწუხებდა, მაგრამ, ვატყობდი, რომ მისი ნელა სიარულის მიზეზი მარტო ფეხის ტკივილი არ იყო.

ფილარმონიის წინ გადასახვლელთან მივედით. ჩემი ტროლეიბუსი აქ უნდა გაჩერებულიყო. ვანო კი მეორე მხარეს უნდა გადასულიყო და გოგებაშვილის ქუჩაზე ასულიყო — იქ ცხოვრობდა.

— რა იყო, სახლი ხო არ გაგექცევა, ბაღში ჩამოვსხდეთ, ცოტა ხანს კიდევ ვილაპარაკოთ.

ვიფიქრე, ხულში ეს რა ლაპარაკის ჟია ჩაუჯდა-მეთქი, და უარი ვუთხარი, თანაც გამიკვირდა — ასეთი აზირება მან სიმთვრალის დროსაც არ იცოდა. ახლა კი ოდნავ შეღვინოანებულები ვიყავით. ამასობაში ჩემი ტროლეიბუსიც ჩამოდგა. არ დავმშვიდობებივარ, არც სიტყვიერად და არც ხელის ჩამორთმევით. კარგად იყავი-მეთქი, მხოლოდ ეს გამოვძახე ტროლეიბუსის კარიდან. არაფერი უპასუხნია. განაწყენებული თუ დასევდიანებული მზერა გამომაყოლა.

მეორე თუ მესამე დღეს გავიგე, ვანო საავადმყოფოში დაწვაო. გამიკვირდა, თუ საავადმყოფოში აპირებდა დაწოლას, რატომ არაფერი თქვა-მეთქი. არც თავის ავადმყოფობაზე უთქვამს რამე. და ის იყო საავადმყოფოში მისი მონახულება გადავწყვიტე, რომ თავზარი დამცა ვანოს გარდაცვალების ამბავმა.

ნუთუ ჯადარ შეჯბვდები და ვესაუბრები მეგობარს, ვისაც ათიოდე დღის წინ გული დაუწყვიტე საუბრის გაგრძელებაზე უარის თქმით... მწარედ გამახსენდა მისი [illegible] გამოსათხოვარ წერილზე. პირველ ორ დღეს ვერა და ვერ დავიმორჩილე კალამი. მერე კი დავწერე, მაგრამ გამოქვეყნება გამიჭირდა — იმ დღეებში რედაქციებს ზემოდან ჰქონდათ მიცემული მითითება — დაკმაყოფილებულიყვნენ ოფიციალური ნეკროლოგებით და სხვა გამოსათხოვარი წერილების ბეჭდვისაგან თავი შეეკავებინათ. და ბოლოს, ვანოს დასაფლავების შემდეგ, როგორც იქნა, ის ჩემი გამოსათხოვარი უკვე ჩვეულებრივი წერილის სახით გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" გამოქვეყნდა. და მე გულზე მომეშვა — როგორც შემეძლო, წასულ მეგობარს ისე შევუსრულე ხუმრობით თუ სერიოზულად გამოთქმული სურვილი.

## ბონდო კეშელავასთან

ათასცხრაასოთხმოცდაოთხი წლის ბოლო დღეები იდგა. ბატონი ბონდო ავად ყოფილა და აქამდე როგორ ვერ გავიგეთ, მითხრეს ჩემიანებმა სამსახურიდან შინ დაბრუნებულს.

განა არა, კარგახანი აღარ შემხვედრია კიბეებზე ავლა-ჩავლისას.

მაინც რა არის ქალაქური ცხოვრება! ავად გახდომას ვინ ჩივის, შეიძლება კაცი ისე მოკვდეს, კარის მეზობლებმაც ვერაფერი გაიგონ. ქალაქური ცხოვრება ქალაქური ცხოვრებაა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენც ძალზე გულცივები, ერთმანეთის ბედიღბლით დაუინტერესებლები გავხდით, ერთურთის შური და მტრობა თუ შეგვეტოკებსლა...

ჩემი მეხუთე სართულიდან მაშინვე დავივაკე მეორე სართულზე, სადაც ბონდო ცხოვრობდა. მისმა ქალიშვილმა ხათუნამ გამიღო კარი. შენს სანახავად მოვიდნენო, გასძახა მამას საძინებელი ოთახის ღია კარში და იმ ოთახში შემიძღვა.

შემაღლებული ბალიშიდან თავი წამოსწია ბატონმა ბონდომ, რომელიც თვალებითღა ვიცანი. მივედი, ხელი ჩამოვართვი, გადავეხვიე და გადავკოცნე. მე მას პირველად ვხედავდი წვერმოშვებულს. თეთრი, ქათქათა წვერი ჰქონდა, აი, აკაკის რომ ჰქონდა, ისეთი. საფეთქლებზეც თეთრი თმა ჩამოშლოდა.

იქვე ჩამოვუჯექი, მოვიკითხე, ალბათ ჩემი წასვლის დრო მოვიდაო, მითხრა ოდნავ გაღიმებულმა. მერე შემომჩივლა, რამდენი ხანია, არავის გავახსენდებივარო. მეზობლებმაც კი არ მომაკითხესო. ავადმყოფობა თუ არა, მარტოობა მაინც მომკლავსო.

შევუძახე, რასა ბრძანებთ, თქვენ ვინ დაგივიწყებთ-მეთქი და ჩემი თავის გამართლებაცა ვცადე და სხვისიც. მართალს კი ბრძანებდა ბატონი ბონდო.

ნელნელა გამოცოცხლდა. საწოლის თავისკენ აიწია. ბალიშზე წელის მიყრდნობა სცადა. რა ხდება მწერალთა კავშირში, მკითხა. ყველაფერი მოვუყევი რაც კარგი და სასიამოვნო რამ ვიცოდი. მერე ქვეშეთში, მწერალთა სახლში გატარებული დღეები გავიხსენეთ. ბოლოს როგორღაც ვკითხე, ახალი ხომ არაფერი დაგიწერიათ-მეთქი. და, როგორც ვიგრძენი, ამ კითხვით ტკივილი მივაყენე ავადმყოფს. მითხრა გაბზარული ხმით. ჰოდა, აი, მერე რომ გნახავთ, ახალ ლექსს თუ დამხვდებით, რომელიც რედაქციასაც იტყვით, იქ მივიტან-მეთქი. ჭერს უყურა, მერე მცირე ხნით გაირინდა, თვალებში მიმქრალი ნაპერწკლები გაუღვივდა. უცებ მოულოდნელად აიწია, კარგი, დავწერ, მაგრამ შენ არ შეგაწუხებო, მითხრა და თავის ქალიშვილს გახედა, სტუმარი უპატივისცემოდ არ გაუშვაო.

ხონდო ორთქის ისევ გამოცოცხლდა, მაგრამ ის ძველი ხონდო უკვე აღარ იყო. ჭაღარა წვერ-ულვაშით დამშვენებული ღმერთის წინაშე წარსადგენად გამზადებულიყო.

ავადმყოფობამ იძალა. კიბეებზე ამავალი მეორე სართულის კიბის მოაჯირზე ... და ტკივილით შევხედავდი კარს, რომლის იქითაც ლოგინად ჩავარდნილი ბერიკაცი ებრძოდა სიკვდილს. და იმ კარიდან ცხრაასოთხმოცდახუთის თებერვლის ბოლო დღეებში უკანასკნელად გამოვიდა. მე ის ვერ გავაცილე. იმ დღეებში წელკავმა გამაკრა ლოგინს და მხოლოდ მერე მოვედი მის საფლავთან ქვემიმდებარე ... და ...

## ირაკლი ქავთარაძესთან

საბურთალოსკენ მიმავალ ტროლეიბუსში ოპერის თეატრთან ავედი. მესამე გაჩერებაზე უნდა ჩამოვსულიყავი და ახვლედიანის წინა კარებისაკენ, ჩასასვლელისაკენ გავიკვლიე გზა.

უკვე ჩასასვლელ კართანა ვარ. ტროლეიბუსისკენ ზურგშექცეულ წინა ორადგილიან სკამზე ნაცნობი ფიგურა დავლანდე. დავაკვირდი და ირაკლი ქავთარაძე შევიცანი, რომელიც უკვე ხუთი თუ ექვსი წელიწადი იყო, რაც არ მენახა. მესიამოვნა მონატრებული კაცის დანახვა. მე ხომ მასთან ერთად ერთ შენობაში, მწერალთა კავშირში ლამის არაერთი წელიწადი ვმუშაობდი. და მისგან თითქმის წყენაც არ მახსოვდა.

გაშორებიდან საკმაოდ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ უცებ ეგეც შევამჩნიე, ხომ არ ავადმყოფობს-მეთქი. თავი დახრილი ჰქონდა, ... მა მისი თვალები დაბურული მიმეჩვენა. ბატონი ირაკლი ... ლებული. ის თითქოს კავშირის დაარსებიდან მოყოლებული ამ კავშირში და ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მუშაობდა საქმეთა მმართველად. და თითქმის ოთხმოცდახუთ წელს გადაცილებული ზრდილობის გულისათვის ისურვა პენსიაზე გასვლა, თორემ საპენსიოდ არაფერი მქონდა ამ ნაღდი ვაჟების უღალატო და გამრჯე კაცს.

ტროლეიბუსი მიდიოდა ხან რყევით, ხან ნარნარად. ბატონი ირაკლი კი თავისთვის იჯდა გაუნძრევლად, თავჩაღუნული.

იმ გაჩერებას ვუახლოვდებით, სადაც უნდა ჩავიდე. გული მწყდება, რომ ვერ გამოველაპარაკე ჩემს გვერდით მჯდომ პატივსაცემ ბერიკაცს. და უცებ მისი ხმა მომესმის, რა ნამდურავივით დგახარ, რატომ არაფერს ამბობო. მინდოდა მეთქვა, მე მეგონა გეძინათ-მეთქი, მაგრამ ვერ შევკადრე და ვიდრე სხვა პასუხს მოვიფიქრებდი, განაგრძო:

— მითხარი, რასა იქმ და ცოლშვილი როგორა გყავს. აი ის შენი პატარა გოგო რას შვრება, ქვიშხეთში ჭრელ პეპელასავით რომ დაფარფატებდა ხოლმე.

ვპასუხობ, ვჩქარობ, მეც ხომ უნდა ვკითხო რამეც. ვერ ვასწრებ. ტროლეიბუსი ჩერდება. რა ვქნა? ერთ გაჩერებაზე კიდევ გავყვები და მერე გამოვბრუნდები უკან.

და ჩვენ გავაგრძელეთ საუბარი. სიბერე არც ეტყობოდა ამ პატარა ტანისა და დიდი გულის კაცის მეხსიერებასა და სიტყვა-პასუხს.

შევნატრე სიბერე.

მოვედი. ტროლეიბუსიც გაჩერდა, გადავკოცნე და გამოვემშვიდობე.

და თურმე საბოლოოდ გამოვემშვიდობე ამ გულალალ კაცს, ბელეტრისტსა და მთარგმნელს, რომელიც უხმაუროდ და გულიანად აკეთებდა თავის საქმეს.

## ამირან აბშილავასთან

ზაფხული უკვე ჩამოთავებული იყო.

სახლის კუთხიდან „ვოლგა" გამოცურდა. თვალისშევლებისთანავე ვიცანი — საჭესთან ამირან აბშილავა იჯდა, ჩემი თანამოკალმე და მეზობელი, ჩვენი სახლის მეორე სადარბაზოში რომ ცხოვრობდა. მე მას ამ ეზოში ხშირად ვხვდებოდი თავისივე მანქანით საქმეზე მიმავალს და შინ მობრუნებულს, როცა თავად მეც სადმე მივდიოდი ან შინ ვბრუნდებოდი. იმ ოდნავ შეგრილებულ დილით კი შინ მივიჩქაროდი. მანქანა გამოსწორდა და შეჩერდა. ღია ფანჯრიდან ამირანმა გამოყო თავი. ლამის ერთდროულად მივესალმეთ ერთმანეთს. მისი ხმა და გამომეტყველება შემაშფოთა. მუდამ ღიმილიანი სახე მოღრუბლულიყო, მუდამ ზარისწკრიალაგარეული ხმა გაბზარული მეჩვენა.

როგორ ხარ-მეთქი, დავასწარი. სახე უფრო დაუსევდიანდა.

— ცუდადა ვარ, ცუდად. გულს მიკეთებენ, ისეთი არაფერი გჭირსო. მაგრამ როგორ მოვტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუვდებო. ჩემიანებს კი თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს მათი მჯეროდეს... ჩემი საშველი არ იქნება, კიბო მჭამს, კიბო! — თქვა და მოძალებული ცრემლის შეჩერება სცადა. მერე თავის ხმაში ზარის აჟრიალებასაც შეეცადა: — კარგად გამიხსენეთ ხოლმე, ბიჭებო, კარგად...

რას ამბობ-მეთქი, უნდა მეთქვა, მაგრამ არ დამაცალა, მანქანა დაძრა და მშვიდობით, მომაძახა. სახტად დარჩენილი უკან შევბრუნდი და მიმავალი მანქანისათვის მანამდე არ მომიცილებია თვალი, ვიდრე იგი ეზოდან არ გავიდა.

რა ვიცოდი, რომ თურმე უკანასკნელად შევხვდით და დაველაპარაკეთ ერთმანეთს და იმ ლაპარაკში მე მხოლოდ ოთხი სიტყვის თქმა მოვასწარი: „გამარჯობა“ და „როგორა ხარ, ამირან.“..

რამდენიმე დღის შემდეგ ამირან აბშილავა საავადმყოფოში დააწვინეს. მე შვებულება ავიღე და გაგრაში გავემგზავრე, მწერალთა შემოქმედებით სახლში. ერთ დღეს სახლის დირექტორის მისალებში გავიგე, თბილისიდან დარეკეს, ამირან აბშილავა გარდაიცვალაო. თავზარი დამეცა. კრიჭაშეკრული წავედი ჩემს ოთახში, ზღვისპირა კორპუსში, სადაც შემოდგომობით ამირანსაც უყვარდა ჩამოსვლა და, სადაც გვერდიგვერდ ოთახებში ერთდროულად გვიბრძოლია სიტყვასთან და ერთმანეთიც გვიდღეგრძელებია ჭიქა ღვინით. ჩემი ოთახის ღია კარიდან ერთხანს გულდამძიმებული გავყურებდი ზღვას, მერე მაგიდასთან მივედი, ამირანის მეუღლის სახელზე სამძიმრის დეპეშა დავწერე და ეზოში ჩამოვედი ფოსტაში წასასვლელად. ქუჩაში გამოსულმა რატომღაც დეპეშის გაგზავნა გადავიფიქრე და ისევ ეზოში შევბრუნდი.

მეორე დილას თბილისში დავრეკე ჩემიანებთან. მეზობლობაში რა ამბავია, მეთქი, ვიკითხე-ამირანი მძიმე მდგომარეობაშიაო, მითხრეს. ვილაცას კი რაღაც გაუგებრობის გამო მისი გარდაცვალების ხმა მოუწვდენია გაგრაში.

თბილისში დავბრუნდი. რამდენიმე დღეც და ამირან აბშილავას მეუღლეს ქალბატონ გუგული კიკნაძეს გულის ტკივილით მივუსამძიმრე ცხოვრების ერთგული მეგობრის დაკარგვა.

1988 წლის ოქტომბრის ბოლო დღეებში მეოთხე სახაზლე გავიდა დავით აღმაშენებლის პროსპექტზე აღმართული მწერალთა საცხოვრებელი სახლიდან, რომელშიც 1963 წლის ნოემბერში დავბინავდით. 1964 წლის დეკემბერში გასულ პირველ სახახლეში ლეო ქიაჩელი განისვენებდა, 1969 წელს იმავე ბინიდან გავასვენეთ ლეოს ქალიშვილი ნათელა შენგელაია, ბოლო 1985 წელს უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ ბონდო კეშელავა.

## კარლო კალაძესთან

გამომცემლობის დავალებით მშვიდობისადმი მიძღვნილი ლექსების კრებულს ვადგენდი. მასში ავტორებთან შეთანხმებით შემქონდა ლექსები. სიბერისა და ავადმყოფობისაგან დაბრიყვებული კარლო კალაძე სახლიდან აღარ გამოდიოდა. რატომღაც ტელეფონითაც ვერ დაველაპარაკე და შინ ვეწვიე.

უკვე ორიოდე წელი იყო, რაც არ მენახა. ამ ხნის მანძილზე წვერი მოეშვა და ძლივსღა გიცანი. სმენაც გვარიანად დაჰკლებოდა. მოვიკითხე და მისვლის მიზეზი მოვახსენე. შენ თვითონ შეარჩიეო, მითხრა და ჩემი წიგნები ხომ გაქვსო, მკითხა. მაქვს-მეთქი. იი, ბოლო ორტომიანი გამოცემა თუ გაქვსო. არა-მეთქი. მეორე ოთახში გავიდა და ის ორი მოზრდილი ტომი გამოიტანა. ეს ჩემგან სახსოვრად გქონდესო და ამ წიგნებიდან რომელი ლექსიც გინდა, კრებულში შეიტანეო. პირველ ტომს სათანადო წარწერა გაუკეთა, მეორეს უბრალოდ ხელმოწერა აკმარა.

კარგა ხანს აღარ გამიშვა. რამდენჯერაც წამოვიწიე, იმდენჯერ ისევ დამსვა. ეტყობოდა ადამიანებთან საუბარს იყო მოწყურებული, ეტყობოდა, გაიშვიათებოდა მნახველ-მომკითხველი. თვითონ მას კი აღარც მეუღლე ჰყავდა, აღარც შვილი, შვილიშვილები ხომ საერთოდ არ ჰყოლია. საოცრად ტრაგიკული ბედის კაცი იყო ეს გულხალვათი, ერთი შეხედვით მუდამ კარგ ხასიათზე მყოფი, ხუმრობისა და ქეიფის მოყვარული კაცი.

— რომ იცოდე, როგორ მწყურია კარში გასვლა, ხალხში გასვლა, — მითხრა და ქუთუთოების კიდეებში სისველემ გამოხეთქა. ერთხანს იყუჩა და მერე განაგრძო: — იქნებ საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელს მედეა მეზვრიშვილს სთხოვო, შეხვედრა მომიწყონ მკითხველებთან. საგარეჯო ახლოსაა, ჩამოსვლა არ გამიჭირდება. იქნებ ეს ჩემი ბოლო გასვლაც იყოს თბილისიდან და არ დამაღალატო.

და უცებ მის ხმაში შუქი ჩადგა:

— ჰო, მართლა, რას შვრება ის ჩვენი მაგიდის ლამპა?

საიდან გაახსენდა! ათზე მეტი წლის წინათ, ზუგდიდში ყოფნისას, მაღაზიაში შევედით. მაგიდის ლამპა მომეწონა. გამყიდველს გადმოვაღებინე და გავსინჯე კიდეც. ყიდვით კი აღარ ვიყიდე. სად ვატარო-მეთქი. კარლომ იყიდა, მე მეგონა თავისთვის. მაღაზიიდან რომ გამოვედით და მანქანაში ჩავსხედით (ზუგდიდში მისი მანქანით ვიყავით წასულები) ის ლამპა გადმომაწოდა და მითხრა, აჰა, ჩემს სახსოვრად გქონდესო. მეტი რა გინდა, ამ ლამპას თბილისში სახლამდე [illegible] კიდეებზე კი შენ აიტანე

და მერე კი შენ იცი, რას დაწერ მის შესახებ ... და ... მის შექ-ზეო. ჰოდა, ახლა ის ლამპა გაახსენდა.

როგორ ვეტყოდი, რომ რამდენიმე წლის წინათ ის მშვენიერი ლამპა მაგიდიდან გადმო-მივარდა და გამიტყდა. თქვენგან ნასახსოვარ წიგნებს იმ ლამპის შუქზე გადავიკითხავ-მეთქი, ვუთხარი და წამოვდექი. კარებთან მისულს თხოვნა გამიმეორა საგარეჯოში მისი სალამის გამართვის თაობაზე: ეს ბატონ კარლოს ერთადერთი თხოვნა თუ დავალება იყო, რომელიც არ შევუსრულე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის უკვე ვერ შესძლებდა ხალხის წინაშე გამოსვლას.

შეპირებით კი შევპირდი...

განგებამ მომიტევოს!

## რევაზ ინანიშვილთან

როგორც მახსოვს, ზაფხულის ბოლო დღეები იდგა. დილით, ვიდრე სამსახურში წავიდოდი, ტელეფონი აწკრიალდა. დავწვდი ყურმილს. რევაზ ინანიშვილის ხმა მეცნო.

ვიცოდი, ბოლო ხანებში რაღაც რომ აწუხებდა და მოკითხვა მე დავასწარი. არა მიშავს რაო, მითხრა და მაშინვე საქმეზე გადავიდა. პენსიაზე გასვლას ვაპირებ და თქვენი ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტიდან ცნობის ახალებად როდის მოვიდე, როგორ მოვიქცეო. როცა შენ გინდოდეს, მაშინ მოდი, ოღონდ ახლავე მითხარი, როდის მოხვალ-მეთქი. მცირე ხნის პაუზის შემდეგ დაღლილი და გაბზარული ხმით მითხრა, დღესვე თერთმეტ-თორმეტ საათზე მოვალო.

თორმეტის ნახევარი იქნებოდა, რეზომ კაბინეტის კარი რომ შემოაღო. კარიდანვე მითხრა, იმასთან მიმყევი, ვინც ცნობა უნდა მომცესო.

წამოვდექი, კარებშივე შევეგებე. მაგიდასთან დაჯდომა შევთავაზე. მაგიდაზე მედო უკვე გამზადებული, ხელმოწერილი და ბეჭედდარტყმული ცნობა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 1991 წლისთვის მისი წიგნის გამოცემა არცერთ გამომცემლობას არ ჰქონდა დაგეგმილი.

ესიამოვნა, როგორ შემიწუხებიხართ, მითხრა.

მინდოდა, მოვფერებოდი, გავმუსაიფებოდი, მაგრამ აჩქარდა. კიბის თავამდე მივაცილე. თუ რამეში დაგჭირდები, მიმსახურე-მეთქი, ვუთხარი. მანამდე დავყურებდი კიბეზე მძიმე ნაბიჯით ჩამავალ რეზოს, ვიდრე იგი კიბის მოსახვევში არ გაუჩინარდა.

ტკივილით გულშეძრწუნებული შევბრუნდი ჩემს სამუშაო ოთახში, ის რეზო აღარ იყო, როგორსაც ვიცნობდი. კაეშნიანი გამოხედვა ჰქონდა, გაფერმკრთალებულ სახეზე შინაგან ტკივილს გამოეყონა...

და მე მას ერთხელღა დავჭირდი, იმისათვისღა დავჭირდი, რომ უკანასკნელ გზაზე გამეცილებინა ცხრაასოთხმოცდათორმეტი წლის ახალწლის წინა დღეს, იმ დღეს, როცა დიდუბის პანთეონში გაჰრილ სათლავში ჩაშვებულ კუბოს ფიცარზე დაყრილი ქვების ხმაურს რუსთაველის პროსპექტის მხრიდან ავტომატების სროლის ხმა უერთდებოდა.

როგორც ვიცი, ჩვენგან აღებული ცნობა რეზოს აღარ დასჭირვებია. იმ ქვეყნად წასულებს პენსიაზე გასვლა აღარ სჭირდებათ.

მინაწერი. 1976 წელს რევაზ ინანიშვილის დაბადების ორმოცდაათი წლის თავი სიყვარულით აღნიშნეს საგარეჯოელებმა. საიუბილეო სალამოზე მეც გამოვედი იქვე დაწერილი ნაუცბათევი მისალოცი ლექსით. იმ კაფიის ხელნაწერი ბოლო ხანებამდე საგარეჯოში, ჩემს ქაღალდებში მქონდა. ჩავასწორებ და რეზოს მასაც გადავცემ-მეთქი. დღესხვალეობაში წლები გავიდა და აი ახლა, რეზოს წასვლის შემდეგ ის ხელნაწერი ვეღარ ვიპოვე. რანაირად დაიკარგა, არ ვიცი. ვერც აღვადგინე, მხოლოდ ეს სარითმო სიტყვებიღა გავიხსენე: უჯარმა — ნაზუზუჯარმა. ქაღალდის ნაგლეჯი დაიკარგა. სიყვარული არ იკარგება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი მინდიაშვილი

# „თუ არ შეინანებთ... დაიღუპებით“

ყოველი ადამიანის, ისევე როგორც ყოველი ერის უმთავრეს მიზანს ღმერთთან შინაგანი ერთიანობისა და მთლიანობის მიღწევა, ღმერთთან ზიარება უნდა წარმოადგენდეს. საამისოდ კი აუცილებელი წინაპირობაა განცდა, გაცნობიერება საკუთარი ცოდვებისა, როგორც უდიდესი ბოროტებისა, და განწმენდა მათგან. იოანე წინამორბედი და ნათლისმცემელი ცოდვებში გაქვავებულ, სინანულის უქონელ ადამიანებს სწორედ სინანულით ამზადებს უფლის მისაღებად („მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი“ — მთ. 3, 2). მოუწოდებს შექმნან სინანულის ღირსი ნაყოფი — უანგარო კეთილი საქმეები, გზა განუმზადონ — უფალს მოასწორონ მისთვის ბილიკები. ცხადია, იოანე წინასწარმეტყველი გულისხმობს არა გამზადებასა და გასწორებას ფიზიკური გზებისას და ბილიკებისას, არამედ ადამიანთა სულებისას, ცოდვათა სიმრავლის, სინანულის უქონლობისა და ცოდვათაგან განუწმენდელობის გამო უსწორ-მასწორო გზებსა და ბილიკებს რომ დაემსგავსებიან. განუწმენდელ და გამრუდებულ სულში კი, თუ იგი ცოდვათა მონანიებითა და კეთილი საქმეებით არ გასწორდა და არ განსპეტაკდა, უფალი თავისი ღვთაებრივი მოძღვრებით, მაცხოვნებელი უზენაესი იდეალებითა და მცნებებით ვერ შევა, და ცხადია, სხვაგვარად ვერც „ცათა სასუფეველი“ დამკვიდრდება მასში.

მაშასადამე, მონანიება — გზაა უფლისაკენ და კარიბჭე — ჭეშმარიტი, ცოცხალი რწმენისა. რწმენა მონანიებით ცოცხლობს, სინანულიდან იბადება და მასზევე დგას. სინანულის გარეშე იგი არაქმედითუნარიანი, უსიცოცხლო და უღონოა.

მაცხოვარმა თავისი პირველი ქადაგება სწორედ სინანულის შესახებ წარმოთქვა:

„მოინანიეთ და ირწმუნეთ სახარება“ (მარკ. 1, 15)

მოციქულებიც სინანულისკენ მოგვიწოდებენ („და წავიდნენ იგინი სინანულის საქადაგებლად“ — მრკ. 6, 12).

ერთ-ერთი უკანასკნელი დავალება, რომელიც ქრისტემ მოციქულებს დაუტოვა, გახლდათ სინანულის ქადაგების აუცილებლობა:

„და უთხრა მათ.... ქადაგებულიყო მისი სახელით სინანული და ცოდვათა მიტევება ყველა ხალხში, იერუსალიმიდან მოყოლებული“ — ლკ. 24, 47).

ცოდვათა შეცნობის, ღრმა სინანულისა და განწმენდის გარეშე ვერცერთი ჩვენთაგანი სულიერ სიკვდილსა და მარადიულ წარწყმედას ვერ აიცილებს თავიდან:

„არა, გეუბნებით თქვენ: თუ არ შეინანებთ, ყველა დაიღუპებით“ (ლკ. 13, 3).

ამიტომ იესო ქრისტეს უმაღლესი მოთხოვნა და სურვილია, ყველამ მოვინანიოთ:

„არ აყოვნებს უფალი აღთქმის აღსრულებას, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ აყოვნებს, პირიქით, დიდსულოვანია თქვენს მიმართ, რადგან ვინმე წარწყმედა კი არ სურს, არამედ ყველას მოსვლა სინანულად“ (2 პეტრ. 3, 9).

ამიტომ „დაუბრუნდით უფალს, თქვენს ღმერთს, მოწყალე და შემბრალებელია იგი, სულგრძელი და მრავალმადლიანი, და ნანობს ბოროტის ქმნას“ (იოვ. 2, 13). „მოინანიეთ და მოიქეცით, რათა წარიხოცოს თქვენი ცოდვები, და მოიწიოს ჟამი სიხარულისა უფლის სახისაგან“ (საქმ. 3, 19-20).

ჩვენ კი, ნაცვლად სინანულისა და ცოდვათაგან განწმენდისა, ღვთისაგან განდგომილნი და ღვთაებრივი სიბრძნით განუსწავლელნი, ძველ ცოდვებს ახალს ვუმატებთ და ჩვენივე ცოდვებით ჩვენში ხელახლა ჯვარს ვაცვამთ უფალს, კიდევ ერთხელ ვუგმირავთ მას ფერდს ცოდვის მახვილით რომელიც ჯარისკაცის მსგავსად [illegible] ვალა წყლები, წახდნენ ჟამნი და დრონი... გა[illegible] ქვეყანა, ლამის დაჰკარგოს რჯული... მხარი უქცია სწორ გზას, მრუდე გზას მოარულია, ვეღარ მოეგო გონებას, არ იცის სინანული... ყველა წრე გაფუჭებულა, წამხდარა ყველა წოდება... დავიწყებია ქართველებს შენი

სისხლი და ვალია, გადაცდენია ძველ გზასა, და აბნევია კვალია, მაგრამ იმისი გაქრობა, ჭერ მაინც ცოდვა ზრალია!.. შენს ხელში არის, უფალო, იმისი „მომავალია“ — აკაკი, „ხოლერა“).

ჭეშმარიტად მრავალმოწყალეა უფალი, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ულმერთო, ცოდვილი ცხოვრებით ჯალათებივით ვტანჯავთ საკუთარ სულში, რწმენის, იმედისა და სიყვარულის კარს გვიხსნის ყოველთვის, როგორც კი შევინანებთ, როგორც კი მთელი გულით, მთელი ჩვენი არსებით მივმართავთ შეწყალებისა და შემწეობისათვის. ამასთან, ღვთისაგან მონიჭებულ შეწყალებასა და შემწეობას მით უფრო მძაფრად და ძალუმად შევიგრძნობთ, რაც უფრო ღრმა და წრფელი სინანული გვაქვს ცოდვათა ჩვენთა გამო.

იესო ქრისტეს დიდებით მოსვლისას, საყოველთაო აღდგომისას საშინელ სამსჯავროზე, როცა ყველა ადამიანის, მათ შორის, ამპარტავანთა და ურწმუნოთა მუხლიც მოიდრიკება მის წინაშე, მოუნანიებელი, განუწმენდელი ცოდვილნი მზად ვიქნებით ცრემლების მდინარეები დავღვაროთ, ოღონდ განვიწმინდოთ, ოღონდ შეწყალებულ ვიქნეთ, ოღონდ მარადიულ სატანჯველში არ მოვხვდეთ. მაგრამ მაშინ თვით ასეთ ღრმა სინანულსაც კი არავითარი სარგებელი აღარ ექნება., მოუნანიებელი და განუწმენდელი ცოდვილნი უსასტიკეს განაჩენს, შემზარავ სიტყვებს მოვისმენთ უფლისაგან:

„წადით ჩემგან წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვისაა გამზადებული“ (მთ. 25, 41).

ვინც საკუთარი მიწიური, ულმერთო ცხოვრების შესატყვის განაჩენს მოისმენენ, როგორც წმიდა მართლმადიდებელი წინასწარმეტყველნი წერენ, იმ ადამიანთა სიბრალულითა და საცოდაობით მთებიც კი აკვნესდებიან. ამიტომ ვიდრე გზაში ვართ, ვიდრე ჟამი გვაქვს, შ ე ვ ი ნ ა ნ ი ო თ, — თუ ცრემლების მდინარეებით არა, ცრემლების ნაკადულებით მაინც, თუ ნაკადულებით არა, წვიმის წვეთებივით ცრემლებით მაინც, და თუ ცოდვებისაგან გაქვავებულ და მადლდაშრეტილ ჩვენს გულებში სინანულის ერთ ცრემლსაც ვერ მოვიძიებთ, დღენიადაგ ვევედროთ უფალს, რათა მოგვანიჭოს განცდა თვისთა ცოდვათა, შევთხოვოთ, გული წმიდა დაბადოს ჩვენთანა და სული წრფელი განაახლოს გვამსა ჩვენსა, იმ გზაზე დაგვაყენოს, რომელიც მართალია, ძნელი და ეკლიანია, მაგრამ ერთადერთი გზაა, მარადიული სიცოცხლისაკენ, ცათა სასუფევლისაკენ რომ მიგვიყვანს და მხოლოდ მცირედნი პოვებენ მას (მთ. 7, 13).

არ არსებობს სხვა გზა ცხონებისა, სულიერი სიკვდილიდან გაცოცხლებისა, საღვთო მადლისა და წყალობის მოპოვებისა, თუ არა გზა ღრმა, გულწრფელი მონანიებისა (სინანულის ნაყოფითურთ). ჩვენივე სიტყვებით და საქმეებით, ცხოვრების ჩვენ მიერ არჩეული წესით უკვე აქ, დედამიწაზე, თავადვე ვწერთ და განვსაზღვრავთ საკუთარ ბედს — ჩვენს მარადიულ მსჯავრსა თუ მარადიულ გამართლებას საშინელ სამსჯავროზე საუკუნო ცხოვრებისათვის. სწორედ ამ გაგებით, როგორც წმინდა მამები შენიშნავენ, ღვთის სიტყვის — ბიბლიის — მიხედვით, ყოველი ჩვენგანის მომავალი უკვე დაწერილად ითვლება: „განუმზადონ მათ სამართალი დაწერილი, დიდებაა ეს ყველა წმინდანისათვის“ (ფს. 149, 9). ამიტომ უნდა ვიჩქაროთ გულიდან, გონებიდან, სულიდან, სინდისიდან გულმხურვალე, გულწრფელი მონანიებით აღმოვიფხვრათ, ამოვიგლიჯოთ ცოდვები ჩვენი, ნებსითნი თუ უნებლიეთნი, მათ ნაცვლად კი მხოლოდ ღვთისათვის მოსაწონი კეთილი სიტყვები და კეთილი საქმეები ჩავწეროთ.

საბედნიეროდ, ქართველთა ნაწილი ნელ-ნელა, თანდათანობით იცნობიერებს და რწმუნდება, რომ თავი და თავი ჩვენი უბედურებისა თვით ჩვენშივეა მოსაძიებელი, რომ არაქრისტიანული ცხოვრებით, საღვთო მცნებებისადმი უდიერი, გულგრილი მოპყრობით, უფრო ხშირად კი, მათი სრული უგულებელყოფითა და არადიაგდებით ნიადაგს ვქმნით იმისათვის, რომ ღმერთმა დაგვტოვოს, ჩვენს მეგობრობასა და მზრუნველობაზე ხელი აიღოს; აღარ გვახსოვს ან არად ვაგდებთ მის გაფრთხილებას:

„თუ დაიცავთ ჩემს მცნებებს, დარჩებით ჩემს სიყვარულში“...

„თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ასრულებთ იმას, რაც გამცნეთ“ (ინ. 15, 10, 14).

ღმერთის სიყვარული კი, როგორც ამას წმ. იოანე ღვთისმეტყველთან ერთად წმ. პავლეც ადასტურებს, მისი მცნებების აღსრულებაში ვლინდება და გამოიხატება. აქედან, და ჩვენი ცხოვრების წესიდან, ჩვენი სიტყვებიდან და საქმეებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ აღარ გვიყვარს ღმერთი, ჩვენ აღარ ვართ ღმერთთან, ხოლო თუ უფრო მკაცრად ვიტყვით, მის მტრებს წარმოვადგენთ. ამიტომ აღარ უნდა გვიკვირდეს შედეგად მწარე ნაყოფს რომ ვიმკით, — იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით („ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია, ვინც ჩემთან არ შეკრებს, დაკარგავს“, — ამბობს უფალი).

გზის პირას მდგარ ლეღვის ხეს, უამრავი ფოთლით შემოსილს, მაცხოვარი მასზე ერთ ნაყოფსაც რომ ვერ პოულობს, უმკაცრეს განაჩენს გამოუტანს:

„ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა“ (მთ. 3, 10).

ეს ლეღვის ხე გზაზე, ფოთლებით შემოსილი, მაგრამ უნაყოფო, წმინდა მამების განმარტებით, ჩვენ ვართ, — ღვთისაგან გაუცხოებული ადამიანები, რომლებიც მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთლებით, — ე. ი. სიტყვებით, მიწიური საზრუნვებით, ამქვეყნიური კეთილმოწყობისა და წარმავალი სიკეთეებისათვის, სახელისა და დიდებისათვის, ჩინებისა და თანამდებობებისათვის, სიმდიდრის, დროსტარებისა და ხორციელი სიამოვნებებისათვის „ღვაწლით რომ დავხუნძლულვართ“, მაგრამ „კეთილი ნაყოფი“ კი არ გაგვაჩნია (კეთილი ნაყოფი, ანუ „სულის ნაყოფი, — როგორც წმ. პავლე მოციქული გვასწავლის, — არის „სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება“ (გალ. 5, 22). ყოველი ადამიანი, ყოველი ერი ღვთის მიერ „ზეციდან“ დედამიწაზე სწორედ ამ მიზნითაა „გადმორგული“, რათა სულიერი ნაყოფები, ზეციური, წარუვალი საუნჯეები მოიტანოს მარადიული ცხოვრებისათვის, და არა იმისათვის, რომ „ფოთლები“ — მიწიური, წარმავალი სიკეთეები და საუნჯეები დააგროვოს.

ვინ უწყის, რამდენი ადამიანი, რამდენი ერი, რომელნიც უნაყოფონი აღმოჩნდნენ ღვთის წინაშე, აღიგავნენ პირისაგან მიწისა, მოიჭრნენ და ცეცხლს მიეცნენ?. უნდა გვეშინოდეს, როცა უფალი თითოეულ ჩვენთაგანში და ჩვენს ერშიც მოიძიებს სულიერ ნაყოფებს, უნაყოფონი არ წარვსდგეთ მის წინაშე და საშინელმა განაჩენმა, იმ სიტყვებმა, რითაც სულიერი ნაყოფის უქონელთ მიმართავს, ჩვენს თავზეც არ მოიწიოს:

„ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა“ (მთ. 3, 10).

ყურად ვიღოთ, გავითვალისწინოთ, რომ უფლის ეს ნათელი, გამჭვირვალე და ჭეშმარიტი სიტყვები, როგორც ყოველი სიტყვა ღვთისა, წმინდა წერილში მოცემული, აუცილებლად ახდება, „ცა და დედამიწა გადავლენ, ხოლო უფლის სიტყვები არ გადავა.. არ გადავა ეს მოდგმა, ვიდრე ყოველივე ეს არ აღსრულდება“! (მრკ. 13, 31, 30).

სულის იმ ნაყოფთაგან, რომელთაც პავლე მოციქული ჩამოთვლის, დღეს არცერთი არ გაგვაჩნია — არც სიყვარული, არც სიხარული, არც მშვიდობა, არც დიდსულოვნება, არც სიტკბოება სულიერი, არც სიკეთე, არც რწმენა, არც თვინიერება და არც თავშეკავება. მაგრამ რაც ყველაზე უფრო დიდი უბედურებაა, ნაყოფთა შორის უმთავრესი, სათნოებათა სათნოება — სიყვარული გვაკლია ცხადდება სიტყვები უფლისა, ორიათასი წლის წინ წარმოთქმული, რითაც მეორედ მოსვლის წინა პერიოდს გვიხასიათებს:

„და ურჯულოების მომრავლების გამო მრავალში განელდება სიყვარული“ (მთ. 24, 12).

არ გვიყვარს ღმერთი მთელი ჩვენი არსებით, და აქედან გამომდინარე, — არც მოყვასი — საკუთარი თავივით. მაშასადამე, ვარღვევთ, არ ვასრულებთ ღვთის ამ ორ უმთავრეს მცნებას, რომლებზედაც ათივე მცნება, და საერთოდ, მთელი რჯული და წინასწარმეტყველებანია დაფუძნებული. უსიყვარულოდ კი ყოველი საქმე, ყოველი ნიჭი და უნარი ამაოებაა. არც უდიდესი რწმენა, არც ცოდნა სამყაროს თუნდაც ყველა საიდუმლოსი, არც წინასწარმეტყველების მადლი, არც მოწყალებითი საქმეები, არც თავგანწირვა, არც ბრძნადმეტყველება, — თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად აღებული, — სიყვარულის გარეშე ღმერთის წინაშე არაფერს არ ნიშნავს, არავითარი ღირებულება და გამართლება არ მოეპოვება:

„კაცთა და ანგელოზთა ენებზე რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი.

წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი რწმენა, ისე რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ.

მთელი ჩემი ქონება რომ გავიღო გლახაკთათვის და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული: სიყვარული თუ არა მაქვს, არას მარგია“ (1 კორ. 13, 1-3).

წარმავალია ყოველი, გარდა სიყვარულისა, რადგან ღმერთი სიყვარულია! ამიტომ „სიყვარული არასოდეს არ გადავა, თუმცაღა წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან, და უქმი გახდება ცოდნა“ (1 კორ. 13, 8).

ღმერთი სიყვარულისაკენ, მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისაკენ მოგვიწოდებს, ჩვენ კი დროებითისა და წარმავალისადმი სიყვარულის გამო ვკარგავთ მარადიულს, ვკარგავთ სიყვარულს და სიყვარულთან ერთად კი — ყველა სათნოებას, იმ სულიერ ნაყოფებს, რომელთა გარეშეც ვერცერთი მოკვდავი უფლის წინაშე გამართლებას ვერ ჰპოვებს. მას, ვისაც შეუძენია ყველაზე დიდი სიმდიდრე, მიწა და ჟანგი რომ ვერ შეეხება,— ქრისტიანული სიყვარული ღვთისადმი მთელი თავისი არსებით, და სიყვარული მოყვასისადმი (მოყვასში პირად მტერსაც ვგულისხმობთ), მას ყოველი სიკეთე. ყოველი ნაყოფი სულისა მოუპოვებია, რადგან სიყვარულში, როგორც მარცვალში, ყველა სათნოება იფარება — სიხარულიც, მშვიდობა, დიდსულოვნებაც, სიტკბოებაც, სიკეთეც, რწმენაც, თვინიერებაც და თავშეკავებაც. მხო-

ლოდ არა სულიერი ნაყოფებით, ამ სათნოებებით შემოსილი ადამიანები მოისმენენ სიხარულისა და ბედნიერების მომნიჭებელ და მაუწყებელ სიტყვებს უფლის დიდებით მოსვლისას საყოველთაო განკითხვის დღეს:

„მოდით კურთხეულნო მამის ჩემის მიერ, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან" (მთ. 25, 34).

ქრისტიანულ სათნოებათა, სულის ნაყოფთა მოსაპოვებლად ზრუნვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთარ ცოდვათა შეცნობიდან, მათგან ჩვენი სულიერი სამყაროს, გულის განწმენდიდან, წმინდა ღვთაებრივ საიდუმლოებებში იმ მადლის მოხვეჭიდან უნდა დავიწყოთ, რომელთა გარეშეც ვერცერთი ჩვენთაგანი საკუთარი ადამიანური ძალებით ვერც ღმერთს შეიყვარებს მთელი თავისი გულით, გონებით, სულითა და ძალით, აქედან გამომდინარე კი ვერც მოყვასს—საკუთარი თავივით. სწორედ სიყვარულია საფუძველი არა მარტო ცალკეულ პირთა სულიერი კეთილდღეობისა და მათი არსებობის გამართლებისა ღვთის წინაშე, არამედ მთელი ერისა, მთელი სახელმწიფოსი, და საერთოდ, მთელი კაცობრიობისა:

„ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის. მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველივე იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარ ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებული ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს, და გვაოცებს. სადაც ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ღონიერი ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია" (ილია. თხზ. ტ. 5, გვ. 33—34. „შინაური მიმოხილვა").

დღესდღეობით ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ სიყვარულისგან გულდამშრეტილნი ვართ, ცოდვილნი ვართ, მაგრამ ვერ ვგრძნობთ, რომ ცოდვილნი ვართ, სწორედ იმიტომ ვერ ვგრძნობთ ჩვენს დაცემულ ცოდვილობასა და სულიერ-ზნეობრივ დაუძლურებას, რომ მთლიანად ცოდვებში ვართ, ცოდვებში, რომლებიც ზღვის ქვიშაზე მეტად გავამრავლეთ, და რომელთაგანაც დრტვინავს ქართული მიწა. „უფალი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს მადლს აძლევს" (იგავნ. 3, 34). ისე არაფერი არ იწინააღმდეგება და არ აბრკოლებს ადამიანის ენას, თქვას: ცოდვილი ვარ, როგორც ამპარტავნობა, საკუთარ თავზე წარმოდგენა, თავმდაბლობის ნაკლებობა თუ მისი სრული უქონლობა. საკუთარ თავს დღეს თითქმის ყველა უცოდველ, მართალ ადამიანად მიიჩნევს, ყველა დანარჩენს — ცოდვილად და უწმინდურად, განსხვავებით, მაგალითად, წმინდა მოციქულთაგან, წმინდა საეკლესიო მამათაგან და ჭეშმარიტ მორწმუნეთაგან, რომელნიც ყოველთვის თვლიდნენ და თვლიან დღესაც, რომ ყველა ადამიანი ცოდვილია, მაგრამ მათ შორის უპირველესი ცოდვილნი თვითონ არიან. ერთმანეთის განკითხვა, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრიობად და ნორმად რომ იქცა, და არა თვითგანკითხვა, თვითგანჩხრეკა და თვითგასამართლება, ყველაზე უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ საკუთარ თავს არ ვიცნობთ, რომ ჩვენი თავი ვერ შეგვიცვნია, სულიერ წყვდიადში ვიმყოფებით, ილიას სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენს ქართველების წინ და აინუნშიც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად... ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო, ვდგევართ და უღონოდ ვბზუით, მე ვარ და ჩემი ნაბადი" (ილია, ტ. 6, გვ. 14 „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?"). ეს იმიტომ ხდება, რომ „ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე სულისა" (ტ. 8, გვ. 182, „ქართული თეატრი").

ჩვენ რომ ღვთაებრივ სარკეში — ქრისტიანულ მოძღვრებაში ვხედავდეთ ჩვენს სულს, შევძრწუნდებოდით საკუთარი სულიერი, ზნეობრივი, მორალური, სარწმუნოებრივი დაცემულობის, ცოდვების სიმრავლის, სინანულის უქონლობის, არაეკლესიური, არაქრისტიანული ცხოვრების გამო, ყველას თუ არა, უმრავლესობას მაინც გაგვიქრებოდა თავმოწონების სურვილი, ამპარტავნება, წარმოდგენა საკუთარ პერსონაზე, სხვათა განკითხვისათვის აღარც ხალისი გვექნებოდა და აღარც მოცალეობა, რადგან მთელ დროს, პირველ ყოვლისა, საკუთარი სულიერი სამყაროს განწმენდასა და გამოსწორებას მოვახმარდით, ხოლო სხვათა ცოდვების შემჩნევისას ამ ცოდვის მატარებელ ადამიანთა განკითხვას არ მოვყვებოდით, რადგან მცნობელი და განმც-

დელი საკუთარი ცოდვებისა და უწმინდურებისა თავს სხვაზე უკეთესად აღარ მიიჩნევს. მაგრამ ვაი, რომ ჩვენს საკუთარ ცოდვებს ვერ ვხედავთ, ვერ ვგრძნობთ და ვერ განვრცდით. საკუთარი თავი ვერ შეგვიცვნია და სხვათა ცნობის პრეტენზიას ვაცხადებთ, საკუთარი თავი ვერ განგვიკურნავს და სხვათა სულიერ მკურნალებად დაგვისახავს და წარმოგვიდგენია თავი. ამასთან, როდესაც თანამემამულეთა ცოდვებს ან ნაკლოვანებებს მთელი ქვეყნიერების გასაგონად საჯაროდ ვამხელთ, ამასაც ხშირად ვაკეთებთ არა ამა თუ იმ პიროვნების გამოსწორების, არამედ სახელის გატეხვისა და დამცირების ხარჯზე თვითგანდიდების მიზნით. ღრმად ჩავიბეჭდოთ შეგონება და გაფრთხილება წმინდა წერილისა და სული წმიდის მადლით ამეტყველებული წმინდა მამებისა: არავინ, არსად, არასდროს, გარდა საკუთარი თავისა, არ განვიკითხოთ, რათა ღვთისაგან არ ვიქნეთ განკითხულნი, როგორი კრიტერიუმებითა და საზომითაც შევაფასებთ და გავზომავთ სხვა ადამიანებს, ისევე შეგვაფასებს და გაზომავს ჩვენს რაობას, ჩვენს სიტყვებსა და ჩვენს საქმეებს უფალი.

„დადგა მარხვა სინანულისა, მოვიდა დღე განკითხვისა. იმ განკითხვისა კი არა, რომელსაც საშინელი განკითხვა ჰქვიან და რომელსაც ჯოჯოხეთი და „ღრჭენა კბილთა“ მოსდევს. არა ბატონებო, ეს იმისთანა განკითხვაა, სადაც თითონ ბრალეული თვისი-თავის განმკითხველია და მსაჯული. მაშასადამე, აქ „კბილთა ღრჭენას“ და ჯოჯოხეთს ადგილი არ ექნება. აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავისი ცოდვები ჩამოთვალოს და სთქვას: ვინანიო. რაკი ეგრეა, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი ასრულოს და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალოდ არ გააქარწყლოს (ტ. 5, გვ. 326, „შინაური მიმოხილვა“, ილია); „კაცი შემძლებელი უნდა იყოს თავისი თავი გაითავისწინოს და თავის თავს მსაჯულად გაუხდეს პირუთვნელად“, უამისობა და სინანულის უქონლობა „ვერც ცალკე კაცს წასწევს წინ წარმატების გზაზედ, ვერც საზოგადოებას, ვითარცა ცალკე კაცთა კრებულსა“ (მისივე, გვ. 227—228, 229, „დიმიტრი ყიფიანი“).

ღმერთს, შემოქმედს ზურგი ვაქციეთ, დავტოვეთ იგი ისევე, როგორც სახარებისეულმა ძე შეცდომილმა — თავისი მამა. (ლკ. 15, 11—32). დღეს ჩვენ იმ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომელშიც ძე შეცთომილი აღმოჩნდა მაშინ, როცა თავისივე თხოვნით მამისაგან ბოძებული კუთვნილი ქონება, შორეულ ქვეყანაში გამგზავრების შემდეგ თავაშვებული ცხოვრებით გაფლანგა; ზუსტად მაშინ, იმ პერიოდში დიდი შიმშილობა დაიწყო, დიდად გაუჭირდა, იმ ქვეყნის ერთ-ერთ მკვიდრს მოჯამაგირედ, ღორების მწყემსად დაუდგა. ისეთ უმძიმეს და გაუსაძლის ყოფაში ჩავარდა, ღორების საჭმელიც კი ენატრებოდა.

ძე შეცდომილისა და მამის ურთიერთობაში ჩვენ უნდა ვხედავდეთ ყოველი ადამიანის, ყოველი ერის, საერთოდ კაცობრიობის ურთიერთობას მამა ღმერთთან. ყოველი ადამიანი თუ ერი, რომელიც „შორეულ ქვეყანაში გაემგზავრება“ ანუ გაუცხოვდება ღმრთისაგან და დატოვებს მას, დროთა განმავლობაში იმავე ხვედრს გაიზიარებს, რაც ძე შეცდომილს ხვდა წილად: ღვთისწინააღმდგომი და მიმტოვებელი, ყოველ სიკეთეს ღვთისაგან უხვად მიცემულს, ადრე თუ გვიან გაფლანგავს და დიდი შიმშილობა, — ფიზიკური თუ სულიერი შიმშილობა — დაეწყება, — უნუგეშო, მარტოსულ მდგომარეობაში ჩავარდება. ღორების პატრონს დაუდგება ღორების მომვლელად. წმინდა მამები ღორების პატრონს გაიაზრებენ როგორც სატანას. „ღორებს“ კი — დემონებად, ე. ი. ღვთისაგან გაუცხოებული ადამიანი თუ ერი, ცოდვებში ჩაძირული გაიძარცვება ღვთისაგან ბოძებული ყოველგვარი სულიერი ნიჭის, სიბრძნის, კეთილგონიერებისა თუ მატერიალური კეთილდღეობისაგან და სატანისა და დემონების მსახური გახდება.

ძე შეცდომილი სახარებისეულ იგავში — სახეა ადამიანისა, ერისა, საერთოდ ადამიანთა მთელი მოდგმისა, ვინც კი ღმერთს განუდგა, „ღმერთის სასუფეველი დატოვა“ და მთლიანად „მიწას“ მიეჯაჭვა. ეს იგავი ესქატოლოგიურ პლანში წინასწარმეტყველურად გვამცნობს არა მარტო კონკრეტული ადამიანების ან ერების, არამედ მთელი კაცობრიობის ბედს მეორედ მოსვლის წინ: ძე შეცდომილივით ღვთისაგან განრიდებული და განდგომილი კაცობრიობა შემოქმედისაგან ბოძებულ ყოველ სიკეთესა და სიმდიდრეს, ბუნებითსა თუ სულიერს დაკარგავს, გაღატაკდება როგორც ხორციელი, ისე „სულიერი პურისაგან“ — ღვთის სიტყვისაგან, ქრისტესაგან, დადგება ჟამი საშინელი შიმშილობისა, ჟამი საშინელი მოოხრებისა, დრო ანტიქრისტეს მეუფებისა, რომელიც შიმშილით დაიმონებს ადამიანთა მთელ მოდგმას (რჩეულთა, ე. ი. ჭეშმარიტ მართლმორწმუნე ქრისტიანთა გარდა). და როგორც ძე შეცდომილი ღორების პატრონს დაუდგა ღორების მსახურად, ისე დადგებიან უქრისტეოდ და უმადლოდ დარჩენილი ადამიანები უკიდურესი შიმშილობის ჟამს „ღორების“ პატრონის (ანტიქრისტესა) და მისი „ღორების“ (ანუ დემონების) მსახურად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც ძალმრავლებს უსაშინლეს და შეხაზარ ცოდვებს შთააგონებენ.

თანამედროვე „ძე შეცდომილი" ქართველობის უდიდესი ნაწილი ხორციელ ამქვეყნიურ ცხოვრებას დავუდექით მონად და მოჯამაგირედ, ამიტომ გავღარიბდით, განვიძარცვეთ ღვთაებრივი სიბრძნისაგან, „სულიერი პურისაგან", უფლისმიერი ჭეშმარიტებებისაგან, ქრისტიანული იდეალებისა და მცნებებისაგან, სათნოებებისაგან, მაღალადამიანური ღირსებებისაგან, დავმცირდით ზნეობრივად, დავკნინდით სულიერად, სარწმუნოებრივად, ეკონომიურად, სოციალურად, ძე შეცდომილივით დავივიწყეთ მამის (ღმერთის) წმინდა ნება, მოვინდომეთ და შევუდექით კიდეც მხოლოდ საკუთარი ადამიანური ნებით ცხოვრებას, უგულებელვყავით საღვთო სწავლება, ღვთაებრივი იდეალები, მცნებები, შეგონებები, გაფრთხილებანი, წინასწარმეტყველებანი, საეკლესიო საიდუმლოებები. დავკარგეთ მადლი, მადლის გარეშე კი შეუძლებელია ამქვეყნიურ ცდუნებათა და ვნებათა დამარცხება, სულიერი თუ ფიზიკური მონობისგან განთავისუფლება, ხილულ თუ უხილავ მტრებთან გამარჯვების მოპოვება, ღვთისმოსაწონი კეთილ საქმეთა აღსრულება, დავივიწყეთ მიზანი ადამიანური არსებობისა — გავხდეთ არა უბრალოდ კარგი ადამიანები, არამედ ღმერთივით სრულყოფილნი, რათა წმინდა სულით, წმინდა ცხოვრებით შევემოსოთ და ცათა სასუფეველში მარადიული სიხარული და ნეტარება დავიმკვიდროთ.

„ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო პურითა ერთითა ცოცხალ არს. მართალია, მშიერი დიდ მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე; მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა; ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს — სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, გვამი ერისა მკვდარია... ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, საქართველოსათვის მაინც. ამიტომაც, ვინც სჩივის და ღაღადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არა მეტად, უნდა იღწვოდეს სასულიერო პურისთვისაც. ადამიანი თუ მთელი ერი, იმისთვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცურად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი...

„ვით მამა ზეცისა, იყავ შენ სრული", აი, თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვინ რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანსა თუ მთელ ერს, ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამდენად აღფრთოვანებული აქვს სულის აღსწრაფება ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, — აი [illegible] საზომი, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისედაც მთელის ერისა" (ილია, [illegible] „შინაური მიმოხილვა"...).

მამასთან ძე შეცდომილის დაბრუნების სურვილს პირველად მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როდესაც უმამოდ და უსაშველოდ მყოფი, თავაშვებულად მცხოვრები „გონს... მოეგო" (ლკ. 15, 17). ე. ი. კვლავ დაუბრუნდა საკუთარ თავს, რომელიც მას აქამდე მთლიანად ამაო ცხოვრებაში ჰქონდა დაკარგული და ღრმა სინანულში მყოფმა მამასთან გადაწყვიტა დაბრუნება, შეინანა თავისი ცხოვრება, დაინახა ასეთი არსებობის მთელი უგუნურება, განჭვრიტა თავისი უღირსობა „ცისა და მამის წინაშე"...

დროა, ჩვენც „გონს მოვეგოთ", მოვიძაგოთ ჩვენი უღირსი და უღმრთო ცხოვრება. შევიცნოთ საკუთარი თავი (თვითშემეცნება, პირველ რიგში, საკუთარი დაცემულობის, ცოდვილობის, ცოდვების შემეცნებას გულისხმობს) და შევინანოთ, დავდგეთ ძე შეცდომილივით მამისაკენ, — ღმერთისკენ მიმავალ გზაზე. ნუ შეგვეშინდება, ჩვენი ცოდვების სიმრავლის გამო სინანულის საიდუმლოებაში ღვთის წინაშე წარდგომისა, ნუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენი ცოდვები, რაოდენ საშინელი და ურიცხვიც უნდა იყოს, ღმერთის სიყვარულსა და წყალობას გადაფარავს. ბოროტებას, ე. ი. ცოდვებს საზღვარი აქვს, მაგრამ ღმერთის ჩვენდამი სიყვარულს საზღვარი არა აქვს, უსაზღვროა. ამიტომ ამბობს უფალი — „ჩემთან მოსულს არ გავაძევებ"-ო. ამ რწმენით გვმართებს შემოსვა და ცხოვრება. ამ რწმენით იყვნენ შემოსილნი ჩვენი წინაპრები: „ვგრძნობ, სახიერო, ეს ბოროტება გამოუთქმელი და საშინელი, თუმცა სხვათ ბოროტთა აღემატება, მაგრამ შენდობას მაინც მოველი, რადგანაც ზეცავ, აჰა, მოგმართე, ამაო ნუ ჰყოფ ჩემს სინანულსა! კეთილისათვის გზა წარმიმართე, ძალმიც ვსთრგუნავდე ბოროტსა სულსა! შენანებულს შენ არ მოიძაგებ, ნუგეში ამით მე მემატება! და სულგრძელობას შენსას ვადიდებ, ოდეს მეზვერე გამახსენდება" (აკაკი, „ცოდვის სინანული").

ცოდვათაგან განწმენდისათვის, სულის ცხონებისათვის ზრუნვას, ხვალისათვის, მოხუცებულობისათვის ნუ გადავდებთ, გავიხსენოთ. — ჩვენ ყოველდღე ვკვდებით! რომელმა ჩვენგანმა შეიძლება იცოდეს, რომ, ვთქვათ, დღევანდელი დღე უკანასკნელი არ იქნება ჩვენი ამქვეყნიური არსებობისა?! ვძრწოდეთ იმის წარმოდგენისას, რომ თუ ღვთის წინაშე მოუნანიებელნი და განუწმენდელნი წარვსდგებით, მარადიული სატანჯველისათვის გავიწირებით, მთელს ჩვენს სიცოცხლეს მარტო-

ოდენ რწმენაზე ნუ დავამყარებთ. სამწუხაროდ, მომრავლდნენ ჩვენს ერში ისეთი მაცდურნი და ცდუნებულნი, რომელნიც შეგნებულად თუ შეუგნებლად იტყუებენ თავს, თითქოსდა ცხონებისათვის სრულიად საკმარისია, გვქონდეს ღმერთის რწმენა, მეტი არაფერი, — არც ეკლესია, არც წმინდა საეკლესიო საიდუმლოებანი, არც ლოცვა და მარხვა, არც ლიტურგიული ღვთისმსახურება, არც სამღვდელოება!

მრავალი ჩვენი თანამედროვე ამპარტავნების ისეთ მწვერვალებზე ასულა, რომ ქრისტეს ღვთაებრივი მიმდევრებისა და ეკლესიურ-ქრისტიანული ცხოვრების გარეშე საკუთარი ადამიანური სიბრძნითა და მოსაზრებებით აგებენ თავიანთი თავის, ერისა თუ მთელი კაცობრიობის ხსნისა და გადარჩენის გზას ქრისტეს გარეშე, მაშინ როცა ყოველი ადამიანური სიბრძნე თუ მოძღვრება, რაოდენ გენიალურიც არ უნდა ჩანდეს იგი, თუ ქრისტიანული, ღვთაებრივი მოძღვრების სულს ეწინააღმდეგება და მისით არ არის გაჯერებული, ამაოება და უგუნურებაა, როგორც ამის შესახებ წმინდა მოციქულები გვასწავლიან (იაკ. 3, 16). („ქვეყნიური გონება ცამდისაც რომ უწევდეს, მაინც ვერ მისწვდება ღვთის განგებას". — აკაკი).

იოანე ღვთისმეტყველი შეგვაგონებს, რომ იესო ქრისტეს, მისი ღვთაებრივი მოძღვრების უარმყოფელთ, ასევე ქრისტეს სახელით მოსულ ცრუმოციქულებსა და ქრისტემატყუარებს, განვერიდოთ და არც კი მივიკითხოთ, რადგან ისინი ქრისტეს მაცხოვნებელ, მხსნელ მოძღვრებასა და ღვთისსათნოს მოსაწონ ცხოვრებაში კი არ მკვიდრობენ, არამედ უკეთურ და ულმერთო ცხოვრებაში (თუმცა „გარედან" — ადამიანთა წინაშე — ყოველივე ეს შეიძლება შენიღბული და დაფარული იყოს), — ისინი არც თვითონ შედიან სასუფეველში და სხვებსაც უხშობენ ცათა სასუფეველში შესასვლელ კარს:

ვინც გადადის ქრისტეს მოძღვრებას და არ მკვიდრობს მასში, არა ჰყავს ღმერთი. ხოლო ვინც მკვიდრობს ქრისტეს მოძღვრებაში, მამაცა ჰყავს და ძეც. ვინც მოდის თქვენთან და არ მოაქვს ეს მოძღვრება, ნუ მიიღებთ მას, ნურც მიესალმებით, რადგან ვინც მას მიესალმება, თანაზიარია მისი უკეთური საქმისა" (I ინ. I 9—10).

„ნუ შეებმებით უცხო უღელში ურწმუნოებთან ერთად, რადგანაც რა აკავშირებს ერთმანეთთან სამართლიანობასა და ურჯულოებას? რა საერთოა ნათელსა და ბნელს შორის? რა შეათანხმებს ქრისტეს და ბელიარს? ან რა ხელი აქვს მორწმუნეს ურწმუნოსთან?... ამიტომაც გამოდით და გამოეყავით მათ, იტყვის უფალი, და ნუ შეეხებით უწმინდურს. და მე შეგიწყნარებთ თქვენ. და ვიქნები თქვენი მამა, ხოლო თქვენ იქნებით ჩემი ძენი და ასულნი, ამბობს უფალი ყოვლისმპყრობელი" (2 კორ. 6, 14-18).

„რადგანაც ამნაირი ცრუმოციქულნი, ზაკვის მოქმედნი, მოციქულთა სახეს იღებენ. თუმცა რა გასაკვირია: თვით სატანა ხომ სინათლის ანგელოზის სახეს იღებს! და რა დიდი საქმეა, რომ მისი მსახურნიც სიმართლის მსახურთა სახეს იღებენ!

მაგრამ მათი საქმისაებრ იქნება მათი აღსასრულიც (2 კორ. 11, 13—15).

მართლმადიდებელი ქრისტიანული მოძღვრებისა და ეკლესიური ცხოვრების გარეშე, შეუძლებელია სრულყოფილი და ჭეშმარიტად მაღალზნეობრივი, წმინდა ადამიანი გახდეს ვინმე, თუნდაც იგი ყველაზე გენიალური ნიჭისა და ფართო ადამიანური ცოდნის მქონე ადამიანს წარმოადგენდეს, რწმენა ღვთისა ქრისტიანული სარწმუნოების ღირსი საქმეების გარეშე მკვდარია. მაშასადამე, უნდა ვიზრუნოთ ცოცხალი რწმენის, როგორც სიცოცხლისეულად უმნიშვნელოვანესი სულიერი პურის მოპოვებისათვის, რათა უფალმა არ მიგვატოვოს. უნდა ვუსმენდეთ და ვემორჩილებოდეთ უწინარეს ყოვლისა, ღვთის სიტყვას და ღმერთს, ვიდრე — ადამიანებს და მათ შეხედულებებს: „მორჩილება ღმრთისა მიმართ უფრო გვმართებს, ვიდრე კაცთა მიმართ (საქმ. 5, 29). აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ანალოგიური თვალსაზრისის გამომხატველი პასაჟი გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან"). „განსაჯეთ, მართებულია თუ არა ღმერთის წინაშე, რომ უფრო მეტად თქვენ გისმინოთ, ვიდრე ღმერთს" (საქმ. 4, 19), — ასე მიმართავდნენ წმ. მოციქულები ხელისუფალთ, როცა მათ უფლის მკვდრეთით აღდგომაზე ლაპარაკს უკრძალავდნენ....

ამიტომ როგორც მწყურვალი წყალს, ისე დავეწაფოთ ყოველდღიურად ღვთის სიტყვას, რადგან „ხალასია სიტყვა უფლისა, ფარია იგი ყველასათვის, ვინც მას მიენდობა" (ფს. 17, 31)!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ კანდელაკი, ზურაბ ცერცვაძე

# 37 ასონიშნიანი ქართული ასომთავრული ანბანი და ქრისტიანული ქრონოლოგიის მთავარი საყრდენი თარიღები

ჟურნალ მნათობის 1990 წლის მე-3 და მე-10 ნომრებში ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ წერილებში „ქორონიკონი: მისი ადგილი და როლი ქრისტიანულ წელთაღრიცხვათა შორის" გამოკვლეული და დადგენილია 532 წლიანი კალენდრული ციკლებისაგან ანუ მოქცევებისაგან შემდგარი უძველესი ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვის — ქორონიკონის ქრისტიანული არსი ქართული ასომთავრული ანბანის რიგ — სათვალავის ბაზაზე და, ამრიგად, ბოლომდეა გადაწყვეტილი მისი წარმომავლობის და შემოღების ფუნდამენტალური მნიშვნელობის პრობლემა.

ჩატარებული მეცნიერული კვლევის შედეგად საბოლოოდ გაირკვა, რომ ქორონიკონის სახით ჩვენ საქმე გვაქვს სწორუპოვარ წელთაღრიცხვასა და უნიკალურ კალენდრულ-ქრონოლოგიურ სისტემასთან, რომელშიც ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ამსახველი მოვლენები (ხარება, ჯვარცმა, აღდგომა) ორგანულად არიან დაკავშირებული „სამყაროს შექმნის" ბიბლიურ იდეასთან. ამ თვალსაზრისით, როგორც წელთაღრიცხვა და კალენდრულ-ქრონოლოგიური სისტემა, ქორონიკონი წლებს ითვლის იულიუსის კალენდრით „სამყაროს შექმნის" დღიდან ანუ დასაბამიდან ისე, რომ 37 ასონიშნიან ქართულ ასომთავრულ ანბანში სამარადისოდ ჩაბეჭდილია ქრისტიანული ქრონოლოგიის უმნიშვნელოვანესი მოვლენის — ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის თარიღი:

მე-11 მოქცევის 315 წელი, 25 მარტი, კვირა — დღე.

ეს მონაცემი ბუნებრივად განსაზღვრავს ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვის ეპოქა — თარიღსაც: 5604 წ. ჩვ. წ.-მდე, 25 მარტი, კვირა. მეორე მხრივ საეკლესიო წელთაღრიცხვათა რიცხვი საკმაოდ დიდია. მათი რაოდენობა 200-მდე ითვლის ([1], 234). ამასთან თითოეულ მათგანში ქრისტეს ცხოვრების ქრონოლოგია სხვადასხვანაირად არის გააზრებული, რის შედეგადაც, ცხადია, ქრისტიანული ქრონოლოგია გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია და სავ-

სებით ბუნებრივია მისი მოწესრიგება მნიშვნელოვანი იდეის ბაზაზე. წარმოდგენილ ნაშრომში ეს საკითხი ბოლომდე არის გადაწყვეტილია ქრისტიანულ ქრონოლოგიაში კარგად ცნობილი „პასქალური ტრიადის“ საშუალებით. საკითხის გადაწყვეტის ჩვენ მიდგომას საფუძვლად უდევს თარიღი: ჩვ. წ.—მდე 381 წლის 25 მარტი. ვუწოდოთ მას ამოსავალი საყრდენი თარიღი. მას ჩვენ პირველად მივაკვლიეთ ალექსანდრიული ეკლესიის მესვეურთა მიერ ჩვ. წ.-ით 303—304 წლებში ჩატარებული კალენდრული რეფორმის განხილვისა და ანალიზის პროცესში. საქმე ის არის, რომ ეს წლები, ერთი მხრივ, დიოკლეტიანეს ერით ე. წ. „მთვარის ნახტომის“ წლებია, ხოლო მეორე მხრივ, ისინი მზის სრული დაბნელებით ხასიათდებიან (იხილე [3]-ში დაბნელებათა ცხრილი). ე. წ. „ოქროს რიცხვების“ ათვლის წერტილის საპოვნელად ჩვენ ხსენებული რეფორმიდან უკან გადავზომეთ კარგად ცნობილი მზისა და მთვარის დაბნელებათა დიდი პერიოდი 684 წელი ([6], 124):303+381=684. აქვე აღვნიშნოთ, რომ გენიალური პტოლომე (ჩვ. წ.-ით 140 წ.) ბაბილონელი ასტრონომების მიერ შედგენილი მზისა და მთვარის ცხრილით სარგებლობდა, რომელიც სწორედ ჩვ. წ.-მდე 381 წლით არის მონიშნული ([6], 259, 306). ქვემოთ ნაჩვენებია, რომ ამოსავალი საყრდენი თარიღი სხვა მეტად მნიშვნელოვანი პარამეტრებითაც ხასიათდება.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ქართულ საეკლესიო წელთაღრიცხვას ქრისტიანულ ქრონოლოგიაში ცენტრალური და განმსაზღვრელი ადგილი უკავია. მხოლოდ ის შეიცავს მონაცემებს ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომის შესახებ, რაც სამარადისოდ არის ჩაბეჭდილი 37 ასონიშნიან ქართულ ასომთავრულ ანბანში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 37-ე ასონიშნის შემოღებით მოხდა ძველი წარმართული ქართული ასომთავრული ანბანის გაქრისტიანება. ქვემოთ აგრეთვე ნაჩვენებია, რომ მთავარი პარამეტრები ამოსავლ საყრდენ თარიღთან დაკავშირებით იშიფრება მონაცემში „94 წელი“, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ მთელ „საიდუმლოს“ იგი შეიცავს.

## გ. პასქალური ტრიადა

ქრისტიანული ქრონოლოგიის ფუნდამენტალური პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა მოხერხდა რელიგიურ ასპექტში წმინდა თეორიულ დონეზე III ს.-ის თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწეების, განსაკუთრებით იულიუს აფრიკელისა და ანატოლი ლაოდიკიელის მიერ. პრობლემის გადაწყვეტის ძირითადმა იდეამ განხორციელება ჰპოვა ე. წ. პასქალურ ტრიადაში.

მახარებლების მათეს, მარკოზისა და ლუკას მიხედვით დროის მონაკვეთი ქრისტეს ნათლისღებიდან მის ჯვარცმამდე მოიცავს დაახლოებით სამ თვეს. ნათლისღების შემდეგ ქრისტე უდაბნოში იყო 40 დღე. ამის შემდეგ იწყება მისი მოღვაწეობა: ქადაგებანი, ლოცვები, სასწაულები და წინასწარმეტყველებანი, ხოლო შემდეგ ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად შედის იერუსალიმში. ამ დროს მიმდინარეობდა მზადება ებრაელთა საგაზაფხულო ზეიმისათვის — პასექისათვის, რომელიც გაზაფხულის პირველი სრულმთვარეობის დროს აღინიშნება. იმავე კვირის პარასკევ-დღეს, ქრისტე ჯვარზე აცვეს, ხოლო ამ მოვლენიდან მესამე დღეს, კვირა—დღეს, ქრისტე მკვდრეთით აღდგა, ყველაფერი ეს მოხდა რომის იმპერატორის ტიბერიუსის მმართველობის მე-15 წელს, მაშინ როდესაც იერუსალიმში პროკურატორი იყო პილატე. სახა-

რების ამ მონაცემებზე დაყრდნობით III საუკუნის თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწეებმა იულიუს აფრიკელმა და ანატოლი ლაოდიკიელმა წინა[illegible] დააყენეს და მთელ ქრისტიანულ სამყაროში დანერგეს შემდეგი: [illegible] იმავე წლის 23 მარტს, პარასკევს მოხდა ჯვარცმა, 24 მარტს, შაბათს იყო სრული მთვარე — პასექი და ბოლოს, 25 მარტს, კვირას ქრისტე აღდგა ([3], 28; [4], 139). ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ III საუკუნის შემდეგ ქრისტიანულ ქრონოლოგიაში ბევრი რამ შეიცვლება, გაჩნდებიან ახალი წელთაღრიცხვები, დაზუსტდება კალენდრული ციკლები, მაგრამ პასქალური ტრიადა სამარადისოდ დარჩება, როგორც ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის განმსაზღვრელი, და როგორც უდიდესი საიდუმლო.

III საუკუნის ქრონოლოგებისათვის ნათელი გახდა, რომ ქრისტეს ჯვარცმის თარიღის გამოსათვლელად საჭირო იყო იულიუსის კალენდრის უკან დაბრუნება და ტიბერიუსის მმართველობის პერიოდში დროის იმ მომენტის ფიქსირება, როდესაც 24 მარტს, შაბათ დღეს ადგილი ექნებოდა სრულმთვარეობას. ყოველივე ეს მაშინვე გაკეთდა და გამოთვლებით მიღებული შედეგი, გადაანგარიშებული მოხერხებულობის მიზნით თანამედროვე წელთაღრიცხვაზე, არის ასეთი: ჩვ. წ.-ით 31 წლის 23 მარტს, პარასკევს, ქრისტე ჯვარზე აცვეს; 24 მარტს, შაბათს, ადგილი ჰქონდა პასქალურ სრულმთვარეობას, ხოლო 25 მარტს, კვირა დღეს, ქრისტე აღდგა ([3], 28, [4], 140—141).

II—III საუკუნეებში დოგმად იყო მიღებული, რომ შუალედი დასაბამიდან ქრისტეს მოსვლამდე 5500 წელს უნდა შეადგენდეს. ეს დოგმა განპირობებული იყო ორი მნიშვნელოვანი გარემოებით. ერთი მხრივ, ღმერთმა 6 დღეში შექმნა სამყარო, აქედან მეექვსე დღეს ადამიანი. მეორე მხრივ, დავით წინასწარმეტყველის მიხედვით, „დღეს ერთი, ვითარცა ათასი წელი"—ა. ამიტომ ქრისტე უნდა მოვიდეს დასაბამიდან მეექვსე ათასწლეულში, სწორედ 5500 წელს ([1], 234).

ამრიგად, საეკლესიო წელთაღრიცხვის ორგანიზებისათვის საკმარისი იყო შემდეგი: ქრისტეს ჯვარცმის თარიღიდან უკან უნდა გადაზომილიყო ჯერ 31 წელი, ხოლო შემდეგ 5500 (გავიხსენოთ, რომ I—III საუკუნეებში ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ხანგრძლივობისათვის მიღებული იყო მოკლევადიანი ვერსია). სწორედ ასეთი სქემით იმოქმედა იულიუს აფრიკელმა. მან პასქალური ტრიადის მეშვეობით პირველმა ჩვ. წ.-ით ით 221 წელს გამოთვალა ქრისტეს ჯვარცმის თარიღი და მას დასაბამიდან თავისი წელთაღრიცხვის 5532 წელი შეუსაბამა. ამრიგად, იულიუს აფრიკელის მიხედვით დასაბამიდან გავა 5500 წელი და ქრისტე მოევლინება კაცობრიობას 5501 წელს. ამიტომ იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვა გადაანგარიშებული თანამედროვე წელთაღრიცხვაზე განიმარტება შემდეგი შესაბამისობით:

5501 წელი დასაბამიდან = 1 წელი ჩვ. წ.-მდე.

ამ წელთაღრიცხვამ სწრაფი გავრცელება და დიდი პოპულარობა მოიპოვა. იგი სისტემაში მოიყვანა და კალენდრულ ციკლებთან შეათანხმა ანატოლი ლაოდიკიელმა ([3], 45, 136, 137; [4], 140—142).

საეკლესიო მოთხოვნების თანახმად აღდგომა უნდა ხდებოდეს იულიუსის კალენდრით გაზაფხულის დღეღამსწორობის შემდგომი სრულმთვარეობის შემდეგ უახლოეს კვირა დღეს. ამრიგად, აღდგომათა გამოსათვლელად საჭიროა, რომ წლების მიხედვით იულიუსის კალენდრით, გაზაფხულის დღეღამსწორობის შემდეგ ვიცოდეთ სრულმთვარეობათა და კვირის დღების მონა-

ცვლეობები, ამასთან ერთად, ბუნებრივია, აღდგომა მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ ერთდროულად იზეიმოს. გავიაზროთ ეს ცნებები უფრო დაწვრილებით.

ბიბლიოთეკა

### ა) იულიუსის კალენდარი

იულიუსის კალენდარი 3+1=4 წლიანი კალენდრული ციკლია: სამი უნაკო 365 პლუს ერთი ნაკიანი 366 დღეღამიანი წლები. იულიუსის კალენდარი ქრისტიანულ სამყაროში დანერგა ანატოლი ლაოდეკიელმა ([3], 100; [4], 142).

### ბ) გაზაფხულის დღეღამსწორობა

იულიუსის კალენდრის მიხედვით ტროპიკული წლის ხანგრძლივობა 365.25 დღეღამეს შეადგენს, რაც გარკვეულად მეტია მის რეალურ მნიშვნელობასთან 365.24219 დღეღამესთან შედარებით. ცდომილება გამოწვეული ამ განსხვავებით საშუალოდ ყოველ 128 წელიწადში ერთ დღეღამეს შეადგენს. აქედან გამომდინარე, გაზაფხულის დღეღამსწორობა დროის მიხედვით განიცდის ძვრას. ჩვ. წ.-ით II—III საუკუნეებში გაზაფხულის დღეღამსწორობა 22 მარტზე მოდიოდა, ხოლო IV საუკუნეში მან 21 მარტისაკენ გადაინაცვლა. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ჩვ. წ.-მდე 280 წლის შუალედში გაზაფხულის დღეღამსწორობა 25 მარტზე მოდიოდა ([1], 57).

### გ) მთვარის 19 წლიანი ციკლი

დროის საშუალო ხანგრძლივობას ორ მომდევნო სრულმთვარეობებს შორის მთვარის სინოდური თვე ეწოდება და ასტრონომიულად 29.530588 დღეღამეს შეადგენს (კალენდრულად 29—30 დღეღამეს). ამრიგად, მთვარის წელიწადი, ანუ მთვარის 12 სინოდური თვე 12×29.5=354 დღეღამე საშუალოდ 11 დღეღამით წინ უსწრებს 19 დღეღამით ჩამორჩება) ტროპიკულ წელიწადს — 365.25 დღეღამეს. ამიტომ, თუ რომელიმე თვის, რომელი რიცხვში ადგილი აქვს სრულმთვარეობას, შემდეგ წელიწადს იმავე თვეში სრულმთვარეობა გვექნება 11 დღეღამით ადრე (19 დღეღამით გვიან). თუ იგივეს თანმიმდევრულად გავიმეორებთ, ერთი შემთხვევის გარდა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მე-20 წელზე გადასვლისას ნაცვლად 11-ისა უნდა ავიღოთ 12 (ნაცვლად 19-ისა 18), დავინახავთ, რომ მე-20 წელს სრულმთვარეობა მოცემული თვის იმავე რიცხვში გვექნება. მიიღება იგივე სურათი, რაც დასაწყისში გვქონდა. წარმოჩინდება კარგად ცნობილი მთვარის 19 წლიანი ციკლი. ე წ. მთვარის მოქცევა ([5], 276). ზემოთმოყვანილ ალგორითმს ზედნადები ეწოდება ([5], 278) ხოლო აღნიშნული გამონაკლისს „მთვარის ნახტომი“ ([1], 77) გამოდის, რომ მზე და მთვარე ერთსა და იმავე ფაზაშია ყოველ 19 წელიწადში ერთხელ. ეს შესანიშნავი ფაქტი ძველ ბაბილონში აღმოაჩინეს დაახლოებით ჩვ. წ.-მდე 500 წელს ([6], 144). თარიღების შემცველი დიდი დოკუმენტალური მასალის შესწავლის შედეგად დღეს დადგენილია, რომ ეს მნიშვნელოვანი ციკლი საბოლოოდ დარეგულირდა ჩვ. წ.-მდე 381 წელს ([1), 120 [2], 21; [6], 354—355). 19 წლიანი ციკლი და ზედნნადები იულიუსის კალენდარსა და სააღდგომო ცხრილებში ანატოლი ლაოდეკიელმა დანერგა ([3], 45; [4], 140). როგორც ვხედავთ 19 ციკლის ასაგებად საკმარისია ვიცოდეთ ერთი ზუსტი სრულმთვარეობა დანარჩენი ზედნადებით იანგარიშება. ასეთ მონაცემს პასქალური ტრიადა იძლევა: ჩვ. წ.-ით 31 წლის 24 მარტს სრულმთვარეობაა.

### დ) 28 წლიანი ციკლი

ძველთაგანვე 7 დღეღამიანი ციკლი კვირა დღით იწყებოდა ([5], 401), როგორც აღვნიშნეთ. იულიუსის კალენდარი 4 წლიანი ციკლია. 4 და 7 ურთიერთმარტივი რიცხვებია. ამიტომ იულიუსის კალენდრის სრული გამეორება 7 დღეღამიანი ციკლის გათვალისწინებით მოხდება ყოველ 7×4=28 წელიწადში ერთხელ. მიიღება კარგად ცნობილი მზის 28 წლიანი ციკლი ე. წ. მზის მოქცევა ([5], 473. უნაკო წელი — 365 დღეღამე 7-ზე გაყოფის შედეგად ნაშთში გვაძლევს ერთს: 365 = 7 × 52 + 1. ამიტომ ერთი წლის შემდეგ, დავუშვათ კვირა დღე, ერთი დღით ადრე გვექნება. ცხადია, ნაკიანი წლის შემთხვევაში 1-ის ნაცვლად 2 უნდა ავიღოთ. ადვილად დავრწმუნდებით, რომ თუ ასეთნაირად ვიმოქმედებთ 29-ე წელს ზუსტად იგივე სურათი გვექნება, რაც პირველ წელს გვქონდა, ანუ მოცემული თვის იგივე რიცხვში კვირა დღე. მოხდება კალენდრის სრული გამეორება. როგორც ვხედავთ, საკმარისია ავიღოთ ერთი ზუსტი მონაცემი. დანარჩენი მზის 28 წლიანი ციკლით გამოითვლება. ასეთი მონაცემი კვლავ პასქალური ტრიადით განისაზღვრება; ჩვ. წ.-ით 31 წლის 25 მარტს კვირა დღეა — ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომა.

### ე) „მთვარის ნახტომი“

მთელი საეკლესიო ცხოვრება, განსაკუთრებით მოძრავი დღესასწაულები და მათთან დაკავშირებული წესები, უშუალოდ აღდგომით არიან განპირობებულები. ამიტომ ცხადია, აღდგომა მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ ერთდროულად უნდა იზეიმოს. 19 წლიანი ციკლი, რომელიც აღდგომის დასადგენად სრულმთვარეობებს წარმოგვიდგენს, ზედნადებით იანგარიშება და ამიტომ სააღდგომო ცხრილების შეთანხმების საქმეში „მთვარის ნახტომი“ ცენტრალურ როლს თამაშობს. საქმე ის არის, რომ უკვე III საუკუნეში არსებობდნენ სხვადასხვა წელთაღრიცხვები, რომელთაც სხვადასხვა 19 გაყოფის ნაშთები გააჩნდათ. ასეთი სხვადასხვაობის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს შემდეგი: მომდევნო წლის სრულმთვარეობების გასაგებად ერთ სისტემაში მოხდეს 11-ის გამოკლება, მეორეში 12-ის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ წელთაღრიცხვებს მომდევნო წელს სხვადასხვა სრულმთვარეობები ექნებათ, აქედან გამომდინარე შესაძლებელია სხვადასხვა აღდგომა დღეებიც. დაირღვევა სინქრონიზაცია და საქრისტიანოს სხვადასხვა კუთხეში, რომლებშიც გასაგები მიზეზების გამო, სხვადასხვა წელთაღრიცხვებია აღდგომას ერთდროულად არ იზეიმებენ. გამოსავალი ერთადერთია: წელთაღრიცხვებში „მთვარის ნახტომი“ ერთდროულად უნდა გაკეთდეს; უნდა არსებობდეს უნივერსალური 19 წლიანი ციკლი, რომლის საწყის წერტილებში ყოველი წელთაღრიცხვისათვის სავალდებულო იქნება „მთვარის ნახტომის“ გაკეთება. ასეთ ისისტემა ჩვ. წ.-ით 269 წელს დაამუშა ანატოლი ლაოდიკიელმა [3], 31; [4], 140) და იგი წარმატებით ფუნქციონირებდა 325 წლამდე. III საუკუნის დასასრულსა და IV საუკუნის პირველ ნახევარში წარმოჩინდნენ მოვლენები, რომლებმაც სულ სხვა ციკლი დააყენეს წინა ხაზზე. ამ ციკლის შესახებ დაწვრილებით ჩვენ შემდეგ ნაწილში ვისაუბრებთ.

### ვ) 532 წლიანი ციკლი

ამრიგად, აღდგომის გამოსათვლელად მუდმივ კონტროლს უნდა ექვემდებარეობდეს სრულმთვარეობები და კვირის დღეები. პირველი მათგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ცვალებადობს მთვარის 19 წლიანი ციკლის მიხედვით, ხოლო მეორე [illegible] 28 წლიან [illegible] მორჩილებს. 19 და 28 ურთიერთმარტივი [illegible] ამიტომ ალდგ[illegible] ღლეთა სრული გამეორება მოხდება [illegible] წელიწადში ერთხელ. მიიღება ე. წ. დიდი ინდიქტიონი. მას ხშირად მოქცევას უწოდებენ. ზემოთჩატარებული მსჯელობა ჩვენ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 532 წლიანი ციკლის ავტორია ანატოლი ლაოდიკიელი ([41], 138—143).

ამრიგად 532 წლიანი ციკლის ყოველი წელი გარკვეული კალენდრული მდგომარეობით ხასიათდება. მდგომარეობა მონაცემთა წყვილი: სრულმთვარეობა და კვირა დღე. მდგომარეობებს შორის მთავარია პასქალური ტრიადით განსაზღვრული მდგომარეობა; ჩვ. წ.-ით 31 წელს

სრულმთვარეობა — 24 მარტი
კვირა დღე — 25 მარტი

ბუნებრივად იბადება კითხვა: მეორდებიან თუ არა 532 წლიანი ციკლის შიგნით კალენდრული მდგომარეობები? სხვანაირად რომ ვთქვათ, გააჩნია თუ არა 532 წლიან ციკლს შიდა პერიოდები ე. წ. კვიკლოსები? პასუხი დადებითია: კალენდრული მდგომარეობების მიხედვით 532 წლიანი ციკლის წლები იდენტურ ოთხეულებად იშლება. ყოველი ასეთი ოთხეულის მისაღებად ნაციან წელს თანმიმდევრულად სამჯერ 95 აკლდება. მაგალითად, 532 წლიანი ციკლის 400, 305, 210, 115 წლებში იდენტური კალენდრული მდგომარეობებია. ამრიგად, 95 წელი, 532 წლიანი მოქცევისათვის, წარმოადგენს შიდა პერიოდს ე. წ. კვიკლოსს. მას ხშირად მცირე პასქალურ წრესაც უწოდებენ ([1], 241). III—IV საუკუნეებში ალექსანდრიული ეკლესიის მსახურნი ადგენდნენ 95 წლიან სააღდგომო ცხრილებს და მათ სხვადასხვა ეკლესიებს უგზავნიდნენ ([1], 241). ქრისტიანულ სამყაროში მისი შემოღება კვლავ ანატოლი ლაოდიკიელის სახელთან არის დაკავშირებული ([3], 190; [4], 142). არსებითია, რომ 95 წელი დამოუკიდებლად უაღრესად მნიშვნელოვანი კალენდრული პერიოდია. იგი ერთი მხრივ, ხუთ 19 წლიან ციკლს შეიცავს, რამეთუ 5×19=95. მეორე მხრივ, 23 ნაკიანი წელი ყოველ 95 წელიწადში უმაღლესი კლასის მზის კალენდარს იძლევა; წელიწადში 365 23/95 დღეღამეს, რაც 7 ნიშნის სიზუსტით ემთხვევა მის რეალურ მნიშვნელობას 365.24219 დღეღამეს.

ჩვ. წ. III—IV საუკუნეების მიჯნაზე ქრისტიანული სამყაროს საეკლესიო წრეებში მიმდინარე პროცესების წყალობით პასქალური ტრადიის მნიშვნელობა და როლი კიდევ უფრო გაიზარდა და იგი საფუძვლად დაედო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების იმ გამაერთიანებელ იდეას, რომელიც დისციპლინარულ კანონებთან ერთად საბოლოოდ განმტკიცებულ იქნა ნიკეის 325 წლის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებული ქრისტიანული რწმენის სიმბოლოს განმარტებაში.

## 3. „ოქროს რიცხვები"

აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს ყველაზე გავლენიანი ალექსანდრიული ეკლესიის განსწავლული მამები ჩვ. წ.-ის IV საუკუნის დასაწყისში მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ 22 მარტი გაზაფხულის დღეღამსწორობისათვის, რომელიც პტოლომედან (150 წ.)

მოდის და რომლის ბაზაზე გათვლილია ანატოლი ლაოდიკიელის 19 წლიანი პასქალური ციკლი, უნდა შეიცვალოს 21 მარტით. ალდგომა დღეთა[illegible]შის სრულყოფის თვალსაზრისით ეს ნიშნავდა ანატოლის ციკლის [illegible]ნიზაციას გაზაფხულის დღეღამსწორობის ახალი თარიღის ბაზაზე. ჩვენ არ გაგვაჩნია პირდაპირი ცნობები ამ ოპერაციის შესახებ, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ანატოლი ლაოდიკიელის 19 წლიანი პასქალური ციკლის რეფორმა, რომელიც არქიეპისკოპოს პეტრე — ალექსანდრიელის ინიციატივით ჩატარდა ციკლის შემოღებიდან დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ, ჩვ. წ.-ის 303—304 წლებში ([3], 36).

იმ დროს ალექსანდრიელი ქრისტიანები წლებს ითვლიდნენ დიოკლეტიანეს ერის მიხედვით ეგვიპტური კალენდრის ბაზაზე. ეს არის დინასტიური წელთაღრიცხვა რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს მმართველობის დაწყებიდან და ამ ერის საწყის მონაცემად ქრონოლოგიაში იულიუსის კალენდრით მიჩნეულია ჩვ. წ.-ის 284 წელი, 29 აგვისტო, პარასკევი. ამრიგად, დიოკლეტიანეს ერის 20 წელს ანატოლის 19 წლიანი პასქალური ციკლი გაზაფხულის დღეღამსწორობის ახალი თარიღის გათვალისწინებით გადათვლილ იქნა დიოკლეტიანეს ერის წლებზე ისე, რომ მოდიფიცირებულ ციკლში წლების რიგითი ნომრები დაემთხვნენ დიოკლეტიანეს ერის წლების აღმნიშვნელი რიცხვების 19-ზე გაყოფის ნაშთებს, რომლებიც ქრონოლოგიაში „ოქროს რიცხვების" სახელით არიან ცნობილი. ციკლში წლების რიგით ნომრებსა და ერის წლებს შორის დამყარებული შესაბამისობის შედეგად ალექსანდრიულ პასქალურ ციკლში მთვარის ნახტომი კეთდება მხოლოდ მაშინ, როდესაც „ოქროს რიცხვი" 1-ია. აქედან გამომდინარე, ცხადია, მთვარის ნახტომი დიოკლეტიანეს ერის შემდეგ წლებში კეთდება: 1, 20, 39, 58, 77, 96... რომლებსაც თანამედროვე ანუ ჩვენი წელთაღრიცხვის შემდეგი წლები შეესაბამება:

285 304 323 342 361 380

ალექსანდრიული რეფორმის შემდეგ ქრისტიანულ სამყაროში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი 19 წლიანი პასქალური ციკლი: ანატოლი ლაოდიკიელის და ალექსანდრიული. დაპირისპირებამ განსაკუთრებით თავი იჩინა ნიკეის 325 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელზედაც იულიუსის კალენდართან ერთად ალდგომა დღეთა საანგარიშოდ დაკანონებულ იქნა ალექსანდრიული 19 წლიანი პასქალური ციკლი.

ამრიგად, ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებული დადგენილებით ქრისტიანულმა ეკლესიამ, დაწყებული ჩვ. წ.-ის IV საუკუნიდან, თავისი დღესასწაულების წლიური ციკლი დაუკავშირა იულიუსის კალენდრარს, ხოლო ამ დღესასწაულებიდან უმთავრესი — ალდგომა და მასთან დაკავშირებული მარხვების ციკლი და „გარდამავალი" დღესასწაულები — მთვარე—მზის კალენდარს, რომელშიც მთვარის ფაზათა პერიოდული მონაცვლეობა შეთანხმებულია მზის წლიურ მოძრაობასთან ალექსანდრიული ეკლესიის წესების მიხედვით.

ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების ამ გადაწყვეტილებათა საერთო ფონზე დიოკლეტიანეს ერის გამოყენება პრაქტიკული მიზნებისათვის გარკვეულწილად წინააღმდეგობრივად წარიმართა. საქმე ის არის, რომ ეს ერა ალექსანდრიელი ქრისტიანებისათვის ისევ ძირითად წელთაღრიცხვად რჩებოდა. მეორე მხრივ, იმპერატორ დიოკლეტიანეს სახელთან უშუალოდ დაკავშირებულია ქრისტიანების სასტიკი დევნა და მწვალებლობის არაერთი

ფაქტი, მათ შორის წმინდა გიორგის მოწამებრივი სიკვდილი.

ყოველივე ამან, ბუნებრივია, გააჩინა დიოკლეტიანეს ერის მიმართ ეჭვი და უნდობლობა ქრისტიანული მოძღვრების მიმდევართა შორის.

ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების შემდგომ პერიოდში სწორედ ამ ეჭვმა და უნდობლობამ განაპირობა ისეთი ქრისტიანული წელთაღრიცხვების შექმნის აუცილებლობა, რომლებშიც დიოკლეტიანეს ერისაგან მხოლოდ „ოქროს რიცხვები" იქნებოდა შენარჩუნებული. პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით ისევ ალექსანდრიული ეკლესიის მოღვაწეებმა გადადგეს. ჩვ. წ.-ის IV საუკუნის დასასრულს ალექსანდრიელი ქრონოგრაფი ანიანოსი ალექსანდრიული 19 წლიანი პასქალური ციკლის ბაზაზე ქმნის წელთაღრიცხვას დასაბამიდან ანუ ერას ეპოქით 25 მარტი, 5492 წ. ჩვ-მდე ისე, რომ ამ წელთაღრიცხვის წლების გამომხატველი რიცხვების 19-ზე გაყოფის ნაშთები „ოქროს რიცხვებს" თანხვდებიან ([3], 86—94).

შემდეგი ცდა დაკავშირებულია თანამედროვე ანუ ჩვენი წელთაღრიცხვის შექმნის ისტორიული მნიშვნელობის ფაქტთან. როგორც ცნობილია, დაახლოებით 1500 წლის წინ, დიოკლეტიანეს ერის 241 წელს ანუ ჩვ. წ.-ის 525 წელს, რომის პაპმა იოანემ დაავალა არქივარიუსსა და დასავლეთის ეკლესიის განსწავლულ ბერს დიონისე მცირეს აღდგომა დღეთა საანგარიშო 95 წლიანი ახალი პასქალური ცხრილის შედგენა. საქმე ის არის, რომ ახალი პასქალური ცხრილის შედგენის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ 6 წლის შემდეგ მთავრდებოდა 95 წლიანი პასქალია, შედგენილი ალექსანდრიის პატრიარქის კირილე ალექსანდრიელის მიერ დიოკლეტიანეს ერის 153 წლიდან 247 წლამდე ანუ ჩვ. წ.-ის 437 წლიდან 531 წლამდე ([2], 76). დიონისემ გააანალიზა არსებული კალენდრულ-ქრონოლოგიური ვითარება და ნაცვლად დიოკლეტიანეს ერისა შემოიღო ახალი ქრისტიანული წელთაღრიცხვა, რომელშიც წლების ათვლა ხდებოდა ქრისტეს დაბადების დიონისეს მიერ გამოთვლილი თარიღიდან: 284 წელი დიოკლეტიანეს ერამდე ანუ 753 წელი „რომის დაარსებიდან". თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დიონისეს მიერ შედგენილი 95 წლიანი ახალი პასქალია ძალაში უნდა შესულიყო დიოკლეტიანეს ერის 248 წელს, მაშინ ამ თარიღს უნდა შეესაბამებოდეს 532 წელი „ქრისტეს დაბადებიდან": 284+248=532 ([7], 195—196). რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა დიონისე მცირე თავისი გამოთვლების ჩატარებისას, უცნობია. ამ მნიშვნელოვან საკითხს უამრავი გამოკვლევა მიეძღვნა [4], 146. თარიღი ჩვ. წ.-ის 532 წელი, რომელიც ქრონოლოგიური სინქრონიზმებით შემკულია. ერთი მხრივ, დიოკლეტიანეს ერის 248 წელთან, მეორე მხრივ, რომის დაარსებიდან 1284 წელთან, ხოლო მესამე მხრივ, ქორონიკონის მე-12 მოქცევის 284 წელთან, ქრისტიანულ ქრონოლოგიაში მიჩნეულია დიონისეს პირველი მოქცევის პირველ წლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ მოქცევებში წლების რიგითი ნომრების 19-ზე გაყოფის ნაშთები უშუალოდ „ოქროს რიცხვებს" იძლევიან. ამრიგად, ახალი წელთაღრიცხვის შემოღებით დიონისე მცირემ „ოქროს რიცხვების" გამოთვლის პროცედურა სამარადისოდ დაუკავშირა დიოკლეტიანეს ერის საპირისპიროდ ქრისტეს სახელზე შექმნილ ერას. რაც შეეხება საკუთრივ დიოკლეტიანეს ერას, ჩვ. წ.-ის VII საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი უკვე მოწამეთა ერის სახელით მოიხსენიება საეკლესიო კალენდრებში ([3], 220).

მაგრამ დიონისე მცირეს მიერ შემოღებულ წელთაღრიცხვას ერთი სერიოზული ნაკლი გააჩნია: მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა, ისევე რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ანიანოსის ალექსანდრიული ერა, დაფუძნებულია „ოქროს რიცხვების“ ალექსანდრიულ საეკლესიო ციკლზე, მასში არ არსებობს არავითარი კალენდრულ-ქრონოლოგიური მინიშნება ამ ციკლის ამოსავალი თარიღის შესახებ, რომელიც თავის მხრივ დიოკლეტიანეს სახელთან არის დაკავშირებული, იგივე ითქმის ალექსანდრიულ ერაზე. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ არსებობს ისეთი კალენდრულ-ქრონოლოგიური სისტემა, რომლის წლების გამომხატველი რიცხვების 19-ზე გაყოფის ნაშთები „ოქროს რიცხვებს“ ემთხვევა ისე, რომ ძილებული ციკლის ამოსავალი თარიღი მასში რეალურად იყოს გათვალისწინებული რომელიმე ცნობილი კალენდრულ-ქრონოლოგიური მაჩვენებლის მეშვეობით?

ჩვ. წ.-მდე V—IV საუკუნეებში არსებული კალენდრულ-ქრონოლოგიური ვითარების ჩვენს მიერ ჩატარებულმა მეცნიერულმა ანალიზმა დაგვარწმუნა იმაში, რომ ასეთი სისტემა მართლაც არსებობდა და ჩვ. წ.-ის IV საუკუნის ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწეებს ამ სისტემის მთავარი საყრდენი თარიღები, შონიშნული აპოკალიფსური შინაარსის მქონე კალენდრულ-ქრონოლოგიური რიცხვითი მაჩვენებლით 666, უეჭველია, უნდა ცოდნოდათ. საქმე ის არის, რომ საიდუმლოებით მოცული აპოკალიფსური რიცხვი 666 იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადებიდან“ (13:18), უპირველეს ყოვლისა, თეორიულ-კალენდრული მნიშვნელობის მქონე რიცხვია. მართლაც, თეორიულ-რიცხვითი თვალსაზრისით 666 სამკუთხა რიცხვია, ვინაიდან 1+2+3+...+36=666. მეორე მხრივ, 666=35×19+1, ამიტომ კალენდრული პერიოდების თვალსაზრისით 666-ით გამოიხატება სწორედ 36-ე 19 წლიანი ციკლის პირველი წელი. არსებითია, რომ სამკუთხა რიცხვების კლასში აღნიშნული თვისების თვალსაზრისით 666 ერთადერთია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განტოლებას

$$1+2+3+\ldots n=(n-1)\times 19+1$$

ტრივიალური $n=1$ ამოხსნის გარდა გააჩნია ერთადერთი ამოხსნა $n=36$. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ თუ 95 წლიან კალენდრულ ციკლებთან ერთად 7 დღიან ციკლებსაც გავითვალისწინებთ, მივიღებთ $7\times 95=665$ წლიან კალენდრულ პერიოდს და ამ თვალსაზრისით 666-ე წელი წარმოადგენს ამ ახალი დიდი კალენდრული პერიოდის პირველ წელს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე და საიდუმლოებით მოცული აპოკალიფსური 666-ის კალენდრულ-ქრონოლოგიური შინაარსის გახსნის მიზნით, გარკვეულწილად ბუნებრივია, „მხეცისა და ადამიანის“ რიცხვი 666 ქრისტიანების სასტიკი მდევნელისა და მწვალებლის იმპერატორ დიოკლეტიანეს მმართველობის პირველ წელს, ანუ ჩვ. წ.-ის 285 წელს შევუსაბამოთ, რამეთუ „წაწინასწარმეტყველები ამბის აღსრულება ურყევი დასტურია იმისა, რომ სამყაროს განგება მართავს“ (ისააკ ნიუტონი. „შენიშვნები წმინდა იოანეს გამოცხადებაზე“).

ამრიგად, დიოკლეტიანეს მოსვლის თარიღიდან დამყარებული თანხვდობის შემდეგ 666-ე აითვლება ჩვ. წ.-მდე 381 წლიდან (381+285=666) და, რაც მთავარია, ამ თარიღიდან ათვლილი წლების გამომხატველი რიცხვების 19-ზე გაყოფის ნაშთები „ოქროს რიცხვებს“ ემთხვევიან. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ თარიღს ჩვ. წ.-მდე 381 წლის 25 მარტი რეალური და კალენდრულ-ქრონოლოგიური უზრუნველყოფა გააჩნია. საქმე ის არის, რომ ერთი მხრივ, ჩვ. წ.-მდე 381 წლის 25 მარტს ადგილი ჰქონდა მთვარისა და მზის ფაზათა ტოლობას: გაზაფხულის დღეღამს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოროობის ჟამს ცაზე ახალი მთვარეა ([1], 55; [2], 120), რაც ასტრონომიულად მთვარე—მზის ფაზათა ტოლობებით განპირობებული კალენდრის ათვლის წერტილს ანუ ეპოქას განსაზღვრავს და ამდენად იგი „ოქრო[illegible] ათვლის ქრონოლოგიური სისტემისათვის ამოსავალი საყრდენი თარიღია. მეორე მხრივ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სწორედ ამ წლიდან იწყებს ფუნქციონირებას საბოლოოდ დარეგულირებული ბაბილონური 19-წლიანი ინტერკალაციური ციკლი. რაც შეეხება თარიღს 25 მარტი, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქრისტიანულ სამყაროში ამ თარიღისადმი ძველთაგანვე უდიდეს ყურადღებას იჩენდნენ. დასავლეთის ქრისტიანულ წრეებში დიდი ხნის განმავლობაში პოპულარობით სარგებლობდა ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენლების იპოლიტეს, ტერტულიანეს და ავგუსტინეს მიერ ქრისტეს ჯვარცმის თარიღად აღიარებული 25 მარტი. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ 25 მარტი რომაული ტრადიციის მიხედვით მიჩნეული იყო გაზაფხულის დღეღამსწორობის დღედ. საგულისხმოა ისიც რომ ისტორიამ შემოგვინახა სულხან—საბა ორბელიანის გამონათქვამი ამ თარიღთან დაკავშირებით: „პირველად მარტსა ოცდახუთსა სწორდებოდა დღე და ღამე" ([5], 566) იულიუს აფრიკელისა და ანატოლი ლაოდიკიელის დიდი ძალისხმევის შედეგად აღმოსავლეთის ქრისტიანი ღვთისმეტყველები იწყებენ ქადაგებას იმის შესახებ, რომ ქრისტე ჯვარს ეცვა 23 მარტს, პარასკევ დღეს და იგი მკვდრეთით აღდგა 25 მარტს, კვირა დღეს. აღმოსავლეთის ეკლესიის მესვეურთა ასეთი დამოკიდებულება პასქალური ხდომილებისადმი „25 მარტი, კვირა — ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომა" გასაგები ხდება, თუ გავიხსენებთ, რომ იმ დროისათვის უკვე ჩამოყალიბდა შეხედულება იმის შესახებ, რომ ამ დღეს, 25 მარტს ღმერთმა „შექმნა სამყარო" და რომ ამავე დღეს მთავარანგელოზმა გაბრიელმა ამცნო ქალწულ მარიამს, რომ მას შეეძინებოდა ძე. ანალოგიური სიტუაცია 25 მარტის მიმართ შემდგომ გათვალისწინებულ იქნა ქართულ ქრისტიანულ წელთაღრიცხვაში — ქორონიკონში ეპოქით 25 მარტი, კვირა, 5604 წ. ჩვ. წ.-მდე ([4], 133). აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვ. წ.-ის III—IV საუკუნეების ერთ-ერთი ცნობილი სექტა მუდმივად აღნიშნავდა აღდგომის დღესასწაულს ყოველი წლის 25 მარტს ([3], 28; [1], 211).

აპოკალიფსური 666-ის საიდუმლო შინაარსის გახსნის ახალი ეტაპი პირდაპირ დაკავშირებულია შორეულ ანტიკურ ეპოქაში პითაგორიანელების მიერ აღმოჩენილ „ოქროს კვეთის" პროპორციის შესანიშნავ თვისებასთან, რომელიც შემდეგომში მდგომარეობს: „ოქროს კვეთა" არის მთელის ორ ისეთ არათანაბარ ნაწილად დაყოფა, როცა დიდი ნაწილი ისე შეეფარდება მთელს, როგორც პატარა ნაწილი დიდს ([8], 4—47).

ჩვენს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ 666-ის „ოქროს კვეთა" იესო ქრისტეს ჯვარცმისა და ჭეშმარიტი აღდგომის თარიღს განსაზღვრავს. მართლაც, „ოქროს კვეთის" საფუძველზე 666-ის საშუალო პროპორციულ ნაწილებად დაყოფა 412-სა და 254-ს იძლევა (412+254=666, 412/666=254/412)*

* ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ a მთელი რიცხვის „ოქროს კვეთის" პროპორციის დიდი ნაწილი უდრის (5—1)/2a), რაც 0.618033... a-ს ტოლია, ამიტომ პრაქტიკული მიზნებისათვის 0,618a-ს უახლოესი მთელი რიცხვი საკმარისად კარგ მიახლოებას იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$412/666 = 0.618618618... = 0.(618).$$

მეორე მხრივ, ჩვენს მიერ მიკვლეული ამოსავალი თარიღიდან, ანუ, ჩვ. წ-მდე 381 წლიდან გადათვლილი 412-ე წელი წარმოადგენს ჩვ. წ.-ის 31 წელს (412—381=31). პასქალურ ტრიადაზე დაყრდნობით მიღებული შედეგების მიხედვით ამ წლის 23 მარტს, პარასკევს, ქრისტე ჯვარზე აცვეს; 24 მარტს, შაბათს, ადგილი ჰქონდა პასქალურ სრულმთვარეობას, ხოლო 25 მარტს, კვირა დღეს, ქრისტე მკვდრეთით აღდგა ([3], 28). „ოქროს კვეთის" პროპორციის შესანიშნავ თვისებასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია შემდეგი: წინასწარ დასახელებული მთელი რიცხვის „ოქროს კვეთა" დევს (m, n) რიცხვთა წყვილით განსაზღვრულ სპეციალურ რიცხვთა მიმდევრობაში;

$$m,\ n,\ m+n,\ (m+n)+n, \ldots\ldots\ldots$$

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 666-ის „ოქროს კვეთა" მოთავსებულია (6,28) სრულყოფილ რიცხვთა წყვილით განსაზღვრულ სპეციალურ რიცხვთა მიმდევრობაში:

6, 28, 34, 62, 96, 158, 254, 412, 666

როგორც ცნობილია, პითაგორიანელები „ოქროს კვეთას" მაგიურ ძალას მიაწერდნენ. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ წარმოადგენს „ოქროს კვეთის" მაგიური ძალის გამოვლენის დადასტურებას ზემოთმოყვანილი მიმდევრობა, რამეთუ პითაგორიანული მოძღვრების თანახმად სამყარო აგებულია რიცხვებისაგან, რომელთა შორის სრულყოფილი რიცხვები 6 და 28 განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ([6], 299). გენიალური ნიუტონის სიტყვებით რომ ვთქვათ „მოვლენები ამართლებენ გამოცხადებას, როცა ეს წინასწარმეტყველება ახდება და ჩვენ მას შევიმეცნებთ, მაშინ ჩავწვდებით ძველ წინასწარმეტყველთა აზრს და ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს ვეზიაროთ ჭეშმარიტ რელიგიას. ვინც ძველი წინასწარმეტყველების ვაგეზას მოისურვებს, აპოკალიფსით უნგდა დაიწყოს; თუმცა გამოცხადების ბოლომდე შეცნობის ჟამი ჯერ არ დამდგარა, ვინაიდან ქვლავ ველით მსოფლიო გადატრიალებას, რომელსაც წმინდა იოანე გვპირდება."

## 4. ქართული ასომთავრული

ამრიგად, 36 დალაგებული სიმბოლო წონით (რიგითი ნომრების ჯამით) 666-ს წარმოგვიდგენს. სურათი არსებითად იცვლება 37-ე სიმბოლოს დამატებით. მისი შემოღება წმინდა რიცხვების 3-ის 7-ის მეშვეობით, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ამარცხებს" აპოკალიფსურ 666-ს. მართლაც, თუ 666-ს როგორც სამკუთხა რიცხვს $1+2+\ldots+36=666$ მივუმატებთ 37-ს მივიღებთ 703-ს;

$37=3\times10+7$———სამი ათეული პლუს შვიდი ერთეული

$703=7\times100+3$———შვიდი ასეული პლუს სამი ერთეული.

36 სიმბოლოს წონა 666-ა, მაშინ როდესაც 37 სიმბოლოს წონა უკვე 703-ს იძლევა;

$$1+2+3+\ldots\ldots36+37=703.^{*}$$

---

* არსებითია, რომ წმინდა რიცხვები 3 და 7 აპოკალიფსურ რიცხვს 666-ს, როგორც „მხეცის რიცხვსა" და ყოველგვარი ბოროტების სიმბოლოს სხვაგვარადაც დაძლევენ. ამისათვის $666=6\times111$-ს კიდევ ერთი 111 უნდა დავუმატოთ მიიღება წმინდათა წმინდა რიცხვი $777=3\times7\times37$.

აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიის თეორიის თვალსაჩინო სპეციალისტი გუსტავ გვნე ([9], 350, 351).

დალაგებულ სიმბოლოთა ერთობლიობის თვალსაზრისით 37 სიმბოლო არსებითად ქრისტიანული ბუნებისაა. საქმე ის არის, რომ ძველთაგანვე დალაგებულ სიმბოლოთა ერთობლიობით იქმნებოდა კანონიკური თვლის სისტემა, ყოველ სიმბოლოს ამისათვის გარკვეული რიცხვითი მნიშვნელობა ე. წ. სათვალავი მიეწერებოდა. მოხერხებულობის მიზნით მოვიყვანოთ ათობითი კანონიკური თვლის სისტემა ქართული 37 ასონიშნიანი ანბანისათვის და ასონიშნები მხედრულად ჩავწეროთ:

1. ა—1 10. ი — 10 19. რ—100 28. ჩ—1000 37. ჵ—10000
2. ბ—2 11. კ—20 20. ს—200 29. ც—2000
3. გ—3 12. ლ—30 21. ტ—300 30. ძ—3000
4. დ—4 13. მ—40 22. ჳ—400 31. წ—4000
5. ე—5 14. ნ—50 23. ფ—500 32. ჭ—5000
6. ვ—6 15. ჲ—60 24. ქ. ქ—600 33. ხ—6000
7. ზ.— 7. 16. ო—70 25. ღ—700 34. ჴ—7000
8. ჱ—8 17. პ—80 26. ყ—800 35. ჯ—8000
9. თ—9 18. ჟ—90 27. შ—900 36. ჰ—9000

რიცხვების ჩაწერა კანონიკური ფორმით უშუალოდ ათობითი თანრიგებით, ასონიშანთა მინიმალური რაოდენობით ხდება. ესე მაგალითად 5635 კანონიკური ფორმით ასეთნაირად ჩაიწერება:

„ჭქლე“

უნდა ავიღოთ შესაბამისი თანრიგები

ჭ—5000
ქ—600
ლ—30
ე—5

და ასონიშნები უბრალოდ ერთმანეთს მივაწეროთ—შევკრიბოთ.

არსებითია, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში ასონიშანთა რიგი და სათვალავი შეთანხმებულია. ისინი ერთმანეთს განსაზღვრავენ. გადასვლა სათვალავიდან რიგზე და პირიქით უმარტივესი ხერხებით ხდება. თუ ვიცით სათვალავი, დავუშვათ, 700, რიგითი ნომრის გასაგებად ვიღებთ იმდენჯერ ცხრას რამდენი ნოლიც არის სათვალავში და ვუმატებთ სათვალავის მაჩვენებელს, ჩვენ შემთხვევაში შვიდიანს: $2\times9+7=18+7=25$. მართლაც, ქართულ ასომთავრულ ანბანში ასონიშანი სათვალავით 700 ზის 25-ე ადგილზე

25. ღ—700

ავიღოთ ახლა 4000. რიგითი ნომრის გასაგებად ალგორითმი გვეუბნება: $3\times9+4=31$. ასომთავრულში 31-ე ადგილზე ასონიშანი სათვალავით მართლაც 4000 წერს

31. წ—4000

გადასვლა რიგიდან სათვალავზე ასევე მარტივია. აქ უბრალოდ ვიღებთ ციფრთა ჯამს. მაგალითად 25-ე ასონიშნის სათვალავის გასაგებად ვიღებთ $2+5=7$ და მას მივუწერთ იმდენ ნულს, რამდენ ათეულსაც მოიცავს თვით 25. მივიღებთ 700-ს. 31-ე ასონიშნის სათვალავის გასაგებად ვიღებთ $3+1=4$ და მას მივუწერთ სამ ნოლს, რამეთუ 31 სამ ათეულს მოიცავს და ა. შ.

10-ობით სისტემაში ასეთი შემთანხმება რიგსა და სათვალავს შორის ფინიკიური ანბანის უმთავრესი თვისებაა, ბერძნულში ეს შესანიშნავი თვისება დაიკარგა.

შენიშვნა. ფონეტიკური „მნიშვნელობა“ „უ“ ასომთავრულში ასონიშანთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვილით „ოჳ“-თი ხორციელდებოდა. ამიტომ „უ“-ს დამოუკიდებელი სათვალავი და აქედან გამომდინარე სათვალავებით განპირობებული რიგითი ნომერი არ გააჩნია. აი რას წერს სულხან-საბა ორბელიანი — „ჳე“ ძველთა [illegible] მაგივრად მჯდარა და რიცხვადაც ოთხასად ყოფილა. შემდგომად ოთხასად უნი დაუსვამთ და ანბამში „ჳე“ უნს უკან მოუსვამთ და რიცხვისაგან ამოულიათ“ ([5], 8).

ვინაიდან ანბანში ასონიშანთა რაოდენობა შეზღუდულია, ამიტომ კანონიკური ფორმით ჩაწერილი რიცხვებისათვის არსებობს მაქსიმალური რიცხვი მასზე მეტი რიცხვების ჩასაწერად ან ახალი სიმბოლოს შემოღებაა საჭირო, ან მათ ჩასაწერად აუცილებელია არაკანონიკური ფორმა — თანრიგების გამეორება. 37 ასონიშნიანი ქართული ანბანისათვის ასეთი მაქსიმალური რიცხვია „ჵ ჰშჟთ“ — 19999.

ძველთაგანვე ასონიშანთა ერთობლიობის რიგითი ნომრების ჯამს ე. წ. წონას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. არქაულ მათემატიკაში ასონიშანთა ერთობლიობის წონებით განიმარტებოდა და შეისწავლებოდა ფიგურალური რიცხვები (სამკუთხა, კვადრატული, ხუთკუთხა და ა. შ.), სრულყოფილი და მეგობრული რიცხვები, მაგიური კვადრატები, გაყოფადობის კლასიკური პრინციპი და სხვა. უძველესი დროიდან ასონიშანთა წონებს მაგიურ მნიშვნელობებსაც მიაწერდნენ. ასე მაგალითად, პირველი შვიდი ასონიშანი წონებით ღმერთის რიცხვებს წარმოგვიდგენდნენ; პირველი ცხრამეტი — „ოქროს რიცხვებს და ა. შ. ([4], 135—146).

არსებითია შემდეგი: 37 და მხოლოდ 37 ასონიშნიანი ანბანური თვლის სისტემა კანონიკური ფორმით განახორციელებს 532 წლიანი მოქცევების ისეთ რაოდენობას რამდენი ასონიშანიც არის ანბანში: $19999 = 37 \times 532 + 315$. ამრიგად, 37 ასონიშნიანი სისტემა ოპტიმალურია 532 წლიანი მოქცევების მიმართ — ასონიშნის რიგითი ნომერი ბუნებრივად მოქცევის ნომერსაც იძლევა. ოპტიმალობის ეს შესანიშნავი თვისება ბევრ ადგილას იჩენს თავს:

1. 532-ის კანონიკური ჩაწერა ანუ ასონიშანთა სამეული „ფლბ“ (ფ—500, ლ—30, ბ—2) წონით უდრის 37 (23—ფ, 12—ლ, 2—ბ; $23+12+2=37$).

2. ასონიშანთა სეგმენტი „რსტჳფქღყშჩცძწჭხჴჯჰჵ“ წონით 532-ს იძლევა: $19+20+21+22+23+24+25+26+27+28+29+30+31+32+33+34+35+36+37=19 \times 28=532$. ამ დამოკიდებულებაში არსებითია, რომ 37-ე ასონიშნის შემოღებით ხდება ანბანის ცენტრირება მე-19 ასონიშნის მიმართ ისე, რომ 28-ე 19-სა 37-ის ცენტრში აღმოჩნდება.

3. განვიხილოთ ათობითი თანრიგების ლიდერები „აირჩჵ“,

ა—1 ი—10 რ—100 ჩ—1000 ჵ—10000,

რომელთა რიგითი ნომრებია შესაბამისად

1 10 19 28 37

ამრიგად, ათობით თანრიგთა ლიდერები „აირჩჵ“ წონით $1+10+19+28+37=95$-ს წარმოგვიდგენენ — 532 წლიანი მოქცევის შიდა პერიოდს, რომელიც ამავე დროს დამოუკიდებლად უზუსტესი კალენდრის მთავარ მაჩვენებელს იძლევა. ათობით თანრიგთა ლიდერებით 19-ისა და 28-ის ერთდროული ფიქსაცია თავისთავად დიდი მნიშვნელობის ფაქტია 4.37 ასონიშნიანი ანბანის წონა $1+2+\ldots+36+37$ უდრის 703-ს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ

37-ისა და 703-ის კანონიკურ წარმოდგენათა წონები შესაბამისად 19-სა და 28-ს გვაძლევენ. მართლაც, „ლზ“—37 (ლ—30, ზ—7) წონით უდრის 19-ს (12—ლ, 7—ზ, 12+7=19); „ღგ“—703 (ღ700, გ—3) წონით უდრის 28-ს (25—ღ, 3—გ, 25+3=28).

როგორც ვხედავთ, 37-ე სიმბოლოს შემოღებით 666, როგორც „მხეცის რიცხვი“ და ყოველგვარი ბოროტების სიმბოლო, დაიძლევა ქრისტიანობის სრული განმარჯვებით, რამეთუ 19×28=532 ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომის მაუწყებელია.

მახარებელ იოანეს გამოცხადებაში ვკითხულობთ: „მე ვარ ანი და ჰოჲ, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს, და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოველისა მპყრობელი (1.8), „მე ვარ ანი და ჰოჲ, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (22.13). ამრიგად 666-ის დაძლევა 37-ე სიმბოლოს შემოღებით კვლავ იოანეს მიერ არის ნაწინასწარმეტყველები, რომლის უტყუარ დადასტურებას 37 ასონიშნიანი ქართული ასომთავრული ანბანი შეიცავს. საქმე ის არის, რომ ერთი მხრივ, წარმართულ ეპოქაში შექმნილი ქართული ასომთავრული ანბანი პირველად 35 ასონიშანს შეიცავდა. ქართველთა მეფის ფარნავაზის მეფობის ხანაში მას 36-ე ასონიშანი დაემატა და მისი წონა 666 გახდა. მეორე მხრივ, 37 ასონიშანი ქართული ასომთავრული ანბანი, როგორც 37 სიმბოლოს შემცველი ათობითი თვლის სისტემა 532 წლიანი მოქცევების მიმართ ოპტიმალურია. ამასთან დაკავშირებით მეტად არსებითია, რომ ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვა სწორედ 532 წლიან მოქცევებად არის დაშლილი და წარმოგვიდგენს კარგად ცნობილ ქართულ ქორონიკონს: 5604=10×532+284, რომლის წლები ძველთაგანვე ანბანური თვლის სისტემით მოიცემოდა: კანონიკურად დასაბამით „ა“-დან „ჵჰშჟთ“-მდე (1-დან 19999-მდე), რაც ქართული ქორონიკონით, როგორც აღვნიშნეთ, 37 მოქცევასა და 315 წელს შეადგენს. ამრიგად, ქორონიკონითა და 37 ასონიშნიანი ქართული ასომთავრული ანბანის თვლის სისტემით ფიქსირებულია ქორონიკონის 315 წელი, რომლის შინაარსს ჩვენ ახლა გავარკვევთ:

არსებითია გვახსოვდეს, რომ ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომის თვალსაზრისით მთავარია ქორონიკონის მე-11 მოქცევა: დამთავრდება 10 მოქცევა ანუ დასაბამიდან გავა 10×532 წელი და ჭეშმარიტი აღდგომა მე-11 მოქცევაში მოხდება. ეს არის სწორედ 532 წლიანი მოქცევების კალენდრულ-ქრონოლოგიური არსი. ამრიგად, ქართულ ასომთავრულ ანბანში სამარადისოდ ჩაბეჭდილი ქორონიკონის 315 წელი მე-11 მოქცევაში უნდა მოვიძიოთ. ჩვენს აღფრთოვანებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა როდესაც აღმოჩნდა, რომ ეს თარიღი პასქალური ტრიადით განსაზღვრულ ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომის თარიღს დაემთხვა: 315—284=31 წელი ჩვ. წ.-ით, მართლაც საოცრებაა!

ბუნებრივია იბადება შეკითხვა და იგი უაღრესად პრინციპულია: შესაძლებელია იგივე თარიღის წაკითხვა თანამედროვე წელთაღრიცხვისა და პასქალური ტრიადის გარეშე? პასუხი დადებითია. საქმე ის არის, რომ 315 მესამე უნაკო წელია. ამიტომ 532 წლიანი მოქცევების თვალსაზრისით იდენტური კალენდრული მდგომარეობები ექნებათ მხოლოდ და მხოლოდ წლების შემდეგ ოთხეულს: 315, 410, 505, 600. (გავიხსენოთ, რომ იდენტური ოთხეულების მიღება კვიკლოსით ხდება. მართლაც, 600—95=505, 505—95=410, 410—95=315). ქართულ ასომთავრულ ანბანში 600-ს 24-ე ასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშანი „ქ“ ახორციელებს. „ქ“—ქრისტეს აღნიშნავს და იგი ასომთავრული მოხაზულობით ქრისტიანთა სიმბოლოა — ჯვარი.

(24—ქ—600=24×25)

ქართული ქორონიკონით 315 წლის 24 მარტს პასქალური სრულმთვარეობაა, კვირას, 25 მარტს ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომა.

ეჭვი არ არის, 37-ე ასონიშნის შემოღებით მოხდა წარმართულ ხანაში შექმნილი ქართული ასომთავრული ანბანის გაქრისტიანება, რაც იმაში გამოიხატა, რომ ძველი ანბანის წონა 1+2+...+36=666, როგორც „მხეცის რიცხვი“ და ყოველგვარი ბოროტების სიმბოლო, დაძლეულ იქნა 3-ითა და 7-ით წმინდა რიცხვებით — 1+2...36+37=703 და ყოველივე დაგვირგვინდა ქრისტიანობის სრული გამარჯვებით: 37-ე ასონიშნის შემოღებით მივიღეთ 19×28=532 წლიან მოქცევათა ოპტიმალური სისტემა და ანბანში სამარადისოდ ჩაიჭედა ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომის თარიღი. წარმართული ხანის ქართულ ასომთავრულ ანბანში დაშიფრული ფორმით ჩადებულმა კალენდრულმა მაჩვენებლებმა ახალი ქრისტიანული შინაარსი შეიძინეს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია 24-უძველესი ბაბილონური, ეგვიპტური და ბერძნული კალენდრების მთავარი ერთეული დღეღამე — 24 საათი, რაც წარმართულ ქართულ ასომთავრულ ანბანში ქვეყნიერების სიმბოლოს გამომხატველი 24-ე ასონიშნით „ქ“-თი არის წარმოდგენილი. 532 წლიან მოქცევათა ოპტიმალურ სისტემაში იგი წარმოჩინდება როგორც ქრისტეს მაჩვენებელი და ქრისტიანთა სიმბოლო.

37-ე ასონიშნის შემოღების ავტორი უთუოდ შთაგონებული იყო იოანეს გამოცხადებით. მან შესანიშნავად გაიაზრა, რომ 36 ასონიშნიანი ქართული წარმართული ანბანის წონაა 666 (იოანეს მიხედვით „მხეცის რიცხვი“ და ყოველგვარი ბოროტების სიმბოლო) და იოანეს გამონათქვამებში „მე ვარ ალფა და ომეგა..“ (სრულად იხილეთ ზევით) 37-ე ასონიშნის შემოღების უდიდესი საიდუმლო დაინახა და იგი სამარადისოდ დაამკვიდრა.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ 37 ასონიშნიანი ქართული ასომთავრული ანბანი ბუნებრივად არის დაშლილი ისეთნაირად, რომ 37-ე ასონიშანი ცალკე არის წარმოდგენილი. ამ დაშლას ათობითი კანონიკური თვლის სისტემა იძლევა: დალაგება ცხრაეულებად—ერთეულები, ათეულები, ასეულები ათასეულები, რაც 36 ასონიშანს ერთ დამოუკიდებელ ჯგუფად გამოყოფს და ათიათასეული რიგითი ნომრით 37 (იხილე ზემოთ მოყვანილი ანბანური თვლის სისტემა). ამრიგად, ანბანური თვლის სისტემა ძირითად დამოკიდებულებებს 1+2+3+...+36+37=666+37=703 ავტომატურად წარმოაჩენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ათობითი კანონიკური თვლის სისტემა 37-ე ასონიშნით განსაკუთრებულად უსვამს ხაზს თანრიგთა ლიდერებს: 1, 10, 100. 1000, 10000 (ცხრაეულებად დალაგების პირველი სტრიქონი), რომელთა რიგითი ნომრებია შესაბამისად 1, 10, 19, 28, 37, რაც როგორც აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს 95-ს იძლევა (1+10+19+28+37=95), ხოლო მეორე მხრივ აფიქსირებს 19-სა და 28-ს.

არსებითია 37-ე ასონიშნის სახელდებაც ჰი“ ([5], 7), რომელიც მიმდევრობაში 1, 10, 19, 28, 37 ბუნებრივად ქვემიმდევრობას 10, 19, 28, 37 გამოყოფს. ეს პრინციპული მნიშვნელობის ფაქტია, ვინაიდან ამ ქვემიმდევრობის წონა 10+19+28+37=(10+37)+(19+28)=47+47=94. საქმე ის არის, რომ 94 წელი ქართული ქორონიკონით, რაც ჩვ. წ.-ით 342 წელს შეადგენს, უაღრესად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია: ერთი მხრივ, როგორც

ზემოთ იყო აღნიშნული, ეს თარიღი წარმოადგენს მთვარის ნახტომს ნიკეის კრების შემდეგ, ამდენად იგი ქრისტიანულ წელთაღრიცხვათა სინქრონიზაციის თარიღია. მეორე მხრივ, კალენდრული მდგომარეობების მიხედვით იგი განსაზღვრავს 532 წლიანი მოქცევის შემდეგ იდენტურ წელთა ოთხეულს: 284, 189, 94, 531. მართლაც 284—95=189, 189—95=94, 94—95=−1(— მოქცევების თვალსაზრისით სწორედ 531-ს იძლევა).

გავიხსენოთ, რომ 532 წლიან მოქცევის წელთა იდენტური ოთხეული ნაკიანი წლით განისაზღვრება (უნდა ავიღოთ ნაკიანი წელი და მას თანმიმდევრულად სამჯერ კვიკლოსი — 95 წელი უნდა გამოვაკლოთ). ამრიგად, ქორონიკონით 284 წელი განსაზღვრავს იდენტურ ოთხეულს 531, 94, 189, 284. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ 94 კანონიკური ფორმით უშუალოდ შეიცავს სრულ ინფორმაციას 284-თან დაკავშირებით (იხ. მნათობი, 1987, 2, გვ. 148). თავისთავად ქორონიკონით 284 წელი უაღრესად მნიშვნელოვანი თარიღია. მე-11 მოქცევაში იგი ქრისტეს ხარებასა და შობას წარმოგვიდგენს. ამრიგად, ეს თარიღი ორიენტირებულია პასქალურ ტრიადასა და ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის, მოკლე ვადიან ვერსიაზე: 284+31=315. არსებითია, რომ 532 წლიან მოქცევათა თვალსაზრისით თარიღი ქორონიკონით 284 მეტად არსებით სინქრონიზმს შეიცავს: ამ დროს დიოკლეტიანეს ერით მიდის 248 წელი 248+284=532 და ამდენად ქართული ქორონიკონი დიოკლეტიანეს ერის მოპირდაპირე წელთაღრიცხვაა (იხ. მნათობი, 1987, 2, გვ. 148). როგორც ვხედავთ, მაჩვენებელი „94—წელი“ უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს: მე-12 მოქცევაში, როგორც მთვარის ნახტომის წელი, იგი ქრისტიანულ წელთაღრიცხვათა სინქრონიზაციის თარიღია, ხოლო მე-10-ს მიწურულსა და მე-11 მოქცევაში წარმოაჩენს იდენტურ წელთა ოთხეულს: 531, 94, 189, 284, რომელთა შორის 284 მნიშვნელოვანი საყრდენი თარიღია. მაგრამ 94-ის როლი არა მხოლოდ ამით ამოიწურება. საქმე ის არის,რომ ოთხეულის 531, 94, 189, 284-ის წლები მთვარის ნახტომის წლებია და ამავე დროს უმნიშვნელოვანესი 95 წლიანი ციკლების საწყისი წერტილები, რომლებიც თვლას იწყებენ ამოსავალი საყრდენი თარიღიდან ჩვ. წ.-მდე 381 წლიდან, ანუ ქორონიკონით მე-10 მოქცევის 436 წლიდან (531—95=436) მეტად პრინციპულია ის ფაქტი, რომ ქორონიკონით მე-10 მოქცევის 436-სა და 531 წლებში 25 მარტს გაზაფხულის დღეღამსწორობაა და ცაზე ახალი მთვარეა. ეჭვი არ არის, მაჩვენებელი „94—წელი“ საკუთარი კალენდრული მდგომარეობით და რიცხვითი მნიშვნელობით ამოსავალ საყრდენ თარიღს წარმოგვიდგენს.

ამრიგად მონაცემს „94 წელი“ ინფორმაციის დაშიფვრის თვალსაზრისით დიდი პოტენციალი გააჩნია:

1. მე-12 მოქცევაში 94 წელი (ჩვ. წ.-ით 342 წ.) ნიკეის კრების შემდგომი პირველი „მთვარის ნახტომის“ წელია და ამდენად აფიქსირებს ქრისტიანულ წელთაღრიცხვათა სინქრონიზაციის თარიღს.

2. „94 წელი“ უშუალოდ (იხ. „მნათობი“, 1987, 2 გვ. 148) და კვიკლოსებით წარმოგვიდგენს თარიღს: ქორონიკონით 284 წელი, რაც მე-11 მოქცევაში ქრისტეს ჭეშმარიტი ხარებისა და შობის თარიღია ორიენტირებული ქრისტეს ცხოვრების მოკლევადიან ვერსიასა და „პასქალურ ტრიადაზე“.

3. „94 წელი“ კვიკლოსებით და 95 წლიანი ციკლებით აფიქსირებს ქორონიკონით 531 წელს, რაც მე-10 მოქცევაში გვაძლევს ჩვ. წ.-მდე 286

წელს — პრინციპული მნიშვნელობის კალენდრულ-ქრონოლოგიურ მონაცემს: 25 მარტი გაზაფხულის დღეღამსწორობა, ახალი მთვარე. ეს მონაცემები თავის მხრივ წარმოადგენს 95 წლიანი ციკლის პირველ მაკონტროლებელ თარიღს, ათვლილს ამოსავალი საყრდენი თარიღიდან ჩვ. წ.-მდე 381 წლიდან.

## ლიტერატურა


1. ი. კლიმიშინი. კალენდარი და ქრონოლოგია. „მეცნიერება“, მოსკოვი, 1985 (რუს.).
2. ე. ბიკერმანი. ძველი სამყაროს ქრონოლოგია. „მეცნიერება“, მოსკოვი, 1975 (რუს.).
3. ვ. გრუმელი ქრონოლოგია. პარიზი, 1958 (ფრანგ.).
4. ნ. კანდელაკი, გ. ცერცვაძე. ქორონიკონი: მისი ადგილი და როლი ქრისტიანულ წელთაღრიცხვებს შორის. მნათობი, 3, 1990.
5. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული.
6. ვან-დერ-ვარდენი. მეცნიერება, რომელიც იღვიძებს. ტ. 2, „მეცნიერება“, მოსკოვი, 1991 (რუს.).
7. ს. სელეშნიკოვი, კალენდარისა და ქრონოლოგიის ისტორია. „მეცნიერება“, მოსკოვი, 1977 (რუს.).
8. ნ. ვორობიოვი. ფიბონაჩის რიცხვები. „მეცნიერება“, მოსკოვი, 1964 (რუს.).
9. გ. გეჩე ბიბლიური. ისტორიები. მოსკოვი. 1988. (რუს.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა კიკნაძე

# ალექსანდრე ამილახვარი და ევროპული განმანათლებლობა

XVIII ს. საქართველოს ფილოსოფიურად მოაზროვნე პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ და ტრაგიკულ ფიგურას ალექსანდრე ამილახვარი წარმოადგენს (1750-1802). მიუხედავად იმისა, რომ მასზე და მის ნაღვაწზე თითქოს საკმარისი ლიტერატურა არსებობს, მის შემოქმედებასთან დაკავშირებით მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები მაინც დაზუსტებას მოითხოვს. ამჯერად გვინდა განვიხილოთ მისი პოლიტიკური ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა“ და ამ ტრაქტატის კონკრეტული ევროპული წყაროები.

ალ. ამილახვარი დაიბადა 1750 წ. 20 ოქტომბერს[1] ქართლის უძლიერესი ფეოდალის დიმიტრი ამილახვრის ოჯახში. დედა მარიამი კი, ორბელიანთა ჩამომავალი იყო და თანაც ქართლის მეფე ვახტანგ V ენათესავებოდა. ჯერ კიდევ 1744 წელს ამილახვართა გვარის ორი უმთავრესი წარმომადგენელი — გივი და დიმიტრი (ალექსანდრეს მამა) ამილახვრები დაუპირისპირდნენ ქართლის ტახტზე გამეფებულ კახელ ბაგრატიონთა შტოს სახელოვან წარმომადგენლებს: თეიმურაზ II (1744-1762) და მის ძეს ერეკლე II (1744-1762-1789). ამილახვართა საგვარეულო კახეთის ბაგრატიონებს უზურპატორებად მიიჩნევდა და ქართლის ტახტზე რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ VI (1708-1724) შთამომავლებს ეპატიჟებოდა. ამასთან, არ ემთხვეოდა ამილახვართა, ვახტანგ VI-ის შთამომავალთა და თეიმურაზ — ერეკლეს საგარეო ორიენტაციაც. თუ ერეკლე და თეიმურაზი საქართველოს გადარჩენის იმედებს მთლიანად რუსეთის იმპერიაზე ამყარებდნენ, ამილახვართა გვარი და მათი მოკავშირენი ანტირუსული ორიენტაციისა იყვნენ. ამას კარგად მოწმობს თუნდაც პაატა ბატონიშვილის, ვახტანგ VI-ის ძის, ერთ-ერთი პირადი წერილი, სადაც იგი რუსეთის მთავრობას „მატყუარას“ უწოდებს და ამტკიცებს, რომ რუსეთის ყველა ქვეშევრდომი ისეთ დღეში იმყოფება, რომ მათ თავი ადამიანებადაც კი არ მიაჩნიათ.

ყველაზე ტრაგიკული ამილახვართა ამაყი საგვარეულოს ისტორიაში 1765 წელი გამოდგა. ამ წელს პაატა ბატონიშვილმა შეთქმულება მოაწყო ერეკლე II-ის წინააღმდეგ. შეთქმულთა შორის აქტიურობით გამოირჩეოდნენ ალექსანდრე ამილახვრის მამა დიმიტრი და თვით ალექსანდრე. შეთქმულება მალე გამომჟღავნდა და ერეკლე II-მ მოწინააღმდეგეთა მიმართ არნახული სიმკაცრე გამოიჩინა. გამოყენებული იქნა დასჯის ისეთი ბარბაროსული საშუალება-

---

1. მიუხედავად იმისა, რომ ეს თარიღი მყარად დგინდება ალ. ამილახვრის ავტობიოგრაფიული თხზულებიდან „გეორგიანული ისტორია“, სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გვხვდება მისი დაბადების სხვა თარიღიც — 1760 წ. ეს უკანასკნელი მოტანილია მაგალითად, მოსკოვში, მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1989 წ. გამოცემულ ავტორთა კოლექტიურ შრომაში — „XVII—XVIII სს. პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია“. რამდენიმე აბზაცი იქ ამილახვარსაც ეძღვნება (გვ. 367). ეს შეცდომა სათავეს იღებს ეპიტაფიიდან, რომელიც პირველად ალ. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა და რატომღაც ალექსანდრეს მიაწერა, თუმცა ეპიტაფიაში გარკვევითაა ლაპარაკი ალექსანდრეს ერთ-ერთ უმცროს ძმაზე — ტიმოთე ამილახვარზე, რომელიც დაიბადა 1760 წ. და გარდაიცვალა 1790 წ. საოცარია, რომ ეპიტაფიას მიაწერენ ალექსანდრეს ლ. ასათიანიც (1933), პ. გელეიშვილიც (1936) და ეს კურიოზული შეცდომა საბოლოოდ არ გასწორებულა დღესაც.

ბიც, რასაც საქართველოში დიდი ხანია აღარ მიმართავდნენ. ერთ-ერთ შეთქმულს ამოთხარეს თვალი და მოსჭრეს თითი, სხვას მოჰკვეთეს ენა. ალ. ამილახვრის მამა, უკვე მხცოვანი დიმიტრი, ვირზე შესვეს და ამით შეურაცხყვეს. თვით ალექსანდრეს კი მოჰკვეთეს ცხვირი და გადაუჭრეს ფეხის ძარღვი. მაგრამ ამილახვრებს მხოლოდ ეს არ აკმარეს. მათ მთელი ყმებით და მამულებით ჩამოერთვათ და მეფის პირად მფლობელობაში გადაეცა. ამავე დროს დაპატიმრებული იქნა დასახიჩრებული ალექსანდრე. 1771 წელს ალექსანდრემ შესძლო გაქცევა და ქ. ცხინვალს ჩავიდა. იქ ის შეხვდა დასავლეთ საქართველოს მეფეს სოლომონ I-ს (1764-1784), რომელმაც ალექსანდრე ძალზე თბილად მიიღო და დაეხმარა რუსეთში გაქცეულიყო (საინტერესოა, რომ ამ ამბების დაწვრილებითი აღწერილობა შემონახული აქვს იტალიელ მოქალაქეს, ვინმე სენიორ ლეონს, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა 1742-დან 1778 წლამდე. მისი რელაცია მთლიანად გამოქვეყნებული არ არის, თუმცა ზოგადი მიმოხილვა გამოცემულია 1962 წ. ქართულ პრესაში, ტექსტი დაცულია ვატიკანის არქივში).

რუსეთში ალექსანდრე 1781 წლამდე დარჩა. ამ პერიოდში იგი სწავლობს რუსულ ენას, ეცნობა ევროპულ ისტორიულ, ფილოსოფიურ ლიტერატურას. ჩანს, სწორედ მაშინ გაეცნო იგი ფრანგი განმანათლებლების იდეებს და დაებადა სურვილი ეს იდეები საქართველოს სინამდვილისათვის მიესადაგებინა.

1781 წ. ალექსანდრე ამილახვარი კვლავ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში ებმება. იგი ეხმარება ტახტის ახალ პრეტენდენტს ალექსანდრე ბაქარის-ძეს (ბაქარი — ვახტანგ VI-ის უფროსი ძე იყო). ისინი დასავლეთ საქართველოში მაგრდებიან და ერეკლეს წინააღმდეგ ლაშქრობას აპირებენ. მაგრამ მათი გეგმები ჩაიშალა და მაშინ ორივე ალექსანდრე ჩრდილო კავკასიას აფარებს თავს. 1783 წელს, როდესაც ერეკლე II-მ რუსეთთან გეორგიევსკის მფარველობით ტრაქტატს მოაწერა ხელი, მან თხოვნით მიმართა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ს შეეპყრო ორივე მისი მოწინააღმდეგე. მართლაც, რუსეთმა აასრულა ერეკლეს თხოვნა და ალექსანდრე ამილახვარი ვიბორგის ციხეში დაატუსაღა. აქ იგი იმყოფებოდა 1801 წლამდე. ამ წელს რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა; ამავე წელს ალექსანდრე ციხიდან გაათავისუფლეს. იგი გამოემართა საქართველოსაკენ, მაგრამ სამშობლომდე ვერ მოაღწია და გზაში, ასტრახანში გარდაიცვალა 1802 წ.

ალ. ამილახვარის ბიოგრაფიის გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, რატომ სძულდა მას ერეკლე II და რატომ მიიჩნევდა მას თავის პირად მტრად. სამწუხაროდ, ალ. ამილახვარის პოლიტიკური ტრაქტატის განხილვისას, ზოგიერთი მკვლევარი, ნებით თუ უნებლიეთ, ამ ვითარებას სათანადოდ ვერ ითვალისწინებს და ერეკლეს წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ ბრძოლას — საერთოდ, სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლად თვლის. ასე აქვს შეფასებული ტრაქტატი, მაგალითად, ალ. ამილახვრის შემოქმედების სერიოზულ მკვლევარს — გ. იკოფაშვილს, რომელმაც 1955 წელს ვრცელი გამოკვლევა უძღვნა XVIII ს. ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას (გ. იკოფაშვილი, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში XVIII ს დასასრულს. ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. I, თბ., 1955, გვ. 271-302).

პირველი, ვინც აღნიშნა ალ. ამილახვრის ტრაქტატის კავშირი ევროპელ განმანათლებლებთან ტრაქტატის გამომცემელი, ე. თაყაიშვილი იყო. მას მიაჩნია, რომ ტრაქტატი განიცდის ევროპელ ენციკლოპედისტთა — რუსოს, ვოლტერისა და განსაკუთრებით მონტესკიეს გავლენას (ალ. ამილახვარი, „ბრძენი ალმასხაველთისა“, ე. თაყაიშვილის გამოცემა, „მოამბე“, № 2, თბ., 1902 წ, თავი V, შესავალი).. თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს იგივეს ლევან ასათიანი პატარა წიგნაკში — „ვოლტერიანობა საქართველოში“ (თბ., 1938, გვ. 58); პეტრე ვულეიშვილი, რომელმაც მონოგრაფია უძღვნა ალექსანდრე ამილახვარს (XVIII ს ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობიდან. ალ. ამილახვარი როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, მოაზროვნე, თბ., 1936), აღნიშნავს: „ამილახორზე ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა მონტესკიეს („კანონთა არსის შესახებ“), რუსოს „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“ და ვოლტერის ზოგიერთ ნაწერებს“ (დასახელ. წიგნში, გვ. 106); მაგრამ ამაზე შორს ავტორი აღარ მიდის და იქვე დასძენს: „ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუდგებით ტრაქტატში გამოთქმული აზრების შედარებას იმ წყაროებთან, რომლებითაც ავტორს უსარგებლია. ჩვენ აქ მხოლოდ ვასახელებთ ზოგიერთ თხზულებას და მკითხველს თვითონ შეუძლია უფრო დეტალურად შეისწავლოს საკითხი“ (იქვე). ასეთივე ზოგადი ფრაზებით კმაყოფილდება გ. ქიქოძეც, რომელმაც ამილახვრის ავტობიოგრაფიული, ფაქტიურად კი, ერეკლეს საწინააღმდეგო თხზულება რუსულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო („მნათობი“, 1939, № 8. გვ. 125).

ამის შემდეგ ამილახვარზე მნიშვნელოვანი არაფერი დაწერილა. ახლად გამოსულ სახელმძღვანელოებსა თუ ზოგადი ხასიათის შრომებში ძირითადად აღნიშნულ ავტორთა აზრებია გაზიარებული. ამგვარად, ფაქტობრივად არაფერი გაკეთებულა ამილახვრის ევროპული წყაროების მოსაძიებლად და ამ წყაროების კონკრეტული ანალიზისათვის. ჩვენ შევეცდებით მხოლოდ კონკრეტული ფაქტებით ვაჩვენოთ ზოგიერთი ევროპელი განმანათლებლის შრომათა გავლენა ამილახვრის ტრაქტატზე.

ტრაქტატი შედგება 10 თავისაგან და მიძღვნილია დასავლეთ საქართველოს მეფის სოლომონ I-სადმი. ამილახვარი სოლომონს თავის მხსნელს და მფარველს უწოდებს და ევედრება, მისი მეფური მდგომარეობის მიუხედავად, არ იუკადრისოს ავტორის ეს მცირე ძღვენი. ალექსანდრე ურჩევს მეფეს მიბაძოს ტრაქტატში გატარებულ აზრებს და ისე იმეფოს, ვით სოლომონ ბრძენმა, მისმა მოსახელემ. უკვე ამ მიძღვნიდან ნათელი ხდება, რომ მცდარია ის აზრი, თითქოს ალ. ამილახვარი საერთოდ მეფეთა ხელისუფლების წინააღმდეგია. რომ თითქოს მისი მსჯელობა „სამეფო ხელისუფლების შესახებ გამსჭვალულია შეუზღუდავი, თვითმპყრობელი მმართველისადმი უაღრესი სიძულვილით“ (გ. აკოფაშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 285). სინამდვილეში, ალ. ამილახვარი, „უაღრესი სიძულვილით“ გამსჭვალულია პირადად ერეკლე II-ის მიმართ და ეს არც არის გასაკვირი. მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ გადაიტანა, ცხადია, ერეკლეს პოლიტიკისა და მოღვაწეობის მიმართ ავტორი ობიექტურობას ვერ იცავს. სხვა საკითხია, ამ პირად მტრობას საერთოდ მეფობის ინსტიტუტზე ავრცელებს თუ არა ავტორი. რამდენადაც დასახელებული ტრაქტატი მოწმობს, ეს ასე არ არის.

ტრაქტატის პირველი თავის დასაწყისშივე ამილახვარი წერს[1]: „ბედნიერია ის ერი, ვისაც ბრძენი მეფე ჰყავს და ნეტარია ის მეფე, რომელსაც მორჩილი ერი ჰყავს... ერთის გარეშე მეორის ბედნიერებაც სრული ვერ იქნება“. და შემდეგ: „მრავალი ადამიანი სწორედ იმიტომ უმორჩილებს თავის ნებას ერთ პირს, რომ კეთილდღეობის იმედი აქვს... ჰოი როგორი ბედნიერია და სანატრელი მეფე, რომელიც თავის ვალდებულებას გრძნობს (ერის წინაშე) და სამეფო გვირგვინის სიმძიმეს ღირსეულად იტვირთავს; რომელსაც ადვილად არ ჰგონია თავისი უღელი“. უფრო მეტიც, ერეკლეს უპირველესი მტერი ამილახვარი საზოგადოდ მეფის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად მიიჩნევს „საშინაო არეულობათა დაცხრობას“ (ალ. ამილახვარი, დასახელებ. გამოცემა, გვ. 20). ვფიქრობთ, მოტანილი ადგილები ვერაფრით ვერ ჩაითვლება სამეფო ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ნააზრევად. მაგრამ, სამწუხაროდ, გ. აკოფაშვილი ამილახვრის მიერ „გეორგიანულ ისტორიაში“ ერეკლეს მიმართ გამოთქმულ გესლიან შენიშვნებს, პირდაპირ ავრცელებს ხსენებულ ტექსტზე (აქ უთუოდ იმანაც ითამაშა როლი, რომ, როგორც გ. აკოფაშვილი თითონვე აღიარებს, ამილახვარი „თავის პოლიტიკურ მიზნებს უკავშირებს ა რ ა რ უ ს ე თ ს (ხაზი ჩვენია, ვ. კ.), რომლისკენაც იყო მიმართული იმდროინდელი ქართული პროგრესული საზოგადოების მთელი მიზანსწრაფვა.“ შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ „ეს გარემოება ალ. ამილახვრის, როგორც რეაქციული ბუნების მოღვაწის, რეაქციული თავადობის წარმომადგენლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია“ (გ. აკოფაშვილი, დასახ. შრ., გვ. 288).

სინამდვილეში, ამილახვარი, დასავლურ ევროპელი განმანათლებლების ნააზრევის შესაბამისად, მიიჩნევს, რომ მეფე, როგორც ერის უზენაესი ნების გამომხატველი, უნდა იყოს განათლებული, ბრძენი მონარქი. მისი უფლებები უსაზღვრო არ უნდა იყოს. ე. ი. აშკარად იგრძნობა მონარქიული წყობის გამიჯვნა დესპოტიზმისაგან, რაც კლასიკური ფორმით მოცემული აქვს ფრანგ განმანათლებელს შ. ლ. მონტესკიეს (1689-1755). მონტესკიე გამოყოფს რესპუბლიკურ, მონარქიულ და დესპოტურ წყობილებას. ფრანგი განმანათლებლის მიხედვით, მართალია, ორივე წყობილების დროს ხელისუფლება ერთი პირის ხელშია, მაგრამ მონარქიული წყობილება სწორედ იმით განსხვავდება დესპოტურისაგან, რომ იქ, ერთი პირის ნება და ხელისუფლება უსაზღვრო არ არის. მონტესკიე წერს: „მონარქიული წყობის დროს ერთი ადამიანი მართავს, მაგრამ მკაცრად განსაზღვრული, უცვლელი კანონების მეშვეობით. დესპოტური წყობის დროს კი, ყოველგვარი კანონების და წესების გარეშე, მთავარი წარმმართველი ძალა არის — ერთი პირის ნებასურვილი“ (.შ ლ. მონტესკიე, კანონთა არსის შესახებ, რჩეული ნაწერები, მოსკოვი, 1955, რუსულ ენაზე).

ალ. ამილახვარი სწორედ მონარქიის დესპოტიაში გადაზრდის წინააღმდეგია (თუმცა თვით სიტყვას „დესპოტიას“ არსად ახსენებს.) იგი წერს, რომ შეუზღუდველი უფლებების და პირადი უარყოფითი თვისებების მქონე მეფე დაღუპავს თავის ერს და საბოლოოდ თავის თავსაც. ამიტომ, წერს ალ. ამილახვარი, „შესაბრალისია ის ერი, ვინც ისედაც მცირე ხნის თავის სიცოცხლე ასეთი პირის ხელში ჩააგდო და მისი (მეფის) ზნეობის და მიდრეკილების გამოუკვლევად, მას მხოლოდ დიდებული ჩამომავლობის (გვაროვნების) გამო დაემორჩილა“ („ბრძენი აღმოსავლეთისა“, დასახ. გამოც, გვ. 24). ამგვარად, აშკარაა, რომ, ამილახვრის აზრით, შესაძლებელია მეფის შერჩევა პირადი თვისებების მიხედვით. ფაქტობრივად, აქ საქმე გვაქვს შეზღუდულ (კონსტიტუციურ) მონარქიასთან. თუმცა ავტორი არავითარ მექანიზმს არ ასახელებს, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ამ პროცესის განხორციელებას, მაგრამ ეს არც არის მოსალოდნელი, რადგან აღნიშნული ნაშრომი მხოლოდ თეორიული ხასიათისაა.

1. იმის გამო, რომ XVIII საუკუნის ორიგინალური ტექსტი ფართო მკითხველისათვის შესაძლოა ძნელად გასაგები იყოს, ციტატები, ყველგან თანამედროვე ქართულით გადმოვეცით, ვ. კ.

ამავე თავში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი ამას იმიტომ არ წერს, რომ პატივს არ სცემს „მეფეთა და თავადების სახელს, რომელთა წინაპრებმა ეს სახელი დაიმსახურეს თავისი საქმეებით.. მამულის (ე. ი. სამშობლოს) წინაშე მრავალგვარი სამსახურით". მაგრამ ამილახვარი იქვე განმარტავს, რომ მას დასაშვებად მიაჩნია დიდებული გვარების ჩამომავლებს ეს სახელი (პატივი) ჩამოერთვათ კიდეც, „თუ ისინი თავისი მამულის მიმართ ბოროტებას ჩაიდენენ".. მათ „პატივი (სახელი) სამუდამოდ არ მიჰქონიათ და მათი განკითხვის უფლება ერის ხელშია" (იქვე).

როგორც ვხედავთ, ალ. ამილახვარი გამოხთქვამს თავისი დროისათვის მეტად პროგრესულ აზრებს, რომელთა საფუძველი სულაც არ არის მხოლოდ და მხოლოდ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა და დამცირება. მის ზოგად პროგრესულ აზროვნებას კიდევ უფრო კარგად წარმოაჩენს შემდეგი დებულება, რომელიც ამავე თავშია მოყვანილი: „მხოლოდ სიბრძნით შეიძლება თაყვანი სცე საკუთარ გვარ-ტომობას, ვითარცა რაღაც ხელმრთო რამეს". ამ აზრს იგი შემდეგ უფრო ავითარებს, როცა წერს, რომ თავადაზნაურობის ღირსეულ წარმომადგენელს შესაძლებელია ხარისხი ჩამოერთვას, მაგრამ არ არის საჭირო ერთი პიროვნების გამო მთელმა გვარმა განიცადოს რეპრესიები. საკმარისია კონკრეტულ პირს ჩამოერთვას პატივი და მისივე გვარის სხვა შესაფერის პირს გადაეცეს იგი. საბოლოოდ, ამილახვარი ასკვნის: „მე პატივს ვცემ გვარიშვილობას, ვაფასებ დამსახურებას, მაგრამ თაყვანს ვცემ კეთილმოქმედებას (ქველმოქმედებას) როგორც რაიმე ღვთაებას, რომელიც აუცილებელია ყველა ადამიანისათვის" (იქვე, გვ. 25).

აქ უთუოდ ყურადღებას იქცევს მონტესკიეს მიერ ხშირად ნახსენები ქველმოქმედება. მართალია, ფრანგი განმანათლებელი მიიჩნევს, რომ ქველმოქმედება მხოლოდ რესპუბლიკური წყობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა (მონარქიისა კი, ღირსება); მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამილახვარი სიტყვასიტყვით კი არ იმეორებს მონტესკიეს და სხვა განმანათლებელთა აზრებს, არამედ გადამუშავებული სახით. ამ თავის დასასრულს ალ. ამილახვარი რიტორიკული კითხვებით ასაბუთებს იმ თვისებათა აუცილებლობას, რაც ადამიანს და, პირველ რიგში, მონარქს უნდა ახასიათებდეს. ამ თვისებათა შორის იგი ასახელებს: ქველმოქმედებას, მოწყალებას, მართლმსაჯულებას, მოყვასის სიყვარულს, მრავალშვილიანობას, მამულის სიყვარულს. ავტორი ასკვნის, რომ სახელისა და დიდების მოპოვება ამ თვისებათა გარეშე შეუძლებელია. ამ თვისებათა არ მქონე ერის მეთაურს (მწყემსს) იგი ადამიანების კი არა, პირუტყვის შესაფერისადაც კი არ მიიჩნევს (იქვე). ამ თავში აშკარად იგრძნობა, რომ ამილახვარი მომხრეა ისეთი მონარქიული (და არა დესპოტური) წყობისა, რომლის მეთაური განათლებული და ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილი, მისი რჩეული იქნება. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ამილახვარი არ იზიარებს შუა საუკუნეების მთავარ ლეგიტიმისტურ დებულებას სამეფო ხელისუფლების ღვთიური წარმომავლობის შესახებ. ავტორის მოსაზრებები უფრო ახლოა სამეფო ხელისუფლების ისეთ ინტერპრეტაციასთან, რომელიც XVIII ს. II ნახევარში უკვე გაჩნდა ევროპაში. ევროპელი მოწინავე მოაზროვნენი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო და სამეფო ხელისუფლება შედეგია ე. წ. სახალხო შეთანხმებისა. უნდა აღინიშნოს, რომ ამილახვრის მიერ დახატული ბრძენი მონარქი ახლო დგას ინგლისელი მოაზროვნის ბოლინგბროკის (XVIII ს. I ნახევარი) მიერ იდეალურად მიჩნეულ მონარქის ტიპთან. ბოლინგბროკი წერდა, რომ მონარქიაში წესიერების და კანონიერების გარანტი შეიძლება იყოს ისეთი პატრიოტი მეფე, რომელიც აღჭურვილია უმწიკვლო პირადი თვისებებით: სამართლიანობით, პატიოსნებით, მიუმხრობლობით.

რაც შეეხება დიდ ინგლისელ ფილოსოფოსს ჯონ ლოკს (1632-1704), მისი მთავარი პოლიტიკური დებულება ითვალისწინებდა ხალხის მიერ მთავრობასთან, სუვერენთან დადებული საზოგადოებრივი ხელშეკრულების (მას მიაჩნდა, რომ ასე გაჩნდა სახელმწიფო) დენონსირებას, ხალხის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში. თუ მთავრობა დაარღვევდა ხალხის თავისუფლებას, მოსახლეობას, ლოკის აზრით, შეეძლო აჯანყებულიყო. ამასთან, იგი ხაზს უსვამდა, რომ აჯანყება უმცირესობის აქტი არ უნდა ყოფილიყო. ლოკს მიაჩნდა, რომ ამ უფლების მინიჭება ხალხისათვის სამოქალაქო საზოგადოებას არ დაანგრევდა, რადგან, მისი სიტყვით, საზოგადოდ, ხალხი უმნიშვნელო დარღვევების გამო იარაღს არ მოკიდებდა ხელს (ჯ. ლოკი, რჩეული ფილოსოფიური ნაშრომები, მოსკოვი, 1960, ტ. 2, გვ. 186, რუსულ ენაზე).

კარდინალურ საკითხებში ამილახვრის დებულებები დიდად უახლოვდება, აგრეთვე, გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსის თომას ჰობსის (1588—1679) ნააზრევსაც. მაგალითად, ჰობსმა ერთ-ერთმა პირველმა განავითარა პლატონის მოძღვრება ფილოსოფოს-მმართველთა შესახებ და დაასკვნა, რომ იდეალურია ის ვარიანტი, როდესაც ქვეყანას მართავს არა განუკითხაობა, ჟინიანობა და უვიცობა, არამედ თვით გონება, რომელიც დაუფლებულია პოლიტიკის კანონებს. ჰობსი ასევე, უარყოფს სამეფო ხელისუფლების სხვაგვარ წარმომავლობას, თუ არა შეთანხმების ხელშეკრულების საფუძველზე (ჰობსი, რჩეული ნაწერები, მოსკოვი, 1965, ტ. 2, გვ. 186, რუსულ ენაზე). სახელმწიფო წყობილების

საუკეთესო ფორმად ჰობსი მონარქიას მიიჩნევს და მონარქიული სახელმწიფოს ადამიანის სხეულს adარებს. იგი წერს: „სახელმწიფო ერთი პირია, რომელსაც ხელშეკრულების ძალით პასუხისმგებლობა დააკისრა ხალხის დიდმა რაოდენობამ. ეს გაკეთდა იმისთვის, რომ ამ პირმა (სახელმწიფომ, ვ. კ.) გამოიყენოს მათი ყოველგვარი ძალა და საშუალება, ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლის მისსავე მშვიდობისა და დაცვის უზრუნველსაყოფად. „შემდეგ ჰობსი წერს, რომ ამგვარად იქმნება „პოლიტიკური სხეული (გვამი)" და რომ სახელმწიფო თავისებური „ხელოვნური ადამიანია". სახელმწიფოს მმართველობის ორგანოებს და ფუნქციებს ჰობსი ადამიანის სხეულის ნაწილებსა და მათ ფუნქციებს ადარებს. დაახლოებით იგივეს ამტკიცებს ამილახვარიც, რომელიც ტრაქტატის შემდეგ თავში, მეფეს საერთო სახელმწიფო ორგანიზმის (გვამის) თავს უწოდებს. ამის გარდა, ჰობსი ბუნებრივ მდგომარეობად აღიარებს ადამიანთა თანასწორობასა და თავისუფლებას, რასაც აგრეთვე იზიარებს ამილახვარი (თ. ჰობსი, დასახ. წიგნი, გვ. 2, 149, 168 და სხვ.).

მეორე თავი ეძღვნება თავადებსა და მთავრებს. ისტორიკოსთა წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით, აქ ყველაზე მეტად უნდა წარმოჩენილიყო ავტორის მიერ მეფის უფლებათა დამცრობის მცდელობა და თავად-აზნაურთა წინ წამოწევა. გ. აკოფაშვილი სწორედ ასე წარმოაჩენს ალ. ამილახვრის ნააზრევს. იგი წერს, თითქოს ამ თავში ამილახვარი მხოლოდ იმას ქადაგებს, „დაამცროს სამეფო ხელისუფლება, შეკვეცოს მისი უფლებები". ჩვენი აზრით, ამილახვარი იმას კი არ ამტკიცებს, რომ მეფეს მრავალი უფლება ჩამოერთვას და მის კარისკაცებს დაურიგდეს, პირიქით, წუხს იმას, რომ ბრძენი და ქველმოქმედი მეფე შესაძლოა ძალზე ცუდად წარმოჩინდეს მისი კარისკაცების უმაქნისობის და მათი გადამეტებული უფლებების გამო. იგი წერს: „როგორც ღმერთმა პირველი ადამიანის შექმნისას (სხეულის) ყველა ნაწილი სიცოცხლის გასაგრძელებლად და დასაცავად გაუჩინა მას, ასევე ბრძენი მეფე, შექმნილი საერო პირთა თავად, ვალდებულია (სახელმწიფოებრივი მმართველობის, ვ. კ.) ყოველი ნაწილი თავისი შესაფერისი შეარჩიოს". და შემდეგ: „სამეფო კარის წევრები რჩეული პირები უნდა იყვნენ, რათა იმათმა უწესო ქცევამ მეფე უძლურად (საპყრად) არ აქციოს" (ა. ამილახვარი, დასახ. ნაშრ., გვ. 25.) როგორც ზევით აღვნიშნეთ, აქ ერთგვარი თანხვედრაა თ. ჰობსის პოსტულატებთან. ამ აზრს კიდევ უფრო აძლიერებს ჰობსის და ამილახვრის მსჯელობა „ჯანსაღ" სახელმწიფო აპარატზე. ჰობსის სიტყვით, უმაღლესი ხელისუფალი თავის ძალაუფლებას ახორციელებს არა ყველა საქმეში უშუალო ჩარევით, არამედ სახელმწიფოში მნიშვნელოვან თანამდებობებზე შესაფერის პირების არჩევისა და დანიშვნის მეშვეობით (ჰობსი, დასახელ. წიგნი, ტ. 1, გვ. 375). სხვა საკითხია, უშუალოდ ჰობსის შრომებს, (რომელთაგან უმნიშვნელოვანესია — „მოქალაქის შესახებ" (1642) და „ლევიათანი, ანუ სამოქალაქო და საეკლესიო სახელმწიფოს მატერია, ფორმა და ძალაუფლება" (1651)) გაეცნო ამილახვარი, თუ სხვა ავტორთა მეშვეობით გაიაზრა ისინი. ამ საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემა ამჟამად თითქმის შეუძლებელია. ალ. ამილახვარი რამდენიმე კონკრეტულ თანამდებობასაც ასახელებს, რომელთა მეთაურად შეუფერებელი პირების დანიშვნა გამოიწვევს სამეფოს, ე. ი. ქვეყნის მართვა-გამგეობის სწორი გზიდან აცდენას და დაღუპავს მას. ყურადღება გამახვილებულია განსაკუთრებით სასამართლო საქმეთა ზედამხედველთა და თვით მოსამართლეთა მიუკერძოებლობის აუცილებლობაზე. ამ თავის დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მმართველობის დასნეულებული ნაწილი დროზე თუ არ განიკურნა (მოიკვეთა), მაშინ ის მთელ საერო სხეულს სასიკვდილო სენს შეჰყრის (ალ. ამილახვარი, დასახ. ნაშრ. გვ. 27). სიმპტომატიურია, და ჰობსსაც მიაჩნია, რომ თუ სახელმწიფო არღვევს მისი შექმნის მთავარ მიზანს (არ იცავს ხალხის მშვიდობასა და უსაფრთხოებას), ეს—„ხელოვნური ორგანიზმი" ავადდება. იგი დროზე უნდა განიკურნოს, თორემ „პოლიტიკური გვამის" (ე. ი. სახელმწიფოს) სიკვდილი გარდუვალია (ჰობსი, დასახ. შრ., ტ. 2, გვ. 238-242). როგორც ვხედავთ, ამ თავშიც ამილახვარი მეფის დამცრობაზე კი არა, მისი ავტორიტეტის ამაღლებაზე ზრუნავს. იგი ხაზს უსვამს მხოლოდ იმას, რომ მეფე „ბრძენი" (განათლებული მონარქი) უნდა იყოს. ეს იდეა მას აშკარად ევროპელ მოაზროვნეთაგან და კერძოდ ვოლტერისგან (1694-1778) აქვს აღებული.

ამავე თავში ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი, რომელიც აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ავტორი იცნობს მონტესკიეს შრომას — „კანონთა არსის შესახებ". ალ. ამილახვარი წერს, რომ თუ მეფის ნაცვლები (მოადგილეები), რომელთაც მეფის თვალს უწოდებენ, აღმოჩნდებიან სისხლისმსმელნი — „მეფეს გამოაჩენენ ვითარცა —ვასილისკოს (საშინელ ურჩხულს, ვ. კ.), რომლის შეხედვას ვერავინ უძლებს და რომელიც მაშინვე სულს ხდის ყველას" (ამილახვარი, დასახ. შრ., გვ. 28. ხაზი აქ და ქვემოთ ჩვენია, ვ. კ.). საინტერესოა, რომ მონტესკიე თავისი შრომის მეხუთე წიგნის მეშვიდე თავში, რომელიც მონარქიის პრინციპების რღვევას ეხება, წერს, რომ სხვა მიზეზთა შორის, მონარქიული წყობილება იშლება მაშინ, „როცა მეფე სამართლიანობას პირქუშობით სცვლის, როცა ის, რომის იმპერატორთა მსგავსად, მკერდზე მედუზას თავს ატარებს, როცა... მრისხანე და საშიში გამომეტყველებას იღ-

ვებს საზეზე.“ (მონტესკიეს შრომის დასახ. გამოც., გვ. 259). ვფიქრობთ, ამილახვრის ტრაქტატში ვხვდებით. მონტესკიეს მოტანილი ადგილის თავისუფალ ინტერპრეტაციას, სადაც მედუზას თავი, შეცვლილია ზღაპრული ურჩხულით — ვასილისკოთი, რომლის ერთი შეხედვა ადამიანს კლავს. ამგვარად, ამ თავშიც არაფერია ისეთი, რასაც ამილახვრის შემოქმედების მკვლევარი მიაწერს მას: „ა. ამილახვარს ისეთი მეფე სურს, რომელიც არ იქნება თვითმპყრობელი, რომელიც თავის ქვეშევრდომთა თანასწორი, მათი ნება-სურვილის აღმსრულებელი, მათი მორჩილი ქნება“ (გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 286).

მესამე თავში გაშუქებულია საკითხი სამეფოს შეიარაღებული ძალების (მხედრების) შესახებ. ალ. ამილახვარი ახსნის, რომ ქვეყნისთვის, შეიარაღებული ძალების გარეშე არსებობა შეუძლებელია. იგი მიმართავს ასეთ შედარებას: ადამიანს თუ ხელი არ აქვს, იგი ვერც სამშვიდობოდ გამოიყენებს მას და ვერც სამტროდ. ასევეა, მისი სიტყვით, ქვეყანა შეიარაღებული ძალების გარეშე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკითხი, ახსნის ამილახვარი, ვინ დაინიშნება ჯარის მხედართმთავრად. მის პირად თვისებებსა და მოქცევაზე ძალზე ბევრია დამოკიდებული: „როგორც მეფეა ვალდებული გაიღოს წყალობა და სიყვარული, ყველა სხვა კი მისი მორჩილი და ერთგული უნდა იყოს, ასევე უნდა იქცეოდნენ მხედართმთავრები და მხედრები (ჯარისკაცები) ერთმანეთის მიმართ“ (ალ. ამილახვარი, დასახ. ნაშრ. გვ. 27). ამ ციტატიდან კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, როგორია მეფის იდეალი ავტორისათვის, ე. ი. იგი ფიქრობს, რომ როგორც იდეალური, გონიერი მეფე უნდა ექცეოდეს თავის ერს, ასევე მხედართმთავარი უნდა ექცეოდეს თავის ხელქვეითებს. ამილახვარი ხაზს უსვამს იმას, რომ დაუშვებელია წოდებით უფროსებმა ისარგებლონ თანამდებობით და დაამცირონ თავისზე დაბალი წოდებისანი. ამილახვარი წერს: „ამ საქმეში მეფეს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ ისეთი (პირი) შეარჩიოს მხედართმთავრად, რომელიც ბრძოლაშიც გამოცდილია და ასევე ერთგული, მოყვარე და ჭეშმარიტი შვილია თავისი სამშობლოსი. მეფეს არ უნდა ეშინოდეს მისი ღალატისა და მისი დამსახურებისამებრ შესაბამისი უხვი წყალობა უნდა გასცეს“. (იქვე).

ამ თავის დასასრულს ამილახვარი გამოსთქვამს შემდეგ საყურადღებო აზრს: „(რაც შეეხება) ჯარის სიმრავლესა და რიცხვს, ეს დამოკიდებულია (ამა თუ იმ) სამეფოს შემოსავალზე, რადგან ზომაზე მეტი (ჯარის ყოლა), ძლიერების ნაცვლად, აუძლურებს ქვეყანას. მაგრამ ჯარის სულ არ ყოლაც არ იქნება, რადგან ამ სოფლის ვითარება ისეთია, რომ (ქვეყანაზე) უფრო მეტია შუღლი და ბრძოლა, ვიდრე მშვიდობა და სიყვარული. ამიტომ, ჩვენი ბუნება უფრო მხეცთა ბუნებას გავს, ვიდრე პირველი ადამიანისას (ბუნებას), რომელიც ღმერთის მიერ სრულყოფილებით იქნა აღჭურვილი“ (იქვე, გვ. 28). ყურადღებას იქცევს მისი ციტატის ბოლო წინადადება, სადაც ლაპარაკია პირველყოფილი ადამიანების სრულყოფილებაზე. გარდა საკუთრივ ბიბლიისა, აქ შესაძლოა ჟ. ჟ. რუსოს გავლენაც ვიგულისხმოთ, რომელიც აიდეალებდა პირველყოფილ „ბუნებრივ კანონებთან“ შესაბამისობაში მყოფ ადამიანს. როგორც ვხედავთ, ამილახვარი აქაც მეტად ჰუმანურ პოზიციებზე დგას და მისი აზროვნების ვიწრო, რეაქციულთავადური იდეოლოგიის ჩარჩოებში მოქცევა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ისტორიული უსამართლობაა.

მეოთხე თავი ეკლესიასა და საეკლესიო წესებს შეეხება. ავტორის პირველივე სიტყვები ნათლად მოწმობს, რომ იგი კრიტიკულად, ყოველგვარი ფანატიზმის გარეშე ეკიდება ეკლესიას. ამილახვარი ერთმანეთს უპირისპირებს ქრისტეს მოძღვრებასა და ქმედებას და მის ამქვეყნიურ გამგრძელებელთა ქმედებასა და ქადაგებას. საეკლესიო წესების მთავარი დანიშნულება, მისი აზრით, უსიტყვო მორჩილება კი არ არის, არამედ „ადამიანთა ბოროტების შეზღუდვა“. ამილახვარი წერს, რომ მას სწამს ქრისტეს ქადაგება, მაგრამ მის გამგრძელებლებისაგან არაფერს კარგს არ ელის, რადგან სიმშვიდის, სისადავის, სიღარიბის და უპრეტენზიობის ნაცვლად, ისინი მიილტვიან სიმდიდრისაკენ, უმაღლეს საერო ხელისუფლებისაკენ და ხშირად მთელ მსოფლიოში შფოთის წამომწყებნი არიან“ (ამილახვარი, დასახ. ნაშრ. გვ. 24). შემდეგ ამილახვარი განაგრძობს: იმისთვის, რომ ასეთ შფოთს და განხეთქილებას არ ჰქონდეს ადგილი, ალბათ, უფრო სწორი იქნება ყველა ხალხს მივცეთ იმის უფლება აღიარონ ის ღმერთი, რომელიც მათ სწამთ და ილოცონ ისე, როგორც მათ მიაჩნიათ სწორად, რადგან ადამიანების სულებზე ბატონობის უფლება ღმერთის გარდა არავისა აქვს. საჭიროა მხოლოდ ზომიერების დაცვა რელიგიაში, ისევე როგორც ყველაფერში, რადგან ამ ქვეყანაზე ზომას გადასული არაფერი არ ვარგა. ამილახვარი იქვე დასძენს, რომ ყოველივე ამას იმიტომ კი არ ამბობს, რომ „პატივი არ ვცეთ მღვდელთმთავრებს“, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სამღვდელოება აქტიურად არ ერეოდეს საერო საქმეებში და მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს „კეისარს — კეისრისა და ღმერთს — ღმერთისა“ მიუზღოს (იქვე, გვ. 29). როგორც ტრაქტატის ეს თავი მოწმობს, ამილახვარი არ გვევლინება რელიგიურ ფანატიკოსად, რაც ასე დამახასიათებელი იყო ამ პერიოდის საქართველოს კონსერვატიული წრეებისთვის. საინტერესოა მაგალითად, რომ საქართველოს უკანასკნელი სწე-

ლი მეფე — გიორგი XIII (1798-1800) ხაზგასმით აღუშფოთებია მისი უფროსი ძის დავით უფლისწულის საქციელს, რომელმაც რუსეთიდან ვოლტერის სურათი ჩამოიტანა და ხატის ნაცვლად დაიკიდა თავის ოთახში. ღრმად მორწმუნე გიორგი XIII, ვოლტერს დიოკლეტიანეს, ნერონსა და იულიანეს (განდგომილს) ადარებს, სწორად შენიშნავს გ. აკოფაშვილი, რომ ამილახვრის შეხედულებანი სამღვდელოებაზე ვოლტერის ნააზრევს უახლოვდება (გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 294-296). ჩვენ დავუმატებთ, რომ ვოლტერის გარდა, ამ საკითხშიც ამილახვარი უცილობლად მონტესკიეს „კანონთა არსის" გავლენასაც განიცდის. მაგალითად, მონტესკიე პირდაპირ მოუწოდებს პოლიტიკოსებს რჯულშემწყნარებლობისაკენ, თუმცა განსხვავებაც თვალსაჩინოა. მონტესკიე აღიარებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც მისთვის სულერთია რომელი რელიგიაა სწორი და რომელი ყალბი, მთავარია რამდენად ემსახურება იგი ამა თუ იმ საზოგადოებას (თუმცა მაინც ჩანს, რომ იგი უპირატესობას ქრისტიანობას ანიჭებს. მონტესკიე, დასახელ. ნაშრ., გვ. 530, 558). ვოლტერი უფრო შეურიგებლადაა განწყობილი ქრისტიანობისადმი და აცხადებს, რომ რელიგია საჭიროა მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობისათვის. იგი მიიჩნევს, რომ არსებობს ბუნებრივი ძალა, რომელმაც დასაწყისი მისცა ყველაფერს და თვითონვე აწესრიგებს სამყაროს (ვოლტერი, ფილოსოფიური თხზულებანი, მოსკოვი, 1988, გვ. 620-629; 646, 689, 717 რუსულ ენაზე). მეორე მხრივ, ამილახვარი სრულიად გარკვევით აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიას და ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავს თვით ქრისტეს და მისი სახელით მოქმედ ეკლესიის მსახურთა საქმიანობას. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან საქართველოს ისტორიის გარკვეულ მანძილზე ქრისტიანობა გადამწყვეტ იდეოლოგიურ როლს ასრულებდა. ამ თავში ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ავტორის მსჯელობა ზომიერების დაცვის აუცილებლობის შესახებ. ვფიქრობთ, აქაც გავლენაა მონტესკიესი, რომელიც „კანონთა არსში" მიუთითებს, რომ ყველა კანონმდებლის მთავარი მიზანი ზომიერება უნდა იყოს (მონტესკიე, დასახელებ. წიგნი, გვ. 300).

მეხუთე თავში ამილახვარი განიხილავს ვაჭრობის როლს სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის. რადგან ამ დროის საქართველოში კაპიტალიზმი ჩანასახოვან მდგომარეობაშიც კი არ იმყოფებოდა, მიწათმოქმედება, ვაჭრობა და ხელოსნობა ავტორისათვის ქვეყნის მთავარი ეკონომიკური ბერკეტია. ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში ვაჭრობა დამამცირებელ საქმიანობად ითვლებოდა. ამის საწინააღმდეგოდ, დიდი ფეოდალი ამილახვარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ისე არაფერი ამდიდრებს და აძლიერებს სახელმწიფოს, ვითარცა ვაჭართა სიმრავლე და მათი საქმიანობა.. მათ ნურც ნურავინ შეურაცხყოფს სახელმწიფოში, რადგანაც ესენი არიან ჯარის სიმრავლე, ერის შემოსავალი და მეფის დიდება": და თუ ვინმეს ფუფუნებაში ცხოვრება უყვარს, ვაჭრებს აგდებით ნუ მოეპყრობათო, აფრთხილებს იგი ყველას. „ვაჭრები, თავის ბუნებით კეთილგონიერ ფუტკარს გვანან.. ხოლო თუ რამე ნაკლს ვნახავთ ვაჭრებს შორის, უნდა მოვითმინოთ ისევე, როგორც ფუტკართა პატრონი ითმენს მათ კბენას", ასკვნის იგი (ამილახვარი, დასახ. ნაშრ., გვ. 80). ამ თვალსაზრისთან ძალზე ახლოს არიან ფრანგი „ფიზიოკრატები" და მათი ერთ-ერთი იდეური წინაპარი ინგლისელი ფილოსოფოსი დევიდ იუმი (1711-1776), რომელიც მიიჩნევდა, რომ ვაჭრობა და მრეწველობა მთავრობის ყოველგვარი შეზღუდვებისაგან უნდა განთავისუფლებულიყო.

მეექვსე თავი გლეხებს ანუ მიწათმოქმედებს ეძღვნება. ამილახვარი წერს, რომ, მართალია, სახელმწიფოში გლეხებს უკანასკნელი ადგილი უჭირავთ წოდებრიობის მიხედვით, მაგრამ მათი შრომა უპირველესად საჭიროა მთელი ერისათვის; ყველაფრის უკმარისობას მოითმენს ადამიანი და მხოლოდ არა საკვებისას, წერს იგი. ესეც რომ არ იყოს, ასკვნის ამილახვარი, ყოველგვარ უპირატესობაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ყველა ადამიანი თანასწორად იბადება და თანასწორად კვდება. „არავინ არის მეორეზე უკეთესი ან უარესი — ყველანი ერთი სხეულის — ერის ნაწილები ვართ. ბედნიერია ის ერი, ვისთანაც (ერთმანეთის მიმართ) ასეთი ბუნებრივი მდგომარეობა დაისადგურებს" (იქვე, გვ. 80-81). ალ. ამილახვრის მსჯელობიდან რამდენიმე მომენტი იქცევს ყურადღებას. ჯერ ერთი, აქ ხაზგასმულია ყველა ადამიანის თანასწორობის იდეა: ფეოდალიზმის ხანის ქართულ ფილოსოფიურ მოაზროვნეთა შრომებში ამ აზრს ასე გამოკვეთილად ვერ შევხვდებით. უთუოდ იგრძნობა ვოლტერისა და მონტესკიეს ნააზრევის გავლენა. ვოლტერი, მაგალითად, „რესპუბლიკურ იდეებში" წერდა, რომ კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია: „იყო თავისუფალი, შენს გარშემო გყავდეს მხოლოდ თანასწორნი, ასეთია ჭეშმარიტი ცხოვრება, ბუნებრივი ცხოვრება ადამიანისა" (ვოლტერი, დასახ. ნაშრ. გვ. 81). ვოლტერის აზრით, საუკეთესო მმართველობა ის მმართველობაა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა წოდებისა და ქონების ადამიანთა თანაბარ მფარველობას სახელმწიფოს მიერ. თუმცა ვოლტერი ფილოსოფიურად დაასკვნის, რომ „თანასწორობა, ერთდროულად ყველაზე ბუნებრივი და ყველაზე ქიმერული რამაა" (იქვე). მონტესკიე, თავის მხრივ, მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური თავისუფლება ნიშნავს ყველაფერი იმის გაკეთებას, რაც ნებადართულია კანონებით (მონტესკიე, დასახ. ნაშრ., გვ. 284 და შმდ.). ყურადღებას იქცევს

ამილახვრის ის ფრაზა, სადაც ადამიანთა საზოგადოების „ბუნებრივ მდგომარეობაზეა“ საუბარი. იგულისხმება, რომ არსებობს ბუნებრივი, ადამიანთა საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური კანონები. ეს აზრი ნათლად გამოიხატა XVIII ს. ევროპულ ფილოსოფიურ მიმდინარეობებში. „ბუნებრივი კანონის“ სახელით რომაა ცნობილი (თუმცა მაშინ ეს ბუნებრივი მდგომარეობა და „ბუნებრივი კანონი“ ერთგვარად გაყინულად, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულად განიხილებოდა). ეს იდეა ამა თუ იმ სახით გვხვდება ჰობსთან, ლოკთან, ფიზიოკრატებთან, ვოლტერთან, მონტესკიესთან, რუსოსთან და ა. შ. ძნელი სათქმელია რომელი მათგანის გავლენას უფრო განიცდის ამილახვარი. შეიძლება მაინც გვიგულისხმოთ გავლენა ვოლტერის „რესპუბლიკური იდეებისა“, სადაც ეს ორი იდეა, კონკრეტულად — თანასწორობა და ბუნებრივი კანონები ერთადაა მოცემული. ბუნებრივ კანონებს, ამბობს ვოლტერი, მე ვუწოდებ ისეთ კანონებს, რომლებზედაც ბუნება ყოველთვის მიუთითებს ადამიანებს სამართლიანობის შენარჩუნებისათვის.

ჩვენი აზრით, ამილახვრის ტრაქტატის ამ თავში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ადგილას, ჩანს ფიზიოკრატთა და კერძოდ ფრანსუა კენეს (1694–1774) შრომათა ერთგვარი გავლენაც, თვით სახელი „ფიზიოკრატია“ ხომ ბუნების კანონების მიმდევრობაზე მიგვანიშნებს. ფიზიოკრატებთან გამოკვეთილად ჩანს აგრეთვე „განათლებული მონარქიის“ საერთოდ განათლების მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის. ამ აზრით კი ამილახვრის მთელი ტრაქტატი გამსჭვალულია. კენე წინააღმდეგია სხვადასხვა წოდების უკიდურესი უთანასწორობისა. „უმდაბლესი კლასის“ (კერძოდ მიწათმოქმედთა) გაღატაკება, მისი აზრით, სახელმწიფოსთვის მეტად საზიანოა. ეცემა რა მოთხოვნილება საქონელზე (მოსახლეობის ძირითადი ფენის გაღატაკების გამო) — ეცემა მრეწველობაც და ამგვარად მცირდება ერის სიმდიდრე. ამიტომ იგი მიწათმოქმედთა დაცვას და მეურნეობას მოითხოვს (ფრ. კენე, რჩეული, მოსკოვი, 1896; რუსულ ენაზე). აქ შეიძლება გვეგულისხმა ფიზიოკრატთა, ასე ვთქვათ, წინამორბედი მოაზროვნის რენე ლუი დ'არჟანსონის (1694-1764) შრომათა გავლენაც, დ'არჟანსონი ამტკიცებდა, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს და მისი ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებულია კარგად მოწყობილ მიწათმოქმედებაზე, ხელოსნობასა და ჯანსაღ შინაგან ვაჭრობაზე. ეს აზრები ზედმიწევნით უახლოვდება ამილახვრის კონცეფციას ჯანსაღი სახელმწიფო მეურნეობის მოწყობის თაობაზე.

შემდეგი, მეშვიდე თავი, სამოქალაქო კანონების დაწესებას ეხება. აქ, როგორც სამართლიანად აღნიშნა ამილახვრის ტრაქტატის გამომცემელმა ე. თაყაიშვილმა, ყველაზე აშკარად გამოხჩევის მონტესკიეს შრომის გავლენა. ამას აღნიშნავს გ. აკოფაშვილიც. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ არასწორია ითქვას „ზოგიერთი ადგილები ამ შრომისა (იგულისხმება მონტესკიეს შრომა „კანონთა არსის შესახებ“, ე. ქ.) სიტყვა-სიტყვით არის მოყვანილი... ტრაქტატში“ („ბრძენი აღმოსავლეთისა“, დასახ. გამოცემა ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობა, გვ. 18). მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტატის მეშვიდე თავის სათაურიც კი („სამოქალაქო კანონთა შემოღებისათვის“) უკვე მონტესკიეს შრომაზე მიგვითითებს, სიტყვა-სიტყვით დამთხვევებს ადგილი არა აქვს. მონტესკიე თავისი შრომის I წიგნის მესამე თავში მართლაც განსაზღვრავს სამოქალაქო კანონთა შესაბამისობის აუცილებლობას ამა თუ იმ საზოგადოებასთან. მაგრამ ეს განსაზღვრება გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე ამას ამილახვრის ტრაქტატში ვხვდებით. მაგალითად, მონტესკიე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კანონები უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ფიზიკურ მახასიათებლებს: ჰავას, ნიადაგის ნაყოფიერებას, მდებარეობას, ზომებს; ქვეყნის მოსახლეობის სახიათს (მიწათმოქმედება, მონადირეობა, მესაქონლეობა); თავისუფლების ზომას, რომელსაც ეს სახელმწიფო ითვალისწინებს მოქალაქეთათვის; რელიგიას, მოსახლეობის მიდრეკილებებს, რიცხვს, სიმდიდრეს, მათ სავაჭრო მდგომარეობას, ზნე-ჩვეულებებს. ამავე დროს კანონები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან თავიანთი წარმოშობის გარემოებებითაც (მონტესკიე, დასახ. წიგნ., გვ. 168). ყველა ამათგან, ამილახვარი გამოყოფს სამ მთავარ პრინციპს, რაც, მისი აზრით, აუცილებელია ყველა სამოქალაქო კანონის დაწესებისათვის. ეს პრინციპებია: 1. დროის შესაბამისობა, 2. ერის ზნე-ჩვეულებათა გათვალისწინება; 3. ქვეყნის ბუნებრივ პირობებთან შესამება. მონტესკიეს შრომის გავლენა აშკარაა, თუმცა არა სიტყვასიტყვითი. ამილახვარი წერს, რომ ამ გარემოებათა გათვალისწინების გარეშე შემუშავებული სამოქალაქო სამართალი, მოქალაქეების ნაცვლად, ერს ურჩობამდე და შფოთამდე მიიყვანს. „არ შეიძლება, წერს იგი, ერთი ქვეყნის კანონი მეორე ქვეყანას გავუჩინოთ, არამედ მათი შესაბამისი და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით (უნდა შევიმუშაოთ ისინი)“ (იქვე, გვ. 81). ავტორის აზრით, არ არის მიზანშეწონილი ერთხელ მიღებული კანონის ხშირი ცვლა. ამავე თავში ამილახვარი იურისპრუდენციის საკითხებსაც ეხება და ასკვნის, რომ დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ თავიანთი მდგომარეობის შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ, მიუხედავად ავტორის მიერ არაერთგზის განცხადებული ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპისა, მას მაინც მიაჩნია, რომ სასამართლოში სხვადასხვა წოდების პირებმა სხვადასხვაგვარად უნდა აგონ პასუხი. თუმცა ამილახვარი იქვე დიდ ჰუმანისტად გვევლინება, როცა აცხადებს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამართლეებმა დამნაშავეს ის არ უნდა წაართვან, რისი მიცემაც თვითონ არ ძალუძთ (იგულისხმება სიცოცხლე). ამილახვარი ახსნის, რომ გარკვეულ შემთხვევაში, ადამიანის სიცოცხლის ხელმყოფი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, მაგრამ: „ვფიქრობ, ბუნების კანონებს არ ეწინააღმდეგება, თუ (დამნაშავეს) სიცოცხლეს შევუნარჩუნებთ და სამუდამოდ გადავასახლებთ: სიცოცხლის წართმევა ყველას შეუძლია, გაცოცხლება კი არავის" (იქვე, 82).

მერვე თავში საუბარია ხელობისა და ცოდნის დაუფლების მნიშვნელობაზე სახელმწიფოსთვის. ალ. ამილახვარი წერს, რომ სწავლა და ცოდნა ადამიანებს სინათლეზე უკეთ უნათებს გზას. ქვეყნის მეთაურის უპირველესი საზრუნავი, ახსნის იგი, სწორედ სახელმწიფოში განათლებულ ადამიანთა რიცხვის ზრდა უნდა იყოს: „რამდენადაც ცოდნა გამრავლდება ერში, იმდენად მეფეთა შრომა შემსუბუქდება, რადგან განათლებული კაცის ერთი სიტყვით დამორჩილება უფრო იოლია, ვიდრე უგნურთა მრავალი განმარტებებით" (იქვე). ასევე აუცილებელია, მისი აზრით, ხელობის კარგად დაუფლებული ბევრი ადამიანის ყოლა. მათი ხელობის წყალობით „ყველა საჭირო ნივთი შეიძლება შენივე ქვეყანაში იპოვო და არ იქნება საჭირო მათი სხვა ქვეყანაში ძიება". „ყველაფერი ის (საქონელი, ვ. კ.), რაც ადრე ძვირი იყო, მათი (ხელოსანთა დიდი რიცხვის, ვ. კ.) წყალობით, გაიაფდება". ამასთან, ძალზე სასარგებლოა ქვეყნისთვის, რომ მოსახლეობა ადგილობრივ დამზადებული პროდუქციით კმაყოფილდებოდეს და ნაკლებად სჭირდებოდეს უცხოეთიდან შემოტანილი ნივთები (იქვე, გვ. 83).

მეცხრე თავი ომისა და მშვიდობის ზოგად საკაცობრიო პრობლემებს ეხება. ამ თავის დასაწყისშივე ამილახვარი შენიშნავს, იარაღი ისეთი თვისებისაა, ყოველთვის საფრთხეს შეიცავს („ქლარუნობს"). იგი განაგრძობს, რომ, მართალია, იარაღის კარგად მხმარებელს ძველთაგანვე პატივს მიაგებენ, მაგრამ, მისი აზრით, იარაღისა და საწამლავის (დარიშხანის) მხმარებელნი ერთი ფასისა არიან, რადგან მათი მოქმედების ნაყოფი — კაცის კვლაა. მოკვლა კი, საწამლავით მეტიც შეიძლება, ვიდრე სხვა იარაღით. ამგვარი დიდების მაძიებელი ღმრთის წინაშე ხცოდავს და თავის (ე. ი. ადამიანურ) ბუნებასაც ეწინააღმდეგებაო, ახსნის იგი. ამილახვარი წერს, რომ თუ ვინმე (ხელისუფალი) შეძლებს და თავის მეფობაში „გააუქმებს ყოველგვარ იარაღს და მის ნაცვლად სიბრძნესა და გულისხმიერებას დაამკვიდრებს" — ეს იქნება შეუდარებელი ქმედება [illegible] პირვანდელ (ადრეულ) ბედნიერებას [illegible] კაცობრიობას" (იქვე). ვფიქრობთ, ამ ფრაზაში ამილახვარი გულისხმობს გაიდეალებულ პირველყოფილ საზოგადოებას, სადაც თითქოს არ იყო ბრძოლა, ომი და იარაღი. კვლავ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ამილახვარი აქ ბიბლიურ სამოთხეს არ გულისხმობს, მაშინ მას პირველყოფილი საზოგადოების ასეთი იდეალიზაცია უთუოდ ჟ. რუსოს შრომებიდან აქვს აღებული. რუსო თავის შრომაში „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობისა და მისი საფუძვლების შესახებ" (1768), პიპოთეზის სახით, მაგრამ დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ პირველყოფილი ადამიანი „ბუნებრივი ადამიანი" იყო და „ბუნებრივ კანონებს" ემორჩილებოდა. მისთვის უცხო იყო ბრძოლით სხვისი ქონების დაუფლების სურვილი და ა. შ.

ალ. ამილახვარი აჯამებს რა ამ პაციფისტურად გამსჭვალულ თავს, ახსნის, რომ იარაღი ადამიანმა მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლის დასაცავად უნდა გამოიყენოს და არა სისხლისღვრისთვის.

უკანასკნელი მეათე თავი ერთგვარად შემაჯამებელი ხასიათისაა და მას ეწოდება „საყოველთაო განსჯისათვის". აქ განსაკუთრებით კარგად ჩანს ავტორის მიერ ცხოვრების ფილოსოფიურ ასპექტში ჭვრეტა. იგი წერს: „ყოველი ადამიანი მოვალეა გონების თვალით ჩაუკვირდეს და გულმოდგინედ გააანალიზოს რას წარმოადგენს იგი, ან რას ეფუძნება მისი ცხოვრება" და შემდეგ: „რამდენადაც ჩვენი გონება სარკე პატივმოყვარეობის ორთქლით არის დაბინდული, იმდენად ჩვენი გონება აცდენილია ჭეშმარიტების გზას". იმისათვის, რომ ცხოვრების არსი მრუდე სარკეში არ დავინახოთ, საჭიროა ყველა გონს მოეგოს და თავის ყოველდღიურ ყოფაში ზომას არ გადავიდეს. ეს მართებს მეფესაც, მთავარსაც, მეომარსაც, მღვდელსაც, ვაჭარსაც და გლეხსაც. ყველა თავის საქმეს უანგაროდ უნდა ემსახუროს და ზომიერებას არ გადავიდეს. მაშინ ყველა იცხოვრებს ისე ბედნიერად, როგორც ეს ჩაფიქრებული ჰქონდა ჩვენ კეთილ შემოქმედს, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. ჩვენ კი, ვინც არ უნდა ვიყოთ, მის წინაშე ყველანი თანასწორნი ვართ. მხოლოდ მაშინ შევძლებთ ღმერთი, რომ ამ ქვეყანაშიც ღირსებით ვიცხოვროთ და საიქიოშიც პირნათელნი წარვდგეთ (იქვე, 84-85). ამ სიტყვებით ამთავრებს თავის ტრაქტატს ალ. ამილახვარი.

ამ უკანასკნელი თავიდანაც კარგად ჩანს, რომ ავტორი ზოგადჰუმანური იდეების მატარებელია. აშკარაა ისიც, რომ ალ. ამილახვრის კონცეფცია სახელმწიფოს მოწყობის თაობაზე ერთგვარი გულუბრყვილო იდეალიზმით ხასიათდება. მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს ალ. ამილახვარი არ მივიჩნიოთ ევროპელ მოაზროვნეთა მიმდევრად და მათი იდეების დამცველად. თვით ტრაქტატის სათაური „ბრძენი (ე. ი. მონარქი, ვ. კ.) აღმოსავლეთისა“ ხომ იმას ნიშნავს, რომ მისი მიზანია XVIII ს ევროპელ მოაზროვნეთა მთავარი პოსტულატი განათლებული მონარქის შესახებ აღმოსავლურ ნიადაგზე გადმოტანოს. ეს კი თავისთავად გულისხმობს ამ იდეების გარკვეულ კორექტირებასა და ადგილობრივ სინამდვილესთან მისადაგებას.

უნდა დავასკვნათ, რომ ალ. ამილახვარი გვევლინება როგორც განათლებული მოაზროვნე და ჰუმანისტი. იგი ყოველგვარი ძალადობისა და უკიდურესობათა მტერია. საქართველოსთვის საუკეთესო მმართველობის ფორმად მას შეზღუდული მონარქია მიაჩნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი რუსთაველის ქ. № 28

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-61-61, მთ. რედაქტორის მოადგილის 99-79-89, პ/მგ. მდივნის 99-31-88, და განყოფილებების — 99-96-18.

გადაეცა ასაწყობად 4. 12. 92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 02. 93 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი. 16,6. ტირაჟი 3.300. შეკვეთა 2094. ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, კოსტავას ქ. № 14.

ფასი 20 მან.

ხ32/ 2/99

ინდექსი
76128
ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ